

სახელმწიფო სამართალი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2022, №6

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2022, №6

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2022, №6

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2022, №6

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ქატიკვან შენგელია

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით

საკიეხელი

- 1. ნასყიდობა**
ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე
ფულადი ვალდებულების შესრულება 4
- 2. ჩუქება**
ჩუქების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადურობის გამო 16
- 3. სესხი**
სესხის ზეპირი ხელშეკრულება 27
- 4. ნარდობა** 47; 76; 100
- 5. სატრანსპორტო ექსპედიცია**
ექსპედიტორის პასუხისმგებლობა 117
- 6. მიბარება**
მიბარების საზღაური 126
- 7. დაზღვევა**
ზიანის ფულადი ანაზღაურების ვალდებულება 132
ორმაგი დაზღვევა 144
- 8. ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა)**
უარი ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებაზე 162

1. ნასყიდობა

ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-123-123-2018

9 ნოემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
ე. გასიტაშვილი,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-
ვლები:

1.1. შპს „ფ-ი +-მა“ (შემდგომში – მოსარჩელე, მოწინააღმდეგე მხარე, მყიდველი ან კრედიტორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ს-ოს“ (შემდგომში – მოპასუხე, აპელანტი, კასატორი, მოვა-
ლე ან გამყიდველი) მიმართ მოპასუხისათვის 185 163,83 ლარის და-
კისრების მოთხოვნით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მხა-
რებს შორის წლების განმავლობაში არსებობდა საქმიანი ურთი-
ერთობა, რომლის ფარგლებშიც მოსარჩელე იქნდა მოპასუხის მი-
ერ წარმოებულ ფარმაცევტულ პროდუქციას. აღნიშნული მიზნის
მისაღწევად მოვალისათვის გადახდილ იქნა 185 063,83 ლარი, რაც
გამყიდველმა აღიარა 2013 წლის 31 ივლისს შედგენილი №31-7 ურ-
თიერთშედარების აქტით. მიუხედავად თანხის მიღებისა, მას მო-
სარჩელისათვის შესაბამისი ღირებულების საქონელი არ მიუწო-
დებია. აღნიშნულიდან გამომდინარე, დავალიანების გადახდები-
ნების შესახებ ბრძანების მიღების მოთხოვნით, მოსარჩელემ გან-
ცხადებით მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს და ბაჟის სა-
ხით გადაიხადა 100 ლარი, თუმცა მოვალის მიერ პროტესტის წარ-
დგენის გამო, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ არ მიიღო შესაბა-
მისი აქტი.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოპასუხემ მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით სარჩელი

არ ცნო და განმარტა, რომ №31-7 ურთიერთშედარების აქტი 2013 წლის 31 ივლისს შედგენილ იქნა მისი მოტყუებით. ამგვარ აქტებს მხარეები აფორმებდნენ წინასწარ, მხოლოდ მათი შედგენის შემდგომ ხორციელდებოდა თანხის გადარიცხვა და საქონლის მიწოდება, მოსარჩელეს კი, შესაბამისი ოდენობის თანხა მისთვის არ გადაუცია. შემდგომში მოპასუხემ ნაწილობრივ შეცვალა შესაგებელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და აღნიშნა, რომ მყიდველს მიაწოდა 54 666 ლარის ღირებულების საქონელი, თუმცა, მოხმარების ვადის გასვლის გამო, მიწოდებული პროდუქცია დაიბრუნა უკან იმავე რაოდენობის ახალი საქონლის მიწოდების სანაცვლოდ, შესაბამისად, მას არ შეიძლება დაეკისროს ფულადი ვალდებულების შესრულება. გარდა ამისა, მოპასუხემ განმარტა, რომ 2011 წლის 16 დეკემბერს მოსარჩელეს შეთანხმებულ ადგილას მიაწოდა 73 500 ლარის ღირებულების პროდუქცია, თუმცა, ამ უკანასკნელის მოთხოვნით საქონელი გაგზავნილ იქნა ქ. რუსთავში, რასაც მოსარჩელე არ აღიარებს.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 20 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოვალეს კრედიტორის სასარგებლოდ დაეკისრა 185 163,83 ლარის, ასევე, პროცესის ხარჯების ანაზღაურება.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 5 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო განაცხადის მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები (კასატორის პრეტენზიები):

საკასაციო საჩივრის ფარგლებში პალატის შეფასების საგანს წარმოადგენს გამყიდველისათვის თანხის დაკისრების წინაპირობების არსებობა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია, თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), გასაჩივრებული განჩინების კანონიერებას პალატა სწორედ კასატორის პრეტენზიის ფარგლებში შეამოწმებს. ამ მხრივ კი, კასატორის ძირითადი შედავებები შემდეგია:

– სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო რიგი გარემოებები. მართალია, პირველი ინსტანციის სასამართლოში მოპასუხემ ვერ შეძლო ურთიერთშეძარების აქტის ავთენტიურობასა და იურიდიულ ძალასთან დაკავშირებული პოზიციის მტკიცებულებებით გამყარება, მაგრამ საყურადღებოა, თუ მოსარჩელის მიერ გადახდილ თანხასა და მოპასუხის მიერ მიწოდებულ პროდუქციას შორის სხვაობა მართლაც 336 686 ლარია (რომელიც არ შეეხება ურთიერთშეძარების აქტს, არამედ, მხარეთა სრულ სახელშეკრულებო ურთიერთობას მოიცავს), მაშინ რატომ ითხოვს მოსარჩელე მხოლოდ 185 063,83 ლარის მოპასუხისათვის დაკისრებას;

– ვერც პირველი ინსტანციის და ვერც სააპელაციო სასამართლოში ვერ შეძლო მოპასუხემ სასაქონლო ზედნადებების სრული ოდენობით წარდგენა. მხარის ინფორმაციით ეს აქტები კომპანიის არქივში იყო დაკარგული, თუმცა, აღმოჩნდა, რომ 2009 წლის აქტები „ს-ოში“ იმ დროისათვის დასაქმებულ ბუღალტერს ჰქონდა წაყოლილი, რაც დოკუმენტების წარდგენის შეუძლებლობის საპატიო მიზეზია და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის (რომლის მოქმედება ვრცელდება საკასაციო სამართალწარმოებაზეც) შესაბამისად, ისინი მიღებულ უნდა იქნეს საკასაციო სასამართლოს მიერ, რადგანაც 185 163,83 ლარის მხარისათვის დაკისრება არ შეიძლება მხოლოდ იმ საფუძველით, რომ მან ვერ შეძლო მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტების სასამართლოში წარდგენა (2009 წლის მდგომარეობით არ არსებობდა ელექტრონული ზედნადებები, ხოლო დოკუმენტების არასრულად არსებობის გამო, მოვალე ვერ შეძლებდა იმის დამტკიცებას, რა ოდენობის პროდუქცია ჰქონდა მიწოდებული მოსარჩელისათვის);

– გასაჩივრებული განჩინებით არ დგინდება, მოვალეს 185 063,83 ლარის გადახდა ურთიერთშედარების აქტისა თუ მიწოდებული საქონლისა და ასანაზღაურებელი თანხის სხვაობის შედეგად დაეკისრა. სააპელაციო სასამართლომ, პირველი ინსტანციის სასამართლოსგან განსხვავებით, სწორად დაადგინა, რომ მოსარჩელის მიერ გადახდილი თანხა 1 009 960 ლარს შეადგენდა, თუმცა საქმე ეხება 2009-2013 წლებში მიწოდებულ საქონელსა და გადახდილ თანხას შორის სხვაობას და არა რაიმე დოკუმენტის საფუძველზე თანხის დაკისრებას. მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ მოვალის მხრიდან ურთიერთშედარების აქტზე ხელის მოწერას რაიმე ძალა არ აქვს, რადგანაც, კასატორი მიენდო მოწინააღმდეგე მხარეს და სადავო დოკუმენტზე ხელი მოაწერა მხარეთა შორის არსებული მრავალწლიანი ურთიერთობისა და ნდობის გამო, მათ შორის რეალურად არსებობდა უნაღდო ანგარიშსწორება და საქონელი მხარეს მიენოდებოდა შესაბამისი ზედნაღებების საფუძველზე. 2009 წელს განხორციელებული მიწოდებების ღირებულება კი (რომლის დამადასტურებელი მტკიცებულებების საქმისათვის დართვა მოთხოვნილია საკასაციო საჩივრით), არა თუ დაკისრებული თანხის ტოლფასია, არამედ, 55 074 ლარით აღემატება მას.

1.2. ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა წინამდებარე განჩინების მიმართ:

საკასაციო სასამართლოს წინამდებარე განჩინების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნიათ სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც კასატორს არ მიუთითებია პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც შესაძლოა დაშვებული იყო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება, კერძოდ:

1.2.1. მხარეთა შორის წლების განმავლობაში არსებობდა საქმიანი ურთიერთობა, რომლის ფარგლებშიც მოსარჩელე მოპასუხისაგან პერიოდულად ყიდულობდა ამ უკანასკნელის მიერ წარმოებულ ფარმაცევტულ პროდუქციას;

1.2.2. 2011 წლის 30 ოქტომბერს შედგენილი ურთიერთშედარების აქტით მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოვალე, შემდგომი მოტი-

ვაციის გაზრდის მიზნით, კრედიტორზე გასცემდა ფასდაკლებას დღგ-ისგან გათავისუფლებულ პროდუქციაზე 1 200 ლარის ოდენობით. ამასთან, მხარეები ადასტურებდნენ, რომ მოპასუხის დავალიანება მყიდველის მიმართ 147 804 ლარს შეადგენდა. მითითებული აქტით, მხარეებმა ასევე დაადასტურეს ხსენებული თანხის (წამლების: „ს-ოსა“ და „ფერდის“ საფასურის) ავანსის სახით გამყიდველის ანგარიშზე წინასწარ გადარიცხვა;

1.2.3. 2012 წლის 28 თებერვალს შედგენილი ურთიერთშედარების აქტით მხარეები ადასტურებენ, რომ მოპასუხის დავალიანება მოსარჩელის მიმართ 167 940,83 ლარს შეადგენდა. ამავე აქტით მხარეებმა დაადასტურეს, რომ ზემოთ აღნიშნული თანხა წამლების საფასურის ნაცვლად, ავანსის სახით მიიღო გამყიდველმა;

1.2.4. 2013 წლის 31 ივლისს შედგენილი №31-7 ურთიერთშედარების აქტის მიხედვით, ერთი მხრივ მოსარჩელე და მეორე მხრივ – მოპასუხე ადასტურებენ, რომ გამყიდველის დავალიანება, მყიდველის მიმართ 185 063,83 ლარს შეადგენდა. მითითებული აქტის მიხედვით, მხარეებმა ასევე დაადასტურეს, რომ მასში აღნიშნული თანხა წამლების საფასურის ნაცვლად მოვალემ ავანსის სახით მიიღო;

1.2.5. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალმა სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ გამყიდველის წინააღმდეგ კრედიტორის 2013 წლის 2 დეკემბრის განცხადების საფუძველზე განახორციელა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წარმოება და მოვალის მიერ პროტესტის წარდგენის მოტივით, დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემაზე უარი ეთქვა მყიდველს;

1.2.6. აპელანტი პირველი ინსტანციის სასამართლოში 2013 წლის 31 ივლისის ურთიერთშედარების აქტის მოტყუებით დადების ფაქტზე აპელირებდა, თუმცა, მოტყუებით დადების ამსახველი ფაქტები და აღნიშნული ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებები მას არ წარუდგენია, ისევე, როგორც არ მიუთითებია 2012 წლის 28 თებერვლისა და 2011 წლის 30 ოქტომბრის ურთიერთშედარების აქტების მოტყუებით დადების ფაქტზე (მაშინ, როდესაც 2011 წლის 30 ოქტომბერს შედგენილი აქტის მიხედვით, მხარეს შპს „ფიი +“-ისათვის 147 804 ლარის ღირებულების, ხოლო, 2012 წლის 28 თებერვალს აქტის მიხედვით – 167 940.83 ლარის საქონელი უნდა მიეწოდებინა);

1.2.7. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები 2013 წლის 31 ივლისის №31-7 ურთიერთშედარების აქტში ასახულ დავალიანებას ვერ აქარწყლებს (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017

წლის 5 დეკემბრის სხდომაზე სასამართლომ გამოიკვლია პროდუქციის მიწოდების დამადასტურებელი სასაქონლო ზედნადებები და აღნიშნული პროდუქციის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები; აპელანტმა სადავოდ არ გახადა, რომ მას (გადახდის ქვითრებით) 1 009 960 ლარის მიღების ფაქტი უდასტურდება, თავის მხრივ, მოპასუხე, საქმეში წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებებით, მოსარჩელისათვის 673 274 ლარის პროდუქციის მიწოდებას ამტკიცებს. უფრო მეტიც, მიწოდებულ საქონელსა და ანაზღაურებულ თანხას შორის სხვაობა 336 686 ლარია, შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხული მონმის ჩვენების გაზიარების შემთხვევაშიც კი, რომც დადგინდეს 73 500 ლარის საქონლის მოსარჩელისათვის გადაცემა (რაც თანამშრომელმა ქალმა მიიღო, თუმცა, სასაქონლო ზედნადებზე ხელი არ მოაწერა), წარმოდგენილი მტკიცებულებებით მიღებულ საქონელსა და გადახდილ ფასს შორის სხვაობა 263 186 ლარია, რაც მაინც ბევრად აღემატება 2013 წლის 31 ივლისს №31-7 ურთიერთშედეარების აქტში ასახულ დავალიანებას – 185 063,83 ლარს). თავად №31-7 აქტით აღიარებულია მოსარჩელის წინაშე მოპასუხის დავალიანება 185 063,83 ლარის ოდენობით. მასში მითითებული არ არის, თუ რა პერიოდს მოიცავს აღნიშნული დავალიანება, შესაბამისად, იგულისხმება, რომ იგი მხარეთა სამართალურთიერთობის საბოლოო ვალდებულების ამსახველი დოკუმენტია, რომელიც სახელშეკრულებო ურთიერთობის მთელ პერიოდს მოიცავს (ასრულებს) და არა ურთიერთობის რომელიმე მონაკვეთს;

1.2.8. ურთიერთშედეარების აქტის შედგენის შემდეგ გასულია 4 წელი. აღნიშნული დროის განმავლობაში, მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება არ დგინდება. სახელშეკრულებო ურთიერთობის მოშლის მართლზომიერება მხარეთა შორის სადავო არაა. მოპასუხე, მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლის (გრძელვადაინი ხელშეკრულების შეწყვეტის) შეტყობინების არარსებობაზე აპელირებდა, თუმცა ხელშეკრულებიდან გასვლა აღნიშნული ურთიერთშედეარების აქტის შედგენითა და ამავე აქტის შემდეგ ურთიერთობის გაგრძელების დამადასტურებელი მტკიცებულების არარსებობით დგინდება, უფრო მეტიც, მოვალემ, ხელშეკრულების შეწყვეტისა და დავალიანების დაფარვის თაობაზე, მინიმუმ, მისთვის სააღსრულებო წარმოების ფარგლებში წარდგენილი განაცხადით შეიტყო.

1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

საკასაციო პრეტენზიათა დეტალური ანალიზის შედეგად სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ მხარე გასაჩივრებული განჩინე-

ბის გაუქმებას ძირითადად ორი საფუძვლით ითხოვს: ა) მან საპატიო მიზეზით ვერ შეძლო ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების სასამართლოში წარდგენა, რომლებიც საკასაციო პალატის მიერ უნდა იქნეს მიღებული; ბ) გასაჩივრებული განჩინებით არ დგინდება, მოვალეს თანხა რა ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლით დაეკისრა. კასატორის ხსენებულ პრეტენზიებს პალატა შეაფასებს ცალ-ცალკე:

1.3.1. სასამართლო არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლით გათვალისწინებული ახალი მტკიცებულებების საქმისათვის დართვის წინაპირობა, ამასთანავე, ხსენებული საპროცესო ნორმის მოქმედება ვრცელდება საკასაციო სამართალწარმოებაზეც. პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლი წარმოადგენს ე.წ. „შეზღუდული აპელაციის“ პრინციპის განმსაზღვრელ ნორმას და მხოლოდ საგამონაკლისო წესით მიიჩნევა დასაშვებად მტკიცებულებათა ზემდგომი სასამართლოს მიერ მიღებას, თავის მხრივ, მტკიცებულების წარდგენის საპატიოობაც სრულად უნდა შეესაბამებოდეს ამავე კოდექსით დადგენილ სტანდარტს (სსსკ-ის 215.3 მუხლი), რათა დაუსაბუთებლად არ შეიღაბოს პროცესის ფუნდამენტური პრინციპები. სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია რა შეჯიბრებითობის პრინციპზე (სსსკ-ის მე-4 მუხლი), კანონის იმპერატიული ნება სწორედ ამ პრინციპის დაცვით მართლმსაჯულების განხორციელებისკენაა მიმართული. საპროცესო კანონმდებლობის ანალიზი იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ სასამართლოს მთავარი სხდომისათვის საქმის განსახილველად მომზადება მხარეთა წერილობითი პოზიციების სრულყოფასა და დავის ძირითადი სურათის განსაზღვრას ემსახურება, სწორედ ამითაა გამართლებული ამავე კოდექსის 201-ე მუხლის მე-5 ნაწილისა (მოპასუხე ვალდებულია, პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება, შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები. მოპასუხე უფლებამოსილია, მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა) და 219-ე მუხლის პირველი ნაწილის (მხარეები შეზღუდული არიან, ახსნა-განმარტების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო განცხადებული) დებულებე-

ბის არსებობა პროცესში, რომელთა განუხრელი დაცვა პროცესის სწორად წარმართვაზე მიუთითებს. მიუხედავად ამისა, მტკიცებულებათა მოგვიანებით წარდგენა მაინც დასაშვებია, რათა არ დაზარალდეს ერთ-ერთი მხარის ინტერესი, ამასთანავე, უნდა დადგინდეს, რომ მტკიცებულებათა დროული წარუდგენლობა მხარისაგან დამოუკიდებელი, საპატიო მიზეზითაა განპირობებული. ამის ნათელი მაგალითია ზემოხსენებული 380-ე მუხლი, რომლის მოქმედებაც მხოლოდ სააპელაციო სამართალწარმოებაზე ვრცელდება, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (სააპელაციო სასამართლო ამონებს გადანყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით), სააპელაციო სასამართლო წარმოდგენს რა ფაქტების დამდგენ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს, მას სრული საპროცესო შესაძლებლობა გააჩნია, შედავების ფარგლებში გამოიკვლიოს მტკიცებულებები, მათ შორის კანონის მოთხოვნათა დაცვით მიღებული და დასაშვებად ცნობილი ახალი მტკიცებულებები. რაც შეეხება საკასაციო სამართალწარმოებას, ამავე კოდექსის 404-ე და 407-ე მუხლების პირველი ნაწილებიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონებს გადანყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა. საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადანყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები), საკასაციო სასამართლოში მტკიცებულებათა მიღება და მათი კვლევა კანონით აკრძალულია, არამედ, საკასაციო პრეტენზიათა ფარგლებში შესწავლას ექვემდებარება ქვემდგომი სასამართლოების მიერ მიღებული მტკიცებულებების პროცესუალური თვალსაზრისით შეფასების კანონიერება (სსსკ-ის 105-ე მუხლი) და ამ გზით სასამართლოს შინაგანი რწმენით დადგენილი ფაქტების მატერიალური სამართლის ნორმებთან სუბსუმირების სისწორე. სამართალწარმოების ზემოხსენებული თავისებურებიდან გამომდინარე, საკასაციო სამართალწარმოებისას დაუშვებელია საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის გამოყენება, რადგანაც ამავე კოდექსის 399-ე მუხლიდან გამომდინარე, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს.

1.3.2. ამდენად, საკასაციო პალატა უარყოფს კასატორის შედაგებას, რომ არსებობს მტკიცებულებათა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოში წარდგენის შეუძლებლობის საპატიო მიზეზი და ამ მტკიცებულებათა წარდგენა დასაშვებია საკასაციო განხილვის ეტაპზე. ამასთან, ვინაიდან საკასაციო პალატა არ წარმოადგენს არც მტკიცებულებათა მიღებაზე უფლებამოსილ და არც ფაქტების დამდგენ სასამართლოს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე (სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ), კასატორს უბრუნებს, როგორც საკასაციო საჩივარზე დართულ, ისე – შემდგომ წარმოდგენილ ყველა მტკიცებულებას.

1.3.3. რაც შეეხება მხარის არგუმენტს, რომ გასაჩივრებული განჩინებით არ დგინდება თანხის დაკისრების წინაპირობები, პალატა არც მას იზიარებს და განმარტავს, რომ ამ კუთხით გასაჩივრებული განჩინება დასაბუთებულია. სადავო არაა ის გარემოება, რომ მხარეები გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ, კერძოდ, თანხის გადახდის სანაცვლოდ მოპასუხე მოსარჩელეს საკუთრებაში გადასცემდა მის მიერ წინარმოებ ფარმაცევტულ პროდუქციას, რაც სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლით განსაზღვრულ ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობის არსებობაზე მეტყველებს. ამ ურთიერთობის ფარგლებში, მოსარჩელე გვევლინება შექმნად, ხოლო მოპასუხე – გამყიდველად. შექმნილი მოთხოვნა მოპასუხისათვის საავანსო ანგარიშსწორების წესით გადახდილი იმ თანხის დაბრუნებას, რომლის შესაბამისი პროდუქციაც მას არ მიუღია. ამგვარ ვითარებაში მოსარჩელის მტკიცების ტვირთს, სამოქალაქო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგენს თანხის გადახდის დადასტურება, რომლის დაძლევის შემთხვევაში, მოპასუხეს, როგორც გამყიდველს, ეკისრება მოთხოვნილი თანხის დაკისრების ვალდებულების გამომრიცხველი წინაპირობების დადასტურება (მაგ: სკ-ის 429-ე მუხლის შესაბამისად, მას შეუძლია წარადგინოს შესრულების გზით ვალდებულების შეწყვეტის დამადასტურებელი სავალო საბუთი, 442-ე მუხლით განსაზღვრული ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა და სხვა). მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ წარადგინა მხარეთა ხელმოძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა მიერ 2013 წლის 31 ივლისს შედგენილი №31-7 ურთიერთშედარების აქტი, რომელშიც მითითებულია, როგორც თანხის ოდენობა (185 063,83 ლარი), ისე – ამ თანხის გამყიდველის მხრიდან ავანსად მიღება (მართალია, მოვალე თავდაპირველად, მათ შორის, ამ აქტზე ხელმოწერას მოსარჩელის მხრიდან მოტყუებას უკავში-

რება, თუმცა, ქვემდგომი სასამართლოების მხრიდან დადგენილია და კასატორი სადავოდ აღარ ხდის იმ გარემოებას, რომ მან ვერ შეძლო ვერც მოტყუების დამადასტურებელ გარემოებებზე მითითება და ვერც ამგვარი მტკიცებულებების წარდგენა (იხ. სკ-ის 81-ე-84-ე მუხლები). ხსენებული მიღება-ჩაბარების აქტის შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას იმის თაობაზე, რომ ეს მტკიცებულება არა სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლით განსაზღვრულ ვალის აბსტრაქტულ აღიარებას და შესაბამისად ახალ ხელშეკრულებას წარმოადგენს, არამედ, იგი ვალდებულების კაუზალური აღიარებაა, რომელიც ამართლებს მოსარჩელის მოთხოვნას (ვალის აღიარების საკითხების, ასევე, აღარების იურიდიული მნიშვნელობისა და მათი სახეობების გამიჯვნის თაობაზე იხ. სასამართლო პრაქტიკა: სუსგ №ას-383-364-2015, 27 მაისი, 2016 წელი). ამ მხრივ, სააპელაციო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები სრულად შეესაბამება მტკიცებულებათა კვლევის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილ სტანდარტს, მოპასუხეს კი, სასამართლოსათვის არ წარუდგენია თანხის დაკისრების გამომრიცხველი მტკიცებულებები.

1.3.4. დასაბუთებული შედეგების არარსებობის პირობებში, საკასაციო პალატა ასევე იზიარებს ქვემდგომი სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ სადავო №31-7 აქტი ასევე ხელშეკრულებიდან მოსარჩელის გასვლის დამადასტურებელ მტკიცებულებას წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც მხარეთა შორის მოხდა საბოლოო ანაგრიმსწორება, კერძოდ, ამ ურთიერთობის შემდგომ მხარეთა შორის არ დგინდება რა რაიმე ვალდებულებითი ურთიერთობის გაგრძელება, დასაბუთებულია პალატის დასკვნა მოსარჩელის მხრიდან ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენის თაობაზე (სკ-ის 355-ე მუხლი: ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება ხელშეკრულების მეორე მხარისათვის შეტყობინებით), ამასთანავე, ვინაიდან კასატორი ვალდებულების დარღვევის, ასევე, დამატებითი ვადის დაწესების საკითხზე შედავებას არ გამოთქვამს, დასაბუთებულია გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება სამოქალაქო კოდექსის 352-ე და 405-ე მუხლების პირველი ნაწილების შესაბამისად, მხარეთა რესტიტუციის წინაპირობების არსებობის თაობაზე, რადგანაც, მითითებული ნორმებიდან გამომდინარე, თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშე-

დეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება. თუკი ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა, მაშინ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი. თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება).

1.3.5. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ დაძლია ხელშეკრულებიდან გასვლისა და საავანსო ანგარიშსწორების გზით გადახდილი თანხის დაბრუნების შესახებ სარჩელში მითითებული ფაქტების დამტკიცების ტვირთი, რის გამოც, ქვემდგომმა სასამართლოებმა მართებულად დააკისრეს მოპასუხეს 185 063,83 ლარის, ისევე, როგორც გამარტივებული წესით გადახდის ბრძანების გამოცემის მიზნით მის მიერ განეული ხარჯის – 100 ლარის კრედიტორის სასარგებლოდ გადახდა (ეს უკანასკნელი, სსკ-ის 37.3 მუხლის თანახმად, წარმოადგენს სასამართლოსგარეშე ხარჯს და მისი ანაზღაურება ხდება ამავე კოდექსის 53-ე მუხლის ფარგლებში).

1.4. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების პროცესუალურ-სამართლებრივი დასაბუთება:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად (საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას), საკასაციო სასამართლო უცვლელად ტოვებს გასაჩივრებულ განჩინებას, რადგანაც მიიჩნევს, რომ კასატორმა ვერ დაამტკიცა მისი გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით განსაზღვრული წინაპირობების არსებობა.

2. სასამართლო ხარჯები:

ვინაიდან, წინამდებარე განჩინებით საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, არ არსებობის კასატორის მიერ განეული ხარჯის მხარეთა შორის განაწილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები, ამავე კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად კი, ხსენებული ხარჯი უნდა დარჩეს სა-

ხელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 104-ე, 407-ე, 410-ე
მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ს-ოს“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატის 2017 წლის 5 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. შპს „ს-ოს“ დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე დართული მო-
წინააღდეგე მხარისათვის მიწოდებული საქონლის ზედნადებების
ანგარიში 1 (ერთი) ფურცლად, სასაქონლო ზედნადებები 13 (ცამე-
ტი) ფურცლად, ფარმაცევტული პროდუქციის სერიის აღრიცხვის
სპეციალური ფორმა 1 (ერთი) ფურცლად, აუდიტორული დასკვნა
ხუთი (ხუთი) ფურცლად, 30.05.2018წ. განცხადებაზე დართული „სა-
ერთო გაზეთის“ 28.02.2018წ. მე-7 ნომერი 8 (რვა) ფურცლად,
11.10.2018წ. განცხადებაზე დართული აუდიტორული დასკვნა 5
(ხუთი) ფურცლად და სამედიცინო გაზეთი „მედეა და მედიცინა“
12 (2 ეგზემპლარი, სულ თორმეტი) ფურცლად.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასა-
ჩივრდება.

2. ჩუქება

ჩუქების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადუროვის გამო

გადაწყვეტილება საქართველოს სსხელით

№ას-1155-2018

13 ოქტომბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატის
შემადგენლობა: მ. ერემაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. კაკაბაძე,
ლ. მიქაბერიძე

დავის საგანი: ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა, პირ-
ვანდელი მდგომარეობის აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ზ. მ-სი (შემდეგში: მოსარჩელე, გამჩუქებელი), ნ. მ-სი (შემ-
დეგში: მოპასუხე, აპელანტი, დასაჩუქრებული ან კასატორი) და ო.
მ-სი (შემდეგში: მოპასუხე, დასაჩუქრებული) არიან და-ძმები.

2. უძრავი ქონება მდებარე ქ. თბილისი, ... (შემდეგში: სადავო
ქონება/სახლი, ჩუქების საგანი) წარმოადგენს მხარეთა მშობლე-
ბის სამკვიდრო ქონებას. მამის, რ. მ-ვის გარდაცვალების შემდგომ
2003 წლის 22 მაისს, ზ. მ-სის სახელზე გაცა სამკვიდრო მონაწილეობა
და სადაო სამკვიდრო ქონება აღირიცხა მის საკუთრებად.

3. მოსარჩელე, დაბადებიდან ცხოვრობდა სადავო სახლში. მო-
სარჩელეს ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი. ოჯახი, 2014 წლის 5 ოქ-
ტომბრიდან ცხოვრობს ახლობელთან, მისი ხელფასი შეადგენს 500
ლარს, მეუღლე არ მუშაობს.

4. მხარეთა შორის, 2013 წლის 22 მაისს გაფორმდა ჩუქების ხელ-
შეკრულება. მოსარჩელემ მოპასუხეებს გადასცა სადავო ქონება.
ხელშეკრულება ხელმოწერილია მხარეთა მიერ და დამოწმებულია
საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. ხელშეკრულებაზე ხელ-
მოწერა მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ. სადაო უძრავი ქონება
რეგისტრირებულია ნ. მ-სის და ო. მ-ის თანასაკუთრებად. ჩუქების
ხელშეკრულების მიხედვით, ჩუქების საგანი უფლებრივად უნაკ-
ლოა, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა და ყადაღა საჯარო რე-
ესტრში არ არის რეგისტრირებული.

5. მოსარჩელემ, 2012 წლის 16 აგვისტოს გააფორმა სესხისა და

იპოთეკის ხელშეკრულება, რომლითაც თ. ბ-გან ისესხა 5 525 აშშ დოლარი. სესხის უზრუნველყოფის მიზნით, იპოთეკით დაიტვირთა სადავო უძრავი ნივთი. 2013 წლის 1 ივნისს გაუქმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. სესხის თანხა იპოთეკარს გადაუხადა მოსარჩელის დამ.

6. მოპასუხე დის შეტყობინების საფუძველზე, 2014 წლის 5 ოქტომბერს, ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს ნაძალადევის მიმართულების პატრულ-ინსპექტორმა გ. კ-ძემ 20:24 საათზე შეადგინა ოქმი, რომელშიც აღნიშნულია, რომ მოპასუხე დას, როგორც საცხოვრებელი სახლის მესაკუთრეს, არ სურდა მასთან სახლში მყოფი მისი ძმის ზ. მ-სისა და მისი მეუღლე ე. ნ-ას, მის საცხოვრებელ სახლში ყოფნა. პატრულ-ინსპექტორის განმარტებით, მხარეებს განემარტათ, რომ გამოსახლების თაობაზე მიემართათ რაიონული განყოფილებისათვის განცხადებით.

7. მოპასუხე ძმა, ოჯახთან ერთად ცხოვრობს ქ. რუსთავში და თანახმაა, რომ გაუქმდეს სადავო ჩუქების ხელშეკრულება.

8. სარჩელის მოთხოვნა

8.1. გამჩუქებელმა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, მხარეთა შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა მოითხოვა.

9. მოპასუხეების პოზიცია

9.1. მოპასუხეებმა წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს. საქმის მოსამზადებელ ეტაპზე და არსებითად განხილვის დროსაც, მოპასუხე ძმა დაეთანხმა სასარჩელო მოთხოვნას.

10. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

10.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა მხარეთა შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულება და აღდგენილ იქნა პირვანდელი მდგომარეობა.

11. სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა

11.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილება, სააპელაციო წესით გასაჩივრა დასაჩუქრებულმა დამ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

12.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარ-

ჩა უცვლელი.

12.2. სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა და იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილ და წინამდებარე განჩინების 1-5 პუნქტებში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებს (სსსკ-ის 390.3. მუხლის „გ“ ქვეპუნქტი).

12.3. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელე, მხარეთა შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებას, მოპასუხის მიერ მის მიმართ გამოჩენილი უმადურობის საფუძვლით ითხოვდა.

12.4. მოსარჩელე განმარტავდა, რომ მოპასუხემ ბინიდან გამოასახლა ოჯახთან ერთად იმის გათვალისწინებით, რომ მას სხვა საცხოვრებელი არ გააჩნდა და არც საცხოვრებლის მოძიების მატერიალური შესაძლებლობა.

12.5. სააპელაციო სასამართლომ დასაჩუქრებულის მხრიდან ჩუქების ხელშეკრულების დადებისას, გამჩუქებლის მიმართ მძიმე უმადურობის გამოჩენისგან თავის შეკავების თაობაზე, საქართველოს უზენაეს სასამართლოს პრაქტიკაზე მიუთითა, რომლის მიხედვითაც „ქონების უსასყიდლოდ გადაცემის (ჩუქების) დროს, დასაჩუქრებულის ქონების გაზრდა ხდება მისი მხრიდან საპასუხო შესრულების გარეშე. პალატა მიიჩნევს, რომ დასაჩუქრებულის ნებისმიერი მჩუქებლისათვის მიუღებელი ქმედება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს დასკვნას იმის შესახებ, რომ დასაჩუქრებულმა გამჩუქებლის მიმართ დიდი უმადურობა გამოიჩინა ან ამით მას მძიმე შეურაცხყოფა მიაყენა. აღნიშნული ფაქტი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით, ინდივიდუალური შეფასების საგანს წარმოადგენს. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარტა „მსგავსი მოთხოვნის შემთხვევაში, მოსარჩელის განსასაზღვრია, რომელ ქმედებას მიიჩნევს უმადურობად ან შეურაცხყოფად, თუმცა კონკრეტული ფაქტი წარმოადგენს თუ არა ისეთი სახის შეურაცხყოფას ან უმადურობას, რაც ჩუქების გაუქმებას შეიძლება დაედოს საფუძვლად, სასამართლოს შეფასების საგანია და არა თავად მოსარჩელის. სასამართლომ მხარეთა ურთიერთდამოკიდებულების, მათი შეხედულებების, თავად ქმედების შეფასების, ასევე, კონკრეტულ საზოგადოებაში არსებული წეს-ჩვეულებებისა და დამკვიდრებული მოსაზრებების გათვალისწინებით უნდა განსაზღვროს, იჩენს თუ არა დასაჩუქრებული უმადურობას გამჩუქებლის მიმართ ან არის თუ არა მისი ქმედება შეურაცხმყოფელი. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია თავად მხარის სუბიექტური დამოკიდებულება კონკრეტული ქმედების მიმართ, მაგრამ გადამწყვეტი ამ ქმედების შეფასებაა, იმ თვალსაზრისით, რომ სამოქა-

ლექო კოდექსის 529-ე მუხლიდან გამომდინარე, დასაჩუქრებულის არა ყოველგვარი გასაკიცხი ქმედება იძლევა ჩუქების გაუქმების საფუძველს, არამედ მხოლოდ მძიმე შეურაცხყოფა და დიდი უმადურობა“ (იხ. სუსგ №ას-1235-1176-2014, 2015 წლის 24 თებერვალი).“

12.6. სააპელაციო სასამართლომ, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებაზე მიუთითა, პოლიციის გამოძახების შესახებ, და აღნიშნულის საფუძველზე შედგენილი ოქმის შინაარსის გაანალიზების საფუძველზე დაასკვნა, რომ იმ პირობებში როდესაც გამჩუქებელს და მის ოჯახს, სხვა საცხოვრებელი არ ჰქონდათ, ხოლო, მოსარჩელის ოჯახის ერთადერთი შემოსავალი მისი 500 ლარიანი ხელფასი იყო, რაც არ იქნებოდა საკმარისი საცხოვრებელი სახლის დაქირავებისთვის, აპელანტის მხრიდან სახეზე იყო დიდი უმადურობა, რაც საკმარისი საფუძველი იყო ჩუქების ხელშეკრულების გასაუქმებლად.

13. აპელანტის საკასაციო საჩივარი

13.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

13.2. კასატორის განმარტებით, თავისი ხარჯებით, ფაქტობრივი ფლობით ინახავდა მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ სადავო ქონებას, ასევე მნიშვნელოვანი ხარჯი გასწია ქონების გასარემონტებლად და გასაუმჯობესებლად. მოსარჩელემ, აღნიშნული ქონება იპოთეკით დატვირთა და სესხის გადაუხდელობის გამო, კასატორს მოუწია იპოთეკით დატვირთული ქონების გამოხსნა, სწორედ აღნიშნული ფაქტის გამო აჩუქა მოსარჩელემ მოპასუხეებს სადავო ქონება.

13.3. კასატორის განმარტებით, მას უმადურობა არ გამოუჩინია თავისი ძმის მიმართ, პირიქით, რძალმა მიაყენა შეურაცხყოფა, ხოლო, შემდეგ, მოსარჩელემ სცადა ფიზიკური დაპირისპირება, სწორედ ამ ფაქტს მოჰყვა სამართალდამცავების გამოძახება, სხვა შემთხვევაში, სადავო ქონებით უპრობლემოდ სარგებლობდა მოსარჩელე, მისი მეუღლე და შვილი.

13.4. კასატორის განმარტებით, მოსარჩელის პრეტენზია, რომ ის უსახლკაროდ დატოვა დასაჩუქრებულმა დაუსაბუთებელია, კერძოდ, მოსარჩელე ... ქუჩაზე ცხოვრობს, მისი დამსაქმებლის სახლში.

13.5. კასატორის განმარტებით, პოლიცია შესაძლო კონფლიქტის აღკვეთის მიზნით გამოიძახა და არა მოსარჩელისა და მისი

ცოლ-შვილის სახლიდან გასაყვანად. ოქმის შინაარსითვე ირკვევა, რომ საპატრულო პოლიცია მყისიერად ვერ მოახდენდა რეაგირებას და მესაკუთრის მიერ მხოლოდ რაიონულ პოლიციაში განაცხადის შემდეგ შეიძლებოდა დაწყებულიყო გასახლების პროცესი, რაც ბუნებრივია ნიშნავდა, რომ გამჩუქებელს შეეძლო სადავო სახლში დარჩენა.

14. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

14.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაშია მიღებული სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად, ხოლო 2019 წლის 31 ოქტომბრის განჩინების მიხედვით დასაშვებადაა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად, მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი, უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელეს უარი ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე, შემდეგი არგუმენტაციით:

15. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

16. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში კასატორის პრეტენზიები საფუძვლიანია, რის გამოც საკასაციო განაცხადი უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და მოსარჩელეს უარი ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

17. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარეთა შორის დაიდო ჩუქების ხელშეკრულება, რომლის გაუქმებასაც, მოსარჩელე დასაჩუქრებულის მხრიდან გამოჩენილი დიდი უმადურობის სა-

ფუძვლით ხდიდა სადავოდ. სასარჩელო განცხადებაში ასევე უთითებდა, რომ ჩუქების შემდეგ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

18. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 524-ე მუხლის პირველი „ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩინოს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ.“ მეორე „თუ ჩუქება გაუქმდება, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მჩუქებლის მიერ“ და 530-ე მუხლის პირველი „თუ ჩუქების შემდეგ მჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა, მას უფლება აქვს დასაჩუქრებულს მოსთხოვოს გაჩუქებული ნივთი, თუ ეს უკანასკნელი რეალურად არსებობს და დაბრუნება დასაჩუქრებულს არ ჩააყენებს მძიმე მდგომარეობაში.“ ნაწილები წარმოადგენს.

19. მოსარჩელის ძირითადი პრეტენზია, დასაჩუქრებული დის მხრიდან, მის მიმართ გამოვლენილ დიდ უმადურობას შეეხებოდა, რაც მოსარჩელის განმარტებით, მისი და თავისი ცოლის, აგრეთვე 11 თვის ჩვილის სადავო ქონებიდან გამოსახლებაში და ოჯახის საცხოვრებლის გარეშე დატოვებაში გამოიხატა, აღნიშნულის დასტურად კი საპატრულო პოლიციის რეაგირების ოქმზე უთითებდა. მოსარჩელისვე განმარტებით, დასაჩუქრებულმა იცოდა, რომ ჩუქების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მას ქონება აღარ გააჩნდა.

20. საკასაციო სასამართლო დასახელებული ოქმის შინაარსზე მიაქცევს ყურადღებას და განმარტავს, რომ დასახელებული ოქმის მიხედვით, შესაბამისმა პირმა, შეტყობინების ავტორსა და ადგილზე მყოფ პირებს, მათ შორის მოსარჩელეს განუმარტა, რომ „მათ შორის არსებულ სადავო საკითხებზე შესაბამისი სამსახურებისთვის უნდა მიემართათ, აგრეთვე, გამოსახლების თაობაზე მიემართათ რაიონული განყოფილებისთვის“. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დასახელებული ოქმი არ წარმოადგენს, დასაჩუქრებულის მხრიდან გამჩუქებლის მიმართ გამოვლენილი შესაძლო უმადურობის დასადასტურებლად რელევანტურ მტკიცებულებას.

21. საკასაციო სასამართლო, მოსარჩელის პრეტენზიის – დასაჩუქრებულმა, მისი და თავისი ცოლ-შვილის საცხოვრებელი სახლის გარეშე დატოვებით დიდი უმადურობა გამოიჩინა – პასუხად განმარტავს, რომ აღნიშნული გარემოება არ დასტურდება საქმეში არსებული მტკიცებულებებითა და ახსნა-განმარტებებით, ასეთ შემთხვევაშიც კი მესაკუთრის მიერ, მის საკუთრებაში არსებულ ნივთზე მართლზომიერი ბატონობის განხორციელება ვერ განიხი-

ლება დასაჩუქრებულის მიმართ დიდი უმადურობის გამოვლინებად. საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ ჩუქების ხელშეკრულება დასაჩუქრებულს ვალდებულებებს არ წარმოუშობს.

22. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარტა „მსგავსი მოთხოვნის შემთხვევაში, მოსარჩელის განსასაზღვრია, რომელ ქმედებას მიიჩნევს უმადურობად ან შეურაცხყოფად, თუმცა კონკრეტული ფაქტი წარმოადგენს თუ არა ისეთი სახის შეურაცხყოფას ან უმადურობას, რაც ჩუქების გაუქმებას შეიძლება დაედოს საფუძვლად, სასამართლოს შეფასების საგანია და არა თავად მოსარჩელის. სასამართლომ მხარეთა ურთიერთდამოკიდებულების, მათი შეხედულებების, თავად ქმედების შეფასების, ასევე, კონკრეტულ საზოგადოებაში არსებული წეს-ჩვეულებებისა და დამკვიდრებული მოსაზრებების გათვალისწინებით უნდა განსაზღვროს, იჩენს თუ არა დასაჩუქრებელი უმადურობას გამჩუქებლის მიმართ ან არის თუ არა მისი ქმედება შეურაცხმყოფელი. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია თავად მხარის სუბიექტური დამოკიდებულება კონკრეტული ქმედების მიმართ, მაგრამ გადამწყვეტი ამ ქმედების შეფასებაა, იმ თვალსაზრისით, რომ, სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლიდან გამომდინარე, დასაჩუქრებულის არა ყოველგვარი გასაკიცხი ქმედება იძლევა ჩუქების გაუქმების საფუძვლად, არამედ მხოლოდ მძიმე შეურაცხყოფა და დიდი უმადურობა“ (იხ. სუსგ-ები №ას-1235-1176-2014, 2015 წლის 24 თებერვალი; №ას-582-2021, 14.07.2021; №ას-471-450-2015, 20.11.2015).

23. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 529-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა ნაჩუქრობის შინაარსის ერთ-ერთი გამოვლინებაა. მჩუქებლის უფლება, უკან დაიბრუნოს გაჩუქებული ქონება, ჩუქების ურთიერთობის მაღალი ზნეობრივი ხასიათითაა განპირობებული. ნაჩუქრობა ისტორიულად ჩამოყალიბდა, როგორც ზნეობრივ საძირკველზე დაფუძნებული ურთიერთობა. „სამართალში და განსაკუთრებით სამოქალაქო სამართალში ყოველთვის აუცილებელია სამართალსა და ზნეობას შორის ფუნდამენტური ურთიერთობის გათვალისწინება. აუცილებელია იმ მსგავსებისა და განსხვავების გათვალისწინება, რომელიც არსებობს სამართლებრივ შეფასებასა და ზნეობრივ შეფასებას, სამართლებრივ ღირებულებასა და ზნეობრივ ღირებულებას შორის“ (იხ. ბ. ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბ., 2007, 29).

24. ნაჩუქრობა არის სამართლისა და ზნეობის ურთიერთკავშირის გამოვლინება. ამიტომაცაა, რომ მჩუქებლის მიერ ქონებრივი სიკეთის უსასყიდლოდ გაცემა პირდაპირ უკავშირდება დასაჩუქ-

რებულის მხრიდან, მართალია, არა სამაგიერო, მაგრამ ზნეობრივად ქცევის ვალდებულებას. სწორედ ასეთი ვალდებულება უნდა დაუპირისპირდეს მჩუქებლის მიერ გაღებულ ქონებრივ სიკეთეს (მდრ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №1/2/155, 01 აპრილი, 2003).

25. ამდენად, საქმის მასალებთან ერთობლიობაში, მხარეთა ახსნა-განმარტებების შეფასების შედეგად საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დასაჩუქრებულ დას მოსარჩელის მიმართ უმადურობა არ გამოუჩენია.

26. სასამართლოს შეფასების კიდევ ერთ საგანს წარმოადგენს, იყო თუ არა განსახილველი შემთხვევა ისეთი გარემოება, რომელიც სსკ-ის 530-ე მუხლშია მითითებული „თუ ჩუქების შემდეგ მჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება“. აღსანიშნავია, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით, ისევე, როგორც პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებით, დასახელებული ფაქტი დადგენილია, თუმცა, შესაბამის სამართლებრივ შეფასებებს არ შეიცავს.

27. საკასაციო სასამართლო ნივთის გაჩუქების შემდეგ გამჩუქებლის მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენასთან დაკავშირებით, უზენაესი სასამართლოს მყარად დადგენილ პრაქტიკაზე მიუთითებს და განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში ორი სამართლებრივი საფუძველი შესაძლოა არსებობდეს მოსარჩელის მოთხოვნით გათვალისწინებული შედეგის მისაღწევად, თუმცა, სსკ-ის 526-ე მუხლი არ შეიძლება იყოს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, რადგან დასახელებული ნორმა ჩუქების დაუშვებლობის წინაპირობას ადგენს და საარსებო წყაროს მოსპობის საფრთხის კონტექსტში, როგორც მჩუქებელს, ისე, მის კმაყოფაზე არსებულ პირებს უდგენს მოთხოვნის წარდგენის კანონით გათვალისწინებულ წინამძღვარს. სსკ-ის 530-ე მუხლი კი მჩუქებლის და არა მის კმაყოფაზე მყოფი პირის კუთვნილი ნორმაა, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაბამისი ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობების დამტკიცების შემთხვევაში, დასაჩუქრებულის წინააღმდეგ, მოთხოვნის წაყენების უფლება მხოლოდ მჩუქებელს აქვს და ნორმის დეფინიციაში მითითებული ერთ-ერთი წინაპირობა, რომელიც მჩუქებლის გარდა, მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენის შეუძლებლობასაც ეხება „თუ ჩუქების შემდეგ მჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა, მას უფლება აქვს დასაჩუქრებულს მოსთხოვოს გაჩუქებული ნივთი, თუ ეს უკანასკნელი რეალურად არსებობს და დაბრუნება დასაჩუქრებულს არ ჩააყენებს მძიმე მდგომარეობაში“ – სსკ-ის 530.1 მუხლი/ არ წარმოუშობს ამ უკა-

ნასკნელთ დასაჩუქრებულისაგან ნაჩუქარი ქონების მოთხოვნის უფლებას (სუსგ. №ას-228-218-2016, 3.06.2016).

28. ამდენად, საკასაციო სასამართლო, არ იზიარებს მოსარჩელის მითითებას, რომ ერთადერთი საცხოვრისის გასხვისებით, ის იმდენად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ ჩუქების ხელშეკრულების ამ მოტივით გაუქმების საფუძვლებია სახეზე. ბუნებრივია, ჩუქების ხელშეკრულების არსიდან და პირობებიდან გამომდინარე, გამჩუქებლის ქონებრივი მდგომარეობა მცირდება და დასაჩუქრებულისა იზრდება, სწორედ აღნიშნული გარემოებაა ჩუქების ხელშეკრულების ერთ-ერთი ყველაზე სპეციფიკური ნაწილი, ვინაიდან, ჩუქების ხელშეკრულება არა ორმხრივმავალდებულებელი გარიგებაა და დაფუძნებულია არა მხოლოდ სამართლებრივ არამედ ზნეობრივ დამოკიდებულებებზეც. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მოსარჩელეს რაიმე სახის საჭიროებებზე არ მიუთითებია, ის იღებს გარკვეულ მატერიალურ შემოსავალს, შრომისუნარიანი პირია, რაც, დამატებით გამორიცხავს, მითითებული საფუძვლით გარიგების გაუქმებასა და სადავო ქონების გამოთხოვას დასაჩუქრებულისგან (იხ. სუსგ-ები. №ას-634-605-2016, 03.10.2016; №ას-1150-2019, 10.06.2021; №ას-73-419-07, 7.06.2007).

29. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გამჩუქებელი, ერთდროულად, რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავ საფუძველზე უთითებდა ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების საფუძველად. ამასთან, დადგენილია, რომ სადავო ქონების შენარჩუნებას ვერ ახერხებდა, ფინანსური ვალდებულებების გამო, რომელიც სწორედ კასატორმა შეასრულა. საქმის გარემოებებითა და უდავო მტკიცებულებებით ირკვევა, რომ სადავო ქონება, მოსარჩელის საკუთრებაში არსებობისას დაიგვირთა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით. დადგენილია, რომ აღნიშნული იპოთეკის უფლების გაუქმებას, მოპასუხეთა და იპოთეკარს შორის არსებული შეთანხმება დაედო საფუძველად, რომლის მიხედვითაც იპოთეკარმა მიიღო სესხის თანხა. აღნიშნულის შემდეგ, მხარეთა შორის (და-ძმებს) გაფორმდა ჩუქების ხელშეკრულება, შედეგად, თავდაპირველად მომზადებული ამონაწერით მესაკუთრეების ველში მითითებული არიან მოპასუხეები, იპოთეკის ველში კი, მითითებული იყო დასახელებული ვალდებულება, სესხისა და იპოთეკის შესახებ, საბოლოოდ კი, ამონაწერის მიხედვით, მესაკუთრეთა ვინაობა არ შეცვლილა, ხოლო, იპოთეკის ველი გათავისუფლდა ყოველგვარი დატვირთვისგან. დასახელებული გარემოებები სასამართლოს უქმნის შინაგან რწმენას, რომ მოსარჩელემ გააზრებულად გადასცა მოპასუხეებს ქონება ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, აღნიშნულის საპირისპირო ვარგის მტკიცებულებებზე კი მას არ მიუთითე-

ბია.

30. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორის მოთხოვნა დასაბუთებულია, ხოლო სააპელაციო სასამართლოს განჩინება, აგრეთვე, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია.

31. ვინაიდან, განსახილველ შემთხვევაში სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიება, ხოლო, სარჩელი უსაფუძვლობის გამო არ დაკმაყოფილდა, უნდა გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც ყადაღა დაედო მოპასუხეთა სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ქონებას მდებარე: თბილისი, ..., საკადასტრო კოდით №...

32. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიცხადებენ მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულება ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით.

33. საქმის მასალებით ირკვევა, რომ მოსარჩელეს პირველ ინსტანციაში გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი, რაც დარჩება ბიუჯეტში გადახდილად, ხოლო, კასატორის მიერ, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში გადახდილი ბაჟი, ამ უკანასკნელის მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების პირობებში სრულად დაეკისრება მოსარჩელეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-

მოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 199¹-ე და 411-ე მუხლებით და

გ ა ლ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. ნ. მ-სის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ნოემბრის განჩინება, მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ზ. მ-სის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც ყადაღა დაედო მოპასუხეთა სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ქონებას მდებარე: თბილისი, ..., საკადასტრო კოდით №...;
5. ზ. მ-სს, ნ. მ-სის სასარგებლოდ დაეკისროს, ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 2 406.57 ლარი და საკასაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 3 005.4 ლარი;
6. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. სესხი

სესხის ზეპირი ხელშეკრულება

ბანკინება

საქართველოს სახელით

№ას-1067-1026-2016

12 მარტი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

1.1. ზ. მ-მა (შემდგომში – მოსარჩელე, პირველი აპელანტი, გამსესხებელი ან კრედიტორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „რის“ (შემდგომში – მოპასუხე, მეორე აპელანტი, კასატორი, მსესხებელი, მოვალე ან კომპანია) მიმართ მოპასუხისათვის სესხის ძირი თანხის – 1 516 461 ლარის, საპროცენტო სარგებლის – 606 925 ლარისა და ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის (მიუღებელი შემოსავლის) – 181 976 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2005 წლის აპრილში მოსარჩელესა და მოპასუხის დირექტორ ბ. მ-ს შორის დაიდო სესხის ზეპირი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც 2005 წლის 27 აპრილამდე კომპანიისათვის უნდა ესესხებინა 300 000 აშშ დოლარი, ხოლო მსესხებელს უნდა გადაეხადა სარგებელი – სესხის ძირი თანხის 50%-ის ოდენობით, რაც თვეში 150 000 აშშ დოლარს, ხოლო, ჯამში – 450 000 აშშ დოლარს შეადგენდა. რადგანაც ვალდებულება უნდა შესრულებულიყო 2011 წლის ოქტომბერში, დაბრუნების დროს არსებული კურსის თანახმად, მოპასუხეს მოსარჩელისათვის უნდა გადაეხადა 821 250 ლარი (საიდანაც ძირი შეადგენდა 547 500, ხოლო პროცენტი – 273 750 ლარს). 2009 წლის იანვარში მხარეებს შორის კვლავ დაიდო სესხის ზეპირი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც გამსესხებელს 2009 წლის იან-

ვრიდან 2011 წლის 20 დეკემბრამდე მოპასუხისათვის უნდა გადაეცა 586 558 აშშ დოლარი. სესხი იყო სარგებლიანი და 2009 წელს გადაცემული თანხის შემთხვევაში იგი 15%-ს, ხოლო, შემდგომ წლებში გადაცემული თანხის შემთხვევაში – 10%-ს შეადგენდა. ეს თანხა კომპანიას პროცენტის გათვალისწინებით უნდა დაებრუნებინა 2012 წლის 10 სექტემბრისათვის. დასაბრუნებელი თანხის ოდენობამ შეადგინა 788 202 აშშ დოლარი (1 302 136 ლარი, საიდანაც ძირი 968 961, ხოლო სარგებელი – 333 175 ლარს შეადგენდა). 2012 წლის 15 სექტემბრის მდგომარეობით მოვალეს ვალდებულება არ შეუსრულებია, რამაც გამსესხებელს მიაყენა ზიანი მიუღებელი შემოსავლის სახით, რომელიც 12%-იანი განაკვეთით დაანგარიშების შემთხვევაში, 181 976 ლარს შეადგენს (1 516 461 X 0,12). გამსესხებლის მიერ სესხის გადაცემას ადატურებს ბანკის ამონაწერი, რომლის თანახმადაც კომპანიის ანგარიშზე ჰოლანდიის ბანკ „ა-დან“ 2005 წლის 26 აპრილს, დანადგარების შეძენის მიზნით, გადარიცხულია 300 000 აშშ დოლარი. თანხის გადაცემა დასტურდება კომპიუტერული ექსპერტიზის შედეგებითაც (ელექტრონული მიმონერა საზოგადოების გენერალურ დირექტორთან, საფინანსო დირექტორსა და ფინანსისტთან, რომლებიც ადასტურებენ თანხის გადარიცხვის ფაქტს).

2. მოპასუხის პოზიცია:

კვალიფიციური/მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლით მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მხარეთა შორის 300 000 აშშ დოლარის თაობაზე სესხის ზეპირი ხელშეკრულება არ დადებულა. ამ ფაქტს არ ადასტურებს 2005 წლის საბანკო გადარიცხვის ქვითარი. მართალია, კანონმდებლობა ითვალისწინებს სესხის ზეპირად დადების შესაძლებლობასაც, თუმცა მოპასუხე წარმოადგენს იურიდიულ პირს – მენარმე სუბიექტს, რომელსაც გააჩნია ბუღალტერია და არ აქვს ზეპირი ფორმით სესხის დადების უფლებამოსილება, ამასთანავე, მოსარჩელე თავად ვერ უთითებს კომპანიის რომელ წარმომადგენელთან დადო ხელშეკრულება. გადარიცხვის ქვითარი რომ სესხის ხელშეკრულების არსებობას არ ამტკიცებს, თანაც 50%-იანი სარგებლის გადახდის პირობით, დასტურდება იმ გარემოებით, რომ იგი არა სესხის გადაცემის, არამედ, მოსარჩელის მხრიდან ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტია, ამასთანავე, უსაფუძვლოა მხარის მითითება, როგორც სარგებელზე, ისე – თანხის დაბრუნების ვადაზე. 2005 წელს კომპანია იწყებდა წარმოებას, რის გამოც, მოსარჩელესთან წერილობით შედგა შეთანხმება, რომლის საფუძველზეც მას უნდა შეესყიდა და მოპასუხისათვის მიენოდებინა მანქანა-დანადგარები. ამ ვალდებულების შესრულებისათვის მას წი-

ნასწარ გადაუხადეს 300 000 აშშ დოლარი, რომელიც ამ უკანასკნელმა 2005 წლის 26 აპრილს საბანკო გადარიცხვის გზით უკან დაუბრუნა მოპასუხეს იმ საფუძვლით, რომ შემკვეთმა ნივთი უფრო დაბალ ფასად შეიძინა. მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულება, მართალია, წერილობით იყო გაფორმებული, მაგრამ, რადგანაც გასულია საბუღალტრო დოკუმენტების შენახვის 6-წლიანი ვადა, ეს მტკიცებულება მოპასუხეს არ გააჩნია. ამის საპირისპირო შემთხვევაშიც კი, თუ მივიჩნევთ, რომ სესხის ხელშეკრულება მართლაც დადებულია, იგი 2005 წლის მოთხოვნაა და სახელშეკრულებო ხანდახმულობის 3-წლიანი ვადა გასულია. იურიდიული პირის მიერ ნასესხები თანხის ბუღალტრული ასახვის მოტივით არ დაეთანხმა მოპასუხე სარჩელში მითითებულ გარემოებას მეორე ზეპირი სესხის ხელშეკრულების არსებობის თაობაზე. რაც შეეხება ელექტრონული ფოსტით მიმონერას, მოპასუხემ განმარტა, რომ სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის თანახმად, კომპანიის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები თ. მ-ი და გ. ლ-ი არიან, გ. ც-ი ამ უფლებამოსილებით არ არის აღჭურვილი და მისი მხრიდან ე.წ ვალის აღიარება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ნამდვილად, ამასთანავე, გ. ც-ი განმარტავს, რომ მან მხოლოდ დაიანგარიშა მოსარჩელის მიერ მინოდებული ციფრები. რაც შეეხება ნ. ე-ეს, ის ასევე არაუფლებამოსილი პირია კომპანიის ვალის აღიარების საკითხთან მიმართებით, მან მხოლოდ ყოველდღიური წარმოების მონაცემები გააგზავნა, რომელსაც მოსარჩელესთან არავითარი კავშირი არ აქვს. თ. მ-ს ვალის არსებობა არც წერილობით და არც ზეპირად არ უღიარებია. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ ეს უკანასკნელი მიუთითებს ვინმე „მ-ს სესხზე“, რომელსაც სარჩელთან შემხებლობა არ აქვს, სარჩელზე დართული ზოგიერთი მტკიცებულების ნამდვილობა კი, საექსპერტო კვლევის საგანი არ გამხდარა. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ აღიარება უფლებამოსილი პირის მიერ რომც იყოს განხორციელებული, სასამართლო მას, როგორც მტკიცებულებას, არ მიიღებს, თუ მხარე დაამტკიცებს, რომ ამგვარი აღიარება შეცდომის შედეგია. მოპასუხის განმარტებით, ვალდებულების არარსებობას ადასტურებს მას და მოსარჩელეს შორის 2008 წლის 25 მაისს გაფორმებული ზოგადი ხასიათის №ზ-01 ხელშეკრულება, რომლითაც კომპანიამ იკისრა ვალდებულება, მოსარჩელისათვის გამოეყო სესხი წლიური 18%-იანი სარგებლით. სესხის ხელშეკრულების არსებითი პირობები უნდა დარეგულირებულიყო დამოუკიდებელი შეთანხმებით. მოპასუხემ 2008 წლის 17 ივნისს გასცა სესხი 270 000 ევრო 5 წლით, ხოლო, 2009 წლის 9 აპრილს – მოსარჩელესთან გაფორმდა დამატებითი ხელშეკრულება სესხად 60 000 აშშ დოლარის გაცემა-

ზე (იხ. თავდაპირველი შესაგებელი). მოგვიანებით მოპასუხემ კვლავ მიმართა სასამართლოს დაზუსტებული შესაგებლით და დამატებით განმარტა, რომ 2005 წლის 1 აპრილს შპს „რ-სა“ და ს. ხ-ის კუთვნილ კომპანია შპს „ი-ს“ შორის დაიდო №1-2005 ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ამ უკანასკნელს მოპასუხისათვის 2005 წლის აპრილიდან 2006 წლის დეკემბრამდე უნდა ესესხებინა 1 500 000 აშშ დოლარი, სესხი უნდა გადასცემოდა უშუალოდ გამსესხებლის ან მის მიერ ნომინირებული პირების მეშვეობით, სესხისა და სარგებლის დაბრუნებაც უნდა მომხდარიყო უშუალოდ გამსესხებლის ან მის მიერ ნომინირებული პირისათვის. ს. ხ-ის კომპანიის მიერ 2005 წლის 3 აპრილს გამოგზავნილი შეტყობინების თანახმად, გამსესხებლის სახელით მოქმედი ნომინირებული პირები მოპასუხეს გადასცემდნენ შემდეგი ოდენობით თანხებს: „ჰ-ი“ – 665 200 აშშ დოლარს; „კ-ი“ – 534 800 აშშ დოლარს; ზ. მ-ი – 300 000 აშშ დოლარს. ჰ-ი და კ-ი ს. ხ-ის კომპანიებს წარმოადგენდნენ, ხოლო, ნასესხები თანხები – გამსესხებლის საკუთრებას. ნომინირებული პირები მოქმედებდნენ, როგორც გამსესხებლის უბრალო აგენტები, ამდენად, მოსარჩელე შპს „ი-ს“ დავალებით მოქმედი პირია და იგი არ წარმოადგენს შესრულების მოთხოვნაზე უფლებამოსილ სუბიექტს. ამასთანავე, თუკი მოსარჩელე მოთხოვნას დავალების ფარგლებში აყენებს, საგულისხმოა, რომ სესხის დაფარვა უნდა დაწყებულიყო მოპასუხის მიერ პროდუქციის გამოშვებიდან და რეალიზაციიდან – 2006 წლის 26 ივნისიდან, ამ დროიდან კი, გასულია სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა. ს. ხ-ის დაკითხვის ოქმის თანახმად (02.06.2008წ.), მან 300 000 აშშ დოლარი საკუთარი კომპანიიდან („მ-ი“) დაუბრუნა მოსარჩელეს იმავე პირად ანგარიშზე, რომლიდანაც მოსარჩელეს მოპასუხისათვის აქვს გადარიცხული 300 000 აშშ დოლარი. საგულისხმოა, რომ №1-2005 სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება მოპასუხეს შესრულებული აქვს. მისი განმარტებით, დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ ზ. მ-ს, როგორც 39%-იანი წილის მფლობელ პარტნიორს, დავალების ხელშეკრულების საფუძველზე, საწარმოს მართვისას კანონსაწინააღმდეგოდ აქვს მიღებული გარკვეული ოდენობით თანხა (იხ. დაზუსტებული შესაგებელი).

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: ზ. მ-ის სარჩელი შპს „რ-ის“ მიმართ 2005 წლის აპრილის სესხის ზეპირი ხელშეკრულებიდან გამომდინარე სესხის ძირითადი თანხის – 300 000 აშშ დოლარისა და სარგებლის –

150 000 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდა, ამავე გადანყვეტილებით, შპს „რ-ს“ ზ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 2009 წლის იანვრიდან 2011 წლის 20 დეკემბრამდე სესხის ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული თანხის – 643 183 აშშ დოლარის გადახდა, საიდანაც სესხის ძირი თანხა 436 558 აშშ დოლარია, ხოლო პროცენტი – 206 625 აშშ დოლარი, შპს „რ-ს“ ზ. მ-ის სასარგებლოდ ასევე დაეკისრა მიუღებელი შემოსავლის ასანაზღაურებლად 436 558 აშშ დოლარის წლიური 9%-ის – 39 290 აშშ დოლარის გადახდა.

4. აპელანტების მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა, მოსარჩელემ მისი ნაწილობრივ გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო, მოპასუხემ – ახალი გადანყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

5. გასაჩივრებული გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 29 სექტემბრის გადანყვეტილებით სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადანყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადანყვეტილება, რომლითაც სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოვალეს გამსესხებლის სასარგებლოდ დაეკისრა 2009 წლის იანვრიდან 2011 წლის 20 დეკემბრამდე სესხის ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული 793 183 აშშ დოლარის გადახდა, საიდანაც ძირი თანხა 586 558 აშშ დოლარია, ხოლო სარგებელი – 206 625 აშშ დოლარი, მოპასუხეს ასევე დაეკისრა მიუღებელი შემოსავლის სახით 23 795,49 აშშ დოლარის გადახდა, ხოლო 2005 წლის აპრილის ზეპირი სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ძირი თანხის – 300 000 აშშ დოლარისა და სარგებლის სახით 150 000 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში მისი გაუქმება და ახალი გადანყვეტილებით სარჩელის უარყოფა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადანყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძველები და მი-

იჩნევს, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთება:

1.1. საკასაციო განაცხადის მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები (კასატორის პრეტენზიები):

1.1.1. განსახილველი საქმის ფაქტობრივი გარემოებების არსებითად გამოკვლევა-შეფასებამდე საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, განმარტოს წინამდებარე განჩინების მსჯელობის ფარგლები. სარჩელის თანახმად, სესხის დაბრუნება და ზიანის ანაზღაურება ორ დამოუკიდებელ სახელშეკრულებო ურთიერთობას ემყარებოდა, კერძოდ, მოსარჩელე აცხადებდა, რომ მან 2005 წლის აპრილში კომპანიას ასესხა 300 000 აშშ დოლარი, სესხი იყო სარგებლიანი და მსესხებელს ძირ თანხასთან ერთად მოსარჩელისთვის უნდა დაებრუნებინა გადაცემული თანხის 50%, მეორე ხელშეკრულება მხარეთა შორის გაფორმდა ზეპირად, რომლის ფარგლებშიც 2009 წლის იანვრიდან 2011 წლის 20 დეკემბრამდე გამსესხებელმა კომპანიას ეტაპობრივად გადაურიცხა თანხა და შეთანხმების თანახმად, სესხი სარგებელთან ერთად უნდა დაბრუნებულიყო. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებით, 2005 წლის აპრილში გადარიცხული თანხის – 300 000 აშშ დოლარისა და სარგებლის – 150 000 აშშ დოლარის დაბრუნების მოთხოვნის ნაწილში, სარჩელი გაუმართლებელი იყო. მართალია, წერილობითი მტკიცებულებით ზ. მ-ის მიერ კომპანიისათვის თანხის გადარიცხვა დგინდებოდა, თუმცა, თავად გადარიცხვის დოკუმენტში მითითებული დანიშნულებით, მოწმეთა ჩვენებებითა და საქმის მასალების კვლევით დგინდებოდა, რომ შპს „რ-ი“ სასესხო ურთიერთობაში იმყოფებოდა „ი-თან“ და ამ ხელშეკრულების ფარგლებში, მოსარჩელე, როგორც გამსესხებლის (ი-ის) ნომინალური აგენტი, დავალების ხელშეკრულების საფუძველზე ურიცხავდა თანხას მოპასუხეს. ის არ წარმოადგენდა სესხის ხელშეკრულების მხარეს და, შესაბამისად არც მოთხოვნის უფლება გააჩნდა მოპასუხის მიმართ. გარდა ამისა, 2005 წლის აპრილში გადარიცხული თანხის დაბრუნებას აფერხებდა მოპასუხის შედავება მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე. ქვემდგომი სასამართლოების ხსენებული დასკვნა გაიზიარა საქართველოს უზენაესმა სასამართლომაც 2017 წლის 23 ივნისის განჩინებით, როდესაც უარყო მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი.

1.1.2. მოპასუხის განცხადების საფუძველზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, 2018 წლის 30 ივლისის განჩინებით საკასაციო

სასამართლომ ბათილად ცნო ამავე სასამართლოს 2017 წლის 23 ივნისის განჩინება და განაახლა საქმის წარმოება, ამასთანავე, საქმის ზეპირ განხილვაზე განემარტათ მხარეებს, რომ შეფასების საგანი იქნებოდა მხოლოდ მოპასუხის და არა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, ვინაიდან გამსესხებელს საქმის წარმოების განახლების თხოვნით სასამართლოსათვის არ მოუმართავს. ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უარყოფის ნაწილში გადაწყვეტილება (2005 წლის აპრილის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სესხისა და სარგებლის, ასევე, მიუღებელი შემოსავლის ნაწილობრივ გაზიარებაზე უარის თქმის ნაწილში) სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის შესაბამისად, შესულია კანონიერ ძალაში და მუდმივობის, ასევე, მატერიალური კანონიერი ძალის პრინციპიდან გამომდინარე, იგი მსჯელობის საგანი ვეღარ გახდება.

1.1.3. რაც შეეხება მოპასუხის საკასაციო პრეტენზიებს, ამ მხრივ სასამართლო ხაზს უსვამს საქმის ზეპირი განხილვისას არაერთხელ გაჟღერებულ იმ გარემოებას, რომ საკასაციო განხილვისას სასამართლო შეზღუდულია საკასაციო საჩივრის ფარგლებით. საქმის წარმოების განახლება თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ მხარეს, რომლის მოთხოვნის საფუძველზეც ხდება გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება, შეუძლია გასცდეს საჩივარში გამოთქმულ პრეტენზიებს, რომლებიც თავის დროზე არ ყოფილა გაჟღერებული. ამის დაშვება მონინალმდევე მხარეს არათანაბარ პირობებში ჩააყენებს, რაც ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განმტკიცებულ მართლმსაჯულების თანასწორობის საწყისზე განხორციელების პრინციპს. ამასთანავე, რათა ზეპირი მოსმენა ფორმალური ხასიათის მატარებელი არ გახდეს, სასამართლო წინამდებარე განჩინებაში შეაფასებს მხარის მხოლოდ იმ მოსაზრებებს, რომლებიც საქმეში უკვე წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის განვრცობაა, ხოლო, იმ განმარტებებს, რომლებიც, დადასტურების შემთხვევაში, იურიდიულად არ გაამართლებს კასატორის მოთხოვნას, პალატა შეფასების გარეშე დატოვებს. აღნიშნული პირდაპირ გამომდინარეობს პრეცედენტული სამართლის პრინციპებიდან, რამდენადაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, თუმცა, აღნიშნული არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ, № 7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v. France (dec.); Perez v France [GC], par. 81); Boldea v. Romania,

par. 30). გარდა ამისა, პალატის ზემოხსენებული მსჯელობის პროცესულურ საფუძველს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილი წარმოადგენს (საკასაციო სასამართლო ამონიშნებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია, თავისი ინიციატივით შეამონმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა). საბოლოოდ, საკასაციო პალატა, საკასაციო საჩივრის ფარგლებში, იმსჯელებს მხოლოდ იმ მტკიცებულებათა შეფასების სისწორეზე, რომელსაც ემყარება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში ქვემდგომი სასამართლო.

1.2. საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე, ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა წინამდებარე განჩინების მიმართ:

საკასაციო სასამართლოს წინამდებარე განჩინების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნიათ სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც კასატორს არ მიუთითებია პროცესულურ დარღვევებზე, რომლებიც შესაძლოა, დაშვებული იყო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება, კერძოდ:

1.2.1. 2005 წლის 15 მარტს შეიქმნა შპს „რ-ი“, დამტკიცდა მისი წესდება, დირექტორად დაინიშნა ბ. მ-ი, განისაზღვრა საწესდებო კაპიტალი და წილი. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 21 მარტის დადგენილებით შპს „რ-ი“ გატარდა რეგისტრაციაში. რუსთავის საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 23 თებერვლის ბრძანებით №...- კომპანიის რეგისტრირებულ მონაცემებში შეტანილ იქნა ცვლილება: დამფუძნებლის 2006 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილების საფუძველზე საზოგადოების დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლდა ბ. მ-ი და დაინიშნა გ. ლ-ი;

1.2.2. საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 8 იანვრის №... ბრძანებით სამენარმეო რეგისტრაციის მონაცემებში კვლავ განხორციელდა ცვლილება: 2006 წლის 28 დეკემბრის დამფუძნებელთა კრების ოქმის საფუძველზე, საზოგადოებიდან გავიდა პარტნიო-

რი ბ. მ-ი და კუთვნილი წილი მიჰყიდა ახალ პარტნიორს – შპს „ს-ს“ (რეგისტრირებული კვიპროსის რესპუბლიკაში, წარმომადგენელი – ლ. ბ-ი). 2007 წლის 30 ოქტომბერს შპს „ს-მა“ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მიანიჭა ზ. მ-ს (წარმომადგენლის კომპანიის უფლებები, დაიცვას მისი ინტერესები და კომპანიის სახელით განახორციელოს მოქმედებები);

1.2.3. კომპანიის პარტნიორთა 2007 წლის 27 დეკემბრის №3 გადაწყვეტილებით ცვლილებები შევიდა საზოგადოების წესდებაში და დამტკიცდა მისი ახალი რედაქცია. შეიქმნა სამეთვალყურეო საბჭო 3 წევრის შემადგენლობით: თავმჯდომარე – მ. მ-ი, მოადგილე – ზ. მ-ი, წევრი – ა. კ-ი;

1.2.4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის 2008 წლის 30 მაისის №... ბრძანებით შპს „რ-ის“ გენერალურ დირექტორად დაინიშნა თ. მ-ი, ხოლო კომერციულ დირექტორად – გ. ლ-ი, შესაბამისი ცვლილება შევიდა რეგისტრირებულ მონაცემებში;

1.2.5. 2009 წლის იანვრიდან 2011 წლის 20 დეკემბრამდე მოსარჩელემ მოპასუხეს გადაურიცხა 586 558 აშშ დოლარი. აღნიშნულ სესხს ერიცხებოდა პროცენტი: 2009 წელში გადარიცხულ თანხას 15% და შემდგომ წლებში გადარიცხულს – 10%. აღნიშნული თანხა საზოგადოებას პროცენტის გათვალისწინებით, უნდა დაებრუნებინა 2012 წლის 10 სექტემბრისათვის. სესხის წერილობითი გარეგება მხარეთა შორის არ გაფორმებულა;

1.2.6. საქმეში წარმოდგენილია ელექტრონული მიმონერა თანდართული ცხრილებით: ა) გ. ც-ის 2009 წლის 13 ივლისის მეილი თანდართული ცხრილით; ბ) გ. ც-ის 2012 წლის 28 მაისის მეილი თანდართული ცხრილით; გ) გ. ც-ის 2012 წლის 6 ივნისის მეილი თანდართული ცხრილით; დ) შპს „რ-ის“ დირექტორის თ. მ-ის 2012 წლის 26 ივლისის მეილი თანდართული ცხრილით, კერძოდ:

i. 2009 წლის 13 ივლისს, 12:18 სთ-ზე, გ. ც-ი უგზავნის ზ. მ-ს წერილს: „ზ. გიგზავნი შენი შემონატანების სიას. პირველი თანხა არის პირველ ღუმელზე პირდაპირ ინდოეთში გადარიცხული თანხა. თუ რაიმე გასარკვევი იქნება, შეგვიძლია ბუღალტერთან ერთად გავიაროთ“. აღნიშნულ წერილს ერთვის ცხრილი, რომელშიც დაფიქსირებულია, რომ 2009 წლის მდგომარეობით საზოგადოებას ჰქონდა ზ. მ-ის ვალი 526 197.24 აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო, მ. მ-ის – 427 556 აშშ დოლარი. ამავე წერილში გ. ც-ი უთითებს, რომ პირველი თანხა არის პირდაპირი ტრანსფერი ინდოეთში, ხოლო, შემდგომ მოცემულია თანხების ჩამონათვალი თარიღების მითითებით;

ii. 2012 წლის 28 მაისს, 19:12 სთ-ზე, გ. ც-ი ელექტრონული ფოს-

ტით უგზავნის წერილს ზ. მ-ს: „გიგზავნით თქვენგან აღებული სესხების მონაცემებს“. სესხის მონაცემებზე გ. ც-ი ზ. მ-ს ატყობინებს: „ზ. – ჩარიცხული – 263 559 აშშ დოლარი; პირდაპირი ტრანსფერი ინდოეთში – 153 000 აშშ დოლარი; ნალდი მშენებლობისას – 20 000 აშშ დოლარი; ბოლოს 12.2011 წ. მოტანილი – 150 000 აშშ დოლარი; სულ 586 559 აშშ დოლარი. მ. – 333 110 აშშ დოლარი. ორივე – 919 669 აშშ დოლარი“. აღნიშნული თანხა ფიგურირებს ნ. ე-ის მიერ გაგზავნილ წარმოებასთან დაკავშირებით ინფორმაციაში (ე.წ. „დეილების“), გრაფაში – „კრედიტი დამფუძნებლებისაგან.“

iii. 2012 წლის 4 ივნისს, 01:02 სთ-ზე ზ. მ-ი წერს გ. ც-ს: „გ., ზუსტად არ მახსოვს როდიდან უნდა ერიცხებოდეს ამ თანხას ინტერესი. მე მახსოვს რომ შევთანხმდით“, რაზეც, 2012 წლის 4 ივნისს, 14:48 სთ-ზე, გ. ც-ი უგზავნის ზ. მ-ს წერილს „კი ზ. მართალი ხარ ეს მხოლოდ ძირია, პროცენტი ერიცხება 2009 წლიდან მოყოლებული, ბანკის შესაბამისი პროცენტი. თუ გინდა დავათვლეინებ და მოგწერ მაგასაც“. ე.ი გ. ც-ი უთითებს, რომ 586 559 აშშ დოლარი არის მხოლოდ ძირი;

iv. 2012 წლის 6 ივნისს, გ. ც-ი უგზავნის ელექტრონულ წერილს ზ. მ-ს (ასლი ეგზავნება თ. მ-ს): „ზ., შეთანხმებისამებრ გიგზავნი შენგან აღებულ სესხებზე დარიცხული სარგებლის გაანგარიშების ფაილს“, თანდართულ ფაილში მოცემულია ზ. მ-ის მიერ შპს „რისათვის“ ნასესხები თანხის ჩამონათვალი თარიღების მითითებით:

01.01.09წ. – 273 225 აშშ დოლარი;
01.01.09წ. – 102 161 აშშ დოლარი;
27.03.09წ. – 50 000 აშშ დოლარი;
01.04.09წ. – 30 000 აშშ დოლარი;
24.04.09წ. – 33 333 აშშ დოლარი;
21.05.09წ. – 50 000 აშშ დოლარი;
22.10.10წ. – (102 161 აშშ დოლარი);
15.12.11წ. – 150 000 აშშ დოლარი.

სულ ძირი – 586 558 აშშ დოლარი.“

ამავე ფაილში მოცემულია სესხზე დარიცხული პროცენტების გაანგარიშება წლების მიხედვით, კერძოდ, ძირითად თანხაზე – 586 558 აშშ დოლარზე, 2009 წელს დაერიცხა 73 527 აშშ დოლარი; 2010 წელს – 59 336 აშშ დოლარი; 2011 წელს – 44 354 აშშ დოლარი; 2012 წლის 1 ივნისამდე – 24 427 აშშ დოლარი. სულ – 201 644 აშშ დოლარი. გ. ც-ი ფრჩხილებში უთითებს, რომ 2010 წლის 22 ოქტომბერს შპს „რ-მა“ დაუბრუნა ზ. მ-ს 102 161 აშშ დოლარი და 2011 წლის 15 დეკემბერს საზოგადოებას აძლევს 150 000 აშშ დოლარს;

v. 2012 წლის 25 ივლისს, 05:30 სთ-ზე ზ. მ-ი უგზავნის თ. მ-ს (ასლი ეგზავნება გ. ც-ს) წერილს: „თ., თუ არ შენუხდები, დღევან-

დელი დღისათვის დათვალე თუ რა დავალიანება აქვს ჩემს მიმართ რ-ს და ბეჭდიანი წერილით დამიდასტურე, ელექტრონულად გამო-მიგზავნე და როცა სხვა დოკუმენტების გადმოსაცემად შევხვდე-ბით ეგ წერილიც წამოიღე. ხვალ დავილაპარაკოთ შეხვედრაზე“;

vi. 2012 წლის 26 ივლისს თ. მ-ი უგზავნის ზ. მ-ს წერილს „რო ჩამოხვალ შემეხმიანე და შევხვდეთ“. ამ წერილს ერთვის 12 კილო-ბაიტის ფაილი, რომლითაც ზ. მ-ს ეგზავნება მისგან აღებული სეს-ხის ოდენობა და მასზე დარიცხული პროცენტები, კერძოდ, ძირი თანხა:

„01.01.09წ. – 273 225 აშშ დოლარი;

01.01.09წ. – 102 161 აშშ დოლარი;

27.03.09წ. – 50 000 აშშ დოლარი;

01.04.09წ. – 30 000 აშშ დოლარი;

24.04.09წ. – 33 333 აშშ დოლარი;

21.05.09წ. – 50 000 აშშ დოლარი;

22.10.10წ. – (102 161 აშშ დოლარი);

15.12.11წ. – 150 000 აშშ დოლარი;

25.06.12წ. – (150 000 აშშ დოლარი);

სულ ძირი – 436 558 აშშ დოლარი“;

vii. ფაილში მოცემულია სესხის ძირ თანხაზე დარიცხული პრო-ცენტის გაანგარიშება, კერძოდ:

„ძირი თანხა – 436 558 აშშ დოლარი. 2009 წელს დარიცხული პროცენტი – 73 527 აშშ დოლარი;

2010 წელს – 56 753 აშშ დოლარი;

2011 წელს – 44 354 აშშ დოლარი;

2012 წლის 26 ივლისამდე – 31 991 აშშ დოლარი. სულ პროცენტი დარიცხულია 206 625 აშშ დოლარი. ძირი და პროცენტი ჯამში შე-ადგენს 643 183 აშშ დოლარს“;

1.2.7. საქმეში არსებული არცერთი ელექტრონული წერილით, კომპანიის გენერალური დირექტორი არ უარყოფს ვალის არსებო-ბას ზ. მ-ისადმი. თ. მ-ის 2012 წლის 26 ივლისის ცხრილში ფრჩხი-ლებშია მითითებული 102 161 აშშ დოლარი და 150 000 აშშ დოლარი, რაც მოპასუხის განმარტებით, მოსარჩელეს დაუბრუნდა. მოსარ-ჩელე კი, მოპასუხისგან მხოლოდ 102 161 აშშ დოლარის დაბრუნე-ბას ადასტურებს. 150 000 აშშ დოლარის დაბრუნების დამადასტუ-რებელი მტკიცებულება მოპასუხეს არ წარუდგენია სასამართლო-სათვის.

1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებ-რივი დასკვნები:

1.3.1. განსახილველი სასარჩელო მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმებს სამოქალაქო კოდექსის 623-ე, 625-ე, 394-ე, მე-400 და

411-ე მუხლები წარმოადგენს. სარჩელის ფორმალური საფუძვლიანობის შემოწმებისას სასამართლო იკვლევს, მიუთითებს თუ არა მოსარჩელე დამფუძნებელი ნორმებით გათვალისწინებულ ყველა ელემენტზე (მითითების ტვირთი): მოპასუხისათვის თანხის გადაცემაზე დაბრუნების პირობით, მისი დაბრუნების ვადაზე; სესხისათვის გათვალისწინებულ სარგებელზე; მოვალის მხრიდან ვადის გადაცილებაზე; მოპასუხის მხრიდან ვალდებულების დარღვევის შედეგად გამოწვეულ ზიანზე (მიუღებელი შემოსავალი; რამდენად სავარაუდო იყო ვალდებულების ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში ამგვარი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა). საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი სარჩელი ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით გამართულია, მასში გადმოცემულია მოთხოვნის განმაპირობებელი ყველა ფაქტი, რაც შეეხება შესაგებელს, მოპასუხე (მეორე სესხის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით) საერთოდ უარყოფს სესხის სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობას, შესაგებელში გაკრიტიკებულია მტკიცებულებები იმ კუთხით, რომ ვალის არსებობა არაუფლებამოსილი პირების მიერაა დადასტურებული, ამასთან, კვალიფიციურ შედავებას სთავაზობს სასამართლოს და განმარტავს, რომ იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელეს თავად ჰქონდა სესხის ხელშეკრულება გაფორმებული კომპანიასთან, მისგან სესხის აღება ალოგიკურია. ამდენად, შესაგებელში გადმოცემული შედავებების გათვალისწინებით, მოთხოვნის ყველა ზემოხსენებული წინაპირობა მტკიცების საგანში შემავალ გარემოებას წარმოადგენს, შესაბამისად, პალატა იმსჯელებს მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხზეც. მტკიცების ტვირთის ზოგადპროცესუალურ სტანდარტს გვთავაზობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი და მთავარი პრინციპი შემდეგია: ამტკიცებს ის, ვინც ფაქტს მიუთითებს, ამასთან, ნორმის მე-3 ნაწილი აქცენტს მტკიცებულებათა დასაშვებობაზე აკეთებს და ამ შემთხვევაში კანონმდებლის ნება მტკიცებასთან დაკავშირებით ორიენტირებულია მატერიალური სამართლის დანაწესზე. სესხის დადების მტკიცებისათვის მნიშვნელოვანია თავად სესხის სახელშეკრულებო ურთიერთობის მომწესრიგებული მატერიალური ნორმის დისპოზიცია. სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სესხი რეალურ ხელშეკრულებათა რიცხვს განეკუთვნება, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობა არა მხოლოდ მის არსებით პირობებზე მხარეთა შე-

თანხებით, არამედ ხელშეკრულების საგნის – გვაროვნული ნივთის გადაცემის მომენტიდან წარმოიშობა, შესაბამისად, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებაც, უპირველესად, ხელშეკრულების საგნის გადაცემა (ხელშეკრულების დადება), რომელიც, თავის მხრივ, მიიღო მსესხებელმა. ამავე კოდექსის 624-ე მუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს წერილობითი ფორმაც. ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით. ამდენად, სესხი ფორმასავალდებულო გარიგებას არ წარმოადგენს, მხარეები თავისუფალი არიან ხელშეკრულების ფორმის არჩევაში (სკ-ის 68-ე მუხლი), თუმცა, ფორმის არჩევის საკითხი მტკიცების ტვირთზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს. იმ შემთხვევაში, თუ წერილობითი ხელშეკრულება პირდაპირ შეიცავს დათქმას თანხის მსესხებლისათვის გადაცემის თაობაზე. საკასაციო სასამართლო ერთგვაროვან პრაქტიკაზე დაყრდნობით ამჯერადაც განმარტავს, რომ სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, იმთავითვე დადასტურებულია, თუმცა, ზეპირი სესხის დროს გვაროვნული ნივთის გადაცემის დამტკიცების თვალსაზრისით, მხოლოდ მოწმის ჩვენება, კანონის თანახმად, არასაკმარისადაა მიჩნეული.

1.3.2. საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას, რომ ელექტრონული მიმონერის შინაარსის შეფასების შედეგად (სსსკ-ის 105-ე მუხლი) მართლაც დგინდება ის გარემოება, რომ შპს „რი“ და ზ. მ-ი ერთმანეთთან იმყოფებოდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობაში, კერძოდ, ზ. მ-მა სადავო პერიოდში გადასცა მსესხებელს თანხა უკან დაბრუნებისა და სარგებლის დარიცხვის პირობით. ამ მხრივ ვერ იქნება გაზიარებული კასატორის მსჯელობა, რომ სასამართლომ არასწორად შეაფასა მიმონერისა და მასზე დართული ვალის დაანგარიშების დამადასტურებელი მტკიცებულებები. საკასაციო სასამართლოს სხდომაზე მიცემული ახსნა-განმარტებისას კომპანიის წარმომადგენელმა სასამართლოს შესთავაზა მიმონერის შინაარსის განსხვავებული ინტერპრეტაცია და ეს პოზიცია დაამყარა მის მიერვე წარდგენილ ინგლისის ლორდთა პალატის 1997 წლის გადაწყვეტილებას. ხსენებულ დოკუმენტში აღწერილია „მნიშვნელოვანი გამონათქვამის განმარტების“ საკითხი, სადაც ტექსტის ინტერპრეტაცია მოხსენიებულია როგორც ე.წ. „ფაქტების მატრიცა“, თუმცა, როგორც დოკუმენტის ანალიზით ირკვევა, ტექსტის ნამდვილი შინაარსის დასადგენად ლორდთა პალატა მხარს უჭერს ლოგიკურ მსჯელობას და ყურადღებას ამახვილებს კონტექსტზე, ფონზე,

პირის საშუალო წინდახედულობის სტანდარტზე და სხვა ისეთ ასპექტებზე, რომლებიც არც თუ შორსაა ქართულ სასამართლო პრაქტიკაში დანერგილ ნების განმარტების თეორიასთან (მრავალთა შორის იხ. სუსგ №ას-1144-1090-2014 23 თებერვალი, 2015 წელი). ამდენად, საკასაციო პალატა სრულად უარყოფს კომპანიის შედავენას, რომ არ არსებობდა 2009 წლის იანვრიდან 2011 წლის დეკემბრამდე გადარიცხული თანხისა და სარგებლის მისთვის დაკისრების წინაპირობები, რადგანაც ელექტრონული მიმოწერის ანალიზი სწორედ იმ შინაგან რწმენას უყალიბებს სასამართლოს, რომ მხარეებმა დაადასტურეს სესხის ხელშეკრულების დადების, სარგებელზე შეთანხმებისა და მისი დაბრუნების აუცილებლობის ფაქტი. თავად ეს მიმოწერა (ნამდვილობის თვალსაზრისით მოპასუხეს დასაბუთებული შედაგება არ წარმოუდგენია) სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის პირველი ნაწილის კონტექსტში, წერილობითი ხასიათის მტკიცებულებაა, პირადი ხასიათის წერილებია, რომლებიც შეიცავენ ცნობებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ, ამასთანავე, სამოქალაქო კოდექსის 623-ე და 625-ე მუხლების ნორმატიულ აღწერილობას პასუხობენ.

1.3.3. საკასაციო სასამართლო საქმეში წარმოდგენილი ე.წ. „დეილებისა“ თუ ვალის დაანგარიშების ცხრილების შესწავლის შედეგად, არადაამაჯერებლობის მოტივით უარყოფს კასატორის მიერ სასამართლო სხდომაზე გამოთქმულ განმარტებას, თითქოს მათში გადმოცემული ინფორმაცია არ ასახავს კომპანიის ვალდებულებას მოსარჩელის მიმართ. მოპასუხის განმარტებით, ეს მხოლოდ ბუღალტრული ანგარიში იყო, რომელიც შეეხებოდა ფიზიკური პირის ანგარიშებს და აისახა კომპანიის ყოველდღიურ ანგარიშებთან ერთად. ხსენებული პოზიციის გაზიარებას, გარდა ლოგიკური გაუმართლებლობისა, გამორიცხავს ასევე მტკიცებულებათა ერთობლიობაში შეფასების შედეგად ჩამოყალიბებული სასამართლოს შინაგანი რწმენა. საზოგადოების უფლებამოსილი წარმომადგენლების მხრიდან (იხ. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი) ვალდებულების არსებობის აღიარება სრულად შეესაბამება ე.წ. „დეილებში“ გადმოცემულ ინფორმაციას დავალიანების ოდენობასთან დაკავშირებით. ხელმძღვანელობითი/ წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების აღიარების სწორი სამართლებრივი ანალიზისათვის პალატა კვლავ დამკვიდრებულ ერთგვაროვან პრაქტიკას დაეყრდნობა: ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სამართლის თეორიაში გაბატონებული შეხედულება ერთმანეთისაგან განასხვავებს მარტივ, კაუზალურ და აბსტრაქტულ აღიარებას. მათი საერთო ნიშანი ისაა, რომ ისინი ადასტურებენ/წარმოშობენ მოთხოვნის არსებობას,

თუმცა, იურიდიული თვალსაზრისით გააჩნიათ განმასხვავებელი ნიშან-თვისებები. მარტივი აღიარება სახეზეა მაშინ, როდესაც მოვალე ცალმხრივად ადასტურებს არსებულ ვალდებულებით ურთიერთობას და გაცნობიერებულად გამოთქვამს მზაობას, შეასრულოს იგი (დაპირება). კაუზალური ვალის აღიარება ასევე მიმართულია არსებული სამართლებრივი ურთიერთობის დადასტურებისაკენ და, ბუნებრივია, უნდა შეიცავდეს დაპირების ელემენტს, ამასთან, იგი შეიძლება არ იყოს ცალმხრივი (მხარეთა ორმხრივი შეთანხმება არსებული ვალდებულების შესრულების დამატებით ვადაზე, სხვა შესრულების მიღებაზე და სხვა). როგორც მარტივი, ისე – კაუზალური აღიარება ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის კერძო შემთხვევას წარმოადგენს და შედეგად, ამავე კოდექსის 141-ე მუხლის ძალით, შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება, არამედ, ვადა დაიწყება თავიდან. სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის მიზნებისათვის მოვალის აღიარება სამართლებრივი ძალის მატარებელი მხოლოდ იმ შემთხვევაშია, თუკი აღიარება ხანდაზმულობის ვადაში განხორციელდა (იხ. სუსგ №ას-383-364-2015, 27 მაისი, 2016 წელი). უდავოა, რომ ელექტრონული მიმონერა სწორედ ვალდებულების კაუზალური აღიარებაა – შეიცავს ყველა იმ ელემენტს, რომლებიც დაკმაყოფილებულ ნაწილში ამყარებენ, როგორც მოსარჩელის მიერ გადმოცემულ ფაქტებს, ისე – იურიდიულად ამართლებენ სასარჩელო მოთხოვნას. ამ მტკიცებულებებს მოპასუხემ დაუპირისპირა კაუზალური აღიარების ავტორთა განმარტებები (მათ შორის სასამართლოსათვის მიცემული ჩვენებები) იმგვარად, რომ ეს განმარტებები ვერ აქარწყლებენ ელექტრონულ მიმონერაში ასახულ ინფორმაციას, არამედ, წარმოადგენენ მათ უარყოფას, ანუ ისინი არ არიან წონადი მტკიცებულებები, რომლებიც ელექტრონული მიმონერის გაზიარებაზე უარის თქმის საფუძველი გახდებოდა. აქვე მხედველობაშია მისაღები მოპასუხის ახსნა-განმარტება, რომელიც 2009-2011 წლებში ნასესხები თანხის სარგებლის დაბრუნებას შეეხება, კერძოდ, მოპასუხე ამტკიცებდა, რომ თ. მ-ის 2012 წლის 26 ივლისის ცხრილში ფრჩხილებში მითითებული თანხა მას დაბრუნებული ჰქონდა გამსესხებლისათვის. ამგვარი განმარტება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის კონტექსტში სწორედ სადავო ფაქტის (სასესხო ურთიერთობის არსებობა) ირიბი აღიარებაა, რაც თავის მხრივ, შეიძლება საფუძველად დაედოს სასამართლოს გადაწყვეტილებას.

1.3.4. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სესხის ხელშეკრულების ნამდვილობას განაპირობებს სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი და ვალდებულების წარმოშობის

თვალსაზრისით, მასზე გავლენას ვერ იქონიებს ისეთი ფაქტორები, როგორცაა მენარმე სუბიექტის მიერ ნასესხები თანხის ბუღალტრული აღრიცხვის წესები და სესხის აღებისათვის სამენარმეო საზოგადოების მიერ წესდებით გათვალისწინებული მოწესრიგება. იმ პირობებშიც კი, თუ დავუშვებთ, რომ ზ. მ-ს, როგორც საწარმოსთან სამართლებრივ ურთიერთობაში მყოფ პირს, უნდა სცოდნოდა საწარმოს მმართველობითი ორგანოების წინასწარი თანხმობის, ასევე, სესხის საზოგადოების საბუღალტრო ანგარიშებში ასახვის აუცილებლობის შესახებ, ეს არგუმენტები მაინც ვერ გახდება საფუძველი იმისა, რომ სამართლებრივი ძალის არმქონედ მივიჩნიოთ ამ წესების დარღვევით დადებული სესხის რეალური ხელშეკრულება, რადგანაც საწარმოს შიდა ურთიერთობის მომწესრიგებელი კორპორაციული წესების იმგვარი დარღვევა, როგორც მოპასუხე მიუთითებს, სამოქალაქო კოდექსის არც ერთი ნორმის საფუძველზე არ შეიძლება გარიგების ნამდვილობის შეცდომების საფუძველად იქნას გამოყენებული, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები ადასტურებენ, როგორც თანხის მიღებას, ისე – შესრულების მზაობას (იხ. სკ-ის 61.3 მუხლი). საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკის თანახმად, ვალდებულების აღიარებად საკასაციო სასამართლომ არ მიიჩნია იმგვარი დოკუმენტი, რომელიც ხელმოწერილი იყო არა საზოგადოების დირექტორის, არამედ – ბუღალტრის მიერ და „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლზე დაყრდნობით განმარტა, რომ საზოგადოება მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოდგენილია საზოგადოების ნდობით აღჭურვილი პირის – დირექტორის მიერ, რომელსაც მხოლოდ კანონით გათვალისწინებული წესით აქვს ამ მანდატის სხვა პირებისათვის გადაცემის შესაძლებლობა. ზემოაღნიშნული ნორმა წარმოადგენს საზოგადოების ინტერესების დაცვის მექანიზმს იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოება სათანადო უფლებამოსილების მინიჭების გარეშე წარმოდგენილია სხვა, თუნდაც ამ საზოგადოებასთან რაიმე საფუძველით დაკავშირებული, მაგრამ კანონით არაუფლებამოსილი პირის მიერ (იხ. სუსგ №ას-334-686-07, 13 ნოემბერი, 2007 წელი). ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ დაუშვებლად მიიჩნია მოვალის საკასაციო საჩივარი და არ გაიზიარა მისი არგუმენტი იმის თაობაზე, რომ საწარმოს მიერ აღებული სესხის ნამდვილობა დამოკიდებულია ამ თანხის საზოგადოების ანგარიშზე განთავსებაზე, რადგანაც დირექტორის მხრიდან სესხის აღების ფაქტის ცალმხრივი წერილობითი დადასტურება ამ სასესხო ურთიერთობის ნამდვილობას განაპირობებდა (იხ. სუსგ №ას-1561-1464-2012, 1 მარტი, 2013 წელი).

1.3.5. დასაბუთებულია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა ვალდებულების შესრულების მტკიცების მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილშიც, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 429-ე და 431-ე მუხლებიდან გამომდინარე, შესრულების მტკიცება ყოველთვის მოვალეს ეკისრება. ხსენებული ნორმები იძლევიან იმ მატერიალურ-სამართლებრივ გარანტიას მოვალისათვის, რომელიც მას სრულ შესაძლებლობას მისცემს თუნდაც არაკეთილსინდისიერი კრედიტორის პირობებში, დაამტკიცოს ვალდებულების შესრულების ფაქტი. უფრო მეტიც, სამოქალაქო კანონმდებლობისათვის დამახასიათებელი მხარეთა თანასწორობის პრინციპი ადგენს ასევე მოვალის უფლებადამცავ დანაწესს, კერძოდ, თუ კრედიტორი უარს აცხადებს შესრულების შესახებ დოკუმენტის გაცემაზე, სავალო საბუთის დაბრუნებაზე ან მის გაუქმებაზე, ანდა შესრულების შესახებ დოკუმენტში მისი დაბრუნების შეუძლებლობის აღნიშვნაზე ან იმის აღიარებაზე, რომ ვალი გაქარწყლებულია, მაშინ მოვალეს უფლება აქვს უარი თქვას შესრულებაზე. ასეთ შემთხვევებში კრედიტორი ჩაითვლება ვადის გადამცილებლად (იხ. სკ-ის 433-ე მუხლი). ამასთანავე, ხსენებული ნორმების დეფინიციიდან გამომდინარე, შესრულების მტკიცების საპროცესო საშუალებას წარმოადგენს რა სავალო საბუთი, მოპასუხეს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან გამომდინარე, სწორედ ამ საბუთის წარდგენით უნდა დაეცვა თავი სარჩელისაგან. როგორც საქმის მასალებითაა დადგენილი, მსესხებელს მსგავსი დოკუმენტი არ წარუდგენია, ამდენად, სესხის ხელშეკრულების ფარგლებში სააპელაციო პალატამ სწორად დააკისრა მოვალეს კრედიტორის სასარგებლოდ 150 000 აშშ დოლარის გადახდა, რაც შეეხება 102 161 აშშ დოლარს, ეს საკითხი მოცემული დავის საგანს აღარ წარმოადგენს, ამასთან, ვინაიდან ამ თანხის მიღებას ადასტურებს მოსარჩელე, სააპელაციო პალატამ მართებულად მიიჩნია ამ ოდენობით ვალდებულება შეწყვეტილად, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 427-ე და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლებისა.

1.3.6. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში კასატორს არც საქმეში არსებული საკასაციო საჩივრით და არც სასამართლო სხდომაზე მიცემული განმარტებით დასაბუთებული შედავება არ წარმოუდგენია, არამედ, შემოიფარგლა ზოგადი ხასიათის შედავებით (კრიტიკით) იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის პოზიცია თანხის საბანკო ანაბარზე განთავსებისა და სარგებლის მიღების თაობაზე დაუსაბუთებელია, ასევე, მისი ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი ამ საკითხთან მიმართებით არის ის, რომ ვინაიდან მოსარჩელე სესხის

არსებობას ვერ ადასტურებს, მიუღებელ შემოსავალზე საუბარი გაუმართლებელია. საკასაციო პალატა არ იზიარებს მოვალის ამ განმარტებებს და აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. ამდენად, კანონმდებელი დაზარალებულს (კრედიტორს) უფლებას აძლევს ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ იმ ანაცდენი სარგებლისათვის, რომელსაც დაზარალებული მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად. მთავარი წინაპირობა მოცემული მუხლის გამოყენებისათვის არის სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, რასაც შედეგად მოჰყვა ზიანის დადგომა. სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, „მიუღებელი შემოსავალი“ არის სარგებელი, ანაცდური მოგება, რომლის ანაზღაურებაც მოსარჩელის განსაკუთრებულ კომერციულ ინტერესში შედის, ვინაიდან კომერციულ ბრუნვაში მისი ინტერესი შემოსავლის მიღებისკენაა მიმართული, თუმცა თავად მოგება არ გულისხმობს ერთობლივ შემოსავალს, ყოველგვარი ხარჯების გამოქვითვების გარეშე, რომელსაც დაზარალებული ობიექტურად მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგადი პრინციპის თანახმად, განსახილველი კატეგორიის დავაში, მოსარჩელეს ეკისრება როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი, თუმცა, ფულადი ვალდებულებიდან გამომდინარე ზიანის არსებობის მტკიცებას მოსარჩელეს უადვილებს ის, რომ თავად ფული წარმოადგენს მიმოქცევად საშუალებას და საყოველთაოდ ცნობილია, რომ მის ბრუნვას შეუძლია გარკვეული მოგების მიღება. იმ ვითარებაში, როდესაც დგინდება მოპასუხის მხრიდან სამოქალაქო კოდექსის 394-ე და მე-400 მუხლების წინაპირობების დარღვევა და იგი ნასესხები თანხისა და სარგებლის დაუბრუნებლობას შეეხება, არსებობს მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების წინაპირობები, ამ თვალსაზრისით სააპელაციო პალატამ სწორად განმარტა, როგორც მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა, ისე – თავად მიუღებელი შემოსავლის წყაროს – ფულის მსყიდველუნარიანობის საკითხი და მართებულად დააკისრა მოვალეს კრედიტორის სასარგებლოდ დავალიანების – 793 183 აშშ დოლარის წლიური 9%-ის გადახდა (საბანკო ანაბრიდან შესაძლო მოგების მიღების პროპორციით).

1.4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების

პროცესუალურ-სამართლებრივი დასაბუთება:

ამდენად, საკასაციო პალატა უარყოფს კასატორის მიერ წარმოდგენილ პრეტენზიებს და მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერია, რომლის წინააღმდეგაც, საქმის წარმოების განახლებისა და დავის ზეპირი მოსმენით განხილვის მიუხედავად, კასატორმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით განსაზღვრული შედაგება ვერ წარმოადგინა. საბოლოოდ პალატა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად (საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას) უარყოფს კასატორის პრეტენზიებს და უცვლელად ტოვებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას.

2. პროცესის ხარჯები:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა რა საკასაციო საჩივარი, არ არსებობს მხარეთა შორის პროცესის ხარჯების, მათ შორის იურიდიული მომსახურებისათვის განეული ხარჯის მონინააღმდეგე მხარისათვის დაკისრების წინაპირობები, გარდა ამისა, კასატორის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის

თქმის გამო, ამავე კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „რ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.
3. კასატორის შუამდგომლობა პროცესის ხარჯის სახით მონინალმდეგე მხარისათვის 63 750 ლარისა და 10 000 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. ნარდობა

ბანკინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-983-928-2015

3 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: შესრულებული სამუშაოს ღირებულებისა და ზიანის ანაზღაურება (სარჩელში); ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება, ზიანის ანაზღაურება (შეგებებულ სარჩელში)

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ა. მ-მა“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მენარდე, მოსარჩელე, შეგებებული სარჩელის მოპასუხე, მეორე აპელანტი ან მეორე კასატორი) და შპს „ე. ს-მა“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც შემკვეთი, მოპასუხე, შეგებებული სარჩელით მოსარჩელე, პირველი აპელანტი ან პირველი კასატორი) 2008 წლის 17 მარტიდან 2012 წლის 26 იანვრამდე 45 ნარდობის ხელშეკრულება დადეს, რომელთა შორის სადავოა 2009 წლის 16 თებერვლის №157/25 ხელშეკრულებით, 2010 წლის 8 იანვრის №157/22 ხელშეკრულებითა და 2012 წლის 26 იანვრის №157/45 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულება (ხოლო ანაზღაურება სადავოა ყველა ხელშეკრულებიდან გამომდინარე).

2. №157/25 ხელშეკრულებით მოსარჩელემ იკისრა ვალდებულება ქ. ქუთაისში, ... სს „ქ.რ.ბ. ნ.ქ-ის“ ტერიტორიაზე (შემდეგში – ქარხნის ტერიტორიაზე), 3000 მ² ფართობზე დიდი ტვირთამწეობის ა. მანქანების სადგომი მოედნებისა და სავალი გზების ორმაგი არმილების რეკონსტრუქციის საფარის დაგება. ხელშეკრულების ღირებულება 242 000 აშშ დოლარით (დღგ-ს გარეშე), ხოლო მოქმედების ვადა 6 თვით განისაზღვრა. ამასთან, დადგინდა სამუშაოების დაწყებამდე ავანსის სახით, ხელშეკრულების ღირებულების 50%-ის მენარდისათვის გადარიცხვა და დარჩენილი თანხის ეტაპობრივად ანაზღაურება. 2009 წლის 10 იანვარს შემკვეთმა მენარდეს 330 620 ლარი გადაურიცხა. 2009 წლის 16 მარტს ხელშეკრულებაში შესული ცვლილების თანახმად, მისი მოქმედების ვადა 2 წლით გაგრძელდა.

2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრუ-

ლებამდე ხელშეკრულება შემკვეთის ინიციატივით შეწყდა.

3. №157/22 ხელშეკრულების თანახმად, მოსარჩელემ ქარხნის ტერიტორიის ჯართის დასაყრელ მოედანზე ამწე და ჯართის გადასაზიდი ვაგონეტების სავალი გზების (ლიანდაგის) მშენებლობის ვალდებულება იკისრა რ-65, რ50 და რ43 ტიპის რელსებისა და სპეციალური ამწეების სავალი გზების რკინა-ბეტონის კონსტრუქციების გამოყენებით. ხელშეკრულების ღირებულება 850.000 აშშ დოლარით განისაზღვრა.

4. №157/45 ხელშეკრულების თანახმად, მოსარჩელემ ქარხნის ტერიტორიაზე 1425,5 გრძივი მეტრის სარკინიგზო ლიანდაგებისა და რ-65 ტიპის ისრული გადამყვანის (განძელების კომპლექტთან ერთად) მონტაჟის ვალდებულება იკისრა ბრონეულა-ქუთაისის გადასარბენზე. მენარდეს სამუშაო 11 თვეში უნდა დაესრულებინა, ხოლო შემკვეთს იგი სამუშაოების ჩასატარებლად ყველა საჭირო ნებართვით უნდა უზრუნველყოს.

4.1. შემკვეთმა ისრული გადამყვანის დამონტაჟებისათვის ნებართვა ვერ მოიპოვა.

5. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა:

5.1. შესრულებული სამუშაოს ღირებულების – 446 460.00 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება;

5.2. №157/25 ხელშეკრულების უკანონო შეწყვეტით მიყენებული ზიანის – 41 259.00 აშშ დოლარის მოპასუხისათვის დაკისრება;

5.3. 157/45 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შესრულებული სამუშაოს ღირებულების – 81 792.00 აშშ დოლარის ეკვივალენტის ეროვნული ვალუტით მოპასუხისათვის დაკისრება;

5.4. მოპასუხისათვის 17 280.00 ლარად ღირებულებული, 64 რკინიგზის ლიანდაგქვეშა ბეტონის ფილის მოსარჩელისათვის დაბრუნების დავალება.

6. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მას და მოპასუხეს შორის გაფორმებული ნარდობის ხელშეკრულებათა ფარგლებში სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოები შეასრულა, რომელთა საერთო ღირებულებამაც 7 743 848.67 ლარი შეადგინა. მოპასუხემ აღიარა მხოლოდ 7 296 735. 30 ლარის სამუშაოები. მხარეთა შორის შედგენილია მიღება-ჩაბარების აქტები, ამავე თანხაზე მოსარჩელემ გამოწერა საგადასახადო ანგარიშვაქტურები, რომელიც მოპასუხემ მიიღო და ჩათვლილი აქვს შესაბამისი დამატებითი ღირებულების გადასახადი. გარდა 7 296 735. 30 ლარისა, მოპასუხემ აღიარა და სამუშაოსათვის გადაიხადა 330 620.00 ლარი, რომელზეც არ გაფორმებულა მიღება-ჩაბარების აქტი. ამჟამად, აღიარებული სამუშაოს ღირებულებიდან – 7 627 355.00 ლარიდან (7 296 735. 30+330 620.00)

მოპასუხეს გადახდილი აქვს 7 180 895.11 ლარი, დავალიანება კი, 446 460.00 (330 620.00+115 840) ლარია დღე-ს ჩათვლით.

6.1. №157/25 ხელშეკრულების შესრულების მიზნით, მოსარჩელემ შეასრულა მოსამზადებელი სამუშაოები, კერძოდ, 3000 კვმ-ზე დაყარა ლორლი (ბალასტი) და მოაწყო ვაკისი, შეიტანა 984 კვ.მ ორმაგი არმირების რკინაბეტონის ფილა, საიდანაც დააგო 193,4 კვ.მ ფილა. ამის შემდეგ, მოპასუხემ შეაჩერებინა სამუშაოები, შეტანილი ფილები კი, მიითვისა. 2009 წლის 10 ივნისს, მოპასუხემ გადაიხადა იმ პერიოდისათვის შესრულებული სამუშაოების ღირებულება – 330 620.00 ლარი (რაც გადახდის დღეს არსებული კურსით შეადგენს 200 741.00 აშშ დოლარს). არაერთი თხოვნის მიუხედავად, მოპასუხე არ აძლევდა სამუშაოების დამთავრების შესაძლებლობას, ხოლო 2012 წლის 12 სექტემბერს, უკან დაუბრუნა შეტანილი ფილების ნაწილი – 48 კვ.მ. მოსარჩელის მტკიცებით, ხელშეკრულების ცალმხრივად, უმიზეზოდ შეწყვეტით მას 41 259.00 აშშ დოლარის ზიანის მიადგა.

6.2. №157/45 ხელშეკრულების შესაბამისად, მოსარჩელემ დაამონტაჟა 1425.5 გრძივი მეტრი რკინიგზა, ასევე, შეასრულა 80.6 გრძივ მეტრზე მიწის ვაკისის მოწყობისა და დაშენების სამუშაოები რ-65 ტიპის ისრული გადამყვანის მოსაწყობად, შეიძინა რ-65 ტიპის 1/11 ისარი და გადამყვანი რელსები, რომელიც მიტანილია ქარხნის ტერიტორიაზე. ვინაიდან მოპასუხემ ვერ შეძლო შესაბამისი ნებართვის მიღება, მოსარჩელეს ისრული გადამყვანის რკინიგზასთან მიერთების შესაძლებლობა არ მიეცა. შესაბამისად, მოსარჩელე მოითხოვდა 80.6 მეტრი ისრული გადამყვანის მოწყობის სამუშაოებისა და რ-65 ტიპის ისრული გადამყვანის ღირებულების – 81 792.00 აშშ დოლარის მოპასუხისათვის დაკისრებას.

6.3. მოსარჩელე, №157/22 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოპასუხისაგან მოითხოვდა, მშენებლობის პროცესში ქარხნის ტერიტორიაზე შეტანილი სარკინიგზო ლიანდაგქვეშა გამოუყენებელი 64 ფილის (რომელთა ღირებულება 17 280.00 ლარია) დაბრუნებას.

7. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო. მან წარადგინა მოთხოვნის წარმოშობის დამაბრკოლებელი შესაგებელი და მიუთითა, რომ მოსარჩელეს 7 743 848,67 ლარის სამუშაოები შესრულებული არა აქვს. შემკვეთმა აღიარა 7 296 735,30 ლარად ღირებული სამუშაო, ხოლო მენარდისათვის როგორც შესრულებული, ასევე, შესასრულებელი სამუშაოებისათვის გადახდილი აქვს 7 400 894,11 ლარი. ამდენად, ზედმეტად გადახდილი თანხა 104 158,81 ლარია.

7.1. მოსარჩელემ აღიარა, რომ მოპასუხეს მისთვის გადახდილი აქვს 7 180 895.11 ლარი, თუმცა ამ თანხას არ მიუმატა ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდილი 220 000 ლარი. არც 19 706 ლარი აქვს

ჩათვლილი, რომელიც მას ჩაერიცხა №157/11 ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად, რომლითაც გათვალისწინებული იყო 400 მეტრი სიგრძის ლიანდაგის დაგება, მაგრამ არ შესრულებულა, რადგან მის ნაცვლად დაიდო ახალი №157/20 და №157/45 ხელშეკრულებები იმავე საგანზე, მაგრამ განსხვავებული მოცულობით.

7.2. ამასთან, მოპასუხის მიერ გადახდილი 330 620.00 ლარი შესრულებული სამუშაოებისთვის გადახდილი თანხა კი არა, №157/25 ხელშეკრულების შესაბამისად გადახდილი ხელშეკრულების ღირებულების წინასწარ ანაზღაურებული ავანსია.

7.3. მხარეებს შორის დადებული №157/45 ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო 1425,5 გრძივი მეტრის ლიანდაგის დაგება, ხოლო №157/20 ხელშეკრულებით 200 გრძივი მეტრის, სამუშაოების შესრულება-მიღება დადასტურებულია შესაბამისი გადახდებით. რ-65 ტიპის ისრული გადაამყვანების მონტაჟი ხელშეკრულების საერთო მოცულობით განსაზღვრულ სამუშაოთა შემადგენელი ნაწილია და იგი ცალკე ანაზღაურებას არ ექვემდებარება, რადგან მის გარეშე აზრი დაეკარგებოდა საერთოდ ლიანდაგების დაგებას. ხოლო მოპასუხე აიღებდა თუ არა ნებართვას ისრული გადაამყვანების მონტაჟზე, მოცემული დავისთვის არაარსებითია, რადგან სამუშაოები შესრულებული და ანაზღაურებულია.

7.4. შესრულებული და ანაზღაურებულია №157/22 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო. შემოტანილი ზედმეტი ფილები განლაგებულია მოპასუხის ტერიტორიაზე და მისი ნაღება მოსარჩელეს თავისივე სახსრებით ნებისმიერ დროს შეუძლია.

8. შემკვეთმა შეგებებული სარჩელი წარადგინა და მოითხოვა:

- 8.1. მენარდისათვის 442 719,88 ლარის დაკისრება;
- 8.2. მიუღებელი შემოსავლის – 1 004 513,40 ლარის ანაზღაურება;
- 8.3. №157/25 ხელშეკრულების ბათილად ცნობა და მის საფუძველზე გადახდილი თანხის (330 620 ლარის) დაბრუნება.

9.1. შეგებებული სარჩელით მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ, ავანსად 330 620 ლარის გადარიცხვის მიუხედავად, მოპასუხეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო არ შეუსრულებია.

9.2. შემკვეთი მიიჩნევს, რომ მოსარჩელისათვის ზედმეტად გადახდილი თანხა 1 120 999.88 ლარია, რომელსაც იგი უკანონოდ ფლობს. ეს თანხა მოპასუხის საბუღალტრო დოკუმენტაციაში ასახულია, როგორც დებიტორული დავალიანება. შესაბამისად, შეგებებული სარჩელით მოსარჩელის პირველი მოთხოვნა ზედმეტად გადახდილი თანხის 442 719,88 (330 620+112 099.88) ლარის უკან დაბრუნებაა.

9.3. შემკვეთის მტკიცებით, №157/25 ხელშეკრულებაზე ხელმოწერა შესრულებულია არა დირექტორის, არამედ არაუფლება-მოსილი პირის მიერ, რაც, სსკ-ის 54-ე და 59-ე მუხლების შესაბამი-

სად, გარიგების ბათილობის საფუძველია.

10. მენარდემ შეგებებული სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ იგი არ იზიარებს შემკვეთის პ. 9-ში მითითებულ არგუმენტებს შესრულებულ სამუშაოსა და თანხის გადახდასთან დაკავშირებით. რაც შეეხება ხელმოწერის ნამდვილობას, შეგებებული სარჩელის ა.რ.ს სალაროს გასაავლის ორდერებსა და ე.წ. „ვაუჩერებზე“ ჯ. ბ-ძის (შემდეგში – მოსარჩელე კომპანიის დირექტორის) ხელმოწერების ნამდვილობა, მის დაკითხვამდე სადავოდ არ გაუხდია. მენარდის მტკიცებით, ხელშეკრულება დადებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით:

11.1. სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

11.1.1. მოპასუხეს 446 460 ლარის გადახდა დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ;

11.1.2. მოპასუხეს დაევალა მოსარჩელისათვის მისი კუთვნილი 17 280 ლარად ღირებული 64 ცალი რკინიგზის ლიანდაგქვეშა ბეტონის ფილის დაბრუნება;

11.1.3. სარჩელი ხელშეკრულების შეწყვეტით მიყენებული ზიანის – 41 259 აშშ დოლარისა და შესრულებული სამუშაოს ღირებულების – 81 792 აშშ დოლარის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა;

11.2. შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

11.2.1. მენარდეს 20 000 ლარის გადახდა დაეკისრა შემკვეთის სასარგებლოდ;

11.2.2. შეგებებული სარჩელი სხვა ნაწილში არ დაკმაყოფილდა დაუსაბუთებლობის გამო.

12. სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი 2013 წლის 24 დეკემბრის ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე მიიჩნია, რომ სადავო ხელმოწერა შესრულებული იყო კომპანიის დირექტორის მიერ, რის გამოც არ არსებობდა სსკ-ის 54-ე და 59-ე მუხლებით სადავო ხელშეკრულების ბათილობის საფუძველები.

12.1 სასამართლომ ნაწილობრივ საფუძველიანად მიიჩნია შეგებებული სარჩელი მენარდისათვის თანხის დაკისრების შესახებ, რადგან ამავე ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ 20 000 ლარის 11.08.2008 წლის სალაროს გასაავლის ორდერზე ხელმოწერა კომპანიის დირექტორის მიერ იყო შესრულებული. შესაბამისად, მენარდეს 20 000 ლარის გადახდა დაეკისრა შემკვეთის სასარგებლოდ.

12.2. სასამართლომ შეგებებული სარჩელი მენარდისათვის 422 719.88 ლარის დაკისრებისა და მიუღებელი შემოსავლის სახით 1

004 513.40 ლარის დაკისრების ნაწილში უსაფუძვლოდ მიიჩნია. სასამართლოს მითითებით, შემკვეთის განმარტება, რომ მენარდეს არ შეუსრულებია №157/25 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები და მან 330620.00 ლარი ავანსად გადაიხადა, საქმის მასალებიდან არ გამომდინარეობდა. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით – ამონაწერით დასტურდებოდა, რომ 330620.00 ლარი №157/25 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებული სამშენებლო სამუშაოებისათვის იყო გადახდილი. სამუშაოების შესრულების ფაქტს არც 2013 წლის 13 მაისის დამოუკიდებელი ექსპერტთა პალატის საინჟინრო საქმიანობის ექსპერტიზის №02/012-13 დასკვნა უარყოფდა, რომლის თანახმად, შემკვეთის ტერიტორიაზე მენარდის მიერ მძიმე ტვირთამწეობის საავტომობილო გზებისა და მოედნების მოწყობის შესრულებული სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება, წარდგენილი მასალების შესაბამისად, 313 089.00 ლარი იყო.

12.3. №157/25 და №157/45 ხელშეკრულებათა საფუძველზე 2013 წლის 7 მარტს მენარდის მიერ 2 401 207,02 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულებაზე გამოწერილია საგადასახადო ანგარიშფაქტურა და 2012 წლის 27 დეკემბერს გაფორმებულია მიღება-ჩაბარების აქტი. სასამართლომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დაადგინა, რომ მენარდემ ნარდობის ხელშეკრულებათა საფუძველზე შეასრულა სხვადასხვა სახის სამუშაო. მოპასუხემ გადაიხადა შესრულებული სამუშაოს ნაწილის ღირებულება და გადასახდელი დარჩა 446 460.00 ლარი.

12.4. სასამართლომ სარჩელი, 64 ცალი ბეტონის ფილის მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის დაბრუნების შესახებ, საფუძვლიანად მიიჩნია, რადგან მოპასუხემ დაადასტურა, რომ მოსარჩელის კუთვნილი ბეტონის ფილები ნამდვილად მის ტერიტორიაზე იყო განთავსებული. სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 164-ე მუხლზე და დაასკვნა, რომ მოპასუხემ, როგორც არაკეთილსინდისიერმა მფლობელმა, ნივთი უფლებამოსილ პირს – მოპასუხეს უნდა დაუბრუნოს.

12.5. სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია სარჩელი მოპასუხისათვის ხელშეკრულების უკანონო შეწყვეტით მიყენებული ზიანის, 41 259.00 აშშ დოლარის, ანაზღაურებისა და შესრულებული სამუშაოების ღირებულების – 81 792.00 აშშ დოლარის ანაზღაურების ნაწილში შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ მიუთითა, რომ მოთხოვნის ლეგიტიმურობის შემონების მიზნებისათვის უნდა დადგენილიყო, ხომ არ შეიცვალა გარემოებები და, შესაბამისად, ხომ არ არსებობდა შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების კანონისმიერი საჭიროება და მიზანშეწონილობა. სასამართლომ მიაჩნია, რომ 2012-

2013 წლებში მხარეებს შორის არსებული მიმონერა მათი მხრიდან №157/25 და №157/45 ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანის მცდელობა იყო. შემკვეთმა მენარდეს შესთავაზა №157/45 ხელშეკრულების ვადის გაგრძელება იმავე პირობებით საქართველოს რკინიგზიდან ნებართვის მიღებამდე. სასამართლომ დაასკვნა, რომ არსებობდა შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების პირობების მისადაგების ფაქტობრივი საფუძვლები, მხარე შეეცადა შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების პირობების მისადაგებას, თუმცა შეთანხმებას ვერ მიაღწია. სასამართლოს მითითებით, აღნიშნული მსჯელობის სამართლებრივი საფუძველი სსკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილი და 398-ე მუხლის მე-2 ნაწილის ერთობლივი სამართლებრივი ანალიზი იყო.

განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან მოპასუხემ საქართველოს რკინიგზიდან ვერ მიიღო ბრონეულა-ქუთაისის გადასარბენზე რ-65 ტიპის ისრული გადაამყვანის მოწყობის ნებართვა, მან მოსარჩელეს №157/45 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა მოსთხოვა. დადგენილია, რომ მოსარჩელემ, მართალია, შეიძინა იმავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული რ-65 ტიპის ისრული გადაამყვანი, თუმცა იგი, ნებართვის უქონლობის გამო, არ დაუმონტაჟებია. სასამართლომ მიუთითა, რომ ხელშეკრულების აღნიშნული პირობის შესრულება (ნებართვის მოპოვება) ცალსახად მოპასუხის ნებაზე დამოკიდებული პირობა არ იყო და მოსარჩელის მტკიცება, რომ ხელშეკრულება მოპასუხის უმოქმედობით დაირღვა, უსაფუძვლოდ მიიჩნია.

გარდა ამისა, სასამართლოს დასკვნით, მოსარჩელეს №157/45 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სრულად არ შეუსრულებია. უდავო იყო, რომ იმავე ხელშეკრულების 4.3 პუნქტის მიხედვით – ერთი გრძივი მეტრი რ-65 ტიპის ისრული გადაამყვანის (განძელების კომპლექტთან ერთად) მშენებლობა მინის ვაკისისა და დაშენების გათვალისწინებით, დღგ-ს გარეშე 860 აშშ დოლარი ღირდა. საქმის განხილვისას მოსარჩელემ დაადასტურა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ისრული გადაამყვანის მოწყობილობა შეიძინა, თუმცა მისი დასამონტაჟებელი სამუშაოები, ნებართვის უქონლობის გამო, არ შეუსრულებია. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი ამ ნაწილში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებელი იყო.

13. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ. მოსარჩელემ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო შეგებებული სარჩელის სრულად უარყოფა შემდეგ გარემოებებზე მითითებით

მოითხოვა:

13.1. სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ 11.08.2008 წლის სალაროს გასავლის ორდერზე არსებული ხელმოწერა ეკუთვნის მოსარჩელის დირექტორს. ამ ფაქტის დასადაგენად სასამართლოს უნდა შეეფასებინა თავად დირექტორის ჩვენება, ასევე ბუღალტრისა და მოლარის ჩვენებები, რომელთაც უარყვეს დირექტორისათვის თანხის გადაცემის ფაქტი. ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2013 წლის 24 დეკემბრის დასკვნის საპირისპიროდ მენარდემ სასამართლოს წარუდგინა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სასამართლო ექსპერტიზისა და კრიმინალისტიკის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის 2014 წლის 7 თებერვლის დასკვნა, რომლის თანახმადაც, თანხის მიღების დამადასტურებელ არცერთ დოკუმენტზე დირექტორის სახელით შესრულებული ხელმოწერები არ ეკუთვნის ამ უკანასკნელს.

13.2. მეორე აპელანტის მტკიცებით, სასამართლომ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე არ გაიზიარა მოსაზრება, რომ შემკვეთმა საფუძვლის გარეშე, უკანონოდ შეუნყვიტა ხელშეკრულება, რისთვისაც მოსარჩელეს უნდა აუნაზღაუროს ხელშეკრულების უკანონო შეწყვეტით მიყენებული ზიანი.

13.3. აპელანტის მითითებით, დავას არ იწვევს 1425.5. გრძივი მეტრი სარკინიგზო ლიანდაგის დაგებისა და მისი ანაზღაურების საკითხი, მაგრამ მოპასუხე ცდილობს, დაასაბუთოს, რომ რ-65 ტიპის ისრის დამონტაჟება, შეთანხმების თანახმად, ცალკე არ ანაზღაურდებოდა, რადგან ის 1425,5 გრძივი მეტრი სარკინიგზო ლიანდაგის განუყოფელი ნაწილი იყო, რაც არასწორია. მეორე კასატორის მტკიცებით, 80,6გ.მ ისრული გადამყვანი ცალკე ანაზღაურებას ექვემდებარებოდა.

13.4. ასევე არასწორია 20 000 აშშ დოლარის მოსარჩელისათვის დაკისრება (შეგებებული სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილება), რადგან საქმეში არსებული მტკიცებულებები სხვაგვარი დასკვნის საშუალებას იძლეოდა.

14. მოპასუხემ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილების გაუქმება და ახალი გადანყვეტილების მიღებით სარჩელის უარყოფა მოითხოვა იმ ნაწილში, რომლითაც მას 446 460 ლარის გადახდა დაეკისრა, ხოლო შეგებებული სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

14.1. პირველი აპელანტის მტკიცებით, ბანკის ქვითრებში, რომელსაც სასამართლო დაეყრდნო, დაშვებულია მექანიკური შეცდომა თანხის ჩარიცხვის მიზნობრიობასთან დაკავშირებით. სასამართლომ არ იმსჯელა 2009 წლის 16 თებერვლის №157/25 ხელშეკრულების შინაარსზე, მონმისა და სანარმოს დირექტორის ჩვე-

ნებებზე. მონინაალმდევე მხარის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა შესრულებულია ისე, რომ ექსპერტი არ მისულა ქარხნის ტერიტორიაზე, რის გამოც ვერ შეძლებდა მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას. მასში მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასრულებელი სამუშაოების ფინანსური შედეგები აისახა, თუკი ეს სამუშაოები შესრულდებოდა. სამუშაოები კი, არ არის შესრულებული, რაც უდავოდ დგინდებოდა შემკვეთის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნით, რომელიც ადგილზე დათვალიერებით ჩატარდა. მოპასუხის მიერ გარკვეული სამუშაოების დაწყება, კერძოდ, ობიექტზე ფილების შეტანა, არ ნიშნავს სამუშაოების შესრულებას. შესაბამისად, შემკვეთმა შეგებებული სარჩელით 330620 ლარის უკან დაბრუნება მოითხოვა.

14.2. ასევე, დაუსაბუთებელია სასამართლოს დასკვნა, რომლითაც მან 200 000 ლარი მენარდისათვის გადახდილად არ მიიჩნია. ექსპერტთა დასკვნებით ერთობლიობაში დგინდებოდა, რომ თანხის გადახდის დამადასტურებელ მტკიცებულებებზე ხელმოწერა ეკუთვნოდა ერთსა და იმავე პირს.

14.3. სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა, რომ სხვადასხვა დროს ნაღდი თუ უნაღდო ანგარიშსწორებით, ავანსადაც, სხვადასხვა ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, შემკვეთს მეტობით აქვს გადარიცხული მენარდისათვის 112099,88 ლარი და ეს ასახულია კიდევ სანარმოს საბუღალტრო მონაცემებში. სწორედ 442 719,88 (112 099,88 + 330 620) ლარს, როგორც უსაფუძვლოდ გადახდილს, ითხოვდა შემკვეთი, რაც სასამართლომ არ დააკმაყოფილა და, აქედან გამომდინარე, არც ის გაიზიარა, რომ ამ თანხის მენარდის მიერ უკანონოდ ფლობით შემკვეთის მიუღებელი შემოსავალი 1 0045 13 ლარია.

15. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით:

15.1. მოსარჩელისა და მოპასუხის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

15.2. გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება მხარეთა მიერ გასაჩივრებულ ნაწილში და ამ ნაწილში მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება.

15.3. მენარდის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

15.4. მოპასუხეს 115 841,23 ლარის გადახდა დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ;

15.5. მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, 8 108 ლარის გადახდა დაეკისრა, ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლოდ; მასვე დაეკისრა 2 000 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ (ადვოკატის ხარჯი);

15.6. მოსარჩელის დანარჩენი სააპელაციო მოთხოვნა არ დაკ-

მაყოფილდა;

15.7. შემკვეთის შეგებებული სარჩელი მენარდისათვის თანხის დაკისრების მოთხოვნით არ დაკმაყოფილდა;

15.8 №157/25 ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე უარის თქმისა და მენარდის კუთვნილი 17280 ლარად ღირებული 64 ცალი რკინიგზის ლიანდაგქვეშა ბეტონის ფილის დაბრუნების ნაწილში – განწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

16. სააპელაციო სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ-ის) 316.1, 317.1, 319.1, 361.2, 629.1, 648-ე მუხლები და მიუთითა შემდეგი:

16.1. უდავო იყო, რომ 2009 წლის 10 იანვარს შემკვეთმა მენარდეს №157/25 ხელშეკრულებიდან გამომდინარე 330 620 ლარი გადაურიცხა. მხარეთა შორის სადავო იყო თანხა გადაირიცხა უკვე შესრულებული სამუშაოსათვის თუ – ავანსად, მომავალში შესასრულებელი სამუშაოსათვის. თანხის მიზნობრიობაში, მოსარჩელის მიერ წარდგენილი ამონაწერის თანახმად, მითითებულია – შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულება.

16.2. მოპასუხის მიერ წარდგენილი 2013 წლის 25 ივნისის შპს „მ-ას“ საექსპერტო დასკვნის თანახმად, ქარხნის ტერიტორიაზე 3000 კვ,მ.ფართზე დიდი ტვირთამწეობის ა.მანქანების სადგომი მოედნებისა და სავალი გზების ორმაგი არმირების რკინაბეტონის საფარი დაგებული არ არის. აღნიშნული სამუშაოების შესრულების დოკუმენტაცია და ვერც სამუშაოთა აქტები ვერ იქნა წარმოდგენილი მათი არარსებობის გამო. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 17 აპრილის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მხარეთა შორის გაფორმებული №157/25 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის, შესრულებული სამუშაოს პროექტის, ფარულ სამუშაოთა აქტების საქმის მასალებში არარსებობის (ანუ იმ მტკიცებულებათა არარსებობის გამო, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა დადგენილიყო შესრულებული ან შესასრულებელი სამუშაოების ადგილმდებარეობა, მოცულობა და ღირებულება), ასევე, მოხრეშვითი სამუშაოების ხანდაზმულობის გამო, ტექნიკურად შეუძლებელია განსაზღვრა იმისა, თუ რა სახისა და რამდენად ღირებული სამუშაოები აქვს შესრულებული მოსარჩელეს.

16.3. სააპელაციო სასამართლომ შპს „დ.ე.პ-ის“ საინჟინრო საქმიანობის ექსპერტის საექსპერტო დასკვნა, რომ №157/25 ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოს სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 153 020,12 ლარს შეადგენდა, ხოლო მძიმე

ტვირთამწეობის საავტომობილო გზებისა და მოედნების მოწყობისათვის შესრულებული სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 313 089 ლარს, არ გაიზიარა, რადგან, გარდა იმისა, რომ ექსპერტს შესაფასებელი ობიექტი არ დაუთვალა იერებია, მან განსაზღვრა შესრულებული სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება წარმოდგენილი მასალების შესაბამისად და პასუხი არ გაცა მთავარ შეკითხვას, რა სამუშაოები ჩატარდა სადავო ობიექტზე და რამდენს შეადგენდა მათი ღირებულება.

16.4. პალატამ ასევე არ გაიზიარა მოსარჩელის მიერ საქმეში წარმოდგენილი ორი წერილი, რომლითაც ის სამუშაოთა 30%-ით შესრულების ფაქტის დადასტურებას ცდილობდა, რადგან, გარდა იმისა, რომ წერილები ნაწილობრივ ურთიერთგამომრიცხველი იყო, ექსპერტთა დასკვნებით საპირისპირო დგინდებოდა, ასევე, 2012 წლის 12 სექტემბრის მიღება – ჩაბარების აქტში მხარეებმა თავად განმარტეს, რომ მენარდეს „დასაწყობებული ჰქონდა“ 984 კვ.მ ორმაგი არმირების რკინაბეტონის ფილები. ამდენად, ისინი დაგებული არ იყო.

16.5 2009 წლის 23 აპრილის აქტი სამუშაოთა 30%-ით შესრულებაზე, პალატამ სადავო ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელ საკმარის მტკიცებულებად არ მიიჩნია, რადგან მხარეთა შორის არ შემდგარა მიღება – ჩაბარების აქტი და არც ფორმა №2 ან სამუშაოთა შესრულების აქტები არ იყო წარდგენილი საქმეში.

16.6. სააპელაციო სასამართლოში დაკითხულმა ყველა ექსპერტმა დაადასტურა, რომ ადგილზე დათვალა იერებით მათ ვერ დაადგინეს სამუშაოთა შესრულება. ამასთან, სამუშაოთა შესრულება უნდა დასტურდებოდა ფორმა №2-ით, სამუშაოთა შესრულების აქტებით, მიღება – ჩაბარების აქტებით და ა.შ. რაც, კონკრეტულ შემთხვევაში, მხარეებს არ შეუდგენიათ და, შესაბამისად, ეს აქტები მათ ვერ წარუდგინეს ვერც ექსპერტებს და ვერც სასამართლოს. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ №157/25 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები (ორმაგი არმირების რკინაბეტონის ფილების დაგება 3000 კვ.მ-ზე) მენარდეს არ შეუსრულებია, შესაბამისად, 330 620 ლარი, რომელიც ამ ხელშეკრულების ფარგლებში გადაერიცხა, არ არის შესრულებული სამუშაოსათვის გადახდილი თანხა და იგი შემკვეთს უკან უნდა დაუბრუნდეს, როგორც ავანსად გადახდილი.

16.7. მოსარჩელის მოთხოვნა №157/25 ხელშეკრულების შეწყვეტით მიყენებული ზიანის – 41 259 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე, პალატამ არ გაიზიარა და მიუთითა, რომ მოსარჩელეს არ წარუდგენია მტკიცებულებები, რაც ხელშეკრულების შეუსრულებლობაში შემკვეთის ბრალს დაადასტურებდა, კერძოდ იმას, რომ მენარდე ცდილობდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა

შესრულებას და ამას ხელს უშლიდა მოპასუხე.

16.8. დადგენილია, რომ მოსარჩელემ №157/45 ხელშეკრულების შესაბამისად, 1225 930 აშშ დოლარად ღირებული 1425,5 გრძივი მეტრი სარკინიგზო ლიანდაგი მოაწყო. ამას ადასტურებს 2012 წლის 27 დეკემბრის მიღება-ჩაბარების აქტი და საგადასახადო ანგარიშფაქტურა, თუმცა პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის მტკიცება, რომ 80.6 გრძივი მეტრი რ-65 ისრისა და დამხმარე რელსებისათვის საჭირო მასალებისა და მათი მოწყობის ფასი არ შედიოდა №157/45 ხელშეკრულების ღირებულებაში. ეს მიღება-ჩაბარების აქტიდან არ დგინდებოდა.

16.9. რაც შეეხება ისრული გადამყვანის მონტაჟის ნებართვების მოპოვებას, მართალია, ეს ხელშეკრულების თანახმად, შემკვეთის ვალდებულება იყო, რაც მან ვერ შეასრულა, მაგრამ ეს გარემოება ვერ შეცვლიდა იმ ფაქტს, რომ მენარდემ ნაკისრი ვალდებულება შეასრულა, მოეწყო 1425.5 გრძივი მეტრის სარკინიგზო ლიანდაგი და ისრული გადამყვანი (მიერთების გარეშე), რისთვისაც მიიღო გათვალისწინებული საზღაური.

16.10. სასამართლოს მითითებით, არც ხელშეკრულებიდან, არც მიღება – ჩაბარების აქტიდან და არც საგადასახადო ანგარიშფაქტურიდან არ დგინდებოდა, რომ შესასრულებელი ვალდებულება იყო 1425 გრძივი მეტრი სარკინიგზო ლიანდაგისა და 80 გრძივი მეტრი ისრული გადამყვანის მშენებლობა. ეს ციფრი – 1505 (მათი ჯამი (1425+85) – მხარეთა მიერ შეთანხმებულ არცერთ დოკუმენტში არ ფიქსირდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ 1425 გრძივი მეტრი მოიცავდა, როგორც სარკინიგზო ლიანდაგს, ისე ისრულ გადამყვანს, რაც მენარდემ შეასრულა, ხოლო შემკვეთმა აანაზღაურა.

16.11. რადგან საქმეში წარმოდგენილი ტექნიკური და ხელნერის ექსპერტიზები ნაწილობრივ ურთიერთგამომრიცხავი და ურთიერთწინააღმდეგობრივი იყო, იმ სადავო ფაქტობრივი გარემოების გამოსაკვლევად, მიიღო თუ არა 220 000 ლარი მოსარჩელემ, სასამართლომ კალიგრაფიული ექსპერტიზა დანიშნა. გამოსაკვლევითი საკითხი იყო, ეკუთვნოდა თუ არა საქმეში განთავსებულ სალაროს გასავლის ორდერებსა და ვაუჩერებზე ხელმოწერა მოსარჩელე კომპანიის ყოფილ დირექტორს. საქსპერტო დასკვნის თანახმად, 2008 წლის 11 აგვისტოს სალაროს გასავლის ორდერზე, 2009 წლის 17 დეკემბრისა და 24 ნოემბრის ვაუჩერებზე და სხვა შესაძარებელ დოკუმენტებზე ხელმოწერები არ არის შესრულებული კომპანიის დირექტორის მიერ, ხოლო იმის დადგენა, დირექტორს ეკუთვნის თუ არა 2009 წლის 5 აგვისტოთი დათარიღებულ სალაროს გასავლის ორდერზე არსებული ხელმოწერა, შეუძლებელი იყო.

16.12. პალატამ საქმეში წარმოდგენილი დასკვნების, ექსპერტთა დაკითხვის, მათი სანდოობისა და დასაბუთებულობის გათვალისწინებით, მიიჩნია, რომ 220 000 ლარის გადარიცხვის 4 სადავო დოკუმენტზე ხელმოწერა, დირექტორს არ ეკუთვნოდა. შესაბამისად, დაასკვნა, რომ მენარდეს შემკვეთისაგან ნაღდი ანგარიშსწორებით 220 000 ლარი არ მიუღია.

16.13. პალატამ სრულიად დაუსაბუთებლად მიიჩნია შეგებებული სარჩელი მოპასუხისათვის 112099,88 ლარის დაკისრებისა და მიუღებელი შემოსავლის 1 004 513,40 ლარის დაკისრების მოთხოვნით, რადგან აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები შემკვეთს სასამართლოსათვის არ წარუდგენია. ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 17 აპრილის დასკვნაში სრულიად დასაბუთებულად, საქმეში არსებულ მასალებზე დაყრდნობით, სხვა არსებით საკითხებთან ერთად, მითითებულია, რომ იმ შემთხვევაში, თუ 220000 ლარი გადახდილად მიიჩნევა (რაც პალატამ არ ჩათვალა ანაზღაურებულად), მოსარჩელისათვის 104 158,77 ლარით მეტია ანაზღაურებული, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ 220 000 ლარი არ ჩათვლება გადახდილად, მაშინ სულ ასანაზღაურებელია (გამომდინარე ყველა ხელშეკრულებიდან) 7 180 894,11 ლარი. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელისათვის 115841,23 ლარით ნაკლება გადახდილი. ამდენად, ექსპერტმა დაადგინა, რომ, პირიქით, შემკვეთს აქვს შესრულებული სამუშაოსათვის მენარდისათვის გადასახდელი 115 841,23 ლარი. სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილის დაუსაბუთებლობიდან გამომდინარე, უსაფუძვლოა მოპასუხისათვის მიუღებელი შემოსავლის სახით 1004513,40 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

რაც შეეხება პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას №157/25 ხელშეკრულების ბათილობაზე უარის თქმის ნაწილში, შეგებებული სარჩელით მოსარჩელეს არ გაუსაჩივრებია და იგი კანონიერ ძალაშია შესული.

17. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ იმ ნაწილში, რომლითაც მას 115 841. 23 ლარის გადახდა დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ და იმ ნაწილში, რომლითაც მისი შეგებებული სარჩელი მენარდისათვის 104 158.77 ლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით 220 000 ლარის მოსარჩელისათვის გადახდილად მიჩნევა და 104 158.77 ლარის მენარდისათვის დაკისრება მოითხოვა.

17.1. კასატორი მიუთითებს, რომ სასამართლომ თავისი შინაგანი რწმენა ოთხი ექსპერტიზის დასკვნიდან სწორედ იმას დააფუძ-

ნა, რომელიც წინააღმდეგობრივია, კერძოდ, დასკვნა და ექსპერტის ჩვენება ურთიერთგამომრიცხავია. სასამართლო საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების სრული ანალიზისა და სწორად შეფასების პირობებში, საპირისპირო გადაწყვეტილებას გამოიტანდა. სასამართლოს მიერ საქმის არასრულ გამოკვლევაზე მიუთითებს ისიც, რომ პირველმა აპელანტმა გაასაჩივრა ის საოქმო განჩინებაც, რომლითაც საქმეს არაკანონიერად დაერთო 2014 წლის 7 თებერვლის (№01-18/034) ექსპერტიზის დასკვნა, რაზეც სასამართლოს არ უმსჯელია გადაწყვეტილებაში.

18. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა მოსარჩელემაც, რომელმაც მისი ნაწილობრვ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგ გარემოებებზე დაყრდნობით მოითხოვა:

18.1 მოსარჩელე სარჩელში არ უთითებდა, რომ №157/25 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები სრულად შეასრულა, არამედ ამტკიცებდა იმას, რომ მენარდემ მიღებული თანხის შესაბამისი სამუშაოები შეასრულა, ხოლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დარჩენილი სამუშაოების დასრულების შესაძლებლობა შემკვეთმა არ მისცა.

18.2 სასამართლომ არასწორად შეაფასა 2009 წლის 23 აპრილის მხარეთა მიერ შედგენილი აქტი, რომელზე ხელმოწერითაც შემკვეთმა აღიარა №157/25 ხელშეკრულების 30%-ით შესრულება. 2009 წლის 10 ივნისს მოპასუხემ მოსარჩელეს ჩაურიცხა 330 620 ლარი, გადახდის დანიშნულებაში კი, პირდაპირ მიუთითა, რომ №157/25 ხელშეკრულების თანახმად, ანაზღაურდა შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება. სასამართლომ არასწორად შეაფასა 2012 წლის 9 იანვრისა და 2013 წლის 4 მარტის წერილებიც, როგორც ურთიერთსაწინააღმდეგო. რეალურად, ორივე წერილით მოპასუხემ აღიარა ბეტონის ფილების შეტანის, მათი ნაწილის დაგებისა და დაუგებელი ფილების მითვისების ფაქტები. სასამართლომ ასევე განსხვავებულად განმარტა 2012 წლის 12 სექტემბრის მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც მხოლოდ ის დასტურდება, რომ მის ტერიტორიაზე შეტანილი ფილებიდან, მხოლოდ მცირე ნაწილი დაუბრუნა მეორე კასატორს.

18.3. სასამართლომ დამოუკიდებელ ექსპერტთა პალატის ექსპერტიზის დასკვნა 313 089.00 ლარის სამუშაოთა შესრულების თაობაზე არ გაიზიარა, რადგან იგი დოკუმენტების კვლევის საფუძველზე იყო შედგენილი და არა – ტერიტორიის დათვალიერების გზით. სასამართლომ არასწორად მიუთითა, რომ ყველა დაკითხულმა ექსპერტმა უარყო დაგებული ფილების არსებობის ფაქტი. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მან დააგო არა – 3000, არამედ 193 კვ.მ ფილა,

რასაც ადასტურებს 2012 წლის 9 იანვრის წერილი და ექსპერტთა ჩვენებები. შემკვეთის მიერ წარმოდგენილი შპს „მ-ა/მ-ის“ დასკვნაც ადასტურებს, რომ მენარდემ მოსამზადებელი სამუშაოები შეასრულა. მართალია, სასამართლოს მიერ დანიშნულმა ექსპერტიზამ (17.04.2015 წლის) შეუძლებლად მიიჩნია №157/25 ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოების ღირებულების დადგენა, თუმცა ექსპერტებმა დაკითხვისას დაადასტურეს ტერიტორიის მოხრეშვისა და ორმაგი ფილების არსებობის ფაქტი.

18.4 გადანყვებილების თანახმად, მოსარჩელემ 1425.5 გრძივი მეტრის სარკინიგზო ლიანდაგი და რ-65 ისრული გადამყვანი დაავგო, სამუშაოთა ღირებულება 1 225 930 აშშ დოლარი იყო. გაურკვეველია, რა სხვაობაა ტერმინებს „დაგებასა“ და „დამონტაჟებას“ შორის, თუ „დაგება“ არ ნიშნავს „დამონტაჟებას“, გამოდის, რომ არც 1425.5 გრძივი მეტრი სარკინიგზო ლიანდაგი დამონტაჟებულია. გარდა ამისა, სასამართლოს ასეთი მსჯელობა ეწინააღმდეგება იმ ორ უდავო გარემოებას, რომ ისრული გადამყვანი არ არის ბოლომდე დამონტაჟებული სათანადო ნებართვის არარსებობის გამო და ისრული გადამყვანის ჩთვლით სარკინიგზო ლიანდაგის სიგრძე 1425.5 მეტრზე გაცილებით მეტია. ამგვარი მსჯელობა ეწინააღმდეგება თავად ხელშეკრულების 4.2. და 4.3 პუნქტებს, რომლითაც ცალცალკეა განსაზღვრული სარკინიგზო ლიანდაგისა და ისრული გადამყვანის ფასები.

19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 25 თებერვლის განჩინებით, საკასაციო საჩივარი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ-ის) 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

20. საკასაციო საჩივრები დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

21. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამო-

ყენება ან/და განმარტება. მოცემულ შემთხვევაში, კასატორებს არ წარმოუდგენიათ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზიები.

22. მოსარჩელის პირველი მოთხოვნა ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესრულებული სამუშაოს ღირებულების – 446 460.00 ლარის მოპასუხისათვის დაკისრებაა. წინამდებარე გადანყვეტილების 1-6 პუნქტში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ეს მოთხოვნა ორი ნაწილისაგან შედგება და მათ განსხვავებული სამართლებრივი საფუძვლები აქვს, კერძოდ, მენარდე 330 620.00 ლარს 2009 წლის 16 თებერვლის №157/25 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ითხოვს, რომელიც შემკვეთის ინიციატივით შეწყდა. ამ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 636-ე (შემკვეთს უფლება აქვს, სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე, მაგრამ მან უნდა აუნაზღაუროს მენარდეს შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი) მუხლი. რაც შეეხება დარჩენილ 115 840 ლარს, მოსარჩელე ამტკიცებს, რომ მის მიერ მოპასუხისათვის შესრულებული (მხარეთა შორის გაფორმებული ყველა ხელშეკრულებით გათვალისწინებული) სამუშაოს ღირებულება 7 296 735.30 ლარია, შემკვეთს კი გადახდებილი აქვს 7 180 895.11 ლარი, შესაბამისად, მოითხოვს შეთანხმებული საზღაურის დარჩენილი ნაწილის გადახდას (სსკ-ის 629.1 მუხლის მიხედვით, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია, გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური).

23. სსკ-ის 636-ე მუხლით გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების წინაპირობებია: მხარეთა შორის ნარდობის ხელშეკრულების დადება; მენარდის მიერ შეთანხმებული სამუშაოს ნაწილის შესრულება; სამუშაოს დასრულებამდე შემკვეთის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა. ამდენად, ნარდობის ხელშეკრულების მოშლა არ ათავისუფლებს შემკვეთს მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურების მოვალეობისგან, რაზეც არც მხარეები დავობენ. მათ შორის სადავო შესრულებული სამუშაოებია, კერძოდ, სარჩელის მიხედვით, ხელშეკრულების შეწყვეტამდე მენარდემ შეასრულა №157/25 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა 30%-ზე მეტი (3000 კვმ-ზე შეიტანა ბალასტი და მოაწყო ვაკისი, შეიძინა და მოპასუხის ტერიტორიაზე შეიტანა 984 კვ.მ ორმაგი არმირების რკინაბეტონის ფილა, საიდანაც მომზადებულ ვაკისზე დაიგო 193.4 კვ.მ ფილა), რომლის ღირებულება 330 620.00 ლარია. შემკვეთის მტკიცებით კი, მენარდეს სამუშაო საერთოდ არ შეუსრულებია და 2009 წლის 10 ივ-

ნის 330 620.00 ლარი №157/25 ხელშეკრულების 4.4 პუნქტის (ხელშეკრულების ღირებულებიდან შემკვეთი გადაურიცხავს შემსრულებელს ავანსის სახით ხელშეკრულების ღირებულების 50%-ს წინასწარ სამუშაოების დაწყებამდე, ხოლო დარჩენილი თანხა ეტაპობრივად ანაზღაურება შესრულებული სამუშაოებიდან გამომდინარე) შესაბამისად ავანსად გადარიცხული თანხაა.

24. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისას ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ხელშეკრულების ის ნაწილი, რომელიც უკვე შესრულდა და ის, რომელიც ხელშეკრულების გამო აღარ უნდა შესრულდეს. ერთ-ერთი მთავარი მტკიცებულება, რომლითაც მოსარჩელე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულებას ადასტურებს, შპს „დ.ე.პ-ატის“ 13.05.2013 წლის საინჟინრო ექსპერტიზაა. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული დასკვნის შეფასებას მის სანდოობასთან დაკავშირებით. დადგენილია, რომ ექსპერტმა კვლევა ჩაატარა მხოლოდ მოსარჩელის მიერ წარდგენილი დოკუმენტების – მენარდის მიერ წარმოებული ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე, შესაბამისად, დაადგინა სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება. რამდენადაც დასკვნაში მითითებული მონაცემები მიღებულია მოსარჩელის მიერ ცალმხრივად შედგენილი დოკუმენტების საფუძველზე, საკასაციო პალატა აღნიშნულ დასკვნას სადავო ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელ ობიექტურ მტკიცებულებად ვერ განიხილავს. გარდა ამისა, დასკვნა სარწმუნოდაც რომ ყოფილიყო მიჩნეული, დადგენილია, რომ ექსპერტს შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება, ადგილზე დათვალიერების გზით, არ შეუფასებია, რის გამოც ექსპერტს რეალურად შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება არ დაუდგენია (დასკვნაში მხოლოდ სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაზეა საუბარი).

25. შემდეგი მტკიცებულება, რომლითაც მოსარჩელე თავისი მოთხოვნის დადასტურებას ცდილობს 2012 წლის 9 იანვრისა და 2013 წლის 4 მარტის მოპასუხე კომპანიის მიერ მოსარჩელისათვის მიწერილი წერილებია. ამგვარი წერილები სამუშაოთა შესრულების ფაქტის დასადასტურებლად არასათანადო მტკიცებულებებია. გარდა ამისა, წერილები რომც აკმაყოფილებდეს მტკიცებულების სტანდარტს, ისინი მაინც არ გამოდგება სასარჩელო მოთხოვნის დასადასტურებლად, რამდენადაც მათში ცალსახად არ არის მითითებული, რომ იმ დროისათვის მენარდეს ფილები დაგებული ჰქონდა (2013 წლის 4 მარტის წერილში მოპასუხე კომპანიის დირექტორი უთითებს, რომ მას შესაძლებლად მიაჩნია სამუშაოთა 30%-ით შესრულებაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება, მას შემდეგ, რაც მენარდე შეტანილ ფილებს სრულად დააგებს).

26. მოსარჩელის მიერ წარდგენილი კიდევ ერთი წერილობითი მტკიცებულება 2009 წლის 23 აპრილის „ხელშეკრულებების შესრულების განხილვაა“, რომელშიც მითითებულია, რომ №157/25 ხელშეკრულება 30%-ით შესრულდა. სასამართლო არც ამ მტკიცებულებას არ მიიჩნევს სათანადოდ და მიუთითებს, რომ სამუშაოთა შესრულება უნდა დასტურდებოდეს, მაგ. ფორმა №2-ით, სამუშაოთა შესრულების, მიღება-ჩაბარების აქტებით, სასაქონლო ზედნადებით, სალაროს გასაგლის ორდერით და ა.შ, რაც კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელემ ვერც ექსპერტებს და ვერც სასამართლოს ვერ წარუდგინა. ამასთან, სასამართლოში დაკითხულმა ყველა ექსპერტმა დაადასტურა, რომ ადგილზე დათვალიერებით მათ ვერ დაადგინეს სამუშაოთა შესრულება.

27. მხარეთა შორის გაფორმებული 12.09.2012 წლის მიღება-ჩაბარების აქტითაც ის დასტურდება, რომ მენარდემ ფილები მოპასუხის ტერიტორიაზე შეიტანა და დაასაწყობა. ამდენად, არც ამ მტკიცებულებით დასტურდება ფილების დაგების ფაქტი. მოსარჩელის კუთვნილი ფილების თავის ტერიტორიაზე არსებობის ფაქტი არც პირველმა კასატორმა არ უარყო (სასამართლო პროცესზე აღნიშნა, რომ მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, მათ მენარდეს დაუბრუნებს, იხ. 8.04.2016 წლის სხდომის ოქმი), თუმცა მიუთითა, რომ მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდებოდა მხოლოდ ფილების დაგების შემთხვევაში.

28. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ №157/25 ხელშეკრულების თანახმად, შესასრულებელი სამუშაო გულისხმობდა 3000 კვ.მ. ფართობზე დიდი ტვირთამწეობის ავტომანქანების სადგომი მოედნებისა და სავალი გზების ორმაგი არმირების რკინა-ბეტონის საფარის მოწყობას. ის ხარჯი რაც მოსარჩელემ განია (შეიტანა ბალასტი, ფილები) და რასაც იგი შესრულებულ სამუშაოდ მიიჩნევს, შესაძლოა, ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი ყოფილიყო, ანუ ის ხარჯი, რომელიც მენარდემ უკვე შესრულებული თუ ჯერ კიდევ შეუსრულებელი (თუმცა სამომავლოდ შესასრულებელი) სამუშაოსათვის გაიღო. ამ ხარჯის განევის მტკიცების ტვირთით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მენარდეს ეკისრება, ანუ მოსარჩელეს სათანადო მტკიცებულებებით უნდა დაემტკიცებინა, თუ რა ხარჯი განია მან №157/25 ხელშეკრულების შესასრულებლად.

შესაბამისად, მოთხოვნა წარმატებული იქნებოდა, თუ ის სათანადო მტკიცებულებით დაადასტურებდა ბალასტისა თუ სხვა საჭირო მასალების შეძენისა და მოპასუხის ტერიტორიაზე შეტანის, ხელშეკრულების შესასრულებლად სხვა მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების ფაქტს. ერთადერთი გარემოება, რისი დამტკი-

ცეზაც მოსარჩელემ შეძლო ფილების მოპასუხის ტერიტორიაზე შეტანა. თუ იგი ამ ფილების ღირებულებას მოითხოვდა, მაშინ მას უკვე შეძენილი მასალის სხვაგან გამოყენების შეუძლებლობა უნდა ემტკიცებინა (შდრ. დანახარჯები მოიცავს მენარდის მიერ გაწულ ისეთ ქმედებებს, რომლებიც უკავშირდება კონკრეტული ნარდობის ხელშეკრულების მიზნებისათვის ადამიანური თუ ფინანსური რესურსების მოზიდვას, მაგ. ისეთი სპეციფიკური მასალები-სა და მოწყობილობების შექმნას, რომელიც მხოლოდ კონკრეტული ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამუშაოებისთვისაა აუცილებელი და შეუძლებელია მათი სხვაგან გამოყენება. სუსგ. №ას-697-663-2015, 15.12.2015).

29. ამდენად, მტკიცების ტვირთის მქონე მოსარჩელემ მტკიცებასავალდებულო გარემოება ვერ დაადასტურა. მართალია, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ თანხის გადარიცხვის დოკუმენტში გადარიცხვის მიზნობრიობაში მითითებულია – შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულება, თუმცა, როგორც აღინიშნა, მენარდემ სამუშაოთა შესრულების ფაქტი სათანადო მტკიცებულებებით ვერ დაადასტურა. მოპასუხემ კი, წარმოადგინა საპირისპირო მტკიცებულება, კერძოდ, 2013 წლის 25 ივნისის შპს „მ-ა/მ-ს“ საექსპერტო დასკვნა, რომლის თანახმადაც „№157/25 ხელშეკრულების მიხედვით, ქარხნის ტერიტორიაზე 3000 კვ.მ ფართზე დიდი ტვირთამწეობის ავტომანქანების სადგომი მოედნებისა და სავალი გზების ორმაგი არმირების რკინაბეტონის საფარი მოწყობილი არ არის. როგორც ტერიტორიის გამოკვლევით დადგინდა, იმ ადგილს, სადაც უნდა მოწყობილიყო სადგომი, მოედნები და სავალი გზები ორმაგი არმირების ბეტონის საფარით ქვიშა-ხრეშისა და ღორღის ქვენაფენის არსებობა არ დასტურდება. აღნიშნული სამუშაოების შესრულების დოკუმენტაცია, ვერც სამუშაოთა აქტები ვერ იქნა წარმოდგენილი მათი არარსებობის გამო“.

30. ამასთან, სამუშაოთა შესრულების ფაქტი ვერც სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნულმა ექსპერტიზამ ვერ დაადაგინა. სიბლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 17 აპრილის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, „მხარეთა შორის გაფორმებული №157/25 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების დადასტურებული დოკუმენტის, ასევე, შესრულებული სამუშაოს პროექტის ან დადასტურებული გეგმის (რითაც შესაძლებელი იქნებოდა განსაზღვრულიყო შესრულებული ან შესასრულებელი სამუშაოების ადგილმდებარეობა, მოცულობა და, შესაბამისად, ღირებულება) საქმის მასალებში არარსებობისა და მოხრეშვითი სამუშაოების ხანდაზმულობის გამო, ტექნიკურად შეუძლებელია, განსაზღვრა იმი-

სა, აქვს თუ არა, და თუ აქვს რა სახისა და რა ღირებულების სამუშაოები აქვს შესრულებული მოსარჩელეს მოპასუხისათვის“.

31. როგორც აღინიშნა, ხელშეკრულების შესრულებული ნაწილის მიმართ კანონი ადგენს შეთანხმებული საზღაურის ანაზღაურების ვალდებულებას. შესრულებულ სამუშაოთა მტკიცების ტვირთი მენარდეს ეკისრება. მოსარჩელემ 330,620.00 ლარის ღირებულების სამუშაოთა შესრულების ფაქტი ვერ დაამტკიცა, რის გამოც მისი მოთხოვნა ამ ნაწილში დაუსაბუთებელია. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება 330 620.00 ლარის მოპასუხისათვის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში კანონიერია და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს (სსკ-ის 410-ე მუხლი).

30. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დასაბუთებელია გასაჩივრებული გადაწყვეტილება მოპასუხისათვის 115 840 ლარის დაკისრების ნაწილში, შესაბამისად, დაუსაბუთებელია პირველი კასატორის პრეტენზია შესრულებული სამუშაოს დარჩენილი ნაწილის ანაზღაურებაზე უარის თქმის თაობაზე შემდეგ მოსაზრებათა გამო:

115 840 ლარს მოსარჩელე მოითხოვდა, როგორც დარჩენილ გადაუხდელ საზღაურს, საერთო ჯამში, ყველა ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესრულებულ სამუშაოთათვის. ამ ნაწილში მოპასუხე სამუშაოთა შესრულების ფაქტს არ ედავება, მისი შესაგებელი ისაა, რომ მან შესრულებული სამუშაოები სრულად ანაზღაურა და მოსარჩელისათვის ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით უფრო მეტიც აქვს გადახდილი, კერძოდ, შემკვეთის მითითებით, მოსარჩელემ ანაზღაურებულ თანხას არ მიუმატა მის მიერ ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდილი 220 000 ლარი. შესაბამისად, პირველი კასატორი მოითხოვს 220 000 ლარის მენარდისათვის გადახდილად მიჩნევას, რაც, ერთი მხრივ, გამორიცხავს მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებას 115 840 ლარის შემკვეთისათვის დაკისრების ნაწილში და, მეორე მხრივ, შემკვეთის მიერ შეგებებული სარჩელით მოთხოვნილი ზედმეტად გადახდილი თანხის (საკასაციო საჩივრის მიხედვით – 104 158, 77 ლარის), სსკ-ის 385-ე მუხლისა და 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უკან დაბრუნების ფაქტობრივი წინაპირობა იქნება.

სასამართლოს მიერ დანიშნული საბუღალტრო ექსპერტიზის დასკვნაც ამგვარია, კერძოდ, სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს 17.04.2015 წლის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, „წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ ნაღდი ფულით ანგარისწორება, ანუ 220 000 ლარის ანაზღაურების საკითხი, არის სადავო. იმ შემთხვევაში, თუ 220 000 ლარი ჩაითვლება ანაზღაურებულად, მაშინ, შესრულებულ სამუშაოთა ღირებულებასთან შედარებით, სხვაო-

ბა არის 104 158.77 ლარი, ანუ მოსარჩელისათვის 104 158.77 ლარით მეტია ანაზღაურებული, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ 220 000 ლარი არ ჩაითვლება ანაზღაურებულად, მაშინ, შესრულებულ სამუშაოთა ღირებულებასთან შედარებით, სხვაობა არის 115 841.23 ლარი, ანუ მოსარჩელისათვის 115 841.23 ლარით ნაკლებია ანაზღაურებული“.

32. მენარდე ედავება 220 000 ლარის მიღების ფაქტს. ნარდობითსამართლებრივ ურთიერთობაში მოქმედი მტკიცების ტვირთის განაწილების ნესის მიხედვით, სადავოობის შემთხვევაში, შესრულებული სამუშაოს ღირებულების მენარდისათვის ანაზღაურება შემკვეთმა უნდა ამტკიცოს, შესაბამისად, თანხის გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა მისთვის აუცილებლობას წარმოადგენს (სსკ-ის 429.1 (კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი) მუხლი).

33. განსახილველ შემთხვევაში, თანხის გადაცემის ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებად მოპასუხემ 2008 წლის 11 აგვისტოსა (20 000-ლარიანი) და 2009 წლის 5 აგვისტოს (100 000-ლარიანი) სალაროს გასავლის ორდერები და 2009 წლის 24 ნოემბრისა (50 000-ლარიანი) და 2009 წლის 17 დეკემბრის (50 000-ლარიანი) სალაროს ვაუჩერები წარადგინა (სულ 220 000 ლარი).

პალატა შემკვეთის მიერ წარმოდგენილ წერილობით საბუთს დასაშვებ და საკმარის მტკიცებულებად მიიჩნევდა, მენარდეს მათი ნამდვილობა სადავოდ რომ არ გაეხადა, კერძოდ, მისი მითითებით, სადავო წერილობით საბუთებზე ხელმოწერა მენარდე კომპანიის დირექტორს არ ეკუთვნის.

34. მითითებულ სადავო საკითხთან დაკავშირებით მოპასუხემ წარმოადგინა 2013 წლის 20 მარტისა და 2013 წლის 13 სექტემბრის სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დოკუმენტების ტექნიკური, ხელნაწერებისა და ხელმოწერების ექსპერტიზის დასკვნები, რომლებიც არსებითად ერთი და იმავე შინაარსისაა, კერძოდ, 2008 წლის 11 აგვისტოს (20 000-ლარიანი) სალაროს გასავლის ორდერსა და 2009 წლის 24 ნოემბრის (50 000-ლარიანი) სალაროს ვაუჩერზე ხელმოწერა და შესაძარებელ დოკუმენტებზე არსებული ხელმოწერა შესრულებულია ერთი და იმავე პირის მიერ, ხოლო დარჩენილ ორ სადავო დოკუმენტზე ხელმოწერები შეასრულა თუ არა შესაძარებელ დოკუმენტებზე ხელმოწერმა ერთმა და იმავე პირმა ვერ დადგინდა.

საყურადღებოა, რომ წარმოდგენილი დასკვნების მიხედვით, სადავო დოკუმენტებსა და შესაძარებელ დოკუმენტებზე ხელმოწე-

რა ერთი და იმავე პირის მიერაა შესრულებული, თუმცა არ დგინდება, რომ ისინი მოსარჩელე კომპანიის დირექტორს ეკუთვნის.

35. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე, სადავო საკითხის დასადგენად დაინიშნა ექსპერტიზა. 2013 წლის 24 დეკემბრის ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დოკუმენტების ტექნიკური, ხელნაწერებისა და ხელმოწერების ექსპერტიზამ დაასკვნა, რომ 2008 წლის 11 აგვისტოს (20 000-ლარიანი) სალაროს გასავლის ორდერზე ხელი მოსარჩელე კომპანიის დირექტორმა მოაწერა. 2009 წლის 17 დეკემბრის სალაროს (50 000-ლარიან) ვაუჩერზე, სავარაუდოდ, ხელი დირექტორს აქვს მოწერილი, თუმცა კატეგორიული ფორმით პასუხის გაცემა ვერ ხერხდებოდა, ხოლო დანარჩენ ორ დოკუმენტზე ხელმოწერა ეკუთვნოდა თუ არა კომპანიის დირექტორს, არ დგინდებოდა. საყურადღებოა, რომ მითითებულ დასკვნას არ ერთვის ხელმოწერის შედარების კვლევის ფოტოილუსტრაცია.

36. მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე საქმეს დაერთო 2014 წლის 7 თებერვლის გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სასამართლო ექსპერტიზისა და კრიმინალისტიკის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დასკვნა, რომლის თანახმადაც, არცერთ სადავო დოკუმენტზე არსებული ხელმოწერა არ ეკუთვნის მოსარჩელე კომპანიის დირექტორს.

37. პალატის მოსაზრებით, მითითებული ექსპერტიზის დასკვნები, მათი წინააღმდეგობრიობის გამო, სადავო ფაქტის დასადასტურებლად არ გამოდგება, ისინი ხელმოწერების ნამდვილობასთან დაკავშირებით ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას არ იძლევა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მართებულად მიაჩნია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ განმეორებითი კალიგრაფიული ექსპერტიზის დანიშვნა, ვინაიდან სსსკ-ის 173.2 მუხლისა (თუ სასამართლო არ ეთანხმება ექსპერტის დასკვნას დაუსაბუთებლობის მოტივით, აგრეთვე, თუ რამდენიმე ექსპერტის დასკვნა ეწინააღმდეგება ერთმანეთს, სასამართლოს შეუძლია, თავისი ინიციატივით დანიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა და მისი ჩატარება დაავალოს სხვა ექსპერტს ან ექსპერტებს, თუ არსებობს ამ კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პირობები) და ამავე კოდექსის 162.1 მუხლის (თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, სასამართლოს შეუძლია, თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადან-

ყვეტისათვის და მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია) შესაბამისად, საქმის მასალები ამის საფუძველს ქმნიდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2014 წლის 3 დეკემბრის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად: 2009 წლის 17 დეკემბრისა და 2009 წლის 24 ნოემბრის სალაროს ვაუჩერებზე, 2008 წლის 11 აგვისტოს სალაროს გასავლის ორდერზე, 2009 წლის 16 თებერვლის №157/25 ხელშეკრულებასა და 2009 წლის 16 მარტის №157/25 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ შეთანხმებაზე კომპანიის დირექტორის სახელით ხელი მოწერილია არა დირექტორის, არამედ სხვა პირის მიერ, ხოლო 2009 წლის 5 აგვისტოს სალაროს გასავლის ორდერზე არსებული ხელმოწერა შეასრულა თუ არა მოსარჩელე კომპანიის დირექტორმა ვერ დადგინდა.

38. პირველი კასატორი არ ეთანხმება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2014 წლის 3 დეკემბრის ექსპერტიზის დასკვნას, ვინაიდან მიიჩნევს, რომ იგი საეჭვო და წინაარმდეგობრივია, კერძოდ, დასკვნა და ექსპერტის ჩვენება ურთიერთგამომრიცხავია.

პალატა მიიჩნევს, რომ ამგვარი შედავება არაკვალიფიციურია, ვინაიდან არ შეიცავს დასაბუთებას, კონკრეტულად რაში გამოიხატა დასკვნისა და ექსპერტის ჩვენების ურთიერთწინააღმდეგობა.

39. პირველი კასატორის პრეტენზია ისიცაა, რომ სასამართლომ თავისი შინაგანი რწმენა ოთხი ექსპერტიზის დასკვნიდან რატომღაც სწორედ საეჭვო დასკვნას დააფუძნა და არა – სხვა დასკვნებს.

სსსკ-ის 172-ე მუხლის შესაბამისად, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და ის სსსკ-ის 105-ე მუხლით დადგენილი წესით ფასდება. ექსპერტიზის დასკვნა მტკიცებულების ერთ-ერთ სახეა და სასამართლო თავისი მოტივირებული გადაწყვეტილებით ასაბუთებს აღნიშნული მტკიცებულების გაზიარების მართლზომიერებას. სსსკ-ის 105-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამდენად, სასამართლო სადავო გარემოებათა არსებობა-არარსებობის დადგენისას, ინდივიდუალურად და ერთობლივად აფასებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, რის შედეგად აყალიბებს თავის

შინაგან რწმენას გამოსაკვლევეი საკითხის მიმართ (შდრ. სუსგ საქ-მე №ას-589-896-09, 22 იანვარი, 2010 წელი).

40. განსახილველ შემთხვევაში, სადავო საკითხის გამოკვლევა საჭიროებდა სპეციალურ ცოდნას, ამასთან, რამდენადაც თანხის გადაცემის მტკიცების ტვირთი შემკვეთის მხარეს იყო, მასვე ეკისრებოდა სადავო ხელმოწერების ნამდვილობის მტკიცების ტვირთიც. ამის დასადასტურებლად მის მიერ წარდგენილი ორი ექსპერტიზის დასკვნის საპირისპირო სათანადო მტკიცებულება მენარდემ წარმოადგინა. დასკვნათა ურთიერთწინააღმდეგობის გამო, სადავო საკითხთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ კვლავ დანიშნა ექსპერტიზა. მითითებულ ექსპერტიზის დასკვნასთან დაკავშირებით, პირველმა კასატორმა წარმოადგინა ზოგადი და აბსტრაქტული შედეგება, კერძოდ, ვერ მიუთითა ვერცერთ იმ გარემოებაზე, რაც დასკვნის სისწორესა და სანდოობაში სასამართლოს ეჭვის შეტანის საფუძველს გაუჩნდა.

41. საკასაციო სასამართლო საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა და მხარეთა მიერ მითითებულ გარემოებათა ურთიერთშეჯერების შედეგად იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ სადავო ხელმოწერების სიყალბის დასადგენად სარწმუნოდ უნდა ჩაითვალოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2014 წლის 3 დეკემბრის ექსპერტიზის დასკვნა. ამავდროულად, საკასაციო სასამართლო ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სადავო ფაქტის დასადგენად სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება მხოლოდ მითითებულ ექსპერტის დასკვნას არ ემყარება. შეაფასა რა სააპელაციო პალატამ საქმეში წარდგენილი თითოეული დასკვნა, სასამართლო სხდომაზე დაკითხული ხელწერილის ექსპერტიზის შემდგენი ყველა ექსპერტის პასუხი დასმულ კითხვებზე, მათი დასაბუთებულობა, მართებულად დაასკვნა, რომ სადავო ხელმოწერები არ ეკუთვნის მოსარჩელე კომპანიის მაშინდელ დირექტორს. საკასაციო პალატა იზიარებს მეორე კასატორის საკასაციო პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ ამ კუთხით დასაბუთებისა და მტკიცების ტვირთის მქონე შემკვეთმა ერთმნიშვნელოვნად და დამაჯერებლად ვერ შეძლო სადავო ფაქტობრივი გარემოების დამტკიცება (შდრ. სუსგ №ას-279-264-17, 21.04.17 წელი „მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტი მიუთითებს სასამართლოსათვის არა სუბიექტურ მოსაზრებებზე დაყრდნობით მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადგენილად მიჩნევაზე, არამედ მოსამართლის შინაგან რწმენაზე, რომელიც მჯგობრებითობის ფარგლებში მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ შეფასებაზეა დაფუძნებული).

42. ამრიგად, რადგანაც შემკვეთმა სათანადო და დასაშვები წერილობითი მტკიცებულებებით უტყუარად ვერ დაამტკიცა მოსარჩელისათვის ფულადი თანხის გადაცემა, ვლინდება სსკ-ის 629.1 მუხლის წინაპირობები, შესაბამისად, საფუძვლიანია მოსარჩელის მოთხოვნა მის მიერ შესრულებული სამუშაოს დარჩენილი ნაწილის (115 840 ლარის) ანაზღაურების თაობაზე, ხოლო შეგებებული სარჩელით მოსარჩელის მოთხოვნა მენარდისაგან ზედმეტად გადახდილი თანხის, 104 158. 77 ლარის, დაბრუნების თაობაზე, უსაფუძვლოა რამდენადაც ვალდებულების გარეშე შემკვეთის მიერ მენარდისათვის თანხის გადახდის ფაქტი არ დადგინდა, შესაბამისად, არც სსკ-ის 385-ე მუხლისა და 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის წინაპირობები გამოვლინდა. ამდენად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება 115 840 ლარის მოპასუხისათვის დააკისრებისა და მოსარჩელისათვის 104 158. 77 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში კანონიერია და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს (სსსკ-ის 410-ე მუხლი).

43. მეორე კასატორი საკასაციო საჩივრით ასევე ასაჩივრებდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას იმ ნაწილში, რომლითაც მისი მოთხოვნა №157/25 ხელშეკრულების უკანონო შეწყვეტით მიყენებული ზიანის – 41 259.00 აშშ დოლარის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა და შემკვეთისათვის 41 259.00 აშშ დოლარის დაკისრებას მოითხოვდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2016 წლის 8 აპრილს სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე კომპანიის დირექტორმა და მისმა წარმომადგენელმა უარი განაცხადეს მოპასუხისათვის 41 259.00 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ სასარჩელო მოთხოვნაზე.

44. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებულ სასარჩელო მოთხოვნაზე წარმოება უნდა შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი (მხარეებს შეუძლიათ, საქმისწარმოება მორიგებით დაამთავრონ, მოსარჩელეს შეუძლია, უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი), სამოქალაქო სამართალწარმოების ფუნდამენტურ პრინციპს – დისპოზიციურობას განამტკიცებს.

სსსკ-ის 399-ე (საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს) და 372-ე (საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ

თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით) მუხლების დანანესიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, საქმის განხილვის ეტაპზე დაუბრკოლებლად იხელმძღვანელოს საქმის განხილვის იმ ნორმებით, რომლებიც ქვემდგომი ინსტანციების სასამართლოებისათვის საკასაციო სამართალწარმოებისას სპეციალურ რეგულაციას არ ექვემდებარება. თავის მხრივ, საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მოქმედება არ შემოიფარგლება მხოლოდ პირველი ინსტანციის წესით საქმის განხილვაზე და მასში მითითებული თითოეული საპროცესო მოქმედების შესრულება მხარეს შეუძლია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე.

სსსკ-ის 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმისწარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე. ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, საქმისწარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

მითითებული ნორმებიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მიერ სარჩელის მეორე მოთხოვნაზე (მოპასუხისათვის 41,259.00 აშშ დოლარის დაკისრება) უარის თქმის გამო, ამ სასარჩელო მოთხოვნაზე წარმოება უნდა შეწყდეს.

45. მეწარმე სარჩელით მოითხოვდა №157/45 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოსათვის ასანაზღაურებელი თანხის 81 792.00 აშშ დოლარის (ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტით) მოპასუხისათვის დაკისრებასაც, კერძოდ, იგი მიუთითებდა, რომ მოსარჩელემ დაამონტაჟა 1425.5 გრძივი მეტრი რკინიგზა, ასევე, შეასრულა 80.6 გრძივ მეტრზე მინის ვაკისის მონყობისა და დაშენების სამუშაოები რ-65 ტიპის ისრული გადამყვანის მოსაწყობად, შეიძინა რ-65 ტიპის 1/11 ისარი და გადამყვანი რელსები, რომელიც მიტანილია ქარხნის ტერიტორიაზე. ვინაიდან მოპასუხემ ვერ შეძლო შესაბამისი ნებართვის მიღება, მოსარჩელეს ისრული გადამყვანის რკინიგზასთან მიერთების შესაძლებლობა არ მიეცა. შესაბამისად, მოსარჩელე მოითხოვდა 80.6 მეტრი ისრული გადამყვანის მონყობის სამუშაოებისა და რ-65 ტიპის ისრული გადამყვანის ღირებულების – 81 792.00 აშშ დოლარის მოპასუხისათვის დაკისრებას.

46. მოსარჩელის მიერ მითითებული ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მისი მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 633-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადება (შემკვეთი ვალდე-

ბულია, ანაზღაუროს ზიანი მაშინაც, როცა იგი არ შეასრულებს სამუშაოს შესრულებისათვის აუცილებელ მოქმედებას). მითითებული ნორმით გათვალისწინებული ზიანი სწორედ ის ზიანია, რომელიც მენარდემ კონკრეტული ნარდობის ხელშეკრულებით შეთანხმებულ სამუშაოთა შესასრულებლად განია, კერძოდ, ისეთი სპეციფიკური მასალა და მონყობილობები შეიძინა, რომელიც, მოსარჩელის მტკიცებით, მხოლოდ ამ ნარდობის ხელშეკრულების შესასრულებლად იყო აუცილებელი და რ-65 ტიპის ისრულ გადამყვანს სხვაგან ვერ გამოიყენებს. ფაქტობრივად, მენარდე მოითხოვს ზიანს – 81 792.00 აშშ დოლარს, რომელიც მან №157/45 ნარდობის ხელშეკრულების შესასრულებლად განია, თუმცა მის დასამონტაჟებლად აუცილებელი ნებართვის არარსებობის გამო, (ხელშეკრულების თანახმად, ნებართვა შემკვეთს უნდა მიეღო) სამუშაო ვერ შეასრულა. ამდენად, მენარდე მოითხოვს არა შესრულებულ სამუშაოთა ანაზღაურებას, არამედ – ზიანს.

47. აღნიშნულ მოთხოვნასთან დაკავშირებით, მოპასუხის შესაგებელი ისაა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო 1425,5 გრძივი მეტრი ლიანდაგის დაგება, რომელიც რ-65 ტიპის ისრული გადამყვანების მონტაჟსაც მოიცავდა, იგი ცალკე არ ანაზღაურდებოდა. ისრული გადამყვანის გარეშე ლიანდაგების დაგებას აზრი დაეკარგებოდა, ხოლო მოპასუხე აიღებდა თუ არა ნებართვას ისრული გადამყვანების მონტაჟზე, არაარსებითია, რამდენადაც შეთანხმებული საზღაური სრულად არის ანაზღაურებული.

48. საკასაციო სასამართლო იზიარებს გასაჩივრებული გადანყვეტილების მსჯელობასა და დასკვნებს მხარეთა მიერ გამოვლენილი ნამდვილი ნების შეფასებასთან დაკავშირებით, რომელიც ხელშეკრულების სწორ ანალიზს ეყრდნობა. კერძოდ, ხელშეკრულების საგანი იყო „ქარხნის ტერიტორიაზე 1425,5 გრძივი მეტრი სარკინიგზო ლიანდაგებისა და რ-65 ტიპის ისრული გადამყვანის (განძელების კომპლექტთან ერთად) მონტაჟი“. მითითებული ჩანაწერიდან ცალსახად გამომდინარეობს, რომ 1425,5 გრძივი მეტრი უნდა ყოფილიყო სარკინიგზო ლიანდაგი და ისრული გადამყვანი ერთად. მხარეთა მიერ გამოვლენილი ნება, ბუნდოვანებისა და არაზუსტობის საფუძველით, სსკ-ის 52-ე მუხლით განმტკიცებული (ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტოოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან) გონივრული განსჯის საფუძველზეც რომ განიმარტოს, საპირისპირო დასკვნის საფუძველი მაინც არ არსებობს, რადგან თავად მხარეებმაც განმარტეს, რომ სარკინიგზო ლიანდაგი ისრული გადამყვანის გარეშე უფუნქციოა, ვერ იმუშავებს, ამდენად, 1425,5 გრძივი მეტრის მხოლოდ ლიანდაგის დაგებას აზრი

არ ექნებოდა, ისრული გადამყვანის სიგრძე კი, ხელშეკრულებაში ცალკე მოცემული არ არის. შესაბამისად, ხელშეკრულების ერთიანი ანალიზიდანაც დგინდება, რომ 1425,5 გრძივ მეტრში შედის როგორც სარკინიგზო ლიანდაგი, ისე ისრული გადამყვანი.

49. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მეორე კასატორის ახსნა-განმარტება, რომ 80.6 გრძივი მეტრის ისრული გადამყვანი ცალკე უნდა ანაზღაურებულიყო, არაა დამაჯერებელია. ეს არც სადავო შეთანხმებიდან არ გამომდინარეობს. მართალია, ხელშეკრულებაში მათი ფასი ცალ-ცალკე პუნქტად არის მითითებული, მაგრამ აღნიშნული არ ქმნის იმ დასკვნის საფუძველს, რომ ორივე მათგანის სიგრძე ჯამში 1425,5 გრძივ მეტრზე მეტი უნდა ყოფილიყო. ამასთან, არც მიღება-ჩაბარების აქტიდან და არც საგადასახადო ანგარიშგაქტურიდან არ დგინდება, რომ შესასრულებელი ვალდებულება 1425,5 გრძივ მეტრს პლიუს 80.6 გრძივი მეტრი იყო. მეორე კასატორი არც ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბებაზე არ მიუთითებს (სსკ-ის 631-ე მუხლი). ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, მოპასუხისათვის 81 792.00 აშშ დოლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში, გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

50. სსსკ-ის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

51. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივრებს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადანყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

52. სსსკ-ის 49-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება. ამავე მუხლის მეორე და მესამე ნაწილების თანახმად, თუ სარჩელზე უარის თქმა ან სარჩელის ცნობა დავის საგნის მხოლოდ ნაწილს შეეხება, სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულება განისაზღვრება დარჩენილი ნაწილის შესაბამისად. სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ან სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განახევრება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, მხოლოდ ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელ-

მნიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში.

53. კანონის აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე, ვინაიდან საკასაციო საჩივრის არსებითად განხილვისას სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ მხოლოდ დავის საგნის ნაწილზე თქვა უარი, მეორე კასატორს უნდა დაუბრუნდეს ამ ნაწილის პროპორციულად გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნახევარი, კერძოდ, მის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი 8000.00 ლარიდან (საგადახდო დავალება №1, გადახდის თარიღი 19.08.2015) უნდა დაუბრუნდეს 339.00 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, მე-8, 49(1)(4), 257(1), 264(3), 272(„გ“), 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ა. მ-ის“ წარმომადგენლების – ა. ლ-ასა და ი. ჟ-ის შუამდგომლობა, სარჩელის მეორე მოთხოვნაზე უარის თქმის გამო, საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა შპს „ა. მ-ის“ სარჩელი 16.02.2009 წლის №157/25 ხელშეკრულების შეწყვეტით მიყენებული ზიანის – 41 259.00 აშშ დოლარის შპს „ე. ს-სისათვის“ დაკისრების თაობაზე და ამ ნაწილში შპს „ა.-მ-ის“ სარჩელზე შეწყდეს საქმისწარმოება;

3. განემარტოთ მხარეებს, რომ საქმისწარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით დაუშვებელია;

4. კასატორ შპს „ა.-მ-ს“ დაუბრუნდეს მის საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (8000.00 ლარის, საგადახდო დავალება №1, გადახდის თარიღი 19.08.2015) ნაწილი – 339.00 ლარი;

5. შპს „ე. ს-სის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

6. შპს „ა.-მ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

7. გასაჩივრებულ ნაწილში უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება;

8. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარდობა

ბანჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1815-2018

24 აპრილი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავეძე

დავის საგანი: ნასყიდობის გარიგების ბათილად ცნობა, ნარდობის ხელშეკრულებიდან გასვლა, თანხის დაკისრება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. საჯარო რეესტრის ამონაწერისა და მშენებლობის ნებართვებთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებების საფუძველზე ქ. ბათუმში, ... ქ. №26-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ს/კ: ...) (შემდეგში: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) მშენებლობაზე ნებართვა მიეცა შპს „ე. კ-ს“ (შემდეგში: კომპანია ან საწარმო), რომელმაც მშენებლობა დაიწყო 2010 წელს და 2014 წლის მდგომარეობით, მშენებარე საცხოვრებელი სახლის შესაქუთრებლად აღირიცხნენ საწარმო, ე. ს-ძე (შემდეგში: მესამე მოსარჩელე), ი. ნ-ძე, უ. ს-ა, რ. გ-ი (შემდეგში: პირველი მოპასუხე ან მეორე აპელანტი), შპს „კ. კ-ი“.

2. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო დოკუმენტში, 2010 წლის პექტისაგან განსხვავებით, 2013 წლის ახალი პექტის მიხედვით, გათვალისწინებულია შენობაზე სართულის დამატება და, სარდაფის სართულთან ერთად, მიწის ნიშნულიდან ზემოთ, ნაცვლად სამი სართულისა, განისაზღვრა ოთხი სართული მანსარდით.

3. თვითმმართველი ქ. ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს – საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 3 ივლისის №03/1711 ბრძანებით, დაკმაყოფილდა კომპანიის განცხადება მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის სამშენებლო დოკუმენტაციაში ცვლილების შეტანის თაობაზე და ახალი მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ, ხოლო ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 23 მარტის №7/629 ბრძანებითა და პირველი ივნისის №7/1309 ბრძანებით მშენებლობის ვადა გაგრძელდა 2015 წლის 30 აგვის-

ტომდე. საქმის განხილვის მომენტისათვის შენობა ექსპლუატაცი-
აში მიღებული არაა.

4. საჯარო რეესტრის ამონაწერების თანახმად, დავის განხილ-
ვის დროისათვის, მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსში, პირვე-
ლი მოპასუხის საკუთრებად ირიცხება სამი მშენებარე უძრავი ქო-
ნება. მათ შორის ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 82,81
კვ.მ ფართი, რომლის რეგისტრაციის საფუძველს წარმოადგენს
2014 წლის 4 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმეუ-
ლი კომპანიასა და პირველ მოპასუხეს შორის, ხელშეკრულების მი-
ხედვით, „ნასყიდობის საგნის ღირებულება განისაზღვრა 35000 აშშ
დოლარი“. 5. ჯ-ას (შემდეგში: პირველი მოსარჩელე, პირველი აპე-
ლანტი, პირველი კასატორი) საკუთრებაში, სანარმოსთან 2014 წლის
4 ნოემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძ-
ველზე, ირიცხება ს/კ: ... რეგისტრირებული 34,19 კვ.მ. ფართის მშე-
ნებარე მანსარდა; თ. ა-ის (შემდეგში: მეორე მოსარჩელე ან მეორე
კასატორი) საკუთრებაში ირიცხება ... საკადასტრო კოდით 32,87
კვ.მ მშენებარე ფართი და ... საკადასტრო კოდით – 88, 33 კვ.მ.
მშენებარე ფართი; ორივე შემთხვევაში უძრავი ქონების რეგის-
ტრაციის საფუძველია სანარმოსთან 2014 წლის 4 ნოემბერს დადე-
ბული ნასყიდობის ხელშეკრულება.

5. სარჩელის მოთხოვნა და ფაქტობრივი საფუძვლები

5.1. პირველმა, მეორე და მესამე მოსარჩელებმა სარჩელი აღ-
ძრეს პირველი მოპასუხისა და ა. გ-ის (შემდეგში: მეორე მოპასუხე
ან მესამე აპელანტი) წინააღმდეგ, ხოლო საბოლოოდ დაზუსტე-
ბული სარჩელით მოითხოვეს:

5.1.1. სანარმოსა და პირველ მოპასუხეს შორის, ამ უკანასკნე-
ლის სახელზე, საჯარო რეესტრში მრავალბინიან საცხოვრებელ
სახლში ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 82,81 კვ.მ. მშე-
ნებარე ფართის საკუთრების უფლების დამდგენ დოკუმენტად მი-
თითებული 2014 წლის 4 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების
ბათილად ცნობა;

5.1.2. კომპანიასა და პირველ მოპასუხეს შორის 2014 წლის 4
ნოემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ნარდობის
ხელშეკრულებად აღიარება;

5.1.3. მოსარჩელებსა და მოპასუხეებს შორის დადებული ნარ-
დობის ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარება;

5.1.4. მოპასუხეებისთვის მოსარჩელების სასარგებლოდ, სო-
ლიდარულად, 40 000 აშშ დოლარის დაკისრება;

5.2. პირველი და მეორე მოსარჩელების მოთხოვნას წარმოად-
გენს – ნარდობის ხელშეკრულების დადგენასა და მათი ხელშეკ-
რულებიდან გასვლის შემდეგ, უძრავი ქონების, მდებარე ქ. ბათუმ-

ში ... ქ. №26, საკადასტრო კოდით ... რეგისტრირებული 82.81 კვ.მ. ფართის (რომელიც პირველი მოპასუხის საკუთრებად ირიცხება) მათ საკუთრებად აღრიცხვა;

5.3. პირველმა მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებით მოითხოვა, მის სასარგებლოდ, მოპასუხეებისთვის 101 000 აშშ დოლარის დაკისრება;

5.4. მეორე მოსარჩელემ მოითხოვა, მის სასარგებლოდ, მოპასუხეებისთვის 18 000 აშშ დოლარის დაკისრება;

5.5. მესამე მოსარჩელემ მოითხოვა, მის სასარგებლოდ, მოპასუხეებისთვის 4 961.12 ლარის დაკისრება.

6. მოპასუხეების შესაგებელი

6.1. მოპასუხეებმა წერილობით წარდგენილი შესაგებლებით სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ

6.1.1. პირველ მოპასუხეს მოსარჩელებთან გარიგება არ დაუდია, რის გამოც მას მშენებლობის დასრულების ვალდებულება არ გააჩნდა, შესაბამისად, ვალდებულების შესრულებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მის მიმართ უსაფუძვლო იყო;

6.1.2. მეორე მოპასუხის განმარტებით, არ არსებობდა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი, ვინაიდან უძრავი ქონება კანონის სრული დაცვით იყო შექმნილი (იხ. შესაგებელი).

7. ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

7.1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:

7.1.1. ბათილად იქნა ცნობილი უძრავ ქონებაზე მდებარე ქ. ბათუმში ... ქ. №26-ში (ს/კ: ...), 2014 წლის 4 ნოემბერს კომპანიასა და პირველ მოპასუხეს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება.

7.1.2. კომპანიასა და პირველ მოპასუხეს შორის, 2014 წლის 4 ნოემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება (უძრავ ქონებაზე, მდებარე ქ. ბათუმში ... ქ. №26-ში, ს/კ: ...) აღიარებულ იქნა ნარდობის ხელშეკრულებად;

7.1.3. მოსარჩელებსა და მოპასუხეებს შორის 2014 წლის 4 ნოემბერს დადებული ნარდობის ხელშეკრულება აღიარებულ იქნა შეწყვეტილად;

7.1.4. ხელშეკრულების მოშლის გამო, ქ. ბათუმში, ... ქ. №26-ში მდებარე, ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 82.81 კვ.მ ფართის აღრიცხვა განისაზღვრა კომპანიის უფლებამონაცვლებების – პირველი და მეორე მოსარჩელების საკუთრებად;

7.2. სარჩელი დანარჩენ ნაწილში (იხ. წინამდებარე განჩინების

5.1.4, 5.3-5.5 ქვეპუნქტები), არ დაკმაყოფილდა.

7.3. საქალაქო სასამართლოს განმარტებით დადგენილი და უდავო იყო, რომ ქ. ბათუმში, ... ქ. №26-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობას ახორციელებდა კომპანია. მან მშენებლობა 2010 წელს დაიწყო. მშენებლობის გაგრძელების ეკონომიური საშუალების არქონის გამო, ველარ შეძლო სამუშაოთა გაგრძელება, ვერ გადასცა მეორე მოსარჩელეს 124 კვ.მ. ფართი, ვერ გადაიხადა მისი რემონტის თანხა – 15000 ლარი, ვერ გადაიხადა პირველი მოსარჩელის ვალი, ასევე ს. ს-ძის ვალი – 15 000 ევრო. ამ ვალის გამო, მისი კუთვნილი ფართი გაიყიდა აუქციონზე. საქმის განხილვის მომენტისათვის, შენობა ექსპლუატაციაში მიღებული არაა.

7.4. ქ. ბათუმში, ... ქ. № 26-ში, პირველი მოპასუხის საკუთრებად ირიცხება სამი უძრავი ქონება, მათ შორის, ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული – 82,81 კვ.მ. ფართი, რომლის რეგისტრაციის საფუძველს წარმოადგენს 2014 წლის 4 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება, გაფორმებული კომპანიასა და პირველ მოპასუხეს შორის;

7.5. კომპანიამ, 2014 წლის 4 ნოემბერს, სამი გარიგება გააფორმა, რომლითაც: 1) მეორე მოსარჩელემ მიიღო მისი კუთვნილი ფართი, 2) პირველმა მოსარჩელემ ვალის სანაცვლოდ მიიღო 34.19 კვ.მ. ფართი, რომელზედაც მანსარდის დაშენებით ამოიღებდა გარკვეულ ღირებულებას, ხოლო 3) პირველმა მოპასუხემ მანსარდის დაშენებისა და მშენებლობის დასრულების სანაცვლოდ მიიღო 82.81 კვ.მ. ფართი;

7.6. 7.6. 2014 წლის 4 ნოემბრის შემდეგ, მეორე მოპასუხემ ქ. ბათუმში, ... ქ. №26-ში მდებარე, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩაატარა ტროტუარის მოწყობითი სამუშაოები, სახლის სადარბაზოს მოსაპირკეთებელი სამუშაოები, ასევე, ელექტროენერჯის და წყალგაყვანილობის კომუნიკაციის ჩართვისათვის, 2015 წლის 11 თებერვალს, შპს „ბ.ნ-ს“ გადაუხადა 850 ლარი, 2015 წლის 10 თებერვალს, სს „ე.პ-ჯ-ას“ გადაუხადა 2400 ლარი.

7.7. ს.ს-ძის მიმართ სანარმოს ვალის, 15 000 ევროს გადახდის მიზნით, გაიყიდა სანარმოს ფართი, თუმცა ამ ფართის გაყიდვით ს. ს-ძის ვალი არ დაიფარა. დარჩენილი დავალიანების ნაწილი – 7500 ლარი, ს. ს-ძეს გადასცა მეორე მოპასუხემ.

7.8. პირველმა მოპასუხემ მეორე მოსარჩელეს გადაუხადა იმ რემონტის თანხა, რაც კომპანიას ჰქონდა მეორე მოსარჩელის მიმართ, კერძოდ: 2014 წლის 6 ნოემბერს, მეორე მოსარჩელეს გადასცა 6563 ლარი, 2014 წლის 17 დეკემბერს – 4651 ლარი, 2015

წლის 23 იანვარს – 4286 ლარი, რითაც დაასრულა 15 000 ლარის გადაცემის ვალდებულება. გარდა ამისა, დამატებით, 1300 ლარი გადაუხადა მეორე მოსარჩელის მამას, თ. ა-ს. ამდენად, ბინის რემონტის ანგარიშში, მეორე მოსარჩელეს 15 000 ლარი გადაუხადეს პირველმა და მეორე მოპასუხეებმა.

7.9. პირველი მოსარჩელის წინააღმდეგ, პირველი მოპასუხის განცხადების საფუძველზე, სისხლის სამართლის წესით გამოძიების მიმდინარეობისას გამოკითხულმა მეორე მოპასუხემ აჩვენა, რომ კომპანია ველარ აგრძელებდა მშენებლობას, რის გამოც საცხოვრებელი სახლის ფართების მეპატრონეებმა ერთად გადაწყვიტეს საკუთარი ძალებით მშენებლობის დასრულება. შეთანხმდნენ, რომ დააშენებდნენ კიდევ ერთ სართულს და დაშენებულ ფართს გაყიდდნენ, მიღებული თანხით კი დასრულდებოდა მშენებლობა. მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ მეორე მოპასუხე, ასევე – პირველი მოსარჩელე, თ. ა-ი (მეორე მოსარჩელის მამა), მეორე მოსარჩელე და ი. შ-ი (კომპანიის დირექტორი). მხარეებმა მოილაპარაკეს, რომ პირველი მოსარჩელე ს. ს-ძეს გადაუხდიდა 7500 ლარს, სანაცვლოდ მასზე გაფორმდებოდა 34.19 კვ.მ ფართი. ამით, სანარმოს პირველი მოსარჩელის მიმართ ვალდებულება შესრულებული ექნებოდა. დანარჩენი ფართი გაფორმდებოდა პირველი მოპასუხის სახელზე. დაშენების შემდეგ, ფართი გაიყიდებოდა და მოხმარდებოდა მთლიანი მშენებლობის დასრულებას.

7.10. მოთხოვნის დათმობის 2015 წლის 30 აპრილის ხელშეკრულებით. კომპანიამ პირველ და მეორე მოსარჩელებს, პირველი და მეორე მოპასუხეების მიმართ დაუთმო ქ. ბათუმი, ... ქ. №26-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის დასრულებისა და სანაცვლოდ, უძრავი ქონების გადაცემის შესახებ გარიგებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება. მათ შორის, მოპასუხეების მიმართ სარჩელის აღძვრის უფლება.

7.11. ამის შემდეგ, პირველმა მოსარჩელემ, მეორე მოსარჩელემ, ი. ნ-ძემ, მესამე მოსარჩელემ და კომპანიის დირექტორმა განცხადებით მიმართეს მეორე მოპასუხეს და შეახსენეს, რომ მას ვალდებულება ჰქონდა აღებული 2015 წლის 15 თებერვლამდე მშენებლობის სრულად დასრულებაზე, რომლის ვადა გაგრძელდა ჯერ 1 მარტამდე, შემდეგ კი – 15 მარტამდე. მიუხედავად ამისა, მშენებლობა არ დასრულდა. მათ დამატებით, კიდევ დაუნიშნეს 10 დღის ვადა და განუმარტეს, რომ ამ ვადის გასვლის შემდეგ, ისინი ხელშეკრულებიდან გავიდოდნენ. პირველ და მეორე მოპასუხეებს მშენებლობა აღარ გაუგრძელებიათ.

7.12. საქალაქო სასამართლოს შეფასებით საქმის მასალებით დასტურდება, რომ შეთანხმების შემდეგ, ორივე მხარეს უნდა გა-

ნეხორციელებინა გარკვეული ქმედებები. მეორე მოპასუხეს უნდა დაეშენებინა მანსარდის სართული და მშენებლობა დაესრულებინა სრულად, ხოლო კომპანიას უნდა გადაეცა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება. მიუხედავად ამისა, რეალურად სხაგვარად მოხდა. კომპანიამ, მშენებლობის დასრულებამდე (სართულის დაშენების დაწყებამდეც კი) მეორე მოპასუხეს გადასცა ქონება, რაც დარეგისტრირდა არა მეორე მოპასუხის, არამედ – პირველი მოპასუხის საკუთრებად.

7.13. ქონების საკუთრებაში გადაცემის შემდეგ, სანარმომ შეიძინა უფლება, პირველი და მეორე მოპასუხეებისათვის მოეთხოვა სანაცვლო ვალდებულების შესრულება.

7.14. საქალაქო სასამართლომ დავის სამართლებრივი შეფასებისას განმარტა ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 361.2 მუხლზე და აღნიშნა, რომ მოპასუხეებმა, მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულეს ვალდებულება, გადაიხადეს, მხოლოდ მეორე მოსარჩელის რემონტის თანხა, ს. ს-ძის ვალი – 7500 ლარი, წყლისა და ელექტრო ენერჯის ქსელში ჩართვის საფასური, დააშენეს მანსარდის ფართი, ნაწილობრივ მოაწყვეს სადარბაზო, ეზო და ტროტუარი და მიუხედავად დამატებითი ვადის განსაზღვრისა, მშენებლობა შეწყვიტეს, არ მიიყვანეს იმ კონდიციამდე, რომ მოხდეს მისი ექსპლუატაციაში მიღება და უარს აცხადებენ მის დასრულებაზე, რაც ეწინააღმდეგება ნარდობის ხელშეკრულების პირობებს და წარმოადგენს ხელშეკრულების დარღვევას. ამდენად, ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, სსკ-ის 352-ე, 398-ე-399-ე, 405-ე, მუხლების თანახმად, მოსარჩელები ხელშეკრულებიდან გასულნი არიან, რის გამოც ქ. ბათუმში, ... ქ. №26-ში საკადასტრო კოდით ... რეგისტრირებული 82.81 კვ.მ. ფართი უნდა დაუბრუნდეს კომპანიის უფლებამონაცვლეებს – პირველ და მეორე მოსარჩელებს.

8. პირველი მოსარჩელისა და მოპასუხეების სააპელაციო საჩივრები

8.1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს პირველმა მოსარჩელემ და მოპასუხეებმა.

8.1. პირველმა მოსარჩელემ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და, ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა;

8.2. მოპასუხეებმა მოითხოვეს პირველი მოსარჩელის სასარგებლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილებული სარჩელის უარყოფა და ასე-

3ე:

8.2.1. უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენებაზე უარის თქმის თაობაზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 27 აგვისტოს განჩინების გაუქმება;

8.2.2. არასათანადო მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლაზე უარის თქმის თაობაზე, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 18 დეკემბრის საოქმო განჩინების გაუქმება;

8.2.3. ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 23 დეკემბრის განჩინების გაუქმება.

9. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

9.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით:

9.1.1. პირველი მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა;

9.1.2. მოპასუხეების სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

9.1.3. გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების, საპროცესო ხარჯების დაკისრებისა და უზრუნველყოფის ღონისძიების ძალაში დატოვების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;

9.1.4. მოსარჩელების სასარჩელო მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა;

9.1.5. მოსარჩელების სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად;

9.1.6. მოპასუხეების სააპელაციო მოთხოვნა უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენებაზე უარის თქმის თაობაზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 27 აგვისტოს განჩინების, ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 23 დეკემბრის განჩინების და არასათანადო მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლაზე უარის თქმის თაობაზე, ამავე სასამართლოს 2015 წლის 18 დეკემბრის საოქმო განჩინების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდა;

9.2. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა წინამდებარე განჩინების 1-4 პუნქტებში ასახულ გარემოებებზე და დამატებით მიუთითა, რომ მხარეთა შორის სადავოს არ წარმოადგენდა, ის ფაქტი, რომ კომპანიას მეორე მოსარჩელისათვის ბინის რემონტისთვის გადასახდელი ჰქონდა 15 000 ლარი, რაც კომპანიის ნაცვლად პირველმა მოპასუხემ გადაიხადა, კერძოდ: 2014 წლის 6 ნოემბერს, მეორე მოსარჩელეს გადასცა 6 563 ლარი, 2014 წლის 17

დეკემბერს – 4651 ლარი, 2015 წლის 23 იანვარს – 4286 ლარი, რითაც დაასრულა 15 000 ლარის გადაცემის ვალდებულება. გარდა ამისა, პირველმა მოპასუხემ, დამატებით, 1300 ლარი გადაუხადა მეორე მოსარჩელის მამას – თ. ა-ს. აღნიშნული ფაქტი დადასტურებულია პირველი მოპასუხის მიერ სარჩელზე წარდგენილი შესაგებლით.

9.3. სისხლის სამართლის საქმეზე გამოკითხვისას მეორე მოპასუხემ განმარტა, რომ 2014 წლის მარტის თვეში შეიძინა მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსში უძრავი ქონება, რომლის მშენებლობასაც ახორციელებდა კომპანია, თუმცა აღმოჩნდა, რომ კომპანია მშენებლობის გაგრძელებას ვეღარ ახერხებდა, რის გამოც, საცხოვრებელი სახლის მეპატრონეებმა: მეორე მოპასუხემ, პირველმა და მეორე მოსარჩელეებმა, ასევე კომპანიის დირექტორმა ი. შ-მა გადაწყვიტეს, საკუთარი ძალებით დაესრულებინათ მშენებლობა. იმ დროისათვის მოპოვებული ჰქონდათ ნებართვა, რომ ოთხსართულიან სახლზე დაეშენებინათ კიდევ ერთი სართული და შეთანხმდნენ, რომ სამომავლო ფართის რეალიზაცია მოეხდინათ, რასაც მოახმარდნენ საცხოვრებელ კორპუსს... ამის შემდეგ, ბოლო სართული, რომელიც დაშენებული არ იყო, მაგრამ სამომავლო სართული უნდა ყოფილიყო, გაიმიჯნა, საიდანაც 34 კვმ. ფართის მესაკუთრე გახდა პირველი მოსარჩელე, დანარჩენი ფართი კი გაფორმდა მეორე მოპასუხის დედის – პირველი მოპასუხის სახელზე, რათა გაყიდულიყო და მოხმარებოდა ბოლო სართულის დაშენებას და მთლიანი კორპუსის მონესრიგებას...

9.4. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, დადგენილი იყო, რომ მეორე მოპასუხემ მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსში, ელექტროენერჯის და წყალგაყვანილობის კომუნიკაციის ჩართვისათვის, 2015 წლის 11 თებერვალს, შპს „ბ. ნ-ს“ გადაუხადა 850 ლარი, 2015 წლის 10 თებერვალს, სს „ე. პ-ჯას“ გადაუხადა 2400 ლარი.

9.5. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2016 წლის 16 მაისის წერილით დგინდება, რომ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო დოკუმენტის პექტში 2013 წლის ცვლილება ქ. ბათუმის მერიის მიერ დამტკიცებული არ ყოფილა. რაც შეეხება შენობა-ნაგებობის მდგომარეობას, შიდა დათვალიერებით ირკვევა, რომ შენობაში, გარდა ბოლო სართულისა, აღინიშნება წყლის შემოსვლის კვალი, როგორც სადარბაზოში, ისე იმ მაცხოვრებელთა სახლებში, რომლებიც განთავსებულია მომიჯნავე სახლთან (მიდგმულია კედლები) და შენობა-ნაგებობის უკანა მხრიდან.

9.6. საქალაქო სასამართლოში, მოსარჩელის მიერ წარდგენილი ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2016 წლის 21 სექტემბრის

№005585516 დასკვნის მიხედვით, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის საპექტო დოკუმენტაცია არასრულყოფილია, კერძოდ საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა შესრულებულია სამშენებლო ნორმების დარღვევით, პექტის კონსტრუქციულ ნაწილში არ არის დაპექტებული მეოთხე სართული, მაშინ, როცა, როგორც პექტის კორექტირებულ არქიტექტურულ ნაწილში, ასევე რეალურად შენობა ოთხსართულიანია მანსარდით. არ არის წარმოდგენილი არსებული საძირკვლის ჩაღრმავება-გამაგრების ცალკე დამუშავებული მუშაპექტი (როგორც ეს აღნიშნულია პექტის კონსტრუქციული ნაწილის განმარტებითი ბარათის პირველ პუნქტში) და მზიდი კონსტრუქციების გაანგარიშება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ივარაუდება, რომ შენობა აშენებულია არასრულყოფილი და არსებულ რეალურ ობიექტთან შეუსაბამო საპექტო დოკუმენტაციის მიხედვით, რაც სამშენებლო ნორმების მიხედვით დაუშვებელია. ვიზუალური დათვალიერებით, პირველ სართულზე ქუჩის მხრიდან მარცხნივ რიგელები სვეტებზე სავარაუდოდ მოწყობილია ექსცენტრისიტეტით, რაც გაუმართლებელი და არასწორი კონსტრუქციული გადაწყვეტილებაა. პექტის კონსტრუქციულ ნაწილში არ არის მოცემული რა აუცილებლობით არის მიღებული ასეთი კონსტრუქციული გადაწყვეტა. ასევე არ არის ამ კვანძების ჩამაგრების და არმირების დეტალური კონსტრუქციული ნახაზები. სვეტზე აღინიშნება ჰორიზონტალური ბზარი, კიბის უჯრედში თითქმის ყველა სართულზე აღინიშნება ფანჯრის ღიობებიდან ატმოსფერული ნალექების შემოსვლა, კედლებზე შეინიშნება ჰორიზონტალური და ვერტიკალური ბზარები. მანსარდის სართულზე რიგელებზე აღინიშნება ფაშარი ბეტონი რის გამოც ნაწილობრივ გაშიშვლებულია არმატურა. ტიხრების და კედლების ანტიისემური ჩამაგრება კარკასთან არ არის შესრულებული სამშენებლო ნორმების და წესების სეისმომედეგი მშენებლობა (პ601.01-09)-ის მე-10 მუხლის, მე-7გ და 9 პუნქტის მოთხოვნების მიხედვით.

9.7. სხვა დარღვევებთან ერთად, წარმოდგენილ საპექტო დოკუმენტაციაში როგორც თავდაპირველ, ასევე კორექტირებულ ნაწილში, პექტის კონსტრუქციული ნაწილი შესრულებულია სამსართულიანი შენობისათვის სარდაფით და მანსარდით, ანუ პექტის კონსტრუქციულ ნაწილში არ არის დაპექტებული მეოთხე სართული, რეალურად კი შენობა ოთხსართულიანია მანსარდით.

9.8. დასახელებული დარღვევების აღმოსაფხვრელად, შენობის ექსპლუატაციაში მისაღებად და მისი შემდგომი, ნორმალური ფუნქციონირებისთვის აუცილებელია:

9.8.1. ქ. ბათუმში, ... ქ. 26-ში მდებარე შენობის სრული საპექტო დოკუმენტაციის წარმოდგენა, რომელიც შესაბამისობაში იქნება

რეალურად არსებულ ობიექტთან;

9.8.2. შენობის ტექნიკური მდგომარეობის დეტალური გამოკვლევა (განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს რიგელების და სვეტების შეერთების კვანძებზე);

9.8.3. გამოკვლევებით მიღებული შედეგების და სრული საპექტო დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე განხორციელდეს შესაბამისი გაძლიერებითი სამუშაოები ამ მიზნით სპეციალურად დამუშავებული გამაგრების პექტის მიხედვით;

9.9. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. ბათუმში, ... ქ. 26-ში მდებარე შენობის საპექტო დოკუმენტაცია არასრულყოფილია, კერძოდ საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა შესრულებულია სამშენებლო ნორმების დარღვევით, პექტის კონსტრუქციულ ნაწილში არ არის დაპექტებული მეოთხე სართული, მაშინ როცა, როგორც პექტის კორექტირებულ არქიტექტულ ნაწილში, ასევე რეალურად შენობა ოთხსართულიანია მანსარდით. არ არის წარმოდგენილი არსებული საძირკველის ჩაღრმავება გამაგრების ცალკე დამუშავებული მუშაპექტი და მზიდი კონსტრუქციების გაანგარიშება.

9.10. მოსარჩელის წარდგენილი შპს „ჯ.ა.დ-ის“ დირექტორის მიერ ხელმოწერილი ხარჯთაღრიცხვის თანახმად, ქ. ბათუმში, ... ქ. 26-ში მდებარე სახლის სარეკონსტრუქციო სამუშაოებისათვის საჭიროა 231 424,92 ლარი.

9.11. მოთხოვნის დათმობის 2015 წლის 30 აპრილის ხელშეკრულებით, კომპანიამ, პირველ და მეორე მოსარჩელებს დაუთმო, მოპასუხეების მიმართ საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულებისა და სანაცვლოდ უძრავი ქონების გადაცემის შესახებ გარიგებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევის გამო, თანხის/ზიანის დაკისრების და ქონების დაბრუნების მოთხოვნის უფლება, ასევე მასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი მოთხოვნა, მათ შორის, მოპასუხეების მიმართ სარჩელის აღძვრის უფლება.

9.12. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელემ, მის მიერ მითითებული გარემოების, მხარეთა შორის ნარდობის ურთიერთობის დადასტურებისათვის მიუთითა იმ ფაქტზე, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასი, პირველ მოპასუხეს არ გადაუხდია, გარდა ამისა, მეორე მოპასუხემ შეთანხმების საფუძველზე, ნაწილობრივ შეასრულა სამუშაოები, დააშენა მეხუთე სართული – მანსარდა, მოაწყო სადარბაზო, გადაიხადა საცხოვრებელი კორპუსის ელექტროენერჯისა და წყალგაყვანილობის კომუნიკაციის ჩართვისათვის თანხა, ხოლო პირველმა მოპასუხემ გადაიხადა მეორე მოსარჩელის წინაშე კომპანიის ვალი – 15000 ლარი.

9.13. მოპასუხემ, იმ ფაქტის დასადასტურებლად, რომ რეალურად

რად ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო, მიუთითა ხელშეკრულების გაფორმების წესზე (საჯარო რეესტრში რეგისტრაცია), ხოლო ნასყიდობის საფასურის გადახდის დასადასტურებლად, მხოლოდ თავისი ახსნა-განმარტებით შემოიფარგლა.

9.14. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 477-ე და 629.1 მუხლების ანალიზის შედეგად განმარტა, რომ წარდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შრომითი საქმიანობის შედეგი, მაშინ, როდესაც ნასყიდობის ხელშეკრულების მიზანია, რეალურად არსებული ქონების საკუთრებაში გადაცემა.

9.15. იმის გათვალისწინებით, რომ მეორე აპელანტსა და კომპანიას შორის გაფორმებული გარიგების დადების დროისთვის, ხელშეკრულების საგანი ... საკადასტრო კოდის 82,81 კვ.მ. ფართის უძრავი ქონება – მანსარდა რეალურად არ არსებობდა, ეს გარიგება არ შეიძლება ჩაითვალოს ნასყიდობად და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგეში: სსსკ) 105-ე მუხლის თანახმად, მხოლოდ საჯარო რეესტრში ხელშეკრულების დადების ფაქტი ვერ მიიჩნევა საკმარისად ასეთი სახის სახელშეკრულებო ურთიერთობის დადასტურებისათვის.

9.16. სააპელაციო სასამართლომ, მხარის ახსნა-განმარტების, როგორც მტკიცებულების შეფასების დადგენილი პრაქტიკის გათვალისწინებით, მიუთითა, რომ სარწმუნო არ იყო პირველი მოპასუხის მიერ მითითებული ფაქტი, რომ ხელშეკრულებაში დაფიქსირებული 35 000 აშშ დოლარი გადახდილი აქვს, ვინაიდან, აღნიშნული მხოლოდ მისი ახსნა-განმარტებით იყო გამყარებული. სააპელაციო სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ მიუხედავად ამისა, ვინაიდან აღნიშნული ფაქტი დავის საგანს არ წარმოადგენდა, ამ მოტივით მოსარჩევეებს ხელშეკრულების მოშლა არ მოუთხოვიათ, შესაბამისად, სასამართლო ამ თვალსაზრისით მოთხოვნის საფუძვლიანობასაც ვერ შეამოწმებდა.

9.17. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ პირველ მოპასუხესა და კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულება არ წარმოადგენდა ნასყიდობის ხელშეკრულებას. თუმცა, ამ ხელშეკრულების საფუძველზე კომპანიას პირველი მოპასუხისათვის საკუთრებად უნდა გადაეცა სახლის მშენებარე მანსარდის 82,81 კვ.მ ფართი, რის სანაცვლოდაც პირველ მოპასუხეს კომპანიისათვის უნდა გადაეხდა 35 000 აშშ დოლარი, ანუ პირველი მოპასუხის ერთადერთი ვალდებულება იყო კომპანიისათვის თანხის გადახდა. იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულების დადების დროისათვის სახლის მანსარდული სართული აშენებული არ იყო, რაც თავად დოკუმენტის ტექსტიდანაც ჩანს, სადაც კომპანიის მიერ, პირველი მოპასუხისათვის გადასა-

ცემი ფართი „მშენებარედა“ დახასიათებული, ხელშეკრულების სიტყვასიტყვითი შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ შეთანხმებული საზღაურის სანაცვლოდ კომპანიას უნდა აეშენებინა და პირველი მოპასუხისათვის საკუთრებაში გადაეცა ქონება – 82,81 კვ.მ. ფართის მანსარდი. სასამართლომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება ნარდობისსამართლებრივ ურთიერთობად შეაფასა, სადაც მენარდეს წარმოადგენდა კომპანია, შემკვეთს – პირველი მოპასუხე და ამ ხელშეკრულების თანახმად, მანსარდის აშენება კომპანიის ვალდებულებას წარმოადგენდა.

9.18. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით მოსარჩელეთა მოთხოვნა პირველი მოპასუხის მიმართ ნარდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის, ქონების გამოთხოვისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია.

9.19. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ასევე უსაფუძვლოა სასარჩელო მოთხოვნა მეორე მოპასუხის მიმართაც.

9.20. სასამართლოს შეფასებით, ის გარემოება, რომ მეორე მოპასუხემ მესამე პირების მიმართ მენარდე კომპანიის ვალდებულებათა ნაწილი შეასრულა, არ ამტკიცებს იმ გარემოებას, რომ მას, ამავდროულად, მანსარდული სართულის აგების, სახლის მშენებლობის დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღების ვალდებულებაც ჰქონდა.

9.21. საქმეში არ არის, თუნდაც იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ სახლის მანსარდული სართული, მთლიანად, მეორე მოპასუხემ ააშენა. ის, რომ მშენებლობის დასრულების ვალდებულება მეორე მოპასუხეს ეკისრებოდა, არც მისი გამოკითხვის ოქმიდან დგინდება. ამ ოქმიდან გამომდინარე, ირკვეოდა, რომ მესაკუთრეებმა ერთობლივად აიღეს ვალდებულება მშენებლობის გაგრძელებაზე, რაც, ცხადია, მხოლოდ მეორე მოპასუხის ვალდებულებას არ წარმოადგენდა და მას არ უკისრია.

9.22. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელეებმა ვერ დაამტკიცეს, რომ საწარმოს წინაშე სამუშაოს შესრულებაზე ვალდებული პირი (მენარდე), თუნდაც მეორე მოპასუხე იყო.

9.23. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელეებს არ წარმოუდგენიათ მტკიცებულებები, რომ მოპასუხეებმა მშენებლობის გაგრძელებისა და დასრულების ვალდებულება იკისრეს, რაც არაჯეროვნად განახორციელეს, სასარჩელო მოთხოვნა დაუსაბუთებელია და მხოლოდ ვარაუდებზე დაყრდნობით საქალაქო სასამართლოს სარჩელი არ უნდა დაეკმაყოფილებინა. ასეც რომ არ იყოს, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, სავარაუდოდ არც

არის, რომ აპელანტები 82,81 კვ.მ ფართის საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ 253 000 აშშ დოლარის სამუშაოს შესრულებას დათანხმდებოდნენ და იმავდროულად კომპანიის ვალებსაც გაისტუმრებდნენ.

9.24. ვინაიდან, 2014 წლის 4 ნოემბრის ხელშეკრულებით მენარდეს კომპანია წარმოადგენდა, დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს, რომ სწორედ ამ კომპანიამ (და არა მოპასუხეებმა) ვერ შეასრულა სახელშეკრულებო ვალდებულება სრულად. მეტიც, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2016 წლის 21 სექტემბრის დასკვნის თანახმად, კომპანიის მიერ აგებულ მთლიან შენობას მნიშვნელოვანი ნაკლი აქვს, კერძოდ, აშენებულია კომპანიის მოთხოვნით შესრულებული, არასრულყოფილი, არსებულ რეალურ ობიექტთან შეუსაბამო და ქ. ბათუმის მერიასთან შეუთანხმებელი საპექტო დოკუმენტაციის მიხედვით, რაც სამშენებლო ნორმების მიხედვით დაუშვებელია, ეს ნიშნავს, რომ სსკ-ის 641-ე-645-ე მუხლების საფუძველზე, საწარმოს მიმართ მოთხოვნის უფლება, პირიქით, მოპასუხეებს გააჩნდათ. ამ ვითარებაში, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, გაუგებარია, რატომ უნდა დაეკისროთ შემკვეთებს, მის მიერვე შეკვეთილი სამუშაოს შესრულებისა და საკუთარი ხარჯით შესრულებული სამუშაოს ნაკლის გამოსწორების ვალდებულება.

9.25. სააპელაციო სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომც დადასტურებულიყო, რომ 2014 წლის 4 ნოემბრის ხელშეკრულებით შემკვეთს კომპანია წარმოადგენდა, ხოლო შემსრულებელს მოპასუხეები, სარჩელი მაინც ვერ დაკმაყოფილდებოდა, ვინაიდან, საქმეში იმის მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა უშუალოდ მანსარდის სართულის მშენებლობის ნაკლს და ამ ნაკლის გამო საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიუღებლობის ფაქტს, წარდგენილი არ ყოფილა.

9.26. სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნაზე ხელშეკრულების ბათილობასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მართალია, დადასტურდა, რომ მხარეთა შორის, 2014 წლის 4 ნოემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება რეალურად წარდობის ხელშეკრულებაა, თუმცა, ისეთ ვითარებაში, როდესაც დადგინდა, რომ მენარდე – კომპანია იყო, ხოლო შემკვეთი პირველი მოპასუხე, აღიარებითი მოთხოვნის დაკმაყოფილება მოსარჩელისათვის სასარგებლო შედეგს ვერ გამოიწვევდა, რაც გამორიცხავდა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

9.27. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, სადავო იყო, თუ რა სახის უფლება მიიღეს მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებით,

მოსარჩელებმა კომპანიისგან, რის თაობაზეც სასამართლომ გაი-
ზიარა აპელანტების მტკიცება, რომ მოსარჩელებს, მოპასუხის
სახელზე რეგისტრირებულ ქონებაზე საკუთრების უფლება არ გა-
დაუციათ, რაც გამორიცხავდა ამ ქონებაზე მოსარჩელეთა პრეტენ-
ზიას პირველი მოპასუხის მიმართ. ამდენად მოპასუხეთა (მეორე
და მესამე აპელანტების) სააპელაციო პრეტენზია სარჩელის დაკ-
მაყოფილებული ნაწილის უარყოფის შესახებ, დასაბუთებულად მი-
იჩნია სააპელაციო სასამართლომ და ამ ნაწილში გააუქმა პირველი
ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

9.28. სააპელაციო სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის
ლონისძიების გაუქმებასთან და მოპასუხეებისთვის მოსალოდნე-
ლი ზიანის ანაზღაურებისთვის უზრუნველყოფის ლონისძიებასთან
დაკავშირებით (საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 27 აგვისტოს
განჩინება – იხ. განმარტა, რომ მოპასუხეებმა ვერ დაასაბუთეს
მოსალოდნელი ზიანის არსებობა. მართალია, სარჩელის უზრუნ-
ველყოფის ლონისძიება მოპასუხისათვის არასასურველი ლონის-
ძიებაა და მის გამოყენებას მოპასუხის მხრიდან მოყვება ნეგატი-
ური განწყობის შექმნა, მაგრამ, მხოლოდ ნეგატიური განწყობა არ
ნარმოადგენს მოსალოდნელი ზიანის უზრუნველყოფის საფუძ-
ველს. ზიანის დასასაბუთებლად, მხოლოდ ზეპირი განმარტება არაა
საკმარისი, ზიანი დასაბუთებული და გამყარებული უნდა იყოს
მტკიცებულებებით, რაც განმცხადებლის მიერ წარდგენილი არ ყო-
ფილა.

9.29. არასათანადო მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლა-
ზე უარის თქმის თაობაზე, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015
წლის 18 დეკემბრის წინმსწრები საოქმო განჩინების გაუქმების შე-
სახებ, აპელანტის მოთხოვნასთან დაკავშირებით სააპელაციო სა-
სამართლომ განმარტა:

9.29.1. საქმის მასალებით ირკვეოდა, რომ მოსარჩელემ თავისი
მოთხოვნა დააფუძნა იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხეებმა დაარ-
ღვიეს ნარდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, რის-
თვისაც უნდა აუნაზღაურონ ზიანი და დაბრუნონ ბათილი გარი-
გების საფუძველზე მიღებული უძრავი ქონება. ამდენად, ის სა-
კითხი, მოსარჩელის მოთხოვნას მოპასუხეთა მიმართ გააჩნდა თუ
არა ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი და ისინი წარმო-
ადგენდნენ თუ არა იმ პირებს, ვინც პასუხი უნდა აგონ მოსარჩე-
ლეთა წინაშე, საქმის არსებითად განხილვის შედეგად გადასაწყვე-
ტი იყო და არ წარმოადგენდა სსკ-ის 85-ე მუხლით გათვალისწინე-
ბული საპროცესო მოქმედების გამოყენების წინაპირობას.

9.30. მოსარჩელეთა შუამდგომლობა ექსპერტიზის დანიშვნის
თაობაზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 23 დეკემ-

ბრის განჩინების გაუქმებასთან დაკავშირებით უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი იყო, ვინაიდან ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველია ისეთი საკითხის გარკვევა, რომელზეც მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნდა, რასაც წინამდებარე შემთხვევაში ჰქონდა ადგილი, კერძოდ, დავის საგანი ვალდებულების დარღვევა იყო, რომელიც საცხოვრებელი კორპუსის მანსარდის სართულის ნივთობრივ ნაკლს წარმოადგენდა, რაც სპეციალური ცოდნის მქონე სპეციალისტს უნდა შეეფასებინა.

10. მოსარჩელეთა საკასაციო საჩივარი

10.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს პირველმა და მეორე მოსარჩელებმა და მოითხოვეს, მისი გაუქმება (გარდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტისა, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა მოთხოვნა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 27 აგვისტოს, 18 დეკემბრისა და 23 დეკემბრის წინმსწრები საოქმო განჩინებების გაუქმების თაობაზე) და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების უცვლელად დატოვება.

10.2. კასატორთა განმარტებით სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია მათ მიერ გასაჩივრებულ ნაწილში და საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლივად შეფასებას არ ეფუძნება. კასატორებმა აღნიშნეს, რომ პირველმა მოპასუხემ ფართი იყიდა, რათა სართული დაეშენებინა მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე და დაესრულებინა მშენებლობა, სახლი უნდა მიეყვანა იმ მდგომარეობამდე, რომ იგი ექსპლუატაციაში მიეღოთ. მოპასუხეთა ეს ვალდებულება ეფუძნებოდა წარდობის ხელშეკრულებას, რაც ნაწილობრივ და არაჯეროვნად იქნა შესრულებული. სწორედ ამიტომ ისინი არიან ვალდებულნი, მოსარჩელებს ზიანი აუნაზღაურონ.

10.3. კასატორთა განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მოიხმო ექსპერტიზის დასკვნა, თუმცა არ შეაფასა იგი. ექსპერტიზის დასკვნა შეეხებოდა დაშენების ხარვეზებს და დარღვევებს. სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებულ ფაქტებს ცალმხრივი შეფასება მისცა და ისინი მოპასუხეთა ახსნა-განმარტების საფუძველზე მათ სასარგებლოდ დაადგინა. კასატორთა განმარტებით, მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში ერთი კვ.მ ფართის ღირებულება 1000 აშშ დოლარი იყო, რაც დაშენების შემდეგ 300 აშშ დოლარამდე შემცირდა, რაც დადასტურებულია შესაბამისი დასკვნით.

10.4. კასატორები უითებენ გამოძიების ეტაპზე მოპასუხეთა დაკითხვის ოქმებზე, რომლებიც სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო და რომელთა საფუძველზეც უდავოდ დგინდებოდა, რომ მოპასუხებმა მოსარჩელების წინაშე იკისრეს ვალდებულება, სართულის დაშენებისა და მშენებლობის დასრულებისა, რაც სწორედაც, რომ მათ შორის ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობის არსებობას ადასტურებდა.

10.5. მეორე კასატორის ხელწერილთან დაკავშირებით, რომლითაც ის აცხადებს, რომ მოპასუხეების წინაშე არანაირი პრეტენზია არ აქვს, შეეხება არა ნარდობიდან გამომდინარე საერთო ვალდებულების შესრულებაზე უარის, არამედ თანხის გადახდის ვალდებულებას.

11. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

11.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 27 დეკემბრის განჩინებით მოსარჩელეთა საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად. ამავე განჩინებით საქმის არსებითი განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენით, მხარეთა მონაწილეობით.

11.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 6 თებერვლისა და 5 მარტის სხდომებზე მხარეებმა წარმოადგინეს თავიანთი პოზიციები საკასაციო საჩივართან დაკავშირებით. კასატორებმა მიუთითეს იმ პრეტენზიებზე, რომლებიც საკასაციო საჩივრით ჰქონდათ გაცხადებული. პირველი და მეორე მოპასუხეების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მეორე კასატორის ნაწილში საკასაციო საჩივარი არ უნდა იქნეს განხილული, რადგან მას სააპელაციო საჩივარი არ ჰქონდა წარდგენილი საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. მოპასუხეთა წარმომადგენლის განმარტებით, საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ ეფუძნება საქმის მასალებს, არც ერთი მტკიცებულებით არ დასტურდება, რომ 2014 წლის 4 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება ნარდობაა, არც ის დასტურდება, რომ პირველი და მეორე მოსარჩელები კომპანიის უფლებამონაცვლეები არიან და არც ის, რომ მათ მოპასუხეთა რაიმე ქმედების გამო ზიანი მიადგათ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მტკიცებულებათა ერთობლივად გაანალიზების, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ პირ-

ველი კასატორის საკასაციო განაცხადი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მეორე კასატორის საკასაციო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგი არგუმენტაციით:

12. სსსკ-ის 410-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ დაკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა ან გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

13. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

14. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. *ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ*, № 7932/03; *Van de Hurk v. Netherlands*, par.61, *Garcia Ruiz v. Spain [GC]* par.26; *Jahnke and Lenoble v France (dec.)*; *Perez v France [GC]*, par. 81).

15. საკასაციო სასამართლო უპირველესად აღნიშნავს, თუ რა სამართლებრივი შედეგის მიღწევა სურს პირველ მოსარჩელეს და რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს იგი მას. პირველ კასატორს წარმოდგენილი აქვს ვრცელი საკასაციო საჩივარი და დაზუსტებული საკასაციო საჩივარი, მისი წარმომადგენლები საკასაციო სასამართლოს წინაშე ზეპირად განმარტავდნენ პირველი მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობას და ითხოვდნენ მის დაკმაყოფილებას. პირველ მოსარჩელეს ექვსი ძირითადი სასარჩელო მოთხოვნა აქვს. ესენია: კომპანიასა და პირველ მოპასუხეს შორის 2014 წლის 4 ნოემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილად იქნეს ცნობილი (მანსარდა, ფართი 81.82 კვ.მ.); ეს ხელშეკრულება აღიარებულ იქნეს ნარდობის ხელშეკრულებად; ნარდობის ხელშეკრულება შეწყვეტილად იქნეს აღიარებული; ხელშეკრულების შეწყვეტის გამო სადავო მანსარდა პირ-

ველი და მეორე მოსარჩელების სახელზე აღირიცხოს; მოპასუხეებს მოსარჩელების სასარგებლოდ დაეკისროთ ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული 231 424.92 ლარის ანაზღაურება; პირველი მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხეებს დაეკისროთ 21 163 აშშ დოლარისა (სახლის გაუფასურებით გამოწვეული ზიანი) და 101 000 აშშ დოლარის (დაკარგული ანაბრის თანხა) ანაზღაურება. პირველი მოსარჩელე თავის სასარჩელო მოთხოვნებს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე აფუძნებს, რომ 2015 წლის 30 აპრილის მოთხოვნის დათმობის შესახებ ხელშეკრულებით კომპანიამ (მშენებელმა) თავისი მოთხოვნები (ის მოთხოვნები, რასაც განსახილველ შემთხვევაში პირველი მოსარჩელე ითხოვს) პირველ და მეორე მოსარჩელებს დაუთმო.

16. მოთხოვნის წარმომშობი სამართლებრივი საფუძვლების მოძიების მიზნით, სასამართლო ვალდებულია, დაადგინოს, რა სახის სარჩელია წარმოდგენილი – მიკუთვნებითი, გარდაქმნითი თუ აღიარებითი. საკასაციო სასამართლოს მიერ არაერთხელაა განმარტებული, რომ სარჩელის სახეებად დაყოფა პრაქტიკული მნიშვნელობისაა და უზრუნველყოფს პირის კანონით დაცული უფლებისა და ინტერესების სასამართლო წესით დაცვას. განსახილველ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნისა და სარჩელში მითითებული ფაქტების/გარემოებების გათვალისწინებით, წარმოდგენილია როგორც აღიარებითი სარჩელი (პირველი, მეორე და მესამე მოთხოვნა), ისე მიკუთვნებითი სარჩელი (მეოთხე, მეხუთე და მეექვსე მოთხოვნა).

17. პროცესუალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, აღიარებითი სარჩელი სასარჩელო წარმოების შედარებით იშვიათი, საგამონაკლისო შემთხვევაა და სსსკ-ის 180-ე მუხლის „სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს“ თანახმად, მის მიმართ მოსარჩელეს უნდა გააჩნდეს იურიდიული ინტერესი (შდრ. სუსგებს: №ას-838-802-2014, 19.03.2015წ; №ას-1230-1150-2017, 13.11.2018წ; №ას-98-98-2018, 11.09.2018წ.). მხარემ უნდა დაადასტუროს, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში იგი იმაზე უკეთეს სამართლებრივ მდგომარეობაში აღმოჩნდება, ვიდრე სარჩელის აღქვამდე იმყოფებოდა.

18. საკასაციო სასამართლო ამ საკითხზე მსჯელობის მიზნით, ყურადღებას ამახვილებს არსებითი მნიშვნელობის მქონე როგორც სამართლებრივ, ისე ფაქტობრივ გარემოებებზე: გარიგების ბათილობის მომწესრიგებელი ნორმები ამომწურავადაა მოცემული რო-

გორც სამოქალაქო კოდექსში, ისე სხვადასხვა ნორმატიულ აქტებში. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში თუ მოსარჩელის არგუმენტები იქნება გაზიარებული კომპანიასა და პირველ მოპასუხეს შორის 2014 წლის 4 ნოემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილია, რადგან იგი არ არის ნასყიდობა და არის ნარდობა. ეს მოსაზრება უსაფუძვლოა, რადგან თავადვე გამორიცხავს მოთხოვნის მართებულობას, თუ სადავო გარიგება ნასყიდობა არ არსებობს, იგი ვერც გაბათილდება, რადგან ნასყიდობა უნდა არსებობდეს, რომ ის რაიმე საფუძვლით გაბათილდეს. პირველი სასარჩელო მოთხოვნის მიმართ პირველ მოსარჩელეს არც იურიდიული ინტერესი აქვს და არც სამართლებრივი საფუძველი, რადგან მისი მოთხოვნაა სადავო ხელშეკრულება ნარდობად იქნეს აღიარებული და მას რეალურად ხელშეკრულების გაბათილება არ სურს, არამედ – მისი ნებაა ხელშეკრულებიდან გავიდეს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობის სამართლებრივი შეფასება ეფუძნება ხელშეკრულებაში მხარეთა ნების გამოვლენის საფუძველზე ასახულ პირობებს და მათგან გამომდინარე მხარეთა უფლება-მოვალეობებს, ამდენად, თუკი მხარეს მიაჩნია, რომ რეალურად მხარეთა შორის გაფორმდა არა ნასყიდობის, არამედ ნარდობის ხელშეკრულება, სავსებით საკმარისია, რომ სასარჩელო მოთხოვნის ჩამოყალიბებისას მიუთითოს, რომ მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნებაა ნარდობა (მოცემულ შემთხვევაში) და სწორედ ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დააყენოს კონკრეტული მოთხოვნა მოპასუხეების მიმართ.

19. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და ნაწილობრივ იზიარებს პირველი კასატორის პოზიციას, რომ კომპანიასა და პირველ მოპასუხეს შორის 2014 წლის 4 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულება ნარდობის სამართლებრივ მონესრიგებაში თავსდება, რადგან ნასყიდობის საგანი (მანსარდა), ხელშეკრულების დადების დროს არ არსებობდა, როგორც მყიდველისათვის საკუთრებაში გადასაცემი ნასყიდობის საგანი, ასევე – ნასყიდობის საფასური – 35 000 აშშ დოლარი გადახდილი არ ყოფილა. ამ ხელშეკრულებით კომპანიას, როგორც მენარდეს, პირველი მოპასუხისათვის, როგორც შემკვეთისათვის, უნდა აეშენებინა მანსარდა და მისთვის საკუთრებაში გადაეცა. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად სადავო მანსარდა (82.81 კვ.მ) პირველი მოპასუხის სახელზეა რეგისტრირებული. სადავო მანსარდა საბოლოოდ მოპასუხეებმა დააშენეს. სწორედ ამ ფაქტს მიიჩნევს პირველი კასატორი მოპასუხეთა მხრიდან ვალდებულების აღების

საფუძვლად და სსკ-ის 361.2 მუხლზე მიუთითებს. პირველ მოსარჩელეს არც მეორე სასარჩელო მოთხოვნის მიმართ აქვს იურიდიული ინტერესი, რადგან მისი მიზანი, მანსარდა საკუთრებაში მიიღოს და აინაზღაუროს ზიანი, ამ საფუძვლით, დაკმაყოფილებული ვერ იქნება.

20. საკასაციო სასამართლო განმარტავს, იმისათვის, რომ დადგინდეს სასარჩელო მოთხოვნათა საფუძვლიანობა უნდა გაირკვეს, რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობდა მხარეებს შორის, რისი მოთხოვნის უფლება ჰქონდა კომპანიას პირველი და მეორე მოპასუხეების მიმართ და როგორ გახდნენ ვალდებული პირები პირველი და მეორე მოპასუხეები. მხარეთა მიერ წარმოდგენილი და საქმის მასალებში განთავსებული მტკიცებულებების თანახმად წინამდებარე განჩინების პირველ პუნქტში მითითებული კომპანია იყო მშენებელი, რომელსაც უნდა აეშენებინა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი და ცალკეული საცხოვრებელი ფართი სხვადასხვა პირისათვის გადაეცა საკუთრებაში, მათ შორის არიან ამ დავაში მონაწილე მხარეები. დასახელებული ურთიერთობა ექცევა სსკ-ის 629.2 მუხლით გათვალისწინებულ ნარდობის სამართლებრივ ურთიერთობაში (სადაც ნასყიდობის წესები გამოიყენება), რომელშიც მენარდე კომპანიამ, ანუ მან უნდა შეასრულოს სამუშაო შემკვეთათვის. როგორც მხარეები განმარტავენ, კომპანიამ ვერ შეძლო ნაკისრი ვალდებულების შესრულება და საცხოვრებელი სახლი ექსპლუატაციაში მიღებული არ არის. პირველი კასატორის წარმომადგენლის განმარტებით, პირველმა და მეორე მოპასუხეებმა იკისრეს ვალდებულება კომპანიის წინაშე, რომ დაასრულებდნენ სახლის მშენებლობას, ამისათვის მათ საცხოვრებელ სახლს დააშენეს მანსარდა, რომლის ნაწილიც მათ საკუთრებაში გადაეცემოდათ, იკისრეს მიმდინარე ხარჯები, მათ შორის დაფარეს მეორე მოსარჩელის წინაშე არსებული დავალიანება. პირველი კასატორი მიიჩნევს, რომ ამ ფორმით (რეალურად 2014 წლის 4 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებით) კომპანიასა და პირველ მოპასუხეს შორის გაფორმდა ნარდობის ხელშეკრულება, სადაც მენარდე პირველი მოპასუხე იყო და შემკვეთი – კომპანია. სწორედ ამ ურთიერთობის საფუძველზე დაუთმო კომპანიამ თავისი მოთხოვნა პირველ და მეორე მოსარჩელებს მოპასუხეების მიმართ.

21. როგორც საქმის მასალებით დასტურდება, რაზედაც მხარეებიც არ დავობენ, მენარდემ (კომპანიამ) ნაკისრი ვალდებულება ვერ შეასრულა. ნარდობის ხელშეკრულება მენარდემ დაარღვია და პირველი კასატორი, რომელსაც მიაჩნია, რომ კომპანიის უფლებამონაცვლეა, ითხოვს ხელშეკრულების შეწყვეტას. ამასთან, იგი თავს არა მენარდედ, არამედ შემკვეთად მიიჩნევს. ნარდობის ხელ-

შეკრულების შეწყვეტას სსკ-ის 636-ე და 637-ე მუხლები აწესრიგებენ. შემკვეთს უფლება აქვს სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე, მაგრამ მან უნდა აუნაზღაუროს მენარდეს შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი, ხოლო მენარდეს შეუძლია სამუშაოს დასრულებამდე მხოლოდ ისე შეწყვიტოს ხელშეკრულება, რომ შემკვეთმა შეძლოს მომსახურების სხვაგვარად მიღება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შეწყვეტისათვის არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი საფუძველი. ამ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოვალეობა გამოირიცხება.

22. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საპროცესო სამართალწარმოებაში მოქმედი მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი წესის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს (სსკ-ის 102-ე მუხლი). სასამართლო მტკიცება წარმოადგენს მტკიცებულებათა შეგროვების, შემონებისა და შეფასებისათვის სასამართლოსა და მხარეების სამართლით მოწესრიგებულ საქმიანობას, რომლის მიზანია საქმის სწორად გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების (ფაქტების) დადგენა. პირველი, რაც უნდა გააკეთოს მხარემ დამტკიცების მოვალეობის შესასრულებლად – ესაა მტკიცებულებათა წარმოდგენა სასამართლოში იმ ფაქტის დადგენის მიზნით, რომლის დამტკიცების მოვალეობაც მას ეკისრება. წარმოდგენილი მტკიცებულება ისეთ კავშირში უნდა იყოს დასადგენ გარემოებასთან, რომ შეიძლებოდეს ამ გარემოების არსებობა-არარსებობის შესახებ უტყუარი დასკვნის გაკეთება. მხარე საქმის შედეგით დაინტერესებული პირია, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მისი ახსნა-განმარტების სისწორესა და უტყუარობაზე. მხარის ყოველი განმარტება ფაქტების შესახებ, რომელიც გაკეთებულია მის სასარგებლოდ, მართალია მტკიცებულებაა, მაგრამ არასაკმარისია, რომელიც მოითხოვს დადასტურებას სხვა მტკიცებულების მეშვეობით (შდრ. ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი გ., ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 1 ნაწილი, თბილისი, 2014, გამომცემლობა „სამართალი“, გვ: 259, 284, 308).

23. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირველი კასატორის წარმომადგენელი თავისი პოზიციის მართებულობას ე.წ. დაკითხვის ოქმებზე აფუძნებს, რასაც მოპასუხეთა წარმომადგენელი არ ეთანხმება, რადგან სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობისას შედგენილ საპროცესო დოკუმენტებს სამოქალაქო საქმისთვის წინასწარ დადგენილი ძალა, პრეიუდიცია არა აქვს. ამასთან, საქმეშია არა დაკითხვის ოქმები, არამედ გასაუბრების ოქმე-

ბი. საკასაციო სასამართლო საქმეში მონაწილე პირთა და მონმეთა გამომძიებელთან გასაუბრების ოქმების გაცნობის შედეგად აღნიშნავს, გამომძიებელთან გამსაუბრებელმა პირებმა განმარტეს, რომ კომპანიამ იკისრა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, თუმცა მან სამუშაოების იმ მდგომარეობამდე მიყვანა, რომ სახლი ექსპლუატაციაში ყოფილიყო მიღებული, ვერ შეძლო. შემკვეთებმა, საცხოვრებელი სახლის მაცხოვრებლებმა გადაწყვიტეს მანსარდის დაშენება, შემდეგ მისი გაყიდვა და მიღებული თანხით სახლის მშენებლობის დასრულება. კომპანიამ აიღო ნებართვა მანსარდის დაშენებისათვის, რომლის მშენებლობაც მას უნდა ეწარმოებინა და მანსარდის ნაწილი მიჰყიდა პირველ მოპასუხეს. კომპანიამ ვერც ამ გზით შეძლო მშენებლობის დასრულება. ამის შემდეგ პირველმა და მეორე მოპასუხეებმა გადაწყვიტეს დახმარებოდნენ მშენებელს სამუშაოს დასრულებაში და გარკვეული სამუშაო შეასრულეს, კომუნალური ხარჯები გაიღეს და კომპანიის წინაშე ვალდებული პირის დავალიანებაც გადაიხადეს. კომპანიასა და მოპასუხეებს შორის შეთანხმება წერილობით არ გაფორმებულა. ამდენად, სავსებით გასაზიარებელია გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ასახული მსჯელობა და დასკვნები, რაც წინამდებარე განჩინების 9.24-9.25 და 9.27 ქვეპუნქტებშია მითითებული.

24. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ყველა სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნება იმ გარემოებას, რომ კომპანიამ პირველ და მეორე მოსარჩელეებს ცესიის ხელშეკრულებით მოპასუხეების მიმართ მოთხოვნა დაუთმო. თუმცა საქმეში წარმოდგენილი არ არის იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მოპასუხეებმა სართულის დაშენება და მშენებლობის დასრულება ივალდებულებს, გარდა მხარის ახსნა-განმარტებისა (იხ. ამ განჩინების 22-ე პუნქტი) და გასაუბრების ოქმებისა.

25. რაც შეეხება თავად საკასაციო შედავების კონკრეტულ ნაწილს, რომელიც საქმის განმხილველი სასამართლოების მიერ გამომძიების ეტაპზე შედგენილ ოქმებში გაცხადებული ფაქტების სამოქალაქო დავაში გაუთვალისწინებლობას შეეხება და რომელთათვისაც, მხარე სამოქალაქო დავაში პრეიუდიციული მნიშვნელობის მინიჭებასა და უპირობოდ გამოყენება-გაზიარებას ითხოვს, საკასაციო სასამართლო მიუთითებს სსსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის დანაწესზე, რომლის თანახმად, „მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ესენია: ა) ფაქტები, რომლებსაც სასამართლო საყოველთაოდ ცნობილად მიიჩნევს; ბ) ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქ-

მეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ“. დასახელებული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ წინასწარ დადგენილი ძალის მქონე ფაქტებად კანონმდებელი განიხილავს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს და მხარეს მათ დასადასტურებლად მტკიცებულებათა წარდგენის ვალდებულებისაგან ათავისუფლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამოქალაქო საქმის განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ, ანუ პრეიუდიციული ძალის მქონედ ფაქტობრივი გარემოების მიჩნევისათვის, სავალდებულოა არსებობდეს არა მარტო სამოქალაქო საქმეზე მიღებული და კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, არამედ ამ გადაწყვეტილების სუბიექტებიც შემდგომში სხვა სამოქალაქო საქმის მონაწილეებიც უნდა იყვნენ (იხ. სუსგ №ას-1230-2018, 14.12.18 წ.).

26. საკასაციო სასამართლო სამოქალაქო სამართალწარმოების გზით საქმის განხილვისას ვერ გაიზიარებს პირველი კასატორის მტკიცებას, რომ გამოძიების ეტაპზე შედგენილ გასაუბრების ოქმში მითითებულ ფაქტს, სამოქალაქოსამართლებრივ დავებში პრეიუდიციული მნიშვნელობა ენიჭება. ამასთან, ეს გარემოებები სისხლის სამართლის წესითაც კი არ არის დადგენილი, არამედ გასაუბრების ოქმში პირები განმარტავენ მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობებსა და შეთანხმებებს, რომლებთან დაკავშირებითაც ძირითადად წერილობითი მტკიცებულებები არ არსებობს.

27. საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს პირველი მოსარჩელის მეოთხე, მეხუთე და მეექვსე მოთხოვნებსაც, რადგან 2014 წლის 4 ნოემბრის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობს. ასევე, დადასტურებული არ არის, რომ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ღირებულების გაუფასურება სწორედ მოპასუხეთა ქმედების შედეგია. ექსპერტიზის დასკვნით დასტურდება, რომ სახლის ღირებულება გაუფასურდა, მის ექსპლუატაციაში მისაღებად საჭიროა გარკვეული ხარჯის ანაზღაურება, თუმცა არ დგინდება, რომ ეს შედეგი მოპასუხეთა ქმედებამ გამოიწვია, როდესაც ისინი მანსარდას აშენებდნენ. მოპასუხეთა ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი არ დგინდება.

28. საკასაციო სასამართლო განმარტავს, წარდობისსამართლებრივ ურთიერთობაში, სადაც კომპანია მენარდე იყო, ხოლო პირველი მოპასუხე შემკვეთი, მიუხედავად იმისა, რომ შემკვეთმა მენარდის ნაცვლად გარკვეული სამუშაოები განახორციელა მასთან შეთანხმებით, ეს გარემოება მენარდეს შემკვეთად ვერ აქცევს და

შემკვეთს – მენარდედ. სწორედ ამიტომ, არ მიიჩნევიან მოპასუხეები ვალდებულ პირად კომპანიის წინაშე და სწორედ ამიტომ, ვერც კომპანია დაუთმობდა პირველ და მეორე მოსარჩელებს რაიმე მოთხოვნას მოპასუხეებს მიმართ, ასეთი მოთხოვნის უფლების არარსებობის გამო.

29. საკასაციო სასამართლოს მიერ მოცემული საქმის არსებითად განხილვის ეტაპზეც, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების საფუძველზე, პირველ კასატორს არ მიუთითებია ისეთ გარემოებაზე, რაც საკასაციო სასამართლოს მისცემდა შესაძლებლობას, საკასაციო საჩივარი დასაბუთებულად მიეჩნია, აღნიშნული კი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების საფუძველია იმ სამართლებრივი დასაბუთებით, რაც მითითებულია.

30. მეორე კასატორის საკასაციო საჩივართან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 391.1, 364-ე, 264.1(ბ) მუხლებს მოიხმობს და განმარტავს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 18 ივლისის განჩინებით მეორე მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე, განუხილველად იქნა დატოვებული, რაც არ გასაჩივრებულა და კანონიერ ძალაშია შესული. აქედან გამომდინარე მეორე მოსარჩელე არ არის ის სუბიექტი, რომელსაც სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილების საკასაციო საჩივრით გასაჩივრება შეეძლო, რადგან სააპელაციო სასამართლოში მისი სააპელაციო საჩივარი არ განხილულა, სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება პირველი მოსარჩელის, პირველი მოპასუხისა და მეორე მოპასუხის სააპელაციო საჩივრებთან დაკავშირებით მიიღო. შესაბამისად, მეორე მოსარჩელის საკასაციო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს (სსსკ-ის 187-ე მუხლი).

31. სსსკ-ის 55.2 მუხლის თანახმად, პირველი კასატორის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი სახელმწიფო ბიუჯეტში დარჩება, რადგან საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ჯ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თ. ა-ის საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად;
3. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება;
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარდობა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-162-152-2017

16 აპრილი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიჭაშვილი,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის/შეგებებული მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის/ შეგებებული სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

1.1. შპს „ი.ი.პ. ე.ი.მ.ს. ნ.ტ.თ-თმა“ (შემდგომში – მოსარჩელე, შეგებებულ სარჩელზე მოპასუხე, აპელანტი ან კასატორი, ასევე მენარდე ან „ი.ი.“) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „გ.“-ის (შემდგომში – მოპასუხე, შეგებებული მოსარჩელე, აპელანტი ან კასატორი, ასევე შემკვეთი) მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ 266 605 ევროს გადახდა შესრულებული სამუშაოს ანგარიშში, ასევე ზიანის 200 000 ევროს ანაზღაურება.

1.1.1. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

ქ. ბათუმის თვითმმართველი ქალაქის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა შპს „გ.“-მა, რომელსაც უნდა შეესრულებინა ქ. ბათუმის ტერიტორიაზე წყალ-საკანალიზაციო სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები. სატენდერო ხელშეკრულების ფარგლებში შპს „გ.“-მა თავის მხრივ 2010 წლის 5 იანვარს მოსარჩელესთან გააფორმა ნარდობის ხელშეკრულება, რომლითაც ხელშეკრულების ფასი განისაზღვრა 3 111 117 ევროთი. ხელშეკრულების ერთ-ერთ პირობას ნარდობადგენდა საავანსო გადახდა, რომელიც აუცილებე-

ლი იყო მობილიზაციისა და სამუშაოთა მომზადებისათვის (სპეცტექნიკის შემოყვანა, მისი გარკვეული ნაწილის შექმნა, მასალეების შემოტანა). მოპასუხეს ავანსის სახით პირველ ეტაპზე უნდა გადაეხადა 100 000 ევრო ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე, ხოლო ამ თანხის გადახდიდან 20 დღეში 200 000 ევრო. მოსარჩელეს სამუშაოები უნდა დაესრულებინა სამუშაო არეალის მიღებიდან 545 კალენდარულ დღეში. მიმდინარე გადასახადები უნდა გადახდილიყო ყოველკვარტალურად, ყოველი მესამე თვის ბოლოს, შესრულებული სამუშაოების მიხედვით. მოსარჩელის განმარტებით, ყოველ შესრულებულ სამუშაოს იბარებდა ქ. ბათუმის მერიის მიერ დაქირავებული კომპანია – „პ.პ-ის“ წარმომადგენლობა ბათუმში (პროექტის შემდგენი). ამ კომპანიას არასოდეს გამოუთქვამს პრეტენზია მოსარჩელის მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. მოპასუხემ დაარღვია საავანსო გადახდის გრაფიკი, 2010 წლის 25 იანვარს ჩარიცხა 80 000 ევრო, 2010 წლის 4 თებერვალს – 20 000 ევრო, 2010 წლის 15 აპრილს – 25 000 ევრო. მოსარჩელის განმარტებით, მხარეთა შორის სერიოზული უთანხმოება წარმოიშვა 2010 წლის მაისში. მოპასუხემ შექმნა ისეთი პირობები, რომ მოსარჩელე იძულებული გახდა შეენწყვიტა ხელშეკრულება და მოეთხოვა განუყოფი ხარჯების ანაზღაურება. ამის შემდეგ, მოპასუხემ მოსარჩელე დაარწმუნა, რომ ჩაურიცხავდა კუთვნილ თანხებს, მოსარჩელე ასევე დაიყოლიეს მასზე, რომ მოსარჩელეს საკუთარი ხარჯებით შეეძინა მასალები 100 000-150 000 ევროს ღირებულებით. მოსარჩელის განმარტებით მან გააგრძელა სამუშაოები საკუთარი ხარჯით 2011 წლის მაისის თვის ჩათვლით. მოპასუხე კვლავ არ ანაზღაურებდა მოსარჩელის მიერ გაწეულ ხარჯებს, ამასთან მოსარჩელეს აწერდა იმ ხარჯებს (ტექნიკა-დანადგარების ქირის სახით), რასაც მოსარჩელე არ იყენებდა, შეგნებულად ზრდიდა შექმნილ და მიწოდებულ მასალათა ღირებულებას. ამ მიზეზთა გამო, მოსარჩელემ ვერ შეძლო სამუშაოთა დროული გაგრძელება და შესრულება. მოსარჩელემ შეასრულა მთელი რიგი მოსამზადებელი და სარეაბილიტაციო სამუშაოები თითქმის საკუთარი ხარჯით. 2011 წლის მაისი-ივნისის თვეში მოსარჩელე იძულებული გახდა შეეჩერებინა სამუშაოები და მიეტოვებინა პროექტი. საბოლოოდ მხარეები შეთანხმდნენ, რომ სამუშაოთა შესრულებას გააგრძელებდა შემკვეთი, ამასთან იგი მოსარჩელეს აუნაზღაურებდა გაწეულ ხარჯებს. მოსარჩელის განმარტებით მას გაწეული აქვს შემდეგი ოდენობით ხარჯი: ა) წარმოდგენილი ინვოისებით ქვეყნის ფარგლებს გარედან შემოტანილია და საქმისათვის მოხმარებულია 299 400 ევროს ღირებულების პროდუქცია; ბ) ხელფასის სახით გაცემულია 358 351 ლარი; გ) შექმნილია 9 435 ლარის

საქონელი; დ) დიზელის სანავის შესაძენად, ასევე სამუშაო ინვენტარის, სპეცტანსაცმლის, ფეხსაცმელების და კვებისათვის განეულია საერთო ჯამში 46 672.38 ლარი. მოსარჩელემ განეულ ხარჯთან ერთად აღიარა მოპასუხის მიერ გადახდილი ანაზღაურებაც 216 808 ევროს ოდენობით. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხეს ვალდებულების დარღვევის გამო ასევე უნდა დაეკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზიანი 200 000 ევროს ოდენობით.

1.2. მოპასუხემ შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს თავდაპირველი მოსარჩელის მიმართ და მოითხოვა მოპასუხეს დაეკისროს მის სასარგებლოდ 238 114 ევროს და 744 215 ლარის ანაზღაურება, ასევე პირგასამტეხლოს და ჯარიმის სახით 425 671 ევროს ანაზღაურება.

1.2.1. შეგებებული სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

მოპასუხემ დაარღვია სახელშეკრულებო ვალდებულება, რაც გამოიხატა სამუშაოს მიტოვებასა და არაჯეროვან შესრულებაში, რის გამოც შპს „გ.“-ი იძულებული გახდა თვითონ გაეგრძელებინა სამუშაოები. შეგებებულმა მოსარჩელემ სარჩელის მე-5-მე-11-ე ფაქტობრივ გარემოებებში მიუთითა მის მიერ განეულ ხარჯებზე, მათ შორის სანავის, ხელფასების სახით განეულ ხარჯებზე. შეგებებული მოსარჩელის განმარტებით მოპასუხის მიერ ვალდებულების დარღვევის გამო, მან მოპასუხესთან შეწყვიტა ხელშეკრულება.

1.3. მოპასუხეების პოზიცია:

თავდაპირველმა მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოთხოვნის გამომრიცხველი შედავება წარადგინა. შეგებებული სარჩელი ასევე არ ცნო და მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი წარადგინა თავდაპირველმა მოსარჩელემ.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 12 აგვისტოს გადაწყვეტილებით შპს „ი.ი.ჰ.ე.ი.მ.ს. ნ.ტ.თ-თის“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. შპს „გ.“-ს შპს „ი.ი.ჰ.ე.ი.მ.ს. ნ.ტ.თ-თის“ სასარგებლოდ დაეკისრა 266 605 ევროს გადახდა. შპს „გ. ...“-ის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. შპს „ი.ი.ჰ.ე.ი.მ.ს. ნ.ტ.თ-თის“ შპს „გ.“-ის სასარგებლოდ დაეკისრა 238 114 ევროს და 744 215 ლარის გადახდა. შპს „ი.ი.ჰ.ე.ი.მ.ს. ნ.ტ.თ-თის“ შპს „გ.“-ის სასარგებლოდ დაეკისრა მიყენებული ზიანის 92 000 ევროს ოდენობით და პირგასამტეხლოს 20 000 ევროს ოდენობით ანაზღაურება.

3. აპელანტების მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით

გასაჩივრეს მხარეებმა. თავდაპირველმა მოსარჩელემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება, სარჩელის დაკმაყოფილება და შეგვებულ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. შეგვებულმა მოსარჩელემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება, ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და შეგვებულ სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

4. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

მოცემული საქმე არაერთხელ იქნა განხილული ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ, საბოლოოდ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს „გ.“-ისა და შპს „ი.ი.ჰ.ე.ი.მ.ს.ნ.ტ.თ-ის“ სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 12 აგვისტოს გადაწყვეტილება. შპს „ი.ი.ჰ.ე.ი.მ.ს.ნ.ტ. თ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. შპს „გ.“-ის შეგვებულ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

5. კასატორების მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრეს მხარეებმა. შპს „ი.ი.ჰ. ე.ი.მ.ს. ნ.ტ.თ-თმა“ მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება. შპს „გ.“-მა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და კასატორის მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრების საფუძვლები და მიიჩნევს, რომ ისინი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების დასაბუთება:

1.1. საკასაციო პრეტენზიების მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები:

უპირველესად საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საკასაციო განხილვის საგანია ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა მიერ ვალდებულების დარღვევისა და შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრების კანონიერება, ასევე შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება, ვინაიდან ერთის მხრივ მენარდე ითხოვს მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურებას, ასევე სახელშეკრულებო პირობათა დარღვევის გამო პირგასამტეხლოს დაკის-

რებას, ხოლო მეორეს მხრივ შემკვეთი დავობს მენარდის მხრიდან სამუშაოთა არაჯეროვან, ნაკლიან შესრულებაზე, აქედან გამომდინარე ზიანისა და იმ ხარჯების ანაზღაურებაზე, რომლის გაღებაც მას მოუწია ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ მოცემული საქმე ერთხელ იყო საკასაციო განხილვის საგანი, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გარკვეული მითითებებით დაუბრუნა საქმე ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოს, ამიტომ საკასაციო პალატა გაითვალისწინებს ამ მითითების ფარგლებს, როგორც დასაბუთებული პრეტენზიის, ისე სამართლებრივი შეფასების კონტექსტში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად (საკასაციო სასამართლო ამონებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამონმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას საკასაციო საჩივრებში გამოთქმული პრეტენზიების შესაბამისად შეამონმებს, რომლებიც ეხება სააპელაციო სასამართლოს მხრიდან მატერიალური და საპროცესო ნორმების დარღვევას.

1.2. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილების მიმართ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). ხსენებული ნორმიდან გამომდინარე, დასაბუთებულ შედავებად განიხილება მხარის პრეტენზია, რომელიც შეიცავს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. მოცემულ შემთხვევაში, ქვემდგომი სასამართლოების მიერ დადგენილი დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1.2.1. 2009 წლის 31 დეკემბერს „ი.ი.“ და შპს „კ.ი.ვ.თ-თი“ (შემდგომში – „კ. თ-თი“) შეთანხმდნენ ერთობლივ საქმიანობაზე ბათუმის მერიისათვის გასაწევი მომსახურების ფარგლებში. თითოეული მონაწილის წილი განისაზღვრა 50%-ით. ამ ხელშეკრულების

ფარგლებში „კ. თ-ს“ უნდა მიეწოდებინა მასალები, ხოლო „ი. ი-ს“ უნდა შეესრულებინა სამუშაოები. მხარეები შეთანხმდნენ, რომ შპს „გ.“-თან ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან მოხდებოდა სო-ლიდარული დაანგარიშება.

1.2.2. 2010 წლის 5 იანვარს შპს „გ.“-ს, „ი. ი-სა“ და „კ. თ-ს“ შორის დაიდო ნარდობის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების საფუძველზე, მოსარჩელეს უნდა შეესრულებინა ხელშეკრულების დანართში მითითებული, ე.წ. ლოტი 1ც გათვალისწინებული სამუშაოები, ხოლო მოპასუხეს უნდა აენაზღაურებინა ამ სამუშაოების ღირებულება. ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრა 3 111 117 ევროთი. ხელშეკრულების 7.1. პუნქტის თანახმად, მხარეების მიერ კონტრაქტზე ხელის მოწერის შემდეგ, მოპასუხეს მოსარჩელისათვის უნდა გადაერიცხა ავანსი 100 000 ევრო, რომელიც საჭირო იყო მობილიზაციისათვის, საჭირო მონყობილობებისა და დანადგარებისათვის, მიღების, სარქველების, წყალმზომი ყუთების გადამონმებისათვის, საჭიროების შემთხვევაში, მუშათა ხელფასებისათვის და ა.შ. ხელშეკრულების 6.1. პუნქტის მიხედვით, კონტრაქტზე ხელმოწერიდან 10 დღის ვადაში შემკვეთს უნდა უზრუნველყო კონტრაქტორი სამუშაო არეალითა და პროექტებით, ხოლო მენარდეს სამუშაო უნდა დაესრულებინა 545 კალენდარულ დღეში, სამუშაო არეალის მიღების შემდეგ. ე.ი. ორივე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, სამუშაო უნდა დასრულებულიყო, არაუგვიანეს 2011 წლის 14 ივლისისა. ხელშეკრულების 6.3. პუნქტის თანახმად, სამუშაოს დაგვიანებით ჩაბარებისათვის კონტრაქტორს უნდა გადაეხადა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, 320 ევრო, რასაც დამქირავებელი დაქვითავდა საბოლოო გადასახადისაგან. ჩასატარებელი სამუშაოსათვის საჭირო ტექნიკური პერსონალი უნდა დაექირავებინა კონტრაქტორს. მასვე უნდა უზრუნველყო მშენებლობა საჭირო ტრანსპორტით. სამუშაოს ღირებულება უნდა გადაეხადა კონტრაქტორს ყოველკვარტალურად, ე.ი. მესამე თვის ბოლოს, შესრულების მიხედვით.

1.2.3. 2010 წლის 5 იანვრის ხელშეკრულების საფუძველზე „კ. ჯ-მა“ 2010 წლის 11 თებერვლიდან 2010 წლის 2 ივლისამდე შპს „გ.“-ს მიაწოდა 197 315,59 ევროს ღირებულების პროდუქცია, მათ შორის 2010 წლის 7 ივნისიდან 2010 წლის 2 ივლისამდე პერიოდში – 40 038,18 ევროს ღირებულების პროდუქცია. ხელშეკრულების ფარგლებში, შპს „გ.“-მა შპს „კ. თ-ს“ გადაუხადა სულ 146 114 ევრო.

1.2.4. 2010 წლის 7 ივნისამდე შპს „კ. თ-მა“ შპს „გ.“-ს მიაწოდა 157 277,41 ევროს ღირებულების პროდუქცია.

1.2.5. „ი. ი-ს“ მიერ 2010 წლის თებერვალ-მარტში სამუშაოები

დანყებული არ იყო და იგი ამისთვის ემზადებოდა. „ი. ი-მა“ 2010 წლის მაისამდე გარკვეული სამუშაოები ჩაატარა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი სამუშაოები მენარდემ 2010 წლის სექტემბრიდან შეასრულა. საქმეში წარმოდგენილი, ე.წ. დაჯამებული ინვოისის თანახმად, ლოტზე 1ც 2010 წლის 7 ივნისისათვის წინასწარ ნაყიდი მასალების ჩათვლით შესრულებული იყო 167 343,7 ევროს ღირებულების სამუშაო. 2010 წლის 1 ნოემბრიდან 2010 წლის 26 დეკემბრის ჩათვლით „ი. ი-მა“ განახორციელა 267 007,56 ევროს ღირებულების შესრულება. „ი. ი-მა“ მუშა-მოსამსახურეებს გადაუხადა 3 264 ლარი და 10.750 ევრო. ამასთან, მის მიერ 37 000 ლარის გადახდის არც დანიშნულება და არც მიზანი ერთმნიშვნელოვნად არ დგინდება. შპს „გ.“-ს სასამართლოსთვის არ წარმოუდგენია არც ერთი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ მიწოდებული პროდუქცია ან შესრულებული სამუშაო არააჯეროვანი იყო.

1.2.6. 2010 წლის მაისში, შპს „გ.“-მა გაისტუმრა „ი. ი-ის“ დავალიანება მუშაკების მიმართ – 44 000 ლარი.

1.2.7. 2010 წლის მაისსა და ივლისში, შპს „გ.“-მა ხელშეკრულება მოუშალა ჯერ „კ. თ-ს“, ხოლო შემდეგ – „ი. ი-ს“.

1.2.8. 2010 წლის 13 ივლისიდან 2010 წლის ოქტომბრის ჩათვლით სამუშაოებს ასრულებდა უშუალოდ შპს „გ.“. 2010 წლის 13 ივლისიდან 2010 წლის ოქტომბრის ჩათვლით შპს „გ.“-მა შეასრულა 130 000 ევროს ღირებულების სამუშაო.

1.2.9. 2010 წლის 30 ოქტომბერს მხარეებმა, ოღონდ ამ შემთხვევაში მხოლოდ შპს „გ.“-მა და „ი. ი-მა“ დადეს ახალი ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების 7.1. პუნქტის თანახმად, კონტრაქტზე ხელმოწერის შემდეგ, შემკვეთს შემსრულებლისათვის უნდა გადაერიცხა ავანსი, 100 000 ევრო. ხელშეკრულების 7.3. პუნქტის მიხედვით, კი შემსრულებელმა იკისრა ვალდებულება, სამუშაოების დასაჩქარებლად, საკუთარი ხარჯით შეეძინა მიწები, დაახლ. 100000-150000 ევროს ღირებულების, რაც შემდეგ, უნდა აენაზღაურებინა დამკვეთს.

1.2.10. 2011 წლის 7 თებერვლიდან 2011 წლის 10 მაისამდე „ი. ი-მა“ შეასრულა 235 460,85 ევროს ღირებულების სამუშაო. შპს „გ.“-ს სასამართლოსთვის არ წარმოუდგენია არც ერთი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ მიწოდებული პროდუქცია ან შესრულებული სამუშაო არააჯეროვანი იყო.

1.2.11. „ი. ი-ს“ შპს „გ.“-მა გადაუხადა: 2010 წლის 30 დეკემბერს 104 000 ლარი, 2011 წლის 17 თებერვალს – 60 000 ლარი. გარდა ამისა, „ი. ი-მა“ დაადასტურა, რომ შპს „გ.“-მა გადაუხადა 47 347 ევრო.

1.2.12. 2011 წლის იანვრიდან იმავე წლის ივლისის ჩათვლით შპს „გ.“-მა სახელფასო უწყისების თანახმად, ლოტი 1ც-ს მომსახურებისათვის, საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით, გადაიხადა ხელფასი 83 269.5 ლარი.

1.2.13. სასამართლომ არ გაიზიარა შპს „გ.“-ის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ მან „ი. ი-ის“ ნაცვლად მუშებს გადაუხადა 188 858 ლარი, დამატებით გასწია 373 894 ლარის ხარჯი, შეიძინა ინერტული მასალები, სანვაი – 80 000 ლარის და კიდევ, დამატებით დახარჯა 14 697 ლარი. სასამართლოს შეფასებით შემკვეთის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით (საგადასახადო ანგარიშფაქტურები, სასაქონლო ზედნადებები, საგადასახადო დავალებები, ხელშეკრულებები, ხელწერილები და ქვითრები) არ დასტურდება, რომ ისინი, გარდა ხელფასის ნაწილისა, შემკვეთმა მაინცდამაინც „ი. ი-ის“ მიერ შესასრულებელი სამუშაოს გამო გაიღო. უდავოა, რომ „ი.ი.ს“ მიერ შესასრულებელი სამუშაოს გარდა, შპს „გ.“ ახორციელებდა სხვა სამუშაოებსაც. ჯამში, შპს „გ.“-მა შპს „ი. ი-ის“ სასარგებლოდ 468 591 ლარის ოდენობით ხარჯის განწევის ფაქტი ვერ დაამტკიცა.

1.2.14. შპს „გ.“-ის მიერ „ი. ი-სთვის“ 290 000 ევროს ღირებულების მიღების მინოდების ფაქტი საქმის მასალებით არ მტკიცდება.

1.2.15. „ი. ი-ს“ 2010 წლის ივნისიდან 2011 წლის მაისამდე პერიოდში შპს „გ.“-ისათვის 142 141,22 ევროს ღირებულების მასალები არ მიუწოდებია.

1.2.16. როგორც 2010 წლის 5 იანვრის, ისე 2010 წლის 30 ოქტომბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება „ი. ი-მა“ შეწყვიტა (მიატოვა) ჯერ 2010 წლის მაისის ბოლოს, ხოლო შემდეგ – 2011 წლის მაისის დასაწყისში. ამის შესაბამისად, „ი. ი-მა“ ხელშეკრულების პირობები დაარღვია. 2010 წლის 5 იანვრის ხელშეკრულების პირობებს შპს „გ.“-იც არღვევდა, რადგან მას „ი. ი-სთვის“ შესრულებული სამუშაოს ღირებულება არ გადაუხდია.

1.2.17. სასამართლოს დასკვნით, მიღებასავალდებულო ნების ნამდვილობის კონტექსტში დგინდება, რომ 2010 წლის 5 იანვრის ხელშეკრულება შპს „გ.“-მა მოშალა, ხოლო 2010 წლის 30 ოქტომბრის ხელშეკრულება – „ი. ი-მა“.

1.2.18. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, პირველი ინსტანციის სასამართლოში „ი. ი-ს“ ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული და შპს „გ.“-ის მიერ მიღებული სამუშაოს ანაზღაურება არ მოუთხოვია. ამის შესაბამისად, ის, თუ კონკრეტულად სად და რა სამუშაო შეასრულა, „ი. ი-ს“ არ მიუთითებია და არც შესაბამისი მტკიცებულებები წარმოუდგენია.

1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებ-

რივი დასკვნები:

ვიდრე საკასაციო სასამართლო უპასუხებდეს საკასაციო საჩივარში ჩამოყალიბებულ პრეტენზიებს, საკასაციო პალატა შეეხება: რამდენიმე თეორიულ და პრაქტიკულ საკითხს, მათ შორის სარჩელის/შეგვებულ სარჩელის და შესაგებლის ფორმალურ გამართულობას (დასაბუთებულობას); მოცემულ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 15 იანვრის განჩინების (№ას-700-670-2014) ძირითად მითითებებს საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების თაობაზე:

1.3.1. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არაერთ საქმეზე განმარტა, რომ იმ საკითხის დადებითად გადაწყვეტა, საფუძვლიანია თუ არა სარჩელი, დამოკიდებულია რამდენიმე პირობის არსებობაზე: უნდა მოიძებნოს სამართლის ნორმა, რომელიც მიესადაგება განსახილველ შემთხვევას; მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის დადგენის შემდეგ უნდა მოხდეს იმის შემოწმება, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები პასუხობს თუ არა გამოსაყენებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებს (შემადგენლობას). თუკი არ არსებობს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი ან სარჩელში მითითებული ფაქტები იურიდიულად არ ამართლებენ სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი თავშივე უსაფუძვლოა, ამდენად, დავის არსებითად განხილვამდე, უნდა შემოწმდეს, ვინ?, ვისგან?, რას?, რის საფუძველზე ითხოვს?, ამასთან პირველი ორი კითხვა სათანადო მხარესთან დაკავშირებით იძლევა პასუხს, მესამე – დავის საგანთან, ხოლო მეოთხე მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთან მიმართებაში. სამართლის თეორიაში აღიარებულია, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის სწორად დადგენა რთული საკითხია და ამისათვის მოსამართლეს დიდძალი შრომა სჭირდება, რადგან თუ რელევანტური ფაქტების წარდგენა მხარეთა პასუხისმგებლობაა, მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის მოძიება სასამართლოს პრეროგატივაა და მოსამართლეს ეკისრება პასუხისმგებლობა ამ კუთხით. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ერთი მხრივ ფაქტების რელევანტურობას განაპირობებს სამართლის ნორმა, ხოლო მეორე მხრივ ფაქტები განსაზღვრავენ რომელი ნორმა უნდა იქნეს გამოყენებული. ამ მოსაზრებას ამყარებს სამოქალაქო საპროცესო სამართალში მოქმედი პრინციპი – *da mihi facta, dabo tibi ius* – მომეცი ფაქტები და მოგცემ სამართალს. მას შემდეგ, რაც მოსამართლე მოიძიებს მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას, განსაზღვრავს ნორმის ფაქტობრივ ელემენტებს (წინაპირობებს), ამ წინაპირობებს მიუსადაგებს მოსარჩელის მიერ მოხსენებულ ფაქტებს და თითოეულ წინაპირობაზე გასცემს დადებით პასუხს, იგი ამონებს, რომელ ფაქტებს ხდის მოპასუხე სადავოდ. თუ მო-

პასუხს არ აქვს წარდგენილი კვალიფიციური (არსებითი) შედაგე-
ბა და მხოლოდ სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტების უარ-
ყოფით შემოიფარგლება, მოსამართლე გადადის მტკიცების სტა-
დიაზე. შესაგებლის სახეებიდან განსაკუთრებული დატვირთვა
აქვს კვალიფიციურ შედაგებას. კვალიფიციური შედაგება იურიდი-
ულ დოქტრინაში განმარტებულია შემდეგნაირად: მოპასუხე მო-
სარჩელის მოხსენების ნაცვლად წარმოადგენს მოვლენათა განვი-
თარების მისეულ, განსხვავებულ ვერსიას, რომელიც ცალკეულ სა-
კითხებში სადავოდ ხდის მოსარჩელის მოხსენებას. კვალიფიციუ-
რი შედაგებისას, მოსამართლემ უნდა შეამოწმოს რას პასუხობს
მოპასუხის ვერსიას მოსარჩელე და ეს პროცესი გრძელდება, ვიდ-
რე არ დასრულდება მოსარჩელის სტადიიდან მოპასუხის სტადია-
ზე გადასვლა და პირიქით.

1.3.2. საპროცესო კანონმდებლობით სამართალწარმოებაში აღი-
არებულია სარჩელისა და შესაგებლის სრულყოფილად წარდგენის
პრინციპი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177(3) მუხლის თა-
ნახმად – „სარჩელში სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა
იყოს ასახული მოსარჩელის მოსაზრებები საქმის თითოეულ ფაქ-
ტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით“; სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 178(1)(ე, ვ) მუხლის თანახმად –
„სარჩელში უნდა აღინიშნოს კონკრეტული ფაქტები და გარემოე-
ბები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს.
მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოსარჩელის მიერ მი-
თითებულ გარემოებებს“; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის
201(1)(4) მუხლის თანახმად – „პასუხი (შესაგებელი) უნდა უპასუ-
ხებდეს ამ კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით დად-
გენილ მოთხოვნებს. პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და
თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები
სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და
მტკიცებულებასთან დაკავშირებით“). კანონმდებლის ამგვარი
მიდგომა ემსახურება საპროცესო ეკონომიისა და ეფექტური მარ-
თლმსაჯულების ინტერესებს, რაც სრულ თანხვედრაშია მხარეთა
ინტერესებთან, დაცული იყოს სასამართლო ხელმისაწვდომობისა
და სამართლიანი სასამართლოს უფლება.

1.3.3. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოცემული საქმე ერთხელ იყო
საკასაციო განხილვის საგანი, ხოლო საკასაციო სასამართლომ საქ-
მე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს
შესაბამისი მითითებებით, კერძოდ:

ა) დასადგენია ე.წ. პირველი კონტრაქტის (5.01.2010წ.) პერიოდ-
ში, მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულება;

ბ) დასადგენია პირველად რომელმა მხარემ მოშალა ხელშეკ-

რულება, ჯერ მენარდემ მიატოვა სამუშაოები თუ შემკვეთმა მოშალა ხელშეკრულება;

გ) მენარდის მიერ ხელშეკრულების 2010 წლის მაისში მოშლის შემდეგ, თუკი მხარეთა შორის აღარ არსებობდა ვალდებულებები, რის საფუძველზე შეასრულა მან იმავე წლის სექტემბრიდან ძირითადი სამუშაოები, თუ მაისში უკვე მიტოვებული ჰქონდა სამუშაო არეალი და იმავე წლის ოქტომბრამდე მხარეთა შორის ურთიერთობა არ არსებობდა;

დ) სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს 30.10.2010 წლის შეთანხმების (ე.წ. მეორე კონტრაქტი) ფარგლებში, რა ურთიერთვალდებულებები ეკისრებოდათ მხარეებს, როგორ, როდის და რა მოცულობით შეასრულეს, თუკი სექტემბერში მენარდე ასრულებდა ძირითად სამუშაოს, მაშინ რა პერიოდში მოიშალა ხელშეკრულება და ვის მიერ.

ამდენად საკასაციო პალატამ გამოსაყენებელ ნორმათა შემოწმებისათვის არსებითი მნიშვნელობა მიანიჭა ერთის მხრივ მხარეთა ვალდებულებების ზუსტად განსაზღვრას, ხოლო მეორეს მხრივ ვალდებულების დამრღვევი და ხელშეკრულების მოშლის ინიციატორი მხარის დადგენას.

შპს „ი.ი.შ. ე.ი.მ.ს. ნ.ტ.ო-თის“ სარჩელის საფუძვლიანობა

1.3.4. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მენარდის მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმებზე სააპელაციო სასამართლომ სწორად განსაზღვრა სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სკ) 629-ე და 636-ე მუხლები. სკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით მოთხოვნის უფლების წარმოშობისათვის აუცილებელია, რომ: ა) მხარეები ერთმანეთთან იმყოფებოდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობაში; ბ) მენარდემ შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო; გ) მენარდემ შემკვეთს წარუდგინოს უნაკლო ნივთი (სამუშაო); დ) მენარდის სასარგებლოდ არ იყოს გადახდა განხორციელებული. როგორც სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას დაადგინა, „ი. ი-ს“ ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული და შპს „გ.“-ის მიერ მიღებული სამუშაოს ანაზღაურება არ მოუთხოვია. უფრო მეტიც, მენარდეს არ მიუთითებია იმ გარემოებების შესახებ, თუ კონკრეტულად სად და რა მოცულობის სამუშაო შეასრულა, არამედ ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოების თაობაზე „ი. ი-მა“ მიუთითა მხოლოდ სააპელაციო სასამართლოში საქმის განმეორებით განხილვისას. სააპელაციო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ როგორც 2010 წლის 5 იანვრის, ისე 2010 წლის 30 ოქტომბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება „ი. ი-მა“ შეწყვიტა (მიატოვა) ჯერ 2010 წლის მაისის ბოლოს, ხოლო შემდეგ – 2011 წლის მაისის დასაწყისში, 2010

ნლის 13 ივლისიდან 2010 წლის ოქტომბრის ჩათვლით სამუშაოებს ასრულებდა უშუალოდ შპს „გ.“, ამის შესაბამისად, „ი. ი-მა“ ხელშეკრულების პირობები დაარღვია. სამოქალაქო კოდექსის 641-ე მუხლის მიხედვით, ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეესაბამება შეთანხმებულ პირობებს, ხოლო, თუ ეს პირობები შეთანხმებული არ არის, მაშინ ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოდ მიიჩნევა, თუკი იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის. ნივთობრივ ნაკლს უთანაბრდება, თუ მენარდე დაამზადებს შეკვეთილისაგან განსხვავებულ ან უფრო ნაკლები რაოდენობის ნაკეთობას. ამდენად, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ გამორიცხა „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობა, მითითებული ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი ვერ დადგება.

1.3.5. რაც შეეხება სკ-ის 636-ე მუხლის გამოყენების წინაპირობებს, სახეზე უნდა იყოს: ა) სამუშაოს დასრულებამდე შემკვეთის ინიციატივით ხელშეკრულების მოშლა; ბ) ხელშეკრულების მოშლამდე სამუშაოს ნაწილის შესრულება; გ) ხელშეკრულების მოშლით მენარდისათვის ზიანის მიყენება; დ) მენარდის სასარგებლოდ გადახდის განუხორციელებლობა. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, როგორც 2010 წლის 5 იანვრის, ისე 2010 წლის 30 ოქტომბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება „ი. ი-მა“ შეწყვიტა (მიატოვა), ხოლო მიღებასავალდებულო ნების ნამდვილობის კონტექსტში სასამართლომ დაადგინა, რომ 2010 წლის 5 იანვრის ხელშეკრულება შპს „გ.“-მა მოშალა, ხოლო 2010 წლის 30 ოქტომბრის ხელშეკრულება – „ი. ი-მა“. საკასაციო პალატა ხელშეკრულების მოშლამდე მენარდის მხრიდან სამუშაოს ნაწილის შესრულებისა და მისთვის ზიანის მიყენების დასაბუთებულობის შემონების მიზნით, ყურადღებას გაამახვილებს სარჩელის ფორმალურ გამართულობაზე. იმისათვის, რომ სარჩელი ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით ჩაითვალოს დასაბუთებულად, მენარდემ პირველ ეტაპზე უნდა დაძლიოს ფაქტების მითითების ტვირთი, ამასთან, ფაქტები უნდა იყოს ზედმიწევნით კონკრეტული. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ მოცემულობას, რომ სარჩელში მითითებული გარემოებები შინაარსობრივი თვალსაზრისით მოკლებულია კონკრეტიკას (მაგალითად: ავანსის დაგვიანებით და არასრულად ჩარიცხვამ რა არსებითი გავლენა იქონია მენარდის მხრიდან ვალდებულების ჯეროვნად შესრულებაზე (სამუშაოების დაწყებაზე); რა ხარჯები არ აანაზღაურა შემკვეთმა, რის გამოც მენარდე იძულებული გახდა მიეტოვებინა სამუშაოები (გამოსახული თანხობრივად); რა ხარჯები დაუანგარიშა შემკვეთმა მენარდეს ტექნიკა-დანადგარების ქირის სახით, რომელსაც ეს

უკანასკნელი არ იყენებდა ან რა მასალის ღირებულება იქნა ხელოვნურად გაზრდილი და რამდენით, რამაც შეაფერხა სამუშაოთა დროული გაგრძელება და შესრულება; რა ტიპის მოსამზადებელი და სარეაბილიტაციო სამუშაოები შეასრულა მენარდემ, რომელიც არ არის ანაზღაურებული (გამოსახული თანხობრივად); რაში და რა თანხებში გამოიხატა მისთვის მიყენებული ზიანი (წარმოეშვა თუ არა მენარდეს მესამე პირების მიმართ რაიმე ვალდებულება და რა ფარგლებში? სამუშაო ძალის სხვაგვარად გამოყენების შემთხვევაში შეეძლო მენარდეს მიეღო შემოსავალი სხვა წყაროდან და რა ოდენობით?), ამასთან სააპელაციო სასამართლომ გამოიცილა მენარდის მხრიდან შესრულებული სამუშაოების თაობაზე მითითება (კონკრეტულად სად და რა მოცულობის სამუშაო შეასრულა), მივალთ დასკვნამდე, რომ სარჩელი მოსარჩელის სტადიაზე ფორმალურად დაუსაბუთებელია. ამ თვალსაზრისით საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება ერთ-ერთ საქმეზე: „სამოქალაქო საპროცესო მიზნებიდან გამომდინარე, სარჩელის წარმატებულობას განაპირობებს მოსარჩელის მოთხოვნისა და მის მიერ მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძველად მითითებული გარემოებების იურიდიული თანხვედრა, ანუ საქმის განხილვის დანყებების, სასამართლოს უპირველეს ამოცანას სარჩელის ფორმალური საფუძვლიანობის შემოწმება წარმოადგენს, რა დროსაც სასამართლო ადგენს, სარჩელში მითითებული ფაქტები, დადასტურებულად მიჩნევის შემთხვევაში, იურიდიული თვალსაზრისით ამართლებენ თუ არა მოთხოვნას. სწორედ ამ ეტაპის წარმატებით გადალახვის შემდგომ ღირს მოპასუხის შედავების საფუძვლიანობის შემოწმება, რამეთუ, იურიდიულად გაუმართლებელი სარჩელი თავშივე უსაფუძვლოა და სამართალწარმოების შემდგომი ეტაპების გავლა ყოველგვარ გონივრულობას ცდება, თავის მხრივ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულება რა შეჯიბრებითობის პრინციპზე (სსსკ-ის მე-4 მუხლი), სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გარდა მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის განსაზღვრისა, რაიმე ფორმით ჩაეროს სარჩელის გამართულობაში, უფრო მეტიც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს უფლება არა აქვს, მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა (სუსგ ას-1079-1036-2016, 2 ივნისი, 2017 წ.). მსგავსი განმარტება გააკეთა ასევე უზენაესმა სასამართლომ სხვა საქმეზე, კერძოდ: „საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ საკითხის დადებითად გადაწყვეტა, საფუძვლიანია თუ არა სარჩელი, დამოკიდებულია რამდენიმე პირობის არსებობაზე, მათ შორის: უნდა მოიძებნოს სამართლის ნორმა, რომელიც მიესადაგება განსახილ-

ველ შემთხვევას; მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის დადგენის შემდეგ უნდა მოხდეს იმის შემოწმება, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები პასუხობს თუ არა გამოსაყენებელი ნორმის აბსტრაქტულ კომპონენტებს (შემადგენლობას). თუკი არ არსებობს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი ან სარჩელში მითითებული ფაქტები იურიდიულად არ ამართლებენ სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი თავშივე უსაფუძვლოა (სუსგ ას-127-119-2015, 22 ივლისი, 2015 წ.).

1.3.6. მოსარჩელის ბოლო დაზუსტებულ სარჩელში მართალია მითითებულია მის მიერ განეული ხარჯების შესახებ თანხობრივად, თუმცა მითითებისა და მტკიცების კუთხით წარმოდგენილია არასრული სახით, მაგალითად, მოსარჩელე უთითებს, რომ: წარმოდგენილი ინვოისებით ქვეყნის ფარგლებს გარედან შემოტანილია და საქმისათვის მოხმარებულია 299 400 ევროს ღირებულების პროდუქცია, მაგრამ მოსარჩელე არ აკონკრეტებს რომელი მტკიცებულებებით (კონკრეტული ინვოისით, მიღება-ჩაბარების აქტებით ან სამუშაოს შესრულების აქტებით) დასტურდება მასალების შემოტანისა და მოხმარების ფაქტი; შეძენილია 9 435 ლარის საქონელი, მაგრამ არ აკონკრეტებს საქონლის სახეობას, ასევე ანგარიშ-ფაქტურებს ან საქონლის შეძენის დამადასტურებელ სხვა მტკიცებულებას; დიზელის სანავაგის შესაძენად, ასევე სამუშაო ინვენტარის, სპეცტანსაცმლის, ფეხსაცმელების და კვებისათვის განეულია საერთო ჯამში 46 672.38 ლარი, მაგრამ არ მიჯნავს თითოეულ ხარჯს კონკრეტულ მტკიცებულებებზე მითითებით. გარდა აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, „ი. ი-ს“ არც სანავაგ-საპოხი მასალების შესაძენად და არც მუშაკების საკვებად ან მათთვის ინვენტარის შესაძენად ხარჯის განევის დამადასტურებელი არცერთი მტკიცებულება სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია.

შპს „გიო 2007“-ის სარჩელის საფუძვლიანობა

1.3.7. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ შემკვეთის მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმებად სააპელაციო სასამართლომ მართებულად განსაზღვრა სამოქალაქო კოდექსის 352(1), 407(1), 643(1), 417-ე და 986-ე მუხლები, შესაბამისად მითითებული ნორმების გამოყენებისათვის მოსარჩელე ვალდებულია მიუთითოს შემდეგი წინაპირობების არსებობაზე: ა) მხარეები ერთმანეთთან იმყოფებოდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობაში (ნარდობა); ბ) მენარდემ განახორციელა ნაკლიანი შესრულება, რაც გამოიხატა სამუშაოს უხარისხოდ და არასრულად შესრულებაში; გ) შემკვეთმა გააფრთხილა მენარდე და განუსაზღვრა დამატებითი ვადა; დ) დამატებითი ვადა უშედეგოდ გავიდა; ე) დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ შემკვეთმა გამოსატა ცალმხრივი მიღებასავალდებულო

ნება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ; ვ) მენარდის მიერ ვალდებულების დარღვევის გამო შემკვეთს მიადგა ზიანი (სამუშაოს შესრულებასთან/ნაკლის გამოსწორებასთან დაკავშირებით გასწია დამატებითი ხარჯები; ზ) მხარეთა შეთანხმებით ვალდებულების შეუსრულებლობისათვის/არაჯეროვანი შესრულებისათვის გათვალისწინებული იყო პირგასამტეხლო; თ) შემკვეთმა შეგნებულად გაისტუმრა მენარდის ვალები მასთან შრომით ურთიერთობაში მყოფი პირების მიმართ, რითაც მენარდე გამდიდრდა. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, მართალია სამუშაო არეალი მიატოვა „ი. ი-მა“, მაგრამ ვალდებულებები თავის მხრივ დაარღვია შემკვეთმაც, რაც გამოიხატა შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების ვალდებულების დარღვევაში (ანაზღაურება უნდა განხორციელებულიყო პერიოდულად, შესრულებული სამუშაოს ნაწილის მიღების პროპორციულად), მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც სააპელაციო სასამართლოს შეფასებით შპს „გ.“-ს სასამართლოსთვის არ წარმოუდგენია არც ერთი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ მიწოდებული პროდუქცია ან შესრულებული სამუშაო არაჯეროვანი იყო. ამ გარემოებების მხედველობაში მიღებით, საფუძველი ეცლება სკ-ის 352(1), 407(1) და 643(1) მუხლებით გათვალისწინებული იურიდიული შედეგის დადგომას. რაც შეეხება სამუშაო არეალის მიტოვების იმ მიზეზებს, რომელზეც მენარდე მიუთითებდა (სავანსო თანხის არასრულად და დაგვიანებით ჩარიცხვა; შესრულებული სამუშაოს ნაწილის პროპორციული ანაზღაურების ვალდებულების დარღვევა; შესრულებული სამუშაოს ნაწილის მიღების გაჭიანურება), შემკვეთს კვალიფიციური შედავება არ წარმოუდგენია. აქედან გამომდინარე, სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნა ასევე უსაფუძვლოა.

1.3.8. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ შპს „გ.“ „ი. ი-ს“ „კ. თ-ისათვის“ გადახდილი თანხის ანაზღაურებას ვერ მოსთხოვს, რის გამოც 146 114 ევროს გადახდის ნაწილში შპს „გ.“-ის მოთხოვნა დაუსაბუთებელია.

1.3.9. რაც შეეხება შეგებებული სარჩელის ფორმალურ დასაბუთებას, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს სარჩელის მე-5-მე-11 ფაქტობრივ გარემოებებზე, სადაც მოსარჩელე უთითებს მისი მხრიდან ხარჯების განევაზე, მაგრამ ამ ფაქტების რელევანტურობის კონტექსტში არ აკონკრეტებს: ა) მე-5 ფაქტობრივ გარემოებაში გადარიცხული თანხებიდან რამდენია ზედმეტად გადარიცხული და გადარიცხულიდან რა ღირებულების სამუშაო შესრულდა; ბ) მე-7 ფაქტობრივ გარემოებაში, თუ თვითონ მოუწია სამუშაოს გაგრძელება, მიიღო თუ არა სანაცვლო ანაზღაურება ბა-

თუმის მუნიციპალიტეტის მერიიდან. იგივე შეიძლება ითქვას მე-8 ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით; გ) მე-9 და მე-10 ფაქტობრივ გარემოებებში მოსარჩელე საუბრობს სანავის და ზეთების ხარჯებზე, თუმცა არ უთითებს, ამ ხარჯების განევის შედეგად საერთოდ არ შესრულდა სამუშაოები თუ ნაწილობრივ შესრულდა, თუ ნაწილობრივ შესრულდა რა ნაწილი იყო ეს; დ) მე-11 ფაქტობრივ გარემოებაში უთითებს სხვადასხვა ხარჯზე, ისე, რომ არ აკონკრეტებს.

შპს „ი.ი.პ. ე.ი.მ.ს. ნ.ტ.თის“ საკასაციო საჩივარი

1.3.10. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პრეტენზიას სააპელაციო სასამართლოს მხრიდან ხელშეკრულების მოშლის თაობაზე წინააღმდეგობრივი მსჯელობის შესახებ, მიუხედავად ამისა თვლის, რომ ამ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 1.3.4.-1.3.6. პუნქტებში ჩამოყალიბებული მოსაზრების გათვალისწინებით არ იცვლება შედეგი, ვინაიდან, რომც გავიზიაროთ სააპელაციო სასამართლოს დასკვნა ხელშეკრულების შემკვეთის ინიციატივით მოშლის თაობაზე (სკ-ის 636-ე მუხლი), მენარდემ უნდა წარმოადგინოს დეტალური დასაბუთება, როგორც განუთხარი ხარჯების, ასევე ზიანის შესახებ, რაც მოსარჩელის სტადიაზე არ განუხორციელებია. რაც შეეხება სკ-ის 637-ე და 638-ე მუხლის გამოყენების წინაპირობებს, პირველ რიგში მენარდეს უნდა მიეთითებინა და დამტკიცებინა, რომ ხელშეკრულების შეწყვეტისათვის არსებობდა მნიშვნელოვანი საფუძველი, რაც ასევე დაძლეული არ არის. მნიშვნელოვანი საფუძვლის დადასტურება არ შეიძლება ეფუძნებოდეს მხარის სუბიექტურ შეფასებებს, არამედ უნდა გამომდინარეობდეს მხარის მიერ მითითებული და საქმეში წარმოდგენილი უტყუარი მტკიცებულებებიდან, კასატორს კი ამ კუთხით დასაბუთებული შედავება არ წარმოუდგენია.

შპს „გ.“-ის საკასაციო საჩივარი

1.3.11. კასატორი უთითებს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 105-ე მუხლებით დადგენილი სტანდარტების დარღვევაზე, თუმცა არ აკონკრეტებს რაში გამოიხატება ეს დარღვევები. კასატორი გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი უსწორობის ნაწილში პრეტენზიას აცხადებს სასამართლოს მხრიდან შემკვეთის მიერ მენარდისათვის გადარიცხული თანხების, ასევე მის მიერ გაღებული ხარჯების არასწორად დადგენაზე, თუმცა დასაბუთებული პრეტენზიის კონტექსტში მხარეს არ მიუთითებია რომელი მტკიცებულებები არ შეაფასა სასამართლომ (საქმის ფურცლების მითითებით), ასევე იმის შესახებ, რომ სანაცვლო შესრულება არ მიუღია და ხელშეკრულების მოშლის გამო მიღებული შესრულება და სარგებელი ექვემდებ-

ბარება დაბრუნებას (დაბრუნების ფარგლები/გამდიდრების ფარგლები/ზიანის ფარგლები).

1.3.12. საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ გაითვალისწინა მხარეთა თხოვნა საქმის მორიგებით დასრულების შესაძლებლობის თაობაზე და ამ მიზნით გადადო საქმის განხილვა, თუმცა საბოლოოდ მორიგება ვერ შედგა.

1.4. ახალი გადაწყვეტილების მიღების პროცესუალური დასაბუთება:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, აუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და ვინაიდან არ არსებობს საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების კანონით გათვალისწინებული წინაპირობები, ამავე კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, თავად იღებს ახალ გადაწყვეტილებას.

2. პროცესის ხარჯები:

ვინაიდან მიღებული გადაწყვეტილებით არცერთი სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ხოლო მხარეთა მიერ სახელმწიფო ბაჟი გადახდილია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე და 55-ე მუხლების საფუძველზე, არ არსებობს სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების წინაპირობები, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ანგარიშსწორება განხორციელებულია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7, 53-ე, 55-ე, 257-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „ი.ი.ჰ. ე.ი.მ.ს. ნ.ტ.თ-თის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. შპს „გ.-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება:

3.1. შპს „ი.ი.ჰ. ე.ი.მ.ს. ნ.ტ.თ-თის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

3.2. შპს „გ.-ის“ შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. სატრანსპორტო ექსპედიცია

ექსპედიტორის პასუხისმგებლობა

განჩინება საქართველოს სახელით

№ას-1626-2019

17 ივნისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება, პირგასამტეხლოს დაკისრება, მიუღებელი შემოსავლის სახით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კ. მ-სა“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც შპს, მოპასუხე, შეგებებული მოსარჩელე ან კასატორი) და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ს-ს“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, შეგებებული მოპასუხე ან აპელანტი) შორის 2014 წლის 1 იანვარს დაიდო წერილობითი შეთანხმება რომლის თანახმად, მოპასუხემ იკისრა კომპანია „პ-თან“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც გამყიდველი) 2010 წელს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, მოსარჩელის მიერ შესყიდული ელექტროსაქონლის საქართველოში გადაზიდვის ვალდებულება. გადაზიდვის პირობა – FCA (ინკოტერმს 2000), ხოლო ტვირთის ღირებულება 273 348,13 აშშ დოლარი იყო.

2. მოპასუხემ მოსარჩელის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად აღნიშნული ტვირთის ტრანსპორტირება დაავალა უკრაინულ კომპანია „კ-ს“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც გადამზიდველი). კერძოდ, ამ უკანასკნელს უნდა მიეღო ტვირთი – გერმანიაში, ქალაქ ჰამბურგში, კომპანია „პ-ის“ კონტრაქტორი ორგანიზაციისგან „E.W.D.G.“ და ავტომანქანით (სანომრე ნიშანი ...; მისაბმელის ნომერი ...) საერთაშორისო ზედდებულის საფუძველზე გადაეზიდა საქართველოში.

3. 2014 წლის 28 აპრილს „E.W.D.G.-ის“ წარმომადგენელმა გამყიდველს აცნობა, რომ ტვირთის გადასაზიდად მისული და მათ-

თვის ცნობილი ავტომანქანის მონაცემები ერთმანეთს არ ემთხვეოდა. მან მძღოლისა და ავტომანქანის მონაცემები და ფოტოსურათები გაუგზავნა მოსარჩელეს, ამ უკანასკნელმა კი, თავის მხრივ, გადამოწმებისა და დადასტურების მიზნით გაუგზავნა მოპასუხეს, და მოსთხოვა მათი იგივეობის დადასტურება, რაზეც მიიღო პასუხი, რომ გადამოწმდა და სისწორე დადასტურდა. თავის მხრივ, მოსარჩელემ გამყიდველს დაუდასტურა ავტომანქანისა და მძღოლის მონაცემების თანხვედნილობა.

4. 2014 წლის 28 აპრილს საქონელი ავტომანქანაში ჩაიტვირთა, ტვირთის მიღების დოკუმენტზე მძღოლის მიერ ხელმოწერა შესრულდა გვართ – „გ-ი“. გადამზიდველმა ტვირთი დანიშნულების ადგილას არ ჩაიტანა. მოპასუხემ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ჰამბურგის პოლიციის განყოფილებაში დაუყოვნებლივ განაცხადა ტვირთის დაკარგვის შესახებ და დახმარებისთვის მიმართა ინტერპოლს. შედეგად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ჰამბურგის პოლიციის განყოფილებაში დაიწყო გამოძიება, რა დროსაც დადგინდა, რომ ტვირთი გამოგზავნი („პ-ი“) კომპანიის საწყობის ტერიტორიის გარეთ დაიკარგა. იმის გამო, რომ ტვირთის ადგილსამყოფელის დროული აღმოჩენა ვერ ხერხდებოდა, 2014 წლის 2 ივნისს მხარეებს შორის დაიდო წერილობითი შეთანხმება, კერძოდ, ისინი შეთანხმდნენ, რომ მოპასუხე მოსარჩელეს ტვირთის ღირებულებას, 273 348,13 აშშ დოლარს, 22 თვის განმავლობაში, 2016 წლის 31 მარტის ჩათვლით აუნაზღაურებდა. მხარეებმა დაადასტურეს, რომ გადახდის ფაქტი, არ გულისხმობდა ბრალის აღიარებას. ამავე შეთანხმებით, მოსარჩელემ მოპასუხეს მიანიჭა ამ ფაქტთან დაკავშირებით ნებისმიერი პირის წინააღმდეგ დავის წარმოების უპირობო უფლება.

5. მოგვიანებით, 2015 წლის 29 იანვარს მხარეებს შორის დაიდო „მინდობილობით“ დასათაურებული წერილობითი შეთანხმება, რომლითაც მოსარჩელემ შეკვეთილი და შესყიდული საქონლის დაკარგვასთან დაკავშირებით, მოპასუხეს მიანიჭა მის ნაცვლად, საკუთარი სახელითა და საკუთარ ანგარიშზე ნებისმიერი პირის წინააღმდეგ დავის წარმართვისა და სხვა უფლებამოსილების განხორციელების შესახებ უპირობო უფლებამოსილება 2015 წლის 27 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

6. 2015 წლის 27 აგვისტოს მოსარჩელემ გამყიდველს აცნობა, რომ 2014 წელს სატვირთო ავტომობილის დაყარალებასთან დაკავშირებით, მის მიმართ პრეტენზია არ ჰქონდა.

7. 2015 წლის 5 მარტს მოპასუხის წარმომადგენელმა იმაზე მითითებით, რომ მოქმედებდა მოსარჩელის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, კომპანია „პ-ს“, 2014 წლის 28 აპრილს

ტვირთის დაკარგვის ფაქტთან დაკავშირებით, საკონტრაქტო ვალდებულების შესრულება – მოსარჩელისათვის საქონლის მიწოდება მოსთხოვა. კომპანიის 2015 წლის 1 სექტემბრის საპასუხო წერილის მიხედვით, ტერიტორიის გარეთ არსებული შემთხვევის გამო, მოსარჩელესაც არ ჰქონდა პრეტენზია მათ მიმართ, შესაბამისად, უარყოფდა მოთხოვნას.

8. ზემოაღნიშნულ ფაქტებზე დაყრდნობით მოსარჩელემ 2016 წლის 16 მარტს სარჩელი აღძრა მოპასუხის მიმართ ფულადი ვალდებულების შესრულების, პირგასამტეხლოს დაკისრებისა და მიუღებელი შემოსავლის სახით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. რასაც არ დაეთანხმა მოპასუხე და წარდგენილი შეგებებული სარჩელით ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად წარმოშობილი კანონისმიერი ვალდებულების შესრულება მოითხოვა.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 20 მარტის გადაწყვეტილებით, სარჩელი უარყოფილ იქნა; შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; შეგებებულ მოპასუხეს 136 606, 85 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა შეგებებული მოსარჩელის სასარგებლოდ; შეგებებული სარჩელი 6 389,48 ევროს მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად „ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების ხელშეკრულების შესახებ“ კონვენცია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში, სსკ-ის 8.3, 115-ე, 316.1, 317.1, 319.1, 327.1.2, 328-ე, 352-ე, 354-ე, 355-ე, 361-ე, 394-ე, 405-ე, 407-ე, 408-ე, 410-ე, 411-ე, 417-ე და 418-ე მუხლები გამოიყენა.

10. მოსარჩელემ სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმება, ახალი გადანყვეტილების მიღება, სარჩელის დაკმაყოფილება და შეგებებული სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმებით მიღებულ იქნა ახალი გადანყვეტილება; სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს დაეკისრა 136 741, 28 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და პირგასამტეხლოს – 30 640 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ; მოპასუხეს დაეკისრა 2015 წლის 28 თებერვლიდან გადანყვეტილების აღსრულებამდე პირგასამტეხლო – დღეში 136, 7 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ; ზიანის – 137 927,04 აშშ დოლარის წლიური 11%-ის დაკისრების თაობაზე სარჩელი უარყოფილ იქნა; 136 606,85 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდის თაობაზე შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

11.1. სააპელაციო პალატა არ დაეთანხმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ შეფასებებს და მიიჩნია, რომ მოსარჩელის მხრიდან შეთანხმების დარღვევა და, შესაბამისად, მოპასუხისათვის ხელშეკრულებიდან გასვლის მართლზომიერი საფუძვლები არ ვლინდებოდა და არც 2015 წლის 27 აგვისტოს წერილი არ იყო მოთხოვნის დამკარგავი სამართლებრივი აქტი – ვალის პატიების შესახებ განცხადება/ხელშეკრულება.

11.2. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა მოსარჩელის მიერ 2015 წლის 29 იანვარს მოპასუხის სახელზე გაცემულ დოკუმენტთან დაკავშირებითაც და მიიჩნია, რომ თავისი არსით არა მინდობილობა, არამედ მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება იყო, რაც მოსარჩელემ შეთანხმების ფარგლებში განახორციელა.

11.3. სააპელაციო პალატამ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ შეგებებულმა მოსარჩელემ ვერ წარადგინა უტყუარი მტკიცებულება იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ შეგებებულმა მოპასუხემ დაარღვია შეთანხმების 3.3. პუნქტი, რაც მის მოთხოვნას უსაფუძვლოდ აქცევდა.

11.4. მხარეთა შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების აქტის საფუძველზე პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2015 წლის 4 აპრილის მონაცემებით, მოპასუხის დავალიანება 136 741,28 აშშ დოლარია, რომლის გადახდაც მას ეკისრებოდა მოსარჩელის სასარგებლოდ. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქმის მასალებით მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო ზიანი არ ვლინდებოდა, შესაბამისად, მიიჩნია, რომ მოპასუხისათვის ზიანის სახით, 137 927,04 აშშ დოლარის წლიური 11%-ის დაკისრების თაობაზე სარჩელი დაუსაბუთებელი იყო და უარყო.

12. შეგებებულმა მოსარჩელემ საკასაციო საჩივრით გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის უარყოფა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება, კერძოდ, ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველზე, მოსარჩელისათვის გადახდილი თანხის – 136,606,85 აშშ დოლარის უკან დაბრუნება მოითხოვა.

12.1. კასატორის მტკიცებით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილება ცალკეული ფაქტობრივი გარემოებების ფრაგმენტულ შეფასებას ისე დააფუძნა, რომ არ განმარტა ყველაზე არსებითი, თავად ამ სამართლებრივი ურთიერთობისა და მოთხოვნის საფუძველი – მხარეთა შეთანხმების არსი, რის გარეშეც შეუძლებელია ურთიერთვალდებულებებისა და მათი კეთილსინდისიერი და ჯეროვანი განხორციელების შეფასება, სასამართლომ

მხარეთა მოთხოვნის საფუძველი მიიჩნია, რიგით მორიგებად, ვა-ლის აღიარებად, რომელიც უნდა განხორციელდეს ყოველგვარი წინაპირობების გარეშე, რასაც, ბუნებრივია, არასწორი სამართლებრივი შეფასება მოჰყვა. მხარეებმა ამ შეთანხმებით დაადგინეს ურთიერთვალდებულებები, რომელიც არა დავის საბოლოო გადაწყვეტას, არამედ პრობლემის საბოლოო ამონაწერამდე მხარეთა ორმხრივი ინტერესების მონესრიგებას ემსახურებოდა, რისთვისაც მათ ორმხრივი ძალისხმევა და ურთიერთვალდებულებებზე განსაკუთრებული ზრუნვა ევალდებოდათ. მოსარჩელემ კი, 2015 წლის 27 აგვისტოს წერილით „პ-ის“ მიმართ მოთხოვნაზე უარი თქვა, რითაც მხარეთა შორის 2014 წლის 2 ივნისს დადებული შეთანხმების 3.3 პუნქტი დაარღვია, რაც ხელშეკრულებიდან გასვლისა და გადახდილი თანხის უკან დაბრუნების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველია.

13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 2 მარტის განჩინებით, სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულია განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

14. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

15. განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 2014 წლის 1 იანვარს საექსპედიტორო მომსახურების ხელშეკრულება დაიდო, რომლითაც მოპასუხემ, ანუ ექსპედიტორმა მოსარჩელის, ანუ შემკვეთის მიერ შესყიდული ელექტროსაქონლის საქართველოში გადაზიდვის ორგანიზება იკისრა. ასევე უდავოა, რომ ექსპედიტორმა ტვირთის ტრანსპორტირება

უკრაინულ კომპანიას დაავალა, მაგრამ ტვირთი დაკარგვის გამო დანიშნულების ადგილამდე არ იქნა მიტანილი. ასევე დადგენილია, რომ 2014 წლის 2 ივნისის მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმება დაიდო. კასატორი ამტკიცებს, რომ ამ შეთანხმებით, მათ ორმხრივი ძალისხმევა და ურთიერთვალდებულებებზე განსაკუთრებული ზრუნვა ევალეზოდათ, მოსარჩელემ კი, 2015 წლის 27 აგვისტოს წერილით „პ-ის“ მიმართ მოთხოვნაზე უარი თქვა, რითაც შეთანხმება დაარღვია, რაც ხელშეკრულებიდან გასვლისა და გადახდილი თანხის უკან დაბრუნების სამართლებრივი საფუძველია, ამდენად, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანი ექსპედიტორის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი საფუძველიანობის შემოწმებაა.

16. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და ნაწილობრივ მათ სამართლებრივ შეფასებას, ამასთან, კასატორების ყურადღებას მიაქცევს შემდეგზე: ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი მხარის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევას უკავშირდება. ის გამოიყენება მხოლოდ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, ამიტომ კანონი ამომწურავად განსაზღვრავს ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველსა და წესს, კერძოდ, იმას თუ როდის შეუძლია ხელშეკრულების მხარეს, მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა. ხელშეკრულებიდან გასვლის, როგორც მეორადი მოთხოვნის უფლების საფუძველები შეიძლება, დაიყოს მატერიალურ და ფორმალურ ნაწილებად. მატერიალური შეიძლება გულისხმობდეს სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობას, ხოლო ფორმალური – დამატებითი ვადის დაწესებასა და ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინებას. ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის კანონისმიერი წინაპირობაა ორმხრივი ხელშეკრულების ნამდვილობა (უნდა აკმაყოფილებდეს გარიგების ნამდვილობის ზოგად პირობებს) ანუ ორივე მხარეს უნდა ჰქონდეს შესრულების ვალდებულება. განსახილველ შემთხვევაში, საქმეში არსებული მტკიცებულებების ურთიერთშეჯერებისა და ერთობლივად კვლევის შედეგად საკასაციო სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის 2014 წლის 2 ივნისის დადებული შეთანხმების საგანი 2014 წლის 1 იანვრის საექსპედიტორო მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამართალურთიერთობის მოწესრიგებაა და არა დამოუკიდებელი ხელშეკრულება, რომლითაც ექსპედიტორმა შემკვეთის მიმართ თანხის გადახდის ვალდებულება იკისრა, ამდენად, იგი ცალმხრივი ხელშეკრულებაა და მასზე არ ვრცელდება სსკ-ის 352-ე და მომდევნო მუხლებით გათვალისწინებული ხელშეკრუ-

ლებიდან გასვლის სამართლებრივი შედეგები. ამასთან, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის იმ პრეტენზიის, რომ 2014 წლის 2 ივნისის შეთანხმება დამოუკიდებელი ხელშეკრულებაა, გაზიარების შემთხვევაშიც, კი სარჩელი წარუმატებელია, ვინაიდან, დადგენილია, რომ შეთანხმება შესრულდა, ხელშეკრულებაზე უარის თქმისას კი, აუცილებელია, რომ მხარეთა შორის ხელშეკრულება იყოს ძალაში, რაც შეგებებული სარჩელის წარუმატებლობის საფუძველია (მდრ. სუსგ. №ას-331-734-2006; 08.01.2007წ).

17. ამასთან, თუ კასატორი თვლიდა, რომ შემკვეთმა, ტვირთის გამომგზავნისათვის („პ-ისათვის“) 2015 წლის 27 აგვისტოს გაგზავნილი წერილით, დაარღვია კეთილსინდისიერების ზოგადი პრინციპი და შეძლებდა იმის დამტკიცებას, რომ იგი თავისი შინაარსით ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნაზე უარს წარმოადგენდა, რასაც შედეგად მისთვის ზიანის მიყენება მოჰყვა, სსკ-ის 730-ე (ექსპედიციის ხელშეკრულებით ექსპედიტორი კისრულობს, თავისი სახელითა და შემკვეთის ხარჯზე განახორციელოს ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული მოქმედებანი. შემკვეთი მოვალეა, გადაიხადოს შეთანხმებული პროვიზია. 2. ექსპედიციის მიმართ შესაბამისად გამოიყენება დავალების წესები, თუ ამ თავიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს), 709-ე (დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე), 394.1 (მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის) და 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) მუხლების საფუძველზე ზიანის ანაზღაურების უფლება წარმოემოხიდა, თუმცა მოცემული ნორმებით გათვალისწინებული შედეგის განმაპირობებელ ფაქტებზე კასატორი არ მიუთითებს, შესაბამისად, მის მიერ დაყენებული საფუძვლით, მოთხოვნა წარმატებული ვერ იქნება.

18. საკასაციო სასამართლო კასატორის ყურადღებას მიაქცევს სსკ-ის 740-ე (ექსპედიტორი ექსპედიციის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოვალეობებისათვის, ჩვეულებრივ, მაშინ აგებს პასუხს, თუ მას ან მის დამხმარეს მიუძღვის რაიმე ბრალი) და 396-ე (მოვალემ თავისი კანონიერი წარმომადგენლის და იმ პირთა მოქმედებისათვის, რომელთაც იგი იყენებს საკუთარ ვალდებულებათა შესასრულებლად, ისეთივე მოცულობით უნდა აგოს პასუ-

ხი, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს) მუხლების შინაარსზეც და 2014 წლის 2 ივნისის იმ შეთანხმების მიუხედავად, რომ „გადახდის ფაქტი, არ გულისხმობს ბრალის აღიარებას“ მიიჩნევს, რომ ექსპედიტორმა სათანადოდ არ შეასრულა დაკისრებული ვალდებულება, სახელდობრ, გადამზიდველი კომპანიის შერჩევისას მან, სულ მცირე, მარტივი გაუფრთხილებლობა დაუშვა, რადგან კომპანიის საქმიანობა კრიტიკულად არ შეისწავლა და ისეთ პირს დაავალა ტვირთის მიღება და გადაზიდვა, რომლის რეპუტაცია საეჭვო იყო (გადამზიდველი უკრაინის საერთაშორისო სავაჭრომობილო გადამზიდველთა ასოციაციის წევრი არ იყო და არც სატრანსპორტო საშუალებები ერიცხებოდა). მოცემულ შემთხვევაში, ტვირთი გადამზიდველისთვის გადაცემის შემდეგ დაიკარგა, შესაბამისად, ექსპედიტორი მის მიერ შერჩეული დამხმარე პირის ბრალეული მოქმედებით მიყენებული ზინისათვის ისეთივე მოცულობით აგებს პასუხს, როგორც საკუთარი მოქმედების დროს.

19. ამდენად, საქმის გარემოებათა ურთიერთშეჯერებითა და სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონმდებლობის დანაწესთა სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, პალატა მიიჩნევს, რომ კასატორმა ვერ დამტკიცა ხელშეკრულებიდან გასვლის მართლზომიერი საფუძვლების არსებობა.

20. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. *Van de Hurk v. Netherlands*, par.61, *Garcia Ruiz v. Spain* [GC] par.26; *Jahnke and Lenoble v France* (dec.); *Perez v France* [GC], par. 81); *Boldea v. Romania*, par. 30). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა დეტალურად აღარ იმსჯელებს განსახილველი საკასაციო საჩივრის ყველა პრეტენზიაზე.

21. სსსკ-ის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

22. კასატორმა სახელმწიფო ბაჟი გადაიხადა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 257.1, 264.3, 408.1, 408.2, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „კ. მ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

6. მიზარება

მიზარების საზღაური

განჩინება საქართველოს სასჯელით

№ას-1475-2019

7 აპრილი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ვაგონების დგომის საფასურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. რუსთავში, სამრეწველო ზონაში მდებარე რკინიგზის ჩიხები ს/კ-ით №02.00..., 2012 წლის 5 იანვრიდან აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულების, შპს „ქ. ფ.“ სანესდებო კაპიტალის შესავსებად შენატანისა და ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, შპს რ. ფ.“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხე, შეგებებული მოსარჩელე, მესაკუთრე ან შემნახველი) საკუთრებაა.

2. 2012 წლის 21 სექტემბერს სს „ს. რ.“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც რკინიგზა ან სარკინიგზო კომპანია) და შპს „რ. ფ. მ.“, ამჟამინდელი სახელწოდება შპს „ჯ. ქ. მ.“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, შეგებებული მოპასუხე, აპელანტი, კასატორი ან მიმბარებელი) შორის მოძრავი ქონების მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდა, რომლის თანახმად, რკინიგზამ მოსარჩელეს განსაზღვრულ ადგილზე მიტანით ან/და იმჟამინდელი განლაგების ადგილზე შენახვის უზრუნველყოფით, შპს „ი.“ 2010 წლის 15 ივნისისა და 17 სექტემბერის აუდიტორული დასკვნით დადასტურებული 2241 ერთეული სხვადასხვა ტიპის სატვირთო ვაგონი გადასცა, ნარჩენი ღირებულება გადაცემის მომენტისთვის – 8572 678,75 ლარი იყო.

3. სარკინიგზო კომპანიამ 2012 წლის 20 სექტემბრის ბრძანებით, აუდიტორული დასკვნით განსაზღვრული ქონება შეიტანა მოსარჩელის კაპიტალში. მოსარჩელის კუთვნილი 47 ვაგონი მოპასუხის კუთვნილ ლიანდაგებზე, ჯერ კიდევ ამ ვაგონებზე მოსარჩელის საკუთრების უფლების წარმოშობამდე, კერძოდ, 2012 წლის 21 სექტემბრამდე განთავსდა.

4. აუდიტორული კომპანია „კ.“ 2018 წლის 7 მაისის დასკვნის მიხედვით, ლიანდაგების მდებარეობისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, წლიური საიჯარო ქირა 18 600 ლარია.

5. ზემოაღნიშნულ ფაქტებზე დაყრდნობით, მოსარჩელემ 2017 წლის 25 მაისს სარჩელი აღძრა მოპასუხის მიმართ კუთვნილი 47 სატვირთო ვაგონის გატანაში ხელშემშლის აღკვეთის მოთხოვნით. რასაც არ დაეთანხმა მოპასუხე და წარდგენილი შეგვებულნი სარჩელით ვაგონების დგომის საფასურის, 921 670 ლარის ანაზღაურება მოითხოვა. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 18 სექტემბრის საოქმო განჩინებით კი, მოსარჩელის სარჩელზე შეწყდა საქმის წარმოება, დავის საგნის არარსებობის გამო.

6. მოსარჩელე არ დაეთანხმა შეგვებულნი სარჩელის ავტორს და მიუთითა, რომ ვაგონები, 1990-იანი წლებიდანაა განლაგებული მოპასუხის ტერიტორიაზე, შესაბამისად, საკუთრებაშიც ნივთობრივი ნაკლის მქონე ქონება მიიღო, რაზეც პრეტენზია არ განუცხადებია, რაც ნივთის ნაკლის მიმართ თმენის ვალდებულებას წარმოშობს.

7. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით, შეგვებულნი სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, შეგვებულ მოპასუხეს 89 900 ლარის გადახდა დაეკისრა შეგვებულნი მოსარჩელის სასარგებლოდ. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 763-ე, 764-ე, 775-ე 976-ე მუხლები და სარკინიგზო კოდექსის 1-ლი, 30-ე, 31-ე და 50-ე მუხლები გამოიყენა.

8. შეგვებულმა მოპასუხემ სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და შეგვებულნი სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 25 ივნისის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი უარყოფილ იქნა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

9.1. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და დამატებით აღნიშნა, რომ ვაგონების დგომის საფასურის ანაზღაურება გამოირიცხებოდა თუ მოპასუხე დაამტკიცებდა, რომ მიზარება უსასყიდლო იყო. პალატამ აღნიშნა, რომ აპელანტმა ვერ შეძლო კუთვნილი მტკიცების ტვირთის რეალიზება და, გარდა თავისი ზეპირსიტყვიერი განმარტებისა, შეგვებულნი მოსარჩელის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს კანონით დასაშვები და გამაბათილებელი მტკიცებულება ვერ დაუპირისპირა.

10. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხე-

ლახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების მოთხოვნით.

10.1. კასატორის მტკიცებით, ვაგონები ლიანდაგებზე განლაგებული იყო 1990-იანი წლებიდან, შესაბამისად, ივარაუდება, რომ მოსარგებლის თანხმობაც არსებობდა. მესაკუთრის შეცვლის შემდეგ სარგებლობის წესი არ შეცვლილა, უფრო მეტიც შეგებებულმა მოსარჩელემ ისე შეისყიდა ლიანდაგები, რომ პრეტენზია არ გამოუთქვამს არც გამყიდველისა და არც ვაგონების მესაკუთრის მიმართ. აღნიშნულით, ის უსასყიდლო მიზარების შესახებ, მისი უფლებრივი წინამორბედის მიერ გამოვლენილ ნებას დაეთანხმა.

10.2. გარდა ამისა, კასატორის მითითებით, ლიანდაგები წლების განმავლობაში მწყობრიდანაა გამოსული, დაკარგული აქვს მისასვლელი ლიანდაგის ფუნქცია, შესაბამისად, მისი ექსპლუატაცია და მასზე ვაგონების უსაფრთხო მოძრაობა შეუძლებელია.

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 14 იანვრის განჩინებით, სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულია განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

12. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

13. განსახილველ შემთხვევაში, იმ სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, კერძოდ, ვაგონების დგომის საფასურის ანაზღაურება სსკ-ის 764-ე (1. მიზარება უსასყიდლოა, თუ შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუ შემნახველი ახორციელებს შენახვას სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში, მაშინ საზღაური დუმილითაც შეთანხმე-

ბულად ჩაითვლება. 2. თუ საზღაურის ოდენობა არ არის განსაზღვრული, მაშინ ტარიფების არსებობისას შეთანხმებულად მიიჩნევა სატარიფო განაკვეთი, ხოლო ტარიფების არარსებობისას ჩვეულებრივი საზღაური და 775-ე (თუ მიბარება სასყიდლიანია, მაშინ მიმბარებელი მოვალეა ხელშეკრულების შეწყვეტისას შემნახველს გადაუხადოს დათქმული საზღაური) მუხლებიდან გამომდინარეობს.

14. დადგენილია, რომ შემნახველი ანუ შეგებებული მოსარჩელე მოქმედებდა სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში, შესაბამისად, საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას, მიბარების უსასყიდლო ხასიათის შესახებ და მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ მართებულად დაუშვა პრეზუმფცია, სამენარმეო საქმიანობის განხორციელების ფარგლებში მიბარებისას, მიბარების სასყიდლიანობის შესახებ და კასატორის ყურადღებას მიაქცევს სსკ-ის 764-ე მუხლზე, რომელიც მიბარებას, როგორც წესი, განიხილავს უსასყიდლო ხელშეკრულებად, თუმცა ზემოაღნიშნული წესიდან არსებობს ამავე წინააღმდეგობით გათვალისწინებული გამონაკლისი, რომლის თანახმად, თუ შემნახველი მოქმედებს სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში, მაშინ საზღაური დუმილითაც შეთანხმებულად ჩაითვლება. სხვაგვარად რომ ითქვას, კანონმდებელი მოცემულ შემთხვევაში, უშვებს სასყიდლიანი მიბარების პრეზუმფციას, რომლის თანახმად, თუ შემნახველის მიერ ნივთის შენახვა მის კომერციულ საქმიანობას წარმოადგენს, მაშინ მიბარება ანაზღაურებადია და არ არის აუცილებელი ამის თაობაზე მხარეთა შორის დამატებითი შეთანხმების არსებობა.

15. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხე/კასატორი პრეზუმირებული ფაქტის გაქარწყლებას მხოლოდ ზეპირსიტყვიერი ახსნა-განმარტებით შეეცადა, კერძოდ, მიუთითა, რომ უფლებრივ წინამორბედებს შორის ანგარიშსწორება არ განხორციელებულა და მას სასამართლოსათვის სხვა მტკიცებულება არ წარმოუდგენია. აღნიშნული მეორე მხარემ უარყო და მიუთითა, რომ უსასყიდლო მიბარების შესახებ არცერთ იურიდიულ პირთან შეთანხმებული არ ყოფილა. სსკ-ის 102-ე და 105-ე მუხლებზე მითითებით, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ერთ-ერთი მხარის ახსნა-განმარტება, თუ მას არ ეთანხმება მონინალმდეგე მხარე, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს სადავო სამართლებრივი ურთიერთობის არსებობისა თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დამადასტურებელ მტკიცებულებად, თუ იგი დასტურდება საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად. წინა-

აღმდეგ შემთხვევაში, ასეთი მტკიცებულების სადავო ურთიერთობის, ან საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებად მიჩნევა ენინალმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილ პრინციპებს. შესაბამისად, კასატორის მსჯელობა, რომ უფლებრივ წინამორბედებს შორის მიბარებიდან გამომდინარე ანგარიში არ გასწორებულა, არ გამორიცხავს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 764-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, მიბარების სასყიდლიან ხასიათს.

16. რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას, რომ ლიანდაგები წლების განმავლობაში მწყობრიდანაა გამოსული და მისი ექსპლუატაცია შეუძლებელია, საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს და კასატორის ყურადღებას მიაქცევს აუდიტორული კომპანია „კ.“ 2018 წლის 7 მაისის დასკვნაზე, რომლის თანახმად, სწორედ ლიანდაგების მდებარეობისა და მახასიათებლების გათვალისწინებითაა დაანგარიშებული წლიური საიჯარო ქირა.

17. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადანყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81); Boldea v. Romania, par. 30). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა დეტალურად აღარ იმსჯელებს განსახილველი საკასაციო საჩივრის ყველა პრეტენზიაზე.

18. სსსკ-ის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა.

19. კასატორმა სახელმწიფო ბაჟი გადაიხადა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 408.3, 410-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. შპს „ჯ. ქ. მ.“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 ივნისის განჩინება დარჩეს უცვლელად;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

7. დაზღვევა

ზიანის ფულადი ანაზღაურების ვალდებულება

განმარტება საქართველოს სასახელით

№ას-1333-2018

1 ივლისი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძველები:

1.1. შპს „ჰ-მა“ (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი, კასატორის მონინალმდგევე მხარე ან დამზღვევე) სარჩელი აღძრა სასამართლოში სს სადაზღვევოს კომპანია „უ-ის“ (შემდგომში – მოპასუხე, აპელანტის მონინალმდგევე მხარე, კასატორი ან მზღვეველი) მიმართ და მოითხოვა 2015 წლის 12 იანვრის ხელშეკრულებით დაზღვეული ავტომობილის განადგურების გამო სადაზღვევო თანხის – 15 916 ლარის, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო პირგასამტეხლოს – 1 336,88 ლარისა და ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის – 330 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2015 წლის 12 იანვარს მხარეთა შორის დაიდო №9 ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოსარჩელემ მოპასუხე კომპანიაში დააზღვია მის საკუთრებაში არსებული 21 ავტომობილი. ხელშეკრულება მოქმედებდა 2017 წლის 5 თებერვლის ჩათვლით. სადაზღვევო თანხა განისაზღვრა 15 916 ლარით. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, 2016 წლის 8 აგვისტოს ქ. თბილისში, მუხათგვერდის საქალაქო სასაფლაოზე (რომელიც არის მოსარჩელის მართვაში და სადაც იგი ეწევა დაკრძალვასთან დაკავშირებულ მომსახურებას) ცეცხლი გაუჩნდა დამზღვევის საკუთრებაში არსებულ დაზღვეულ ავტომობილს და სრულად განადგურდა იგი. დამზღვევმა მომხდარის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობა მზღვეველს, რომლის წარ-

მომადგენელი ადგილზე არ გამოცხადდა, ამასთან, მომხდარი შემთხვევის დასაფიქსირებლად, მოსარჩელემ გამოიძახა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი, რადგან მოქმედი ხელშეკრულების 4.1. მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ავტომობილის ხანძრით განადგურება ექვემდებარებოდა სრულ ანაზღაურებას, მოსარჩელემ 2016 წლის 25 აგვისტოს №752 წერილით მიმართა მოპასუხეს და წარუდგინა დაზღვეული ავტომობილის ცეცხლით განადგურების უტყუარი მტკიცებულებები, ამასთან, მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზარალის ანაზღაურება. მზღვეველმა 2016 წლის 30 აგვისტოს №004/30.08.2016 წერილით მოითხოვა დოკუმენტაციის წარდგენა 30 დღის ვადაში ცეცხლის გამომწვევი მიზეზების დადგენის თაობაზე, მიუთითა სატენდერო წინადადების იმ ნაწილზე, სადაც საუბარია სადაზღვევო დაცვის გაუვრცელებლობაზე, თუ ხანძარი გამომწვეული იქნებოდა ელექტროგაუმართაობის გამო. 2016 წლის 21 სექტემბერს, მოსარჩელემ №811 წერილით წარუდგინა მოპასუხეს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რომელიც ცალსახად ადასტურებს, რომ ხანძრის გაჩენა ელექტროტექნიკური მიზეზების გამო გამოირიცხულია. 2016 წლის 26 სექტემბრის წერილით მოპასუხემ უსაფუძვლოდ განაცხადა უარი ვალდებულების შესრულებაზე.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მხარეთა შორის 2015 წლის 12 იანვარს მართლაც დაიდო ავტომობილის დაზღვევის ხელშეკრულება, თუმცა, ამ ხელშეკრულებას აქვს თავისი პირობები. მას სადავოდ არ გაუხდია 2016 წლის 8 აგვისტოს მომხდარი შემთხვევა და ავტოსატრანსპორტო საშუალების სრულად განადგურების ფაქტი, თუმცა, მოპასუხის განმარტებით, მითითებული შემთხვევა არ წარმოადგენს ხელშეკრულებით დაზღვეულ რისკს და შესაბამისად, მასზე ვერ გავრცელდება სადაზღვევო ხელშეკრულებით დადგენილი ზიანის ანაზღაურების პირობები, კერძოდ: დანართ №2-ის თანახმად, სადაზღვევო დაცვა არ ვრცელდება ავტოსატრანსპორტის ან მისი ცალკეული ნაწილების, ძრავის და მისი დეტალების, სავალი ნაწილების, გადაცემათა კოლოფის, აკუმულატორის ან სხვა ელექტრომონოცილობის დაზიანება-მოკლე ჩართვის შედეგად. დაზღვეულ ავტომობილს ცეცხლი გაუჩნდა მოძრაობისას და ადგილი არ ჰქონია გარე ფაქტორების (რომელიმე რისკის) ზემოქმედებას. ლ. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2016 წლის 16 სექტემბრის სახანძრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დადგენილია, რომ ხანძრის გაჩენის მიზეზია ავტომო-

ბილის სანვავ სისტემაში ავარიული რეჟიმის არსებობა, კერძოდ, ხანძარი გამოიწვია მფრქვევანების სანვავის გამანაწილებელი მოწყობილობის შემაერთებელ შტუცერთან დაღვრილი სანვავი სითხის ძრავის გახურებულ ელემენტებთან მისი კონტაქტის შედეგად წარმოქმნილი ანაორთქლის ჰაერნარევი მასის აალებამ, შესაბამისად, მართალია, ხანძარი მოკლე ჩართვას არ გამოუწვევია, თუმცა სახეზეა ტექნიკური გაუმართაობა (სანვავის სისტემაში ავარიული რეჟიმი), რაც ანაზღაურებას არ ექვემდებარება. არსებითია ის გარემოებაც, რომ ცეცხლი მანქანას გაუჩნდა მოძრაობისას და ადგილი არ ჰქონია სხვა გარე ფაქტორის ზემოქმედებას.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მზღვეველს დამზღვევის სასარგებლოდ დაეკისრა სადაზღვევო თანხის – 15 916 ლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში კი, სარჩელი უარყოფილ იქნა.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარემ, მოითხოვა მისი გაუქმება და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებისა და საკასაციო პრეტენზიათა საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ იგი და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო განაცხადის მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები (კასატორის პრეტენზიები):

საკასაციო საჩივრის ფარგლებში პალატის შეფასების საგანს წარმოადგენს მომხდარი შემთხვევა წარმოადგენდა თუ არა სადაზღვევო ხელშეკრულებით განსაზღვრულ რისკს და ამ შემთხვევის გამო მზღვეველს წარმოეშვა თუ არა დამზღვევისათვის თანხის ანაზღაურების ვალდებულება. სააპელაციო პალატის დასკვნით, ხანძარი, რომელმაც განაპირობა დაზღვეული ნივთის განადგურება, სწორედ სადაზღვევო თანხის მოთხოვნის უფლებას წარმოუშობდა მოსარჩელეს, რასაც არ ეთანხმება მზღვეველი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია, თავისი ინიციატივით შეამონმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას პალატა სწორედ კასატორის პრეტენზიის ფარგლებში შეამონმებს, რომელიც ძირითადად შემდეგია:

1.1.1. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების 4.1. პუნქტზე, თუმცა არასწორად განმარტა მისი შინაარსი, კერძოდ, სასამართლომ იმსჯელა მხოლოდ სადაზღვევო რისკებზე და ყურადღება არ გაუმახვილებია იმაზე, რომ ამავე ხელშეკრულების თანახმად, სადაზღვევო რისკი უნდა დამდგარიყო მოულოდნელად და დაზიანება გამოწვეული უნდა ყოფილიყო გარეშე და აშკარა მიზეზით, რითაც დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილები. ამ შემთხვევაში, სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ავტომობილს ცეცხლი მოძრაობისას გაუჩნდა და არ არსებობდა გარე ფაქტორის ზემოქმედება, რაც დადგენილია ექსპერტიზის დასკვნითაც და სრულად ექცევა მხარეთა მიერ შეთანხმებული ხელშეკრულების საგამონაკლისო პირობებში. სადაზღვევო შემთხვევებზე მსჯელობისას სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო კოდექსის 53-ე და 338-ე მუხლები, რადგანაც, ამავე კოდექსის 799-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ანაზღაურებისათვის სწორად უნდა შეფასებულიყო მხარეთა შეთანხმება სადაზღვევო რისკებზე. მოცემულ შემთხვევაში, მხარეები ტექნიკური გაუმართაობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე არ შეთანხმებულან, ხოლო ავტომობილის ტექნიკური გაუმართაობა დადგენილია, როგორც ექსპერტიზის დასკვნით, ისე – პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მიერ;

1.1.2. გარდა ამისა, სასამართლომ არასწორად გამოიანგარიშა

ზიანის ოდენობა და მიიჩნია, რომ სახეზე იყო მზღვეველისათვის 15 916 ლარის დაკისრების წინაპირობა. სასამართლომ დაადგინა, რომ დამწვარი ავტომობილის ნარჩენი ღირებულება შეადგენდა 100 ლარს, ამასთან, მიუხედავად შესაგებლისა და სააპელაციო განხილვისას მოპასუხის მითითებისა, სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ავტომობილი მზღვეველს არ გადასცემია, მას უნდა გამოეკლო განადგურებული ნივთის ნარჩენი ღირებულება ზიანისათვის, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 826-ე და 827-ე მუხლებისა. მოსარჩელეს არ აქვს უფლება, მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება და მასვე დარჩეს დაზიანებული ნივთი. ამ გარემოებას მონიშნავს ასევე, ტექნიკური დავალების დანართი №2, რომლის თანახმადაც, ნივთის სრული განადგურების შემთხვევაში, მზღვეველი ანაზღაურებას გასცემს დამზღვევის ავტოტრანსპორტის მზღვეველზე გადაფორმების შემდგომ, რომელიც ანაზღაურდება იმავე ოდენობით, რა ოდენობითაც დადგენილია მისი ნარჩენი საბალანსო ღირებულება. ანაზღაურება გაიცემა რეალიზაციისათვის ვარგისი ნარჩენების მზღვეველისათვის გადაცემის შემდეგ, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. რადგანაც მხარეთა შორის მორიგება ვერ შედგა, ხოლო, მოსარჩელეს განადგურებული ნივთი არ გადაუცია კასატორისათვის, თუკი სასამართლო სარჩელს საფუძველიანად მიიჩნევდა, მას სადაზღვევო თანხისთვის უნდა გამოეკლო ნივთის ნარჩენი ღირებულება;

1.1.3. პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსარჩელე ზიანის სახით მოითხოვდა 330 ლარის ანაზღაურებას, სააპელაციო სასამართლოში მას ზიანის ანაზღაურება არ უთხოვია, შესაბამისად, სასამართლომ მიაკუთვნა მხარეს ის, რაც მას არ მოუთხოვია. სააპელაციო სასამართლოსგან განსხვავებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სამართლიანად მიუთითა ხელშეკრულების 3.2. პუნქტზე, რომლითაც მხარეები შეთანხმდნენ კონტროლის ჩატარების წესზე, რომლის ხარჯსაც უზრუნველყოფდა მზღვეველი, ხოლო, დამზღვევის მიერ სპეციალისტის მონვევის შემთხვევაში, მის ხარჯს უზრუნველყოფდა ეს უკანასკნელი. სააპელაციო პალატამ, მიუხედავად მხარეთა ამგვარი შეთანხმებისა, კასატორს არასწორად დააკისრა იმ თანხის გადახდა, რომელიც დამზღვევმა გაილო ექსპერტიზის ჩასატარებლად.

1.2. ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა წინამდებარე განჩინების მიმართ:

საკასაციო სასამართლოს წინამდებარე განჩინების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად

ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულო საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნიათ სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც კასატორს არ მიუთითებია პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც შესაძლოა დაშვებული იყო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება, კერძოდ:

1.2.1. 2015 წლის 12 იანვარს მხარეთა შორის დაიდო №9 ხელშეკრულება, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, რომლის საფუძველზეც მოსარჩელემ მოპასუხე კომპანიაში დააზღვია კუთვნილი ოცდაერთი ავტოსატრანსპორტო საშუალება. ხელშეკრულების 4.1. პუნქტის თანახმად, შესყიდვის ობიექტს (ხელშეკრულების საგანს) წარმოადგენდა სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა ტექნიკური დავალებისა და წინამდებარე ხელშეკრულების დანართების შესაბამისად. ავტომობილების სრული დაზღვევა მოიცავდა ავტომობილის დაზიანებას ან განადგურებას (რაც გამოწვეულია ავტოსაგზაო შემთხვევით, ხანძრით, მეხის დაცემით ან/და აფეთქებით, მესამე პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, ვანდალიზმით, რაიმე საგნის დაცემით, სტიქიური უბედურებით ან უბედური შემთხვევით);

1.2.2. ხელშეკრულების ფარგლებში მხარეებმა სატენდერო წინადადებით განსაზღვრეს იმ გამონაკლისების ჩამონათვალი, რაზეც სადაზღვევო დაცვა არ გავრცელდებოდა. კერძოდ, მხარეთა შეთანხმებით სადაზღვევო დაცვა არ ვრცელდებოდა ავტოტრანსპორტის ან მისი ცალკეული ნაწილების, ძრავისა და მისი დეტალების, სავალი ნაწილების, გადაცემათა კოლოფის, აკუმულატორის ან სხვა ელექტრომონოწობილობის დაზიანებაზე, რომელიც წარმოიშვებოდა მოკლე ჩართვის შედეგად (გარდა ხანძრისა, თუ მოკლე ჩართვა არ იქნებოდა გამოწვეული ავტომატქანის ტექნიკური გაუმართაობით);

1.2.3. 2016 წლის 8 აგვისტოს მოძრაობის პროცესში ცეცხლი გაუჩნდა დამზღვევის კუთვნილ დაზღვეულ ავტომობილს და მთლიანად განადგურდა (ხელშეკრულების 4.1. პუნქტის თანახმად, ავტოტრანსპორტის განადგურებად ჩაითვლებოდა ზიანი, რომლის დროსაც აღდგენითი შეკეთების ღირებულება აღემატებოდა მისი ღირებულების 70%-ს). სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2016 წლის 16 სექტემბრის დასკვნის თანახმად, შემთხვევის ადგილის დათვალიერებით

ჩატარებული გამოკვლევების შედეგების ანალიზისა და ავტომობილის ძრავის ნაკვეთურის შუა ნაწილში ხანძრის კერის ადგილმდებარეობის გათვალისწინების საფუძველზე დადგინდა, რომ ავტომობილში ხანძრის წარმოქმნის ტექნიკური მიზეზია საწვავის მიწოდების სისტემიდან დაღვრილი საწვავის სითხის ძრავის გახურებულ ელემენტებთან მისი კონტაქტის შედეგად წარმოქმნილი ანაორთქლის ჰაერნარევი მასის აალება ელექტრო ტექნიკური წარმოშობის ნაპერწკლებით ან გამონაბოლქვი აირის გახურებული კოლექტორის თერმული ზემოქმედებით. შემთხვევის ადგილის გამოკვლევით, ხანძრის განვითარების დინამიკის გათვალისწინებით და ხანძრის ინტენსიური თერმული ზემოქმედების ლოკალური ნიშნების (კვლევის) გაანალიზების შედეგებიდან გამომდინარე, ხანძრის გაჩენის კერა ანუ არაკონტროლირებადი წვის პირველადი წარმოშობის ადგილი დაფიქსირდა ავტომობილის ძრავის ნაკვეთურის შუა ნაწილში, მრფევევანებზე საწვავის გამანაწილებელი მოწყობილობის შემაერთებელი შტუცერის განთავსების ზონაში. ხანძრის გაჩენა ავტომობილში ცეცხლის განზრახ ნაკიდებით და ელექტროტექნიკური მიზეზების გამო მოცემულ შემთხვევაში გამორიცხულია;

1.2.4. ავტოსატრანსპორტო საშუალების ნარჩენი ღირებულება (ჯართის ფასი) შეადგენს 100 ლარს;

1.2.5. 2016 წლის 25 აგვისტოს და მზღვევმა წერილობით მიმართა მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურების მოთხოვნით, რაზეც სადაზღვევო კომპანიისგან წერილობით მიიღო უარი. წერილთან ერთად მოპასუხეს დამატებით წარედგინა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა ხანძრის გაჩენის მიზეზის მითითებით და დამატებით იქნა მოთხოვნილი მოსარჩელე მხარის მიერ დამდგარი ზიანის ანაზღაურება დაზღვევის ხელშეკრულების შესაბამისად;

1.2.6. 2016 წლის 26 სექტემბერს მზღვეველმა უარი განაცხადა ზიანის ანაზღაურებაზე, რის მიზეზადაც დაასახელა მომხდარი ფაქტის დროს გარე ფაქტორების ზემოქმედების არარსებობისა და არსებული შემთხვევის მხოლოდ ავტომანქანის ტექნიკური გაუმართაობის გამო დადგომა, რაც, მისი მისაზრებით, ანაზღაურებას არ ექვემდებარებოდა;

1.2.7. ხანძრის გაჩენის დროს მოქმედი სახელშეკრულებო პირობების თანახმად, ზიანი 15 916 ლარს შეადგენს;

1.2.8. დამზღვევის მიერ სადაზღვევო შემთხვევის მიზეზის დადგენისათვის ჩატარებული საექსპერტო კვლევისათვის გაღებული ხარჯის ოდენობა შეადგენს 330 ლარს.

1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

1.3.1. საკასაციო პრეტენზიათა ანალიზის საფუძველზე პალატა მიიჩნევს, რომ უპირველესად უნდა შეფასდეს მომხდარი შემთხვევა წარმოადგენს თუ არა ხელშეკრულებით განსაზღვრულ სადაზღვევო რისკს, რომელიც ანაზღაურებას ექვემდებარება და დადებით შემთხვევაში, ზიანის მოცულობა სწორად განსაზღვრა თუ არა სააპელაციო პალატამ. შესაფასებელი საკითხების კვლევა კი, უნდა განხორციელდეს დადგენილი ფაქტების სამართლის ნორმებთან სუბსუმირების გზით.

1.3.2. განსახილველი მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმები სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლის პირველი ნაწილი და 820-ე მუხლებია, რომელთა თანახმადაც, დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხით დაზღვევისას მზღვეველი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო თანხა ან შეასრულოს სხვა შეპირებული მოქმედება. ზიანის დაზღვევისას მზღვეველმა ზიანი უნდა აანაზღაუროს ფულით. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, სახეზე უნდა იყოს ზიანის დაზღვევის ხელშეკრულება, უნდა დადგეს სადაზღვევო რისკით განსაზღვრული შემთხვევა, რომელიც კანონის ზოგადი ხასიათის ჩანაწერთან შედარებით შესაძლებელია კონკრეტიზებული იყოს ხელშეკრულებით. მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ მხარეებს შორის არსებობდა დაზღვევის სახელშეკრულებო ურთიერთობა და სადაზღვევო რისკს წარმოადგენდა მათ შორის ხანძრის შედეგად დაზღვეული ნივთის განადგურება. ასევე უდავოა, რომ დაზღვეული ქონება განადგურდა სწორედ ხანძრის შედეგად, რომლის გაჩენის კერა ავტომობილის ძრავის ნაკვეთურის შუა ნაწილში, მრფევევანებზე სანავის გამანაწილებელი მონყობილობის შემაერთებული შტუცერის განთავსების ზონაშია დაფიქსირებული, ამასთან, ხანძრის გაჩენა ავტომობილში ცეცხლის განზრახ ნაკიდებით და ელექტროტექნიკური მიზეზების გამო გამორიცხულია. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს ხელშეკრულებით მხარეთა მიერ გათვალისწინებულ საგამონაკლისო შემთხვევებზე, რომლებიც ანაზღაურებას არ ექვემდებარებოდა, კერძოდ: ავტოტრანსპორტის ან მისი ცალკეული ნაწილების, ძრავისა და მისი დეტალების, სავალი ნაწილების, გადაცემათა კოლოფის, აკუმულატორის ან სხვა ელექტრომონყობილობის დაზიანება, რომელიც წარმოიშვებოდა მოკლე ჩართვის შედეგად, გარდა ხანძრისა, თუ მოკლე ჩართვა არ იქნებოდა გამონეული ავტომანქანის ტექნიკური გაუმართაობით.

სწორედ ხელშეკრულების ეს დათქმა წარმოადგენს მხარეთა შორის დავის საგანს, რადგანაც ხელშემკვერელი მხარეების მხრიდან მისი შინაარსის აღქმა არაერთგვაროვანია. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მისი მოთხოვნა წარუმატებელი იქნებოდა, თუკი ხანძრის მიზეზი მოკლე ჩართვიდან იქნებოდა ნაწარმოები, ხოლო მოპასუხე მიიჩნევს, რომ საგამონაკლისო შემთხვევა გულისხმობს ავტომობილის გაუმართაობიდან გამომდინარე ნებისმიერ შემთხვევას, რომელიც ანაზღაურებას არ ექვემდებარება.

1.3.3. საკასაციო პალატა არ იზიარებს მზღვეველის პოზიციას ხელშეკრულების სადავო პირობის შინაარსთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე, 53-ე და 337-ე მუხლების მოთხოვნები არ დაურღვევია. დაზღვევის ხელშეკრულების დებულებათა განმარტება უნდა მოხდეს თავად დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების განმაპირობებელ გარემოებებთან მჭიდრო კავშირში, რა დროსაც გადამწყვეტია მხარეთა შინაგანი, სუბიექტური ფაქტორის სწორად გაანალიზება. დაზღვევის ხელშეკრულების მიმართ დამზღვევის ინტერესი ყოველთვის ისაა, რომ პირი უშვებს სადაზღვევო რისკით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომის შესაძლებლობას და სურს, მისი დადგომის შემთხვევაში, თავიდან აირიდოს ნეგატიური შედეგები. რაც შეეხება მზღვეველს, სადაზღვევო პრემიის სანაცვლოდ ის წინსწრებით აცხადებს თანხმობას, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, აღმოფხვრას დამდგარი ნეგატიური მოვლენები. გარდა ამისა, პალატა აღნიშნავს, რომ სადაზღვევო ურთიერთობაში გამოიყენება *uberrima fides da contra preferentem* პრინციპები, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეები ერთმანეთს უნდა მოექცნენ ძალზე კეთილსინდისიერად, ამასთან, მხარემ, რომელიც უპირატესად თვითონ ჩამოაყალიბა ხელშეკრულება ან მისი ცალკეული პირობა, მანვე უნდა ატაროს მასთან დაკავშირებული ნაკლის რისკი, ხელშეკრულება ან მისი ცალკეული პირობა უნდა განიმარტოს მის საწინააღმდეგოდ. განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ სადაზღვევო რისკს მათ შორის წარმოადგენდა ხანძარი, ამდენად, ხელშემკვერელმა მხარეებმა წინსწრებით გაითვალისწინეს ის ფაქტი, რომ ხანძრის შედეგად ნივთის დაზიანების შემთხვევაში, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, უნდა მომხდარიყო შედეგების ლიკვიდაცია. გამონაკლისს წარმოადგენდა მოკლე ჩართვით გამოწვეული ხანძარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაზღვევის ინსტიტუტიდან გამომდინარე, საგამონაკლისო შემთხვევები არ შეიძლება ფართოდ იქნეს განმარტებული, არამედ, ეს ისეთი შემთხვევებია, რომლებიც ანაზღაურებას გამოორიცხავს. ხდომილების გამონაკლისად კვალიფიცირებისათვის საჭიროა ზედმინევენით დგინდებოდეს

საგამონაკლისო შემთხვევის არსებობა. ვინაიდან უდავოა, რომ ხანძარი მოკლე ჩართვის შედეგად არ წარმოშობილა, დასაბუთებულია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ სახეზეა სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული რისკის დადგომა, რაც ანაზღაურების ვალდებულებას წარმოუშობს მზღვეველს. სასამართლოს ამ დასკვნას ვერ გააქარწყლებს კასატორის მსჯელობა, რომლის მიხედვითაც საგამონაკლისო შემთხვევა მოიცავდა მათ შორის ავტოსატრანსპორტო საშუალების გაუმართაობით გამონვეულ ნებისმიერ შემთხვევას, ვინაიდან სახელშეკრულებო პირობის ამგვარ განმარტებას არ გააჩნია საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი. ამდენად, საკასაციო პალატა ასკვნის, რომ სახეზეა სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 820-ე მუხლით გათვალისწინებული ანაზღაურების განმაპირობებელი ყველა წინაპირობა.

1.3.4. რაც შეეხება ანაზღაურების ოდენობას, საკასაციო პალატა ამ თვალსაზრისით ყურადღებას გაამახვილებს კასატორის შედავებაზე: მხარე სადავოდ ხდის არა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობით თანხის ანაზღაურების აუცილებლობას, არამედ, მიიჩნევს, რომ ამ თანხას უნდა გამოკლებოდა განადგურებული ნივთის წარჩენი საბალანსო ღირებულება – 100 ლარი. სამოქალაქო კოდექსის 826-ე მუხლისა და 827-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მზღვეველი არ არის ვალდებული გადაუხადოს დამზღვევეს წარმოშობილი ზიანის ოდენობაზე მეტი თანხა იმ შემთხვევაშიც კი, თუ სადაზღვევო თანხა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტიდან ადგენილი სადაზღვევო ღირებულებას. თუ სადაზღვევო თანხა ნაკლებია სადაზღვევო ღირებულებაზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტიდან (შემცირებული ან არასრული დაზღვევა), მაშინ მზღვეველი ანაზღაურებს ზიანს სადაზღვევო თანხისა და სადაზღვევო ღირებულების შეფარდების შესაბამისად. დასახელებული ნორმებით უზრუნველყოფილია სამართლიანი ბალანსის შენარჩუნება დაზღვევის ურთიერთობაში და მიმართულია იმისკენ, რომ შემთხვევის დადგომისას ხელშეკრულების არც ერთი მხარე არ აღმოჩნდეს უპირატეს მდგომარეობაში, არამედ, ანაზღაურებას ექვემდებარება ფაქტობრივად განცდილი ზიანი სადაზღვევო თანხის ფარგლებში. კასატორი მიიჩნევს, რომ დამზღვევი უსაფუძვლოდ გამდიდრდა, რადგანაც მან ერთი მხრივ მიიღო სადაზღვევო თანხა სრული ოდენობით, ხოლო, მეორე მხრივ, მასვე დარჩა განადგურებული ნივთი, რომლის საბალანსო ღირებულება 100 ლარს შეადგენდა და ხელშეკრულების თანახმად, უნდა გადასცემოდა მზღვეველს. საკასაციო პალატა არ იზიარებს ხსენებულ პრეტენზიას და აღნიშნავს, რომ ეს საკითხი

ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მსჯელობის საგანს არ წარმოადგენდა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე კი, საკასაციო განხილვის ეტაპზე ახალ ფაქტებზე მითითებას კანონი არ ითვალისწინებს. ასეც რომ არ იყოს, საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულების დანართი №2-ის პირობის შესაბამისად (მზღვეველი ტექნიკური დავალების დანართი №2-ით განსაზღვრულ სადაზღვევო ანაზღაურებას გასცემს დამზღვევის მიერ ავტოტრანსპორტის მზღვეველზე გადმოფორმების შემდეგ, რომელიც ანაზღაურდება იგივე ოდენობით, რა ოდენობითაც დადგენილია მისი ნარჩენი საბალანსო ღირებულება), მზღვეველს განადგურებულ ნივთზე უფლება არ დაუკარგავს, მიუხედავად იმისა გადასცა თუ არა დამზღვევმა მოძრავ ნივთზე მფლობელობა მას.

1.3.5. საკასაციო სასამართლო უარყოფს კასატორის პოზიციას სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის დარღვევისა და მოსარჩელისათვის იმაზე მეტის მიკუთვნების თაობაზე, ვიდრე ის მოითხოვდა. უპირველესად პალატა განმარტავს, რომ სასარჩელო მითხოვნას წარმოადგენდა ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც სრულად იქნა უარყოფილი სარჩელი, დამზღვევმა სრულად გაასაჩივრა სააპელაციო წესით და მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება (იხ. სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა), ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის მიზნებისათვის, თუკი მოთხოვნას გააჩნია ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი, მნიშვნელობა არ აქვს მხარე მას უწოდებს ზიანს თუ სხვა ტერმინს. სასამართლო ყოველთვისაა ვალდებული, სწორად გააანალიზოს მოთხოვნა და პრინციპიდან – „*jura novit curia*“ (სასამართლომ იცის კანონი) გამომდინარე, განსაზღვროს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, რომლის ფარგლებშიც შეაფასებს თავად ამ მოთხოვნის კანონიერებას. პალატა ასევე უარყოფს კასატორის პოზიციას, რომ სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების 3.2. პუნქტიდან გამომდინარე (მიმწოდებელი [მზღვეველი] ვალდებულია, საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი [დამზღვევი] კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი, კონტროლის მიზნით, გამოიყენებს საკუთარ ან მონვეულ პერსონალს, მისი შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი), მას არ ევალებოდა დამზღვევის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ხსენებული სა-

ხელშეკრულებო დათქმა ვრცელდება სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მხარეთა შორის ვალდებულების შესრულების კონტროლზე, რომელიც სასამართლო განხილვას არ მოიცავს. იმ შემთხვევაში, თუკი საქმის განხილვა სასამართლოში მიმდინარეობს, პროცესის ხარჯების განაწილებისას სასამართლო ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებებით და არა მხარეთა სახელშეკრულებო დათქმით. პროცესის მიზნებისათვის წარმოდგენილი საექსპერტო კვლევა მტკიცებულებაა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის შესაბამისად, მასზე განეული ხარჯი პროცესის ხარჯებში მოიაზრება, რომელიც, ამავე კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, დაეკისრება ნაგებულ მხარეს მოგებულის სასარგებლოდ. განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ ექსპერტიზის ჩატარებისათვის მოსარჩელემ გაიღო 330 ლარი, ასევე უდავოა, რომ მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდა, შესაბამისად, მოპასუხეს სავსებით კანონიერად დაეკისრა დამზღვევის სასარგებლოდ ამ თანხის გადახდა.

1.4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების პროცესუალურ-სამართლებრივი დასაბუთება:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად (საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას), საკასაციო სასამართლო უცვლელად ტოვებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, რადგანაც მიიჩნევს, რომ კასატორმა ვერ დაამტკიცა მისი გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით განსაზღვრული წინაპირობების არსებობა.

2. სასამართლო ხარჯები:

საკასაციო საჩივრის უარყოფის გამო, პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ამ ინსტანციის სასამართლოში განეული პროცესის ხარჯის მხარეთა შორის განაწილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები, ამასთანავე, ამავე კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-

მოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს სადაზღვევო კომპანია „უ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ორმაგი დაზღვევა

გადაწყვეტილება საქართველოს სასამართლო

№ას-1516-1436-2017

30 ივლისი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავეიძე**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2015 წლის 25 აგვისტოს სს „ს.კ. ა-მა“ (შემდგომში – „მოსარჩელე“, „კასატორი“ ან „პირველი მზღვეველი“) დამზღვევის – შპს „ი-ოს“ (შემდგომში – „დამზღვევი“) სახელზე ავტოტრანსპორტის დაზღვევის პოლისი MO/C-028883/15 გასცა, რომლის საფუძველზეც მოსარჩელემ დამზღვევის კუთვნილი ავტოტრანსპორტის, მათ შორის, „SAMRO S 338 RJ“, სარეგისტრაციო ნომრით ..., დაზღვევის ვალდებულება იკისრა. დაზღვევის პოლისით გათვალისწინებულ იქნა როგორც ავტოტრანსპორტისთვის გარეგანი ზემოქმედებით მიყენებული დაზიანების, ასევე – მესამე პირთა წინაშე წარმოქმნილი პასუხისმგებლობის დაზღვევა. სადაზღვევო პერიოდად განისაზღვრა 2015 წლის 13 ივლისის 24 საათიდან 2016 წლის 13 ივლისის 24 საათამდე პერიოდი.

2. სს „ს.კ. ჯ. ბ. ჰ-მა“ (შემდგომში – „მოპასუხე“ ან „მეორე მზღვე-ველი“) დამზღვევის სახელზე ავტომობილის დაზღვევის პოლისი №MI 110256/16 გასცა, რომლის საფუძველზეც ს.კ.მ დამზღვევის კუთვნილი ავტომობილის „DAF FTG“, სარეგისტრაციო ნომრით ..., დაზღვევის ვალდებულება იკისრა. სადაზღვევო პერიოდად 26.01.2016-25.01.2017 განისაზღვრა. დაზღვევის პოლისით გათვა-ლისწინებულ იქნა მესამე მხარის მიმართ პასუხისმგებლობისა და მძღოლისა და მგზავრის უბედური შემთხვევის დაზღვევა.

3. 2016 წლის 9 ივნისს ქ. მ-ის მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანა „დაფი“, სახ. ნომრით ..., ნახევარმისაბმელით „SAMRO S 338 RJ“, სახ. ნომრით ..., საპირისპირო ზოლში მოძრავ სატრანსპორტო სა-შუალებას „DAF FAD 85340 S“-ს, სახ. ნომრით ..., შეეჯახა. მომხდა-რი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანდა როგორც ქ. მ-ის მართვის ქვეშ მყოფი სატრანსპორტო საშუალებები, ასევე – საპი-რისპირო ზოლში მოძრავი სატრანსპორტო საშუალება „DAF FAD 85340 S“, სახ. ნომრით ... საჯარიმო ქვითრის მიხედვით, სამართალ-დამრღვევ პირად ქ. მ-ი დასახელდა, ბრალეული მხარის ავტოსატ-რანსპორტო საშუალებად კი – ავტომანქანა „დაფი“, სახ. ნომრით ... და ნახევარმისაბმელი „SAMRO S 338 RJ“, სახ. ნომრით ...

4. დამტვრეული ავტომანქანა დაფ CF-ის დაზიანებამდე არსე-ბული საბაზრო ღირებულებისა და დაზიანების შემდგომ ნარჩენი ღირებულების დადგენის მიზნით, დამზღვევმა სსიპ ლევან სამხა-რაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიმართა. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექ-სპერტიზის ეროვნული ბიუროს 2016 წლის 4 ივლისის №5003552916 დასკვნის მიხედვით: 1) ექსპერტიზაზე წარდგენილი 2005 წელს დამზადებული ავტომანქანა „DAF FAD 85340 S“-ის, სახ. ნომრით ..., საიდენტიფიკაციო ნომრით ..., საბაზრო ღირებულება დაზიანებამ-დე, 2016 წლის 9 ივნისის მდგომარეობით (1 USD=2.12820) საორიენ-ტაციოდ განისაზღვრა 47 000 ლარით; 2) ექსპერტიზაზე გამოსაკ-ვლევად წარდგენილი 2005 წელს დამზადებული ავტომანქანა „DAF FAD 85340 S“-ის, სახ. ნომრით ..., საიდენტიფიკაციო ნომრით ..., ნარ-ჩენი საბაზრო ღირებულება, მასზე განვითარებული დაზიანებე-ბისა და დღევანდელი თავისუფალი საბაზრო ფასების გათვალის-წინებით, საორიენტაციოდ 18 500 ლარით განისაზღვრა.

5. პირველმა მზღვეველმა მესამე პირს ლ. კ-ს აუნაზღაურა 2016 წლის 9 ივნისის შემთხვევით მიყენებული ზიანი 13391,59 აშშ დო-ლარის ლარში ეკვივალენტის (31 357,75 ლარი) ოდენობით.

6. 2016 წლის 28 ოქტომბერს პირველმა მზღვეველმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მეორე მზღვეველის მიმართ და მის მიერ მესამე პირისათვის ანაზღაურებული თანხის ნახევრის – 15 678,88

ლარის მეორე მზღვეველისათვის, როგორც სოლიდარულად პასუხისმგებელი პირისათვის, დაკისრება მოითხოვა.

7. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ:

7.1. სარჩელს არ ერთვოდა დოკუმენტაციის ნაწილი (მათ შორის, დაზღვევის პირობები), რის გამოც მეორე მზღვეველი მოკლებული იყო შესაძლებლობას შეეფასებინა, რამდენად ჰქონდა ადგილი სადაზღვევო შემთხვევას;

7.2. სარჩელზე თანდართული ახსნა-განმარტებებით ცალსახად დასტურდებოდა, რომ ადგილი ჰქონდა მოსარჩელის მიერ დაზღვეული ნახევარმისაბმელის მოცურების ფაქტს, რის შედეგადაც მოხდა შეჯახება საპირისპირო მიმართულებით მოძრავ, მესამე პირის კუთვნილ „დაფის“ მარკის ავტოსატრანსპორტო საშუალებასთან და, ამასთან, ნახევარმისაბმელთან შეჯახების შედეგად, ასევე დაზიანდა თვით დამზღვევის კუთვნილი, მეორე მზღვეველის მიერ დაზღვეული „დაფის“ მარკის ავტომანქანა. ამდენად, არ არსებობდა უშუალოდ მეორე მზღვეველის მიერ დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციით მესამე პირისათვის ზიანის მიყენების ფაქტი;

7.3. მეორე მზღვეველის დაზღვევის პირობების თვალსაზრისით, ადგილი არ ჰქონია სადაზღვევო შემთხვევას;

7.4. მოსარჩელის მოთხოვნის უსაფუძვლობასთან ერთად, უსაფუძვლო იყო ასევე მოთხოვნის მოცულობა, ვინაიდან ექსპერტიზის დასკვნით ზიანის ოდენობა განისაზღვრა დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალების თავდაპირველ (47 000 ლარი) და ნარჩენ (18 500 ლარი) საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობით და არითმეტიკულად უდრიდა 28 500 ლარს, ხოლო მოსარჩელე უთითებდა მის მიერ ანაზღაურებულ 31 357,75 ლარის ოდენობით თანხაზე.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 2 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელი დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

10. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე გადაწყვეტილების 1-5 პუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებები.

11. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ასევე, რომ 2016 წლის 9 ივნისს მომხდარი ავტოსატრანსპორტო შემთხვევა არ

წარმოადგენდა დამზღვევსა და მეორე მზღვეველს შორის (დაზღვევის პოლისი №MI 110256/16) სახელშეკრულებო პირობებით გათვალისწინებულ სადაზღვევო შემთხვევას.

12. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სადაზღვევო ხელშეკრულების პირობების მესამე პუნქტით ავტომობილის მესამე პირთა მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევა შემდეგნაირად განისაზღვრა: ხელშეკრულების 3.1. პუნქტით დადგინდა, რომ პოლისში მითითებული ანაზღაურების ლიმიტის ფარგლებში ანაზღაურებული იქნებოდა თანხა, რომლის გადახდაც კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით (გარდა დამზღვევის წინააღმდეგ სასამართლოს მიერ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების ან მის მიერ სარჩელის ცნობის შემთხვევებისა) დაეკისრებოდა დამზღვევს ან უფლებამოსილი მძღოლის მიერ დაზღვეული ავტომობილის მართვის გამოყენების შედეგად მესამე პირებისთვის მიყენებული ზიანისთვის, კერძოდ, მესამე პირის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანი და/ან მესამე პირის ქონებისთვის მიყენებული ზიანი. გარდა ამისა, სადაზღვევო ხელშეკრულების პირობების 3.4.-3.4.2. პუნქტების მიხედვით, ანაზღაურების ლიმიტის ფარგლებში ასანაზღაურებელ თანხად განისაზღვრა თანხა, რომლის გადახდაც დაზღვეულ პირს დაეკისრებოდა სასამართლოს მიერ დაზღვეული ავტომობილით მესამე პირისთვის მიყენებული ზიანისათვის ან/და თანხა, რომლის გადახდაზეც შედგებოდა მოლაპარაკება დამზღვევთან და მესამე პირთან სასამართლოს გარეშე.

13. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 799.1 მუხლით და განმარტა, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით, დაზღვევა სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიად განიხილება, რამდენადაც ის შესაძლო ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს. თავის მხრივ, სადაზღვევო შემთხვევა წარმოადგენს სადაზღვევო რისკის რეალიზაციის შედეგს. მხარეები სადაზღვევო შემთხვევას არსებითი პირობის სახით წინასწარ განსაზღვრავენ ხელშეკრულებაში.

14. სააპელაციო პალატის მითითებით, განსახილველ შემთხვევაში, მართალია, მეორე მზღვეველის მიერ დამზღვევის სახელზე გაცემული ავტომობილის დაზღვევის პოლისში №MI 110256/16 მითითებული იყო მესამე მხარის მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევის შესახებ, თუმცა აღნიშნულთან მიმართებით მხედველობაში იყო მისაღები ერთიანი სადაზღვევო ხელშეკრულება, რომელიც, თავის მხრივ, შედგებოდა პოლისისა და მასზე დართული ავტომობილის დაზღვევის პირობებისგან. სწორედ ავტომობილის

დაზღვევის პირობებით იყო გათვალისწინებული მესამე პირთა მიმართ ავტომფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევის წესი, რომლის მიხედვით, მზღვეველის მხრიდან ანაზღაურებას დაექვემდებარებოდა თანხა, რომელიც დაზღვეულ პირს დაეკისრებოდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან/და თანხა, რომლის გადახდაზეც შედგებოდა შეთანხმება მზღვეველს, დამზღვევსა და მესამე პირს შორის. განსახილველ შემთხვევაში, ხელშეკრულებით მესამე პირთა მიმართ ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გათვალისწინებულ არცერთ დასახელებულ გარემოებას ადგილი არ ჰქონდა. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ 2016 წლის 9 ივნისის შემთხვევასთან მიმართებით არ არსებობდა მეორე მზღვეველის მიერ ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.

15. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ასევე სსკ-ის 827-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებზე და სამოქალაქო კოდექსის კომენტარზე დაყრდნობით, განმარტა, რომ ორმაგი დაზღვევისათვის არსებითია, რომ ინტერესი ერთი და იმავე რისკისგან იყოს დაზღვეული რამდენიმე მზღვეველთან. ამ თვალსაზრისით 827-ე მუხლის მესამე ნაწილი უფრო სრულყოფილ დანაწესს შეიცავს. მაგალითად, საცხოვრებელი სახლი ხანძრის შედეგად დაზიანდა. ორმა მზღვეველმა პოლისით ხანძრის გამომწვევი ორი განსხვავებული რისკ-ფაქტორი გაითვალისწინა: ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის მწყობრიდან გამოსვლა და ელექტროგაყვანილობის სისტემის მწყობრიდან გამოსვლა. ასეთ შემთხვევაში, მართალია, ერთი და იგივე ინტერესია დაზღვეული, მაგრამ პოლისში განსხვავებული პირობების არსებობის გამო ზიანი არ მოექცევა ორივე მზღვეველის ვალდებულების ქვეშ. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო იმგვარი მოცემულობა, როდესაც დამზღვევის ორი სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალება დაზღვეული იყო ორ სხვადასხვა სადაზღვეო კომპანიაში, დამზღვევის სახელზე გაცემული სადაზღვეო პოლისებით გათვალისწინებული იყო მესამე პირთა მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევა, თუმცა, განსხვავებული პირობებით. სააპელაციო პალატამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დამზღვევსა და მეორე მზღვეველს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით მესამე პირის მიმართ ზიანის ანაზღაურების პირობა, თანხის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან/და მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე დაკისრების თაობაზე, სახეზე არ იყო, შესაბამისად, 2016 წლის 9 ივნისის ავტოსაგზაო შემთხვევით გამომწვეული ზიანი არ ექცეოდა ორივე მზღვეველის ვალდებულების ქვეშ.

16. სააპელაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო წესით გა-

ასაჩივრა მოსარჩელემ და მოითხოვა აღნიშნული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

17. საკასაციო საჩივარი ემყარება შემდეგ საფუძვლებს:

17.1. დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია სამართლებრივად სწორად შეფასდეს რამდენიმე ფაქტობრივი გარემოება: 1. წარმოადგენს თუ არა ავტომანქანა „დაფი“, სახ. ნომრით ..., და ნახევარმისაბმელი „SAMRO S 338 RJ“, სახ. ნომრით ..., ერთ მთლიან ნივთს; 2. ჰქონდა თუ არა მეორე მზღვეველს ანაზღაურების (საქმის გარემოებების შესწავლის) შესაძლებლობა; 3. იყო თუ არა ორმაგი დაზღვევა;

17.2. სასამართლომ უყურადღებოდ დატოვა ის ფაქტი, რომ საჯარიმო ქვითრის მიხედვით, სამართალდამრღვევ პირად ქ. მ-ი დასახელდა, ხოლო ბრალეული მხარის ავტოსატრანსპორტო საშუალებად კი – ავტომანქანა „დაფი“, სახ. ნომრით ..., და ნახევარმისაბმელი „SAMRO S 338 RJ“, სახ. ნომრით ... აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა გამონვეულ იქნა როგორც მეორე მზღვეველის მიერ დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალებით („დაფი“, სახ. ნომერი ...), ისე – პირველი მზღვეველის მიერ დაზღვეული სატრანსპორტო საშუალებით („SAMRO S 338 RJ“, სახ. ნომერი ...);

17.3. შესაბამისად, სასამართლოს უნდა გამოეყენებინა, მაგრამ არ გამოიყენა სსკ-ის 150-ე მუხლის პირველი ნაწილი. ამ ნორმის მიხედვით, ნივთის შემადგენელი ნაწილი მხოლოდ მაშინ არის არსებითი, თუ შეუძლებელია მისი გამოცალკევება მთლიანი ნივთის ან ამ ნაწილის განადგურების ანდა მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე. ნივთის დანიშნულების მოსპობა გულისხმობს ნივთის ისეთ ცვლილებას, რომ შეუძლებელი ხდება მისი დანიშნულებისამებრ გამოყენება, შესაბამისად, ნივთის დანიშნულების მოსპობა ფასდება ტექნიკურ-ეკონომიკური კრიტერიუმებით და სამოქალაქო ბრუნვის ტრადიციის გათვალისწინებით;

17.4. „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლიდან გამომდინარე, ნახევარმისაბმელის მთავარი დანიშნულების რეალიზება ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც ის ჩაბმულია შესაბამის ავტომანქანაზე, რომელსაც მისი ნაწილი ეყრდნობა და მასზე მოდის ნახევარმისაბმელისა და ტვირთის მასის მნიშვნელოვანი ნაწილი, ამასთან, მათ შორის დგება მყარი სივრცობრივი კავშირი. შესაბამისად, სამოქალაქო ბრუნვის ტრადიციებისა და ეკონომიკური დანიშნულების თანახმად, ნახევარმისაბმელი თავის ძირითად ფუნქციას (საგნის გადაზიდვას) ასრულებს იმ შემთხვევაში, თუ ის ჩაბმულია ავტოსატრანსპორტო სა-

შუალეხასთან. მაშასადამე, ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი იზიარებს მთავარი ნივთის სამართლებრივ ბედს. გამომდინარე აქედან, ნორმის მიზანია, შეინარჩუნოს ნივთის შეერთების შედეგად შექმნილი ერთიანი ნივთის ეკონომიკური ღირებულება და მათი სამართლებრივი ბედის განსაზღვრა ერთიან წესებს დაუქვემდებაროს. ამასთან, თავიდან აიცილოს ნივთის ეკონომიკური თვალსაზრისით მიზანშეუწონელი განცალკევება, მხოლოდ იმ გარემოების გამო, რომ შესაძლებელი იყოს განცალკევებულ ნაწილებზე სხვადასხვა უფლების წარმოშობა. ამდენად, მას შემდეგ, რაც ნახევარმისაბმელი „SAMRO S 338 RJ“, სახ. ნომრით: ..., და ავტომანქანა „დაფი“, სახ. ნომრით ..., ჩაებმება ერთმანეთს, ისინი წარმოადგენენ ერთ მთლიან ნივთს;

17.5. სასამართლომ უყურადღებოდ დატოვა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ 2016 წლის 10 ივნისს მეორე მზღვეველის კომპანიაში დაფიქსირდა დამზღვევის პრეტენზია №005296/16 მესამე პირის მიმართ მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე, რომელიც უკავშირდებოდა 2016 წლის 9 ივნისს მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას, რაზეც მეორე მზღვეველმა გამოითხოვა შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოდან მასალები ანუ შეისწავლა ფაქტობრივი გარემოება, ხოლო შემდეგ 2016 წლის 15 ივლისს №6103 წერილით დამზღვევს უარი განუცხადა;

17.6. სსკ-ის 464-ე მუხლის მიხედვით, სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის საფუძველია ხელშეკრულება, კანონი ან ვალდებულების საგნის განუყოფლობა. შესაბამისად, კანონმდებელი სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის საფუძვლად კანონსაც მიიჩნევს. ზოგჯერ, რამდენიმე მოვალის არსებობის შემთხვევაში, კანონმდებელი კანონის ტექსტში პირდაპირ უთითებს, რომ ისინი „სოლიდარულად“ აგებენ პასუხს ანდა „სოლიდარულ მოვალეებად“ გვევლინებიან. ყველა ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის კანონისმიერი საფუძვლები და სოლიდარული ვალდებულების მომწესრიგებელი ნორმები შესაბამისად გამოიყენება;

17.7. აღნიშნულის შემდეგ, სასამართლოს უნდა გამოეყენებინა და განემარტა სსკ-ის 827-ე მუხლი, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სოლიდარულ ვალდებულებაზე. სასამართლომ სამართლებრივად არასწორად განმარტა აღნიშნული მუხლი. მართალია, მიუთითა ერთსა და იმავე ინტერესზე, მაგრამ – განსხვავებულ რისკ-ფაქტორებზე. ორმაგი დაზღვევის ცნებისათვის განმსაზღვრელ ელემენტად კანონმდებელმა მიიჩნია მხოლოდ ერთი და იმავე ინტერესის ერთი და იმავე რისკისგან რამდენიმე მზღვეველთან დაზ-

ღვევა. ორმაგი დაზღვევის შემადგენლობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია მუხლში გამოყენებული ცალკეული ფორმულირების და სადაზღვევო ტერმინების განმარტება;

17.8. დაზღვევის ობიექტი – ეს არის დამზღვევის ქონებრივი ინტერესი, დაკავშირებული სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანის მზღვეველის მიერ ანაზღაურებასთან, ხოლო დაზღვევის საგანს წარმოადგენს დამზღვევის სადაზღვევო (ფინანსური) ინტერესი დაზღვევის ობიექტის მიმართ. დაზღვევის ობიექტი არის ის, რაზეც ვრცელდება სადაზღვევო დაფარვა ანუ, რომლის გაუარესების შემთხვევაში გაცივმა სადაზღვევო ანაზღაურება. სადაზღვევო ინტერესის არსებობა ნიშნავს იმას, რომ დამზღვევი დაზღვევის ობიექტის გაუარესებისას ფინანსურად დაზარალდება ანუ გაუთვალისწინებელი ფულადი დანახარჯი ექნება;

17.9. ხიფათი (ამა თუ იმ ობიექტისთვის) – ეს არის შესაძლო პოტენციური მოვლენა, რომელსაც განხორციელების შემთხვევაში შეუძლია უშუალოდ გამოიწვიოს ამ ობიექტისათვის ზიანის მიყენება, შესაბამისად, ხიფათი არის შესაძლო (პოტენციური) და არა გარდაუვალი მოვლენა, რომელიც შეიძლება არც განხორციელდეს დროის გარკვეულ შუალედში, მაგრამ, თუ განხორციელდა, ამას შესაძლოა უშუალოდ მოჰყვეს ობიექტისთვის ზიანის მიყენება. ხიფათი არ არის დამოუკიდებლად არსებული, თავისთავადი. ყოველთვის არსებობს ხიფათის მატარებელი ანუ ის ობიექტი, რომელიც თავის თავში ატარებს ხიფათის განხორციელების შესაძლებლობას (ეს შეიძლება იყოს როგორც პირი, რომლის ნებისთ თუ უნებლიე ქმედებასაც შეუძლია გამოიწვიოს ხიფათის განხორციელება ან ხელი შეუწყოს მას, ასევე უსულო ობიექტი, რომელიც საკუთარი ნებით არ მოქმედებს, მაგრამ გარე ძალების ზემოქმედების ან შიდა მიზეზების გამო შეუძლია შეცვალოს მდგომარეობა). ამასთან, იურიდიულ ლიტერატურაში გამოყოფენ ხიფათის 2 სახეს: შინაგანს (მაგ., ადამიანის უყურადღებობა, დაუდევარი მოქმედება, ავტოსაგზაო შემთხვევა და ა.შ.) და გარეგანს (სტიქიური მოვლენები და ა.შ.), შესაბამისად, რისკი სწორედ ხიფათების ურთიერთმიმართებაა, რომლის გამოვლენის შემდეგ ობიექტი ან რჩება იმავე მდგომარეობაში ან განიცდის ზიანს;

17.10. რისკის იდენტიფიკაციისას მნიშვნელოვანია ის რისკის პასპორტში მოექცეს ანუ რისკების იგივეობის შესაფასებლად, შემდეგ ოთხ კითხვას იდენტიური პასუხი უნდა გაეცეს: – ვინ? რა? – ობიექტი; – როდის? – დროის შუალედი; – რის გამო? – ხიფათი; – როგორი ტიპის ზიანი? -ზიანის სახეობა;

17.11. ამდენად, დამზღვევს ერთი და იგივე ინტერესი (დამზღვევის, დაზღვევის ობიექტის გაუარესებისას, ფინანსური ზიან-

ნი) ერთი და იმავე რისკისგან (ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის შედეგად წარმოშობილი ფინანსური სახდელი) დაზღვეული ჰქონდა როგორც პირველ, ისე – მეორე მზღვეველთან. ის ფაქტი, რომ ერთი და იგივე ინტერესი იმავე რისკისაგან რამდენიმე მზღვეველთან იყო დაზღვეული, უკვე ქმნის მზღვეველთა სოლიდარულ პასუხისმგებლობას. შესაბამისად, სასამართლოს მითითება, რომ მეორე მზღვეველი დამზღვევთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების მიხედვით მხოლოდ მკაცრად რეგლამენტირებული გარემოებების ერთობლიობაში არსებობის შემთხვევაში იყო ვალდებული აენაზღაურებინა მესამე პირის მიმართ დამზღვევის მოქმედებით მიყენებული ზიანი, ვერ იქნება მისი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების წინაპირობა, ვინაიდან აღნიშნული ეწინააღმდეგება ორმაგი დაზღვევის პრინციპებს;

17.12. ყურადღება გასამახვილებელია, რომ ნახევარმისაბმელი დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდება, მას სჭირდება სატრანსპორტო საშუალება, რომელსაც ჩაებმება და მასზე გადავა მისი წონის უმეტესი ნაწილი, შესაბამისად, ავტოსაგზაო შემთხვევა (ნახევარმისაბმელით მესამე პირის დაზიანება) გამოიწვია ავტოსატრანსპორტო საშუალებამ (სახ. ნომრით: ...) და მძღოლმა, ვინაიდან სწორედ მას მოჰყავდა მოძრაობაში ნახევარმისაბმელი. შესაბამისად, რისკის რეალიზება განახორციელა ავტომანქანის/ნახევარმისაბმელის და მძღოლის (სახ. ნომრით: ...) ქმედებამ;

17.13. სასამართლოს უნდა გამოეყენებინა, მაგრამ არ გამოიყენა სსკ-ის 473-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, მოვალეს, რომელმაც სოლიდარული ვალდებულება შეასრულა, აქვს უკუმოთხოვნის უფლება დანარჩენ მოვალეთა მიმართ წილთა თანაბრობის კვალობაზე, ოღონდ თავისი წილის გამოკლებით, თუკი ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მესამე პირის წინაშე პირველ და მეორე მზღვეველებს სოლიდარულად უნდა ეგოთ პასუხი, რაც გამოიხატება ზიანის ოდენობის ანაზღაურებაში 50%-იან წილობრივ მონაწილეობაში.

18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 19 სექტემბრის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი, სსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

19. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასა-

ციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

20. საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში [სსსკ-ის 404.1 მუხლის პირველი წინადადება]. საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) [სსსკ-ის 407-ე მუხლი].

21. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო საჩივარი ძირითადად ემყარება სააპელაციო სასამართლოს მიერ დავის გადაწყვეტისას სამართლის ნორმების დარღვევას, კერძოდ, ნორმების არასწორ გამოყენებასა და განმარტებას [სსსკ-ის 393-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები: საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: ა) არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; ბ) გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; გ) არასწორად განმარტა კანონი].

22. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ სახეზეა სსკ-ის 827-ე მუხლით რეგულირებული ორმაგი დაზღვევა და, შესაბამისად, მეორე მზღვეველი პასუხისმგებელია ზიანის ანაზღაურებაზე, როგორც სოლიდარული მოვალე.

23. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების თანახმად (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 1-5 და მე-10 პუნქტები), დამზღვევს საკუთარი ორი ავტოსატრანსპორტო საშუალება ავტოსაგზაო შემთხვევისას დაზღვეული ჰყავდა ორ მზღვეველთან. პირველ მზღვეველთან დაზღვეული იყო ნახევარმისაბმელი „SAMRO S 338 RJ“, სარეგისტრაციო ნომრით ... (შემდგომში – „ნახევარმისაბმელი“), ხოლო მეორე მზღვეველთან – ავტომანქანა „...“, სარეგისტრაციო ნომრით ... (შემდგომში – „ავტომანქანა „დაფი“). ორივე მზღვეველის მიერ გაცემული დაზღვევის პოლისებით გათვალისწინებული იყო მესამე პირთა (მხარის) წინაშე (მიმართ) წარმოქმნილი პასუხისმგებლობის დაზღვევა. 2016 წლის 9 ივნისს ქ. მ-ის მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანა „დაფი“, ნახევარმისაბმელით, საპირისპირო ზოლში მოძრავ სატრანსპორტო საშუალებას შეეჯახა. მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანდა როგორც ქ. მ-ის მართვის ქვეშ მყოფი სატრან-

სპორტო საშუალებები, ასევე – საპირისპირო ზოლში მოძრავი სატრანსპორტო საშუალება. საჯარიმო ქვიტორის მიხედვით, სამართალდამრღვევ პირად ქ. მ-ი დასახელდა, ბრალეული მხარის ავტოსატრანსპორტო საშუალებად კი – ავტომანქანა „დაფი“ და ნახევარმისაბმელი. პირველმა მზღვეველმა მესამე პირს აუნაზღაურა 2016 წლის 9 ივნისის შემთხვევით მიყენებული ზიანი 13391,59 აშშ დოლარის ღირებულების ეკვივალენტის (31 357,75 ლარი) ოდენობით. ამასთან, 2016 წლის 28 ოქტომბერს პირველმა მზღვეველმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მეორე მზღვეველის მიმართ და მის მიერ მესამე პირისათვის ანაზღაურებული თანხის ნახევრის – 15 678,88 ლარის მეორე მზღვეველისათვის, როგორც სოლიდარულად პასუხისმგებელი პირისათვის, დაკისრება მოითხოვა (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-6 პუნქტი).

24. მეორე მზღვეველი სარჩელს არ ცნობს იმ დასაბუთებით, რომ დაზღვევის პირობების თვალსაზრისით, ადგილი არ ჰქონია სადაზღვევო შემთხვევას (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 7.3. ქვეპუნქტი). სააპელაციო სასამართლომ დამზღვევსა და მეორე მზღვეველს შორის გაფორმებული სადაზღვევო ხელშეკრულების პირობების 3.1. პუნქტსა [რომლითაც დადგინდა, რომ პოლისში მიითვებული ანაზღაურების ლიმიტის ფარგლებში ანაზღაურებული იქნებოდა თანხა, რომლის გადახდაც კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით (გარდა დამზღვევის წინააღმდეგ სასამართლოს მიერ მიღებული დაუსრულებელი გადაწყვეტილების ან მის მიერ სარჩელის ცნობის შემთხვევებისა) დაეკისრებოდა დამზღვევს ან უფლებამოსილი მძღოლის მიერ დაზღვეული ავტომობილის მართვის გამოყენების შედეგად მესამე პირებისთვის მიყენებული ზიანისთვის, კერძოდ, მესამე პირის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანი და/ან მესამე პირის ქონებისთვის მიყენებული ზიანი] და 3.4.-3.4.2. პუნქტებზე [ანაზღაურების ლიმიტის ფარგლებში ასანაზღაურებელ თანხად განისაზღვრა თანხა, რომლის გადახდაც დაზღვეულ პირს დაეკისრებოდა სასამართლოს მიერ დაზღვეული ავტომობილით მესამე პირისთვის მიყენებული ზიანისათვის ან/და თანხა, რომლის გადახდაზეც შედგებოდა მოლაპარაკება დამზღვევთან და მესამე პირთან სასამართლოს გარეშე] დაყრდნობით დაასკვნა, რომ, ვინაიდან, დამზღვევსა და მეორე მზღვეველს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით მესამე პირის მიმართ ზიანის ანაზღაურების პირობა, თანხის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან/და მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე დაკისრების თაობაზე, სახეზე არ იყო, შესაბამისად, ავტოსაგზაო შემთხვევით გამოწვეული ზიანი არ ექცეოდა ორივე მზღვეველის ვალდებულე-

ბის ქვეშ (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-12, მე-14 და მე-15 პუნქტები).

25. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დამზღვევსა და მეორე მზღვეველს შორის გაფორმებული სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული, მესამე პირის მიმართ ზიანის ანაზღაურების წესი არ გამოირიცხავს სსკ-ის 827-ე მუხლის საფუძველზე მოპასუხისათვის თანხის დაკისრებას.

26. უპირველეს ყოვლისა, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ არ ეთანხმება კასატორის მსჯელობას ნახევარმისაბმელის ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილად მიჩნევის თაობაზე [სსკ-ის 150.1. მუხლის თანახმად, ნივთის შემადგენელი ნაწილი, რომლის გამოცალკევებაც შეუძლებელია მთლიანი ნივთის ან ამ ნაწილის განადგურების ანდა მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე (ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი), ცალკე უფლების ობიექტად შეიძლება იყოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში], თუმცა იზიარებს მის მოსაზრებას, რომ ნახევარმისაბმელი [„საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.51 მუხლი: ნახევარმისაბმელი - მისაბმელი, რომელიც განკუთვნილია ავტომობილზე ისეთი სახით ჩასაბმელად, როდესაც მისი ნაწილი ეყრდნობა ავტომობილს და ავტომობილზევე მოდის ნახევარმისაბმელისა და მისი ტვირთის მასის მნიშვნელოვანი ნაწილი] დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდება, იგი თავის ძირითად ფუნქციას (საგნის გადაზიდვას) ასრულებს იმ შემთხვევაში, თუ ის ჩაბმულია ავტოსატრანსპორტო საშუალებასთან. განსახილველ საქმეში ავტოსაგზაო შემთხვევისას პირველ მზღვეველთან დაზღვეული ნახევარმისაბმელი მეორე მზღვეველთან დაზღვეულ ავტომანქანა „დაფზე“ ჩაბმის შედეგად მოდიოდა მოძრაობაში. დადგენილია ისიც, რომ საჯარიმო ქვითრის მიხედვით, სამართალდამრღვევ პირად ქ. მ-ი დასახელდა, ბრალეული მხარის ავტოსატრანსპორტო საშუალებად კი – ავტომანქანა „დაფი“ და ნახევარმისაბმელი (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი).

27. ამდენად, მართალია, მოცემულ შემთხვევაში დამზღვევის ორი სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალება დაზღვეული იყო ორ სხვადასხვა სადაზღვეო კომპანიაში, თუმცა, ვინაიდან ავტოსაგზაო შემთხვევა ვერ დადგებოდა მხოლოდ ნახევარმისაბმელის მონაწილეობით, რომელიც დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდება და მოძრაობაში მოდიოდა მეორე მზღვეველთან დაზღვეულ ავტომანქანა „დაფთან“ ჩაბმის შედეგად, მოცემულ ორ სატრანსპორტო საშუალებაზე უნდა გავრცელდეს ერთი და იგივე სამართლებრივი რეჟიმი.

28. პირი, რომელმაც ერთი და იგივე ინტერესი ერთდროულად

რამდენიმე მზღვეველთან დააზღვია, მოვალეა ამის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს თითოეულ მზღვეველს. შეტყობინებაში უნდა აღინიშნოს ყველა მზღვეველის ვინაობა და სადაზღვევო თანხის ოდენობა. თუ მოცემული ინტერესი ერთი და იმავე რისკისაგან რამდენიმე მზღვეველთან არის დაზღვეული და სადაზღვევო თანხები ჯამში სადაზღვევო ღირებულებას აჭარბებს, ან, თუ სხვა მიზეზების გამო საზღაურთა ჯამი, რომელიც თითოეული მზღვეველის მიერ სხვა ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში გადახდილი იქნებოდა, აჭარბებს მთელ ზიანს (ორმაგი დაზღვევა), მაშინ მზღვეველები მოვალენი არიან დამზღვევის წინაშე – როგორც სოლიდარული მოვალეები – იმ თანხის ფარგლებში, რაც მათ დამზღვევთან დადებული ხელშეკრულებით აქვთ გაფორმებული, მაგრამ დამზღვევს არა აქვს უფლება მიიღოს ჯამში რეალურ ზიანზე მეტი თანხა [სსკ-ის 827-ე მუხლის მე-2 და მე-3 წაწილები].

29. ამდენად, იმისათვის, რომ სახეზე იყოს ორმაგი დაზღვევა, აუცილებელია დამზღვევს ერთი და იგივე ინტერესი ერთი და იმავე რისკისგან რამდენიმე მზღვეველთან ჰქონდეს დაზღვეული.

30. ზემოაღნიშნული ნორმის გამოსაყენებლად მნიშვნელოვანია სწორად შეფასდეს და ერთმანეთისგან გაიმიჯნოს სადაზღვევო რისკი და სადაზღვევო ინტერესი.

31. დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად [სსკ-ის 799.1 მუხლის პირველი წინადადება]. ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების მოვალეობის უმთავრეს პირობას წარმოადგენს სადაზღვევო შემთხვევის დადგომა. თუ არ არსებობს სადაზღვევო შემთხვევა, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ არსებობს. მეორე პირობა ამ ნორმის მოთხოვნისა ისაა, რომ მიყენებული ზიანი ანაზღაურდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ანუ სსკ-ის 799-ე მუხლის პირველი წაწილის პირველი წინადადების შესაბამისად დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას მხარეები თანხმდებიან დაზღვევის ინტერესისა და საგნის შესახებ, განისაზღვრება სადაზღვევო რისკი, სადაზღვევო თანხა და სხვა, რის შემდეგაც ფორმდება სადაზღვევო ხელშეკრულება.

32. სსკ-ის 839-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა გაათავისუფლოს დამზღვევი იმ ვალდებულებისაგან, რომელიც მას ეკისრება მესამე პირის წინაშე დაზღვევის პერიოდში წარმოშობილი პასუხისმგებლობის გამო.

33. ზიანის დაზღვევის ხელშეკრულების ობიექტი შეიძლება

იყოს არა მარტო დამზღვევის ქონება, არამედ დამზღვევის სამოქალაქო პასუხისმგებლობაც. სადაზღვევო შემთხვევა შეიძლება გამოიწვიოს არა მარტო გარეშე ობიექტურმა, ბუნებრივმა ძალებმა, არამედ დამზღვევის არამართლო მიერმა ბრალეულმა მოქმედებამაც, რისთვისაც მას დაეკისრება სამოქალაქო პასუხისმგებლობა. დაზღვევის მოცემული სახის მიზანია, ერთი მხრივ, გაათავისუფლოს დამზღვევი იმ ქონებრივი პასუხისმგებლობისაგან, რომელიც მას ეკისრება მესამე პირისათვის (დაზარალებულისათვის) ზიანის მიყენების გამო, მეორე მხრივ, უზრუნველყოს თვით მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რაც დაზარალებულის ქონების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის საიმედო გარანტიას წარმოადგენს [იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, თბილისი, 2001, გვ. 161-162].

34. სადაზღვევო შემთხვევა წარმოადგენს სადაზღვევო რისკის რეალიზაციის შედეგს. სადაზღვევო რისკი კი ის საფრთხეა, რომლისგანაც დაზღვეულია დამზღვევის ქონება ან პიროვნება. დამზღვევის რისკი კონკრეტულად უნდა იქნეს მითითებული დაზღვევის ხელშეკრულებაში [იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, თბილისი, 2001, გვ. 107]. თავისთავად, რისკი შეიძლება იყოს წინასწარ განჭვრეტადი, მაგრამ მისი რეალიზაციის (სადაზღვევო შემთხვევის დადგომის) ალბათობა უნდა იყოს განუჭვრეტელი და თავისუფალი მხარეთა გავლენისაგან (იხ.: ქეთევან ირემაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხ. 799. www.gccc.ge – ველი 23, ბოლო დამუშავება: 14 მარტი, 2016).

35. სადაზღვევო ინტერესი ის სამართლებრივი ინტერესია, რომელიც დამზღვევს გააჩნია დაზღვევის ობიექტის მიმართ. პირადი დაზღვევის შემთხვევაში სადაზღვევო ინტერესი მიმართულია დამზღვევის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ხოლო ქონების დაზღვევისას კი – ქონების შენარჩუნებისაკენ. სადაზღვევო ინტერესი მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს დაზღვევის ობიექტისგან. სადაზღვევო ინტერესი არ გულისხმობს მხოლოდ უფლებას დაზღვევის ობიექტზე ან მის ნაწილზე. სადაზღვევო ინტერესი მჭიდრო კავშირს გამოხატავს დამზღვევსა და დაზღვევის ობიექტს შორის. დაზღვევის ობიექტის ღირებულება გამოსატყულებას ფულად ერთეულში პოულობს. სადაზღვევო ინტერესის ღირებულება კი შეიძლება ბევრად აღემატებოდეს დაზღვევის ობიექტის ღირებულებას, რადგან სადაზღვევო ინტერესი მატერიალური და მორალური ინტერესების ერთობლიობაა (იხ.: ქეთევან ირემაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხ. 799. www.gccc.ge –

ველი 57-58, ბოლო დამუშავება: 14 მარტი, 2016).

36. განსახილველ შემთხვევაში დამზღვევის, როგორც დაზღვეული სატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრის, სადაზღვევო ინტერესი, სადაზღვევო შემთხვევით მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაა, ხოლო სადაზღვევო რისკი, პირველი მზღვეველის მიერ გაცემული ავტოტრანსპორტის დაზღვევის პოლისის თანახმად, არის ავტოტრანსპორტისათვის გარეგანი ზემოქმედებით მიყენებული დაზიანება, ასევე – მესამე პირთა წინაშე წარმოქმნილი პასუხისმგებლობა. მეორე მზღვეველის მიერ გაცემული ავტომობილის დაზღვევის პოლისის თანახმად, იფარება აგრეთვე მესამე მხარის მიმართ პასუხისმგებლობა (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების პირველი და მე-2 პუნქტები).

37. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დამზღვევმა თავისი სადაზღვევო ინტერესი, რაც მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაში გამოიხატებოდა, ერთი და იმავე სადაზღვევო რისკისგან (ავტომფლობელის მესამე პირთა მიმართ პასუხისმგებლობა) ორ მზღვეველთან დააზღვია, რაც სსკ-ის 827-ე მუხლით გათვალისწინებული სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის საფუძველია [სსკ-ის 464-ე მუხლის თანახმად, სოლიდარული ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულებით, კანონით ან ვალდებულების საგნის განუყოფლობით].

38. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ აღნიშნული ნორმის გამოყენებაზე უარის თქმა იმ დასაბუთებით, რომ დამზღვევის სახელზე გაცემული სადაზღვევო პოლისებით გათვალისწინებული იყო მესამე პირთა მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევა, თუმცა, განსხვავებული პირობებით, უსაფუძვლოა. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ისეთი წინაპირობები – ერთი და იგივე სადაზღვევო ინტერესი, იდენტური სადაზღვევო რისკი, რაც ქმნის სსკ-ის 827.3 მუხლით გათვალისწინებული ორმაგი დაზღვევის შემადგენლობას. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული, დამზღვევსა და მეორე მზღვეველს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით მესამე პირის მიმართ ზიანის ანაზღაურების პირობები, თანხის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან/და მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე დაკისრების თაობაზე, არ წარმოადგენს სადაზღვევო რისკებს. სააპელაციო სასამართლოს მითითება განსხვავებულ პირობებზე არ შეიძლება გაიგივდეს განსხვავებულ რისკებთან და შესაბამისად, სახეზე არ არის სსკ-ის 827.3 მუხლით გათვალისწინებული ორმაგი დაზღვევის გამოყენების დამატკიცებელი გარემოება.

39. 827-ე მუხლში დადგენილია უსაფუძვლო გამდიდრების პრე-

ვენციის მექანიზმი ორმაგი დაზღვევის დროს. 827 III ადგენს ორმაგი დაზღვევისას სადაზღვევო ანაზღაურების განსაზღვრის წესს. მოცემულ შემთხვევაში, ქონების დაზღვევის მომწესრიგებელი სხვა ნორმების მსგავსად, მოქმედებს მთავარი პრინციპი, დამზღვევისათვის status quos აღდგენის თაობაზე. ორმაგი დაზღვევისას არსებობს რისკი, რომ სადაზღვევო თანხების ჯამმა გადააჭარბოს სადაზღვევო ღირებულებას, ან იმ სადაზღვევო საზღაურთა ჯამმა, რომელსაც მზღვეველი სხვა ხელშეკრულების არარსებობის პირობებში გადაიხდიდა, გადააჭარბოს დამდგარი ზიანის ოდენობას. დამზღვევის უსაფუძვლოდ გამდიდრების პრევენციისთვის დადგენილია წესი, რომლის თანახმადაც ასეთ დროს მზღვეველები პასუხს აგებენ სოლიდარულად, როგორც სოლიდარული მოვალეები. ამასთან, თითოეული მზღვეველი პასუხისმგებელია იმ სადაზღვევო თანხის ფარგლებში, რაც უშუალოდ მასსა და დამზღვევს შორის დადებული ხელშეკრულებითაა განსაზღვრული (821). დამზღვევა კი, საბოლოოდ, არ უნდა მიიღოს დამდგარ ზიანზე მეტი ოდენობის ანაზღაურება (იხ.: ქეთევან ირემაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხ. 827. www.gccc.ge – ველი 4, 7, ბოლო დამუშავება: 16 მარტი, 2016).

40. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ პირველმა მზღვეველმა მესამე პირს აუნაზღაურა 2016 წლის 9 ივნისის შემთხვევით მიყენებული ზიანი 13391,59 აშშ დოლარის ლარში ეკვივალენტის (31 357,75 ლარი) ოდენობით. ამასთან, 2016 წლის 28 ოქტომბერს სარჩელი აღძრა სასამართლოში მეორე მზღვეველის მიმართ და მის მიერ მესამე პირისათვის ანაზღაურებული თანხის ნახევრის – 15 678,88 ლარის მეორე მზღვეველისათვის, როგორც სოლიდარულად პასუხისმგებელი პირისათვის, დაკისრება მოითხოვა.

41. მოვალეს, რომელმაც სოლიდარული ვალდებულება შეასრულა, აქვს უკუმოთხოვნის უფლება დანარჩენ მოვალეთა მიმართ ნილთა თანაბრობის კვალობაზე, ოღონდ თავისი წილის გამოკლებით, თუკი ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. როდესაც შეუძლებელია მოვალეთა პასუხისმგებლობის ოდენობის განსაზღვრა, ისინი ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ თანაბარი წილით [სსკ-ის 473-ე მუხლი].

42. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან შეუძლებელია მზღვეველებს შორის პასუხისმგებლობის ოდენობის განსაზღვრა, ისინი პასუხს აგებენ თანაბარი წილით. შესაბამისად, მოსარჩელის სარჩელი საფუძვლიანია და მისი სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილებას ექვემდებარება.

43. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს განჩინება დაუსაბუთებელია და, შესაბამისად, არსებობს მისი გაუქმების სსსკ-ის 394-

ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი [გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული]. საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადანყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები [სსსკ-ის 411-ე მუხლი]. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ამგვარი საფუძვლები და არ არის საჭირო მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადანყვეტილება.

44. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ოქტომბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადანყვეტილება, მოსარჩელის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 15 678,88 ლარის გადახდა.

45. იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან [სსსკ-ის 53.1 მუხლის პირველი წინადადება]. ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადანყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადანყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც [სსსკ-ის 53-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები].

46. ვინაიდან მოსარჩელის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სამივე ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (471 ლარი+628 ლარი+ 784 ლარი) 1883 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სს „ს.კ. ა-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ოქტომბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. სს „ს.კ. ა-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს;

4. სს „ს.კ. ჯ. პ. ჰ-ს“ სს „ს.კ. ა-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს 15 678.88 (თხუთმეტი ათას ექვსას სამოცდათვრამეტი ლარისა და ოთხმოცდარვა თეთრის) ლარის გადახდა;

5. მოპასუხეს სს „ს.კ. ჯ.პ.ჰ-ს“ (ს/ნ: ...) სს „ს.კ. ა-ის“ (ს/ნ: ...) სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სამივე ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 1883 (ათას ოთხმოცდასამი) ლარის გადახდა;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

8. ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა)

უარი ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებაზე

განჩინება საქართველოს სასჯელით

№ას-1986-2018

28 დეკემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: ხელშეკრულების მოშლა, თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ- ვლები:

1.1. ნ. დ-მა (შემდგომში – მოსარჩელე, მეორე აპელანტი ან კა-სატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში ინდივიდუალურ ბინათ-მესაკუთრეთა ამხანაგობა „თ-ი ...-ის“ წევრების: ლ. ა-ის, ა. ბ-ას, ტ. ძ-ის, დ. მ-ძის, გ. ა-ძის, თ. ა-ის, რ. ა-ის, ზ. ბ-ის, ი. ბ-ის, გ. ბ-ის, ქ. ბ-ის, მ. ბ-ის, მ. ბ-ძის, ვ. ბ-ას, ვ. ბ-ძის, ე. ბ-ას, ქ. ბ-ის, ქ. ს-ას, მ. ბ-ის, ო. ბ-ის, ი. გ-ძის, ნ. გ-ძის, ბ. გ-ის, რ. გ-ის, ზ. გ-ძის, თ. დ-ის, ნ. დ-ძის, ჯ. ჟ-ის, მ. ე-ძის, ნ. ვ-ის, ზ. თ-ის, დ. მ-ის, გ. თ-ძის, თ. ი-ის, მ. ი-ძის, გ. ი-ძის, გ. ი-ძის, ი. კ-ძის, ქ. კ-ას, ფ. კ-ას, ფ. კ-ის, ი. კ-ის, მ. კ-ის, ს. კ-ის, მ. კ-ას, ც. კ-ძის, ლ. ლ-ძის, გ. ლ-ას, დ. ლ-ძის, რ. მ-ძის, ბ. მ-ძის, ი. მ-ძის, გ. მ-ძის, თ. მ-ძის, უ. ჯ-ის, გ. მ-ის, ბ. მ-ძის, ნ. მ-ძის, ბ. ნ-ის, კ. ო-ის, ა. ჟ-ის, ნ. ს-ას, შ. ტ-ის, ტ. ტ-ის, ც. ტ-ძის, ა. ფ-ძის, ბ. ფ-ვის, ნ. ფ-ძის, ქ. ქ-ძის, ა. ქ-ძის, მ. შ-ძის, ლ. შ-ძის, ნ. ჩ-ის, შ. ჩ-ის, გ. ჩ-ძის, გ. ხ-ის, ა. ხ-ძის, ა. ხ-ის, თ. ხ-ის, ლ. ძ-ლ-ძის, ა. ჭ-ის, მ. ჭ-ძის, ტ. წ-ას, მ. წ-ის, ნ. წ-ის, ნ. ჯ-ის, ლ. ჯ-ძის, ნ. ჯ-ძის, ვ. ჯ-ძის, ზ. ჯ-ძის, ბ. ჯ-ის, ნ. ჯ-ის, კ. ჯ-ის, გ. ჯ-ის, ვ. ჯ-ძის, მ. ჯ-ის, ბ. ს-ძის, ზ. ნ-ძის, დ. ი-ძის, გ. მ-ის, თ. ლ-ძისა და ნ. გ-ის (იხ. უფლებამონაცვლეობის დადგენის შესახებ განჩინებები, სარჩელის ნაწილობრივ გამოხმო-ბისა და სარჩელზე ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ შუამდგომ-ლობები. შემდგომში – მოპასუხეები, ამხანაგობის წევრები ან მო-წინააღმდეგე მხარეები, ზ. თ-ი, ბ. ნ-ი, ფ. კ-ი და ნ. ჯ-ი, აგრეთვე, ნოდებულის, როგორც პირველი აპელანტები) მიმართ და მოითხოვა ბმა „თ-ი ...-სა“ და მოსარჩელეს შორის 2006 წლის 27 სექტემბერს

გაფორმებული №315 ხელშეკრულების ბათილად ცნობა, მოპასუხეებისათვის 123 820 აშშ დოლარის, ასევე, 2008 წლის 1 თებერვლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე აუნაზღაურებელი თანხის წლიური 10%-ის სოლიდარულად დაკისრება.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

საბურთალოს რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს 19... წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, თ-ის ქუჩაზე (№7,9,11ა,16,18,19) შეიქმნა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თ-ი ..“, სადაც წლების განმავლობაში ერთიანდებოდნენ სხვადასხვა ფიზიკური პირები. 2000 წლის 8 დეკემბერს დამტკიცდა ამხანაგობის წესდება, ხოლო 2003 წლის 20 ნოემბრის ცვლილების თანახმად, წესდების მე-3 პუნქტით განისაზღვრა, რომ ამხანაგობის წევრები იყოფოდნენ ორ ჯგუფად: დამფუძნებელ და ჩვეულებრივ წევრებად. დამფუძნებლად მიჩნეულ იქნენ 2000 წლის 8 დეკემბრამდე განვერიანებული პირები. ამხანაგობის წევრად მიღების შესახებ 2006 წლის 27 სექტემბრის ხელშეკრულების საფუძველზე მოსარჩელემ ამხანაგობაში შეიძინა წილი (მართალია, ხელშეკრულებას ეწოდება ამხანაგობის წევრად მიღების შესახებ ხელშეკრულება, თუმცა, შინაარსიდან გამომდინარე, წარმოადგენს ნარდობას). ამხანაგობამ კი, იკისრა ვალდებულება, აემუწებინა და 2007 წლის ბოლოსთვის საკუთრებაში გადაეცემა მოსარჩელისათვის პირველ ბლოკში 0,495 ნიშნულზე „2ა“-„4ა“ და „ე“-„გ“ ლერძებს შორის მდებარე 82 კვ.მ კომერციული ფართი. ხელშეკრულების მე-5 მუხლის თანახმად, უძრავი ნივთის საკუთრებაში გადაცემის ბოლო ვადა იყო 2008 წლის 1 თებერვალი, ხოლო, მე-6 მუხლის თანახმად, მოსარჩელეს თანხა უნდა გადაეხადა 2007 წლის 30 დეკემბრამდე. მოსარჩელეს 2007 წლის 18 დეკემბრამდე სრულად აქვს გადახდილი შეთანხმებული თანხა – 123 820 აშშ დოლარი, ხოლო მოპასუხეს არ შეუსრულებია ვალდებულება, ამასთანავე, მშენებლობის პირველი ბლოკი დღეისათვის დანგრეულია და ამხანაგობა ვერ იძლევა პასუხს, თუ როდის დაასრულებს.

2. მოპასუხეების პოზიცია:

მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს, მათი განმარტებით, ამხანაგობის დებულებაში შეტანილი ცვლილებების თანახმად, ამხანაგობის ახალი წევრის მიღებას ესაჭიროებოდა ამხანაგობის გამგეობის თანხმობა, ამგვარი გადაწყვეტილება მოსარჩელეს არ წარმოუდგენია, ხოლო თავმჯდომარე არ იყო უფლებამოსილი, ერთპიროვნულად დაედო ხელშეკრულება, რომლის სამართლებრივი შედეგებიც ამხანაგობას შეეარაცხება. თავმჯდომარის დანაშაულებრივ ქმედებაზე პასუხისმგებელია არა ამხანაგობა, არამედ – თავად თავმჯდომარე. შესა-

გებლებით სადავოდაა გამხდარი ასევე თანხის ამხანაგობისათვის გადაცემა, მოპასუხეთა განმარტებით, მათ ურთიერთობა ჰქონდათ სამშენებლო კომპანია „ც-პ-თან“. მოსარჩელის მიერ ხელშეკრულების დადების დროს ამ კომპანიის ფინანსური წარუმატებლობა ცნობილი იყო და მოსარჩელემ ხელშეკრულება ისე გააფორმა, რომ არც კი მოუთხოვია მისი იურიდიული დადასტურება უფლებამოსილი პირის მხრიდან, გარდა ამისა, სადავოა გადახდილი თანხის ოდენობა, რომელიც, მოსარჩელის განმარტებიდან გამომდინარე, 1 კვ.მ შენობაზე 1 510 აშშ დოლარი გამოდის, მაშინ, როდესაც 600-800 აშშ დოლარზე ძვირი 1 კვ.მ შენობა ამხანაგობაში არ ყოფილა. იმ პირობებში კი, როდესაც წლების განმავლობაში მშენებლობა არ მიმდინარეობდა, გაურკვეველია, თუ როგორ იხდიდა მოსარჩელე ქონების ღირებულებას. მოპასუხეთა განმარტებით, სარჩელით მოთხოვნილი თანხა ჩარიცხულია არა ამხანაგობაში, არამედ – ე.ს.ს-ოს ანგარიშზე, რაც მოპასუხეთა მხრიდან თანხის მიღებას გამო-რიცხავს.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შეწყვეტილად იქნა აღიარებული მოსარჩელესა და ამხანაგობას შორის 2006 წლის 27 სექტემბერს დადებული №315 ხელშეკრულება და ზ. თ-ს, ნ. ჯ-ს, ფ. კ-ს, ტ. ძ-სა და ბ. ნ-ს ნ. დ-ის სასარგებლოდ, დაეკისრა 123 820 აშშ დოლარის, ასევე, 2008 წლის 1 თებერვლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ამ თანხის წლიური 10%-ის ანაზღაურება. სხვა თანამოპასუხეთა მიმართ სარჩელი უარყოფილ იქნა.

4. აპელანტების მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა, პირველმა აპელანტებმა (ზ. თ-ი ნ. ჯ-ი, ფ. კ-ი, ტ. ძ-ი და ბ. ნ-ი) მოითხოვეს მისი ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის უარყოფა, ხოლო, მეორე აპელანტმა (მოსარჩელე) – სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით პირველი აპელანტების მოთხოვნა დაკმაყოფილდა, მეორე სააპელაციო საჩივარი უარყოფილ იქნა, სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით ნ. დ-ის სარჩელი უარყოფილ იქნა.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მეორე აპელანტმა, მოითხოვა მისი, ასევე, 2018 წლის 3 ოქტომბრის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების დასაბუთება:

1.1. საკასაციო პრეტენზიების მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები:

საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს ამხანაგობის წევრთა პერსონალური პასუხისმგებლობის წინაპირობების არსებობა. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, ფიზიკური პირები არ წარმოადგენენ მოთხოვნაზე პასუხისმგებელ სუბიექტებს, რის გამოც, მათ მიმართ სარჩელს არ გააჩნდა პერსპექტივა. ხსენებულ დასკვნას არ ეთანხმება კასატორი და მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ემყარება, როგორც მატერიალური, ისე – საპროცესო სამართლის წესების დარღვევას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად (საკასაციო სასამართლო ამონებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას საკასაციო საჩივარში გამოთქმული შემდეგი პრეტენზიების ფარგლებში შეამოწმებს:

– სააპელაციო პალატამ არასწორად დაადგინა, რომ 2006 წლის 27 სექტემბერს, ნ. დ-თან ხელშეკრულების დადებისას, ზ. თ-ს არ ჰქონდა ამხანაგობის თავმჯდომარის სტატუსი. პალატამ მოიშველია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება ამხანაგობა „თ-ი ...-ის“ წევრთა 2000 წლის 8 დეკემბრის №1 საერთო კრების ოქმის ბათილად ცნობის შესახებ, რომლითაც ზ. თ-ს მინიჭებული აქვს ამხანაგობის თავმჯდომარის უფლებამოსილება. კასატორი ამ გადაწყვეტილების სუბიექტს არ წარმოადგენს, ამასთან, დაუშვებელია 6 წლის შემდეგ დოკუმენტის ბათილად ცნობას მოჰყვეს შედეგები 6 წლის წინ დადებულ ხელ-

შეკრულებათა მიმართ იმ პირობებში, როდესაც დადასტურებულია რომ კონტრაჰენტი (კასატორი) კეთილსინდისიერია. ნარდობის ხელშეკრულება ამხანაგობის თავმჯდომარე ზ. თ-სა (ე.ი ამხანაგობას) და კასატორს შორის დადებულია 2006 წლის 27 სექტემბერს, 2012 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილების გამოტანამდე 6 წლით ადრე, რის გამოც ეს გადაწყვეტილება 2006 წლის 27 სექტემბრის ხელშეკრულების ნამდვილობაზე და ზ. თ-ის, როგორც ამხანაგობის თავმჯდომარის, უფლებამოსილებაზე ვერ იმოქმედებს ნ. დ-თან მიმართებით. გარდა ამისა საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება დღემდე აღსრულებული არ არის. ამხანაგობის დებულების შესაბამისად, ამხანაგობის წევრთა საერთო კრების 2/3-ის წერილობითი მოთხოვნით შეეძლოთ თავმჯდომარის გადაყენება და ახალი თავმჯდომარის არჩევა, რაც დღემდე არ განხორციელებულა. ზ. თ-ი კი, როგორც ამხანაგობის თავმჯდომარე, დღემდე კომუნიკაციას აწარმოებს როგორც საჯარო სამსახურებთან, ისე – კერძო პირებთან. 2012 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ 2013 წელს და შემდგომაც ზ. თ-ი შემოსავლების სამსახურში რეგისტრირებულია როგორც ამხანაგობის თავმჯდომარე, გარდა ამისა, ამხანაგობის კრების ოქმებს დღესაც ადგენს ამხანაგობის თავმჯდომარის სახელით. მოცემულ საქმეზე ზ. თ-ს მონაწილეობის მისაღებად ადვოკატებზე მინდობილობები №150148762 და №150148757 2015 წლის 16 თებერვალს გაცემული აქვს როგორც ამხანაგობის თავმჯდომარეს 2000 წლის 8 დეკემბრის იმ კრების ოქმის საფუძველზე, რომელსაც სააპელაციო სასამართლო ბათილად მიიჩნევს ნ. დ-თან გაფორმებულ ხელშეკრულებასთან მიმართებაში;

– ამხანაგობის დებულებისა და სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლის უგულვებელყოფას წარმოადგენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა, რომ კასატორსა და მოპასუხედ დასახელებულ პირებს შორის ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმება არ მომხდარა და ამიტომ სასარჩელო მოთხოვნას სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია. პალატას მხედველობიდან გამორჩა ის გარემოება, რომ ამხანაგობის საქმეების გაძლოლა, სამოქალაქო კოდექსი 934-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დავალებული აქვს მის ერთ მონაწილეს – ზ. თ-ს, რომელიც ამხანაგობის თავმჯდომარის მოვალეობას 2000 წლის 8 დეკემბრიდან დღემდე ასრულებს თანახმად ამხანაგობის დებულების 9.1 პუნქტისა;

– სარჩელის უარყოფის დასაბუთების მიზნით სააპელაციო პალატამ ჯერ ეჭვქვეშ ერთობლივი საქმიანობის მონაწილეთა ამხანაგობის წევრობა დააყენა, შემდეგ კი მონინააღმდეგე მხარეთა და თვითონ ნ. დ-ის „ც.-პ. ჯგუფთან“ არარსებული ნარდობის ხელ-

შეკრულებათა დადებაში მონაწილეობაზე მიუთითა. მიუხედავად ამისა, ზ. თ-მა და ერთობლივი საქმიანობის სხვა მონაწილეებმა, მოვალედ ყოფნის პრეზუმფციის გაქარწყლება ვერ შეძლეს. სააპელაციო პალატა უსაფუძვლოდ აცხადებს, რომ ნ. დ-მა თითქოს ვერ დაძლია მტკიცების ტვირთი. საქმეში არ მოიპოვება მხარეთა ახსნა-განმარტებები, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ მოპასუხედ დასახელებული პირები „ც.-პ. ჯგუფთან“ ისეთივე სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ, როგორც ნ. დ-ი. იმის გამო, რომ ასეთი ხელშეკრულებები არ არსებობს, სააპელაციო პალატა ვერ უთითებს აღნიშნული მტკიცებულებების არსებობაზე. სასამართლოს დასკვნა ნ. დ-ის მიერ დადებულ ხელშეკრულებაზე გაურკვეველი პირის ხელმოწერასთან დაკავშირებით ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნას. შესაბამისად, სასამართლოს შეფასება იმის თაობაზე, რომ ვინმე გ-ძის ვიზირება უნდა შეფასდეს, როგორც „ც.-პ-ის“ ნების გამოვლენა და განიმარტოს ხელშეკრულებაზე ხელმოწერად, ეწინააღმდეგება კანონის არსს. კასატორმა კანონით დადგენილი წესით, კეთილსინდისიერად დადო ხელშეკრულება ამხანაგობასთან, რომელიც წარმოადგენილი იყო თავმჯდომარის მიერ, რომლის უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი, მით უმეტეს იმ პირობებში როდესაც ამხანაგობის დებულება სანოტარო წესითაა დამონმებული, არ არსებობდა. მოსარჩელეს ცხადია ჰქონდა კანონიერი ნდობა და დაუშვებელია მას მეტი მოეთხოვოს სასამართლოს მიერ. სამოქალაქო კოდექსით გამყარებული კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგოა სასამართლოს მხრიდან იმის მტკიცება, რომ ნ. დ-თან დადებული ხელშეკრულება ბათილია იმ საფუძველით, რომ ამხანაგობის თავმჯდომარეს არ ქონდა უფლებამოსილება ამხანაგობის სახელით დაედო ხელშეკრულება, მაშინ როდესაც ამის პარალელურად სასამართლო არ მსჯელობს საკითხზე – იცოდა თუ არა ნ. დ-მა ამხანაგობის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ ან თუ ჰქონდა შესაძლებლობა, მცირედი შანსი მაინც სცოდნოდა ამის შესახებ;

– სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული გასაჩივრებული გადაწყვეტილების ის მსჯელობა, სადაც სასამართლო ნარდობისა და ბინათმენაშენეთა ამხანაგობის სამართლებრივ ბუნებაზე საუბრობს და ადგენს, რომ თურმე სახეზეა ნარდობის ხელშეკრულება, მაშინ, როდესაც ხელშეკრულებაში ცალსახადაა მითითებული რომ იგი დაიდო ნ. დ-სა და ბინათმენაშენეთა ამხანაგობა „თი...-ს“ შორის. ხელშეკრულების არაერთი პუნქტიდან დგინდება, რომ მოსარჩელის წინაშე ვალდებულების შესრულება და კომერციული ფართის გადაცემა იკისრა ამხანაგობამ და არა რომელიმე სხვა პირმა

სასამართლოს აპელირება ხელშეკრულების იმ მუხლზე, რომლის თანახმადაც ნ. დ-ის მიერ თანხა გადახდილი იქნა სს „ე.ს.ს-ოს“ ანგარიშზე და ამ საფუძვლით მტკიცება იმისა, რომ ვალდებულება თურმე იკისრა არა ამხანაგობამ, არამედ „ც.-პ.-მა“, მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს. გაურკვეველია, როგორ შემოჰყავს სასამართლოს „ც.-პ-ი“ სახელშეკრულებო ურთიერთობაში, მაშინ, როდესაც თანხა გადახდილია სს „ე.ს.ს-ოს“ ანგარიშზე თავად ამხანაგობის მითითებით, კეთილსინდისიერი კონტრაჰენტის ანუ ნ. დ-ის მიერ იმის ცოდნის პირობებში, რომ ამ თანხის მესაკუთრე გახდება ამხანაგობა „თ-ი ...“, ხოლო მის წინაშე ნაკისრ ვალდებულებას შეასრულებს ამხანაგობა და არა რომელიმე სხვა პირი. ნ. დ-სა და ამხანაგობას შორის 2006 წლის 27 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულების 2.2 პუნქტის თანახმად, ნ. დ-ის მიერ სს „ე.ს.ს-ოს“ ანგარიშზე გადახდილი თანხის მესაკუთრე ხდებოდა ამხანაგობა, რასაც სააპელაციო სასამართლო არ ახსენებს და არც სამართლებრივ შეფასებას აძლევს. ნარდობის ხელშეკრულება მართლაც დაიდო ნ. დ-სა და ამხანაგობა „თ-ი ...-ს“ შორის და სწორედ ამხანაგობა იყო ვალდებული ნ. დ-ის წინაშე, შეესრულებინა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. სასამართლოს განმარტება თავმჯდომარის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით ენინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლს;

– სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლი, ასევე, არასწორად განმარტა ამავე კოდექსის 629-ე მუხლი. სასამართლოს დასკვნით, ერთობლივი საქმიანობის მონაწილეებს ნარდობის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი მოქმედება უნდა განეხორციელებინათ – მოეძებნათ ინვესტორი „ც.-პ-ის“ სახით, ეს მაშინ, როცა ამხანაგობა „თ-ი ...“ შექმნილია სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნათა სრული დაცვით და აკმაყოფილებს ამავე კოდექსის 931-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს. ინვესტორის მოძიება და მასთან ხელშეკრულების დადება ამხანაგობის 2000 წლის 8 დეკემბრის დებულებით და მასში 2003 წლის 20 ნოემბრის ცვლილებებით არის გათვალისწინებული და მსგავსი ხელშეკრულების დადება ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებას არ უცვლის შინაარსს და არ გადააქცევს მას ნარდობის ხელშეკრულებად. სააპელაციო პალატის გადანყვეტილება განსხვავდება მსგავს საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული პრაქტიკისაგან (სუსგ №ას-482-458-2013);

– სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ერთობლივი საქმიანობის მონაწილენი ერთმანეთში სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლით განსაზღვრული მიზნის შესასრულებლად კი არ გაერთიანდნენ, არამედ კონკრეტული გადასახადის სანაცვლოდ ახალ აშე-

ნებულ საცხოვრებელ კომპლექსში უძრავი ქონების მიღება განიზრახეს, რაც სამართლის მიზნებისათვის მას ნარდობის ხელშეკრულებად აქცევს. სააპელაციო პალატის ეს მოსაზრება დაუსაბუთებელია, ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის 930-ე და 629-ე მუხლების შინაარსს, ასევე ამხანაგობის დებულების მე-4 პუნქტს, სადაც აღნიშნულია, რომ ამხანაგობის საერთო მიზანს წარმოადგენს ვაკე-საბურთალოს რაიონში თ-ის ქ№7-სა და ... ქუჩა №23-ში მდებარე ამხანაგობის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხულ 10535 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მრავალსართულიანი, მრავალბინიანი მრავალფუნქციური სახლების მშენებლობა;

– ნათელია ნ. დ-ისა და ამხანაგობის დამფუძნებელი წევრების განსხვავებული სამართლებრივი სტატუსი, კერძოდ, ნ. დ-მა ამხანაგობასთან დადო ნარდობის ხელშეკრულება, რაც მას აძლევს საფუძველს, მოითხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება. ამხანაგობის მიერ მიღებული სახსრების, მოგების, ფართის (გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართისა) და ა.შ. მოთხოვნის უფლება მას არ აქვს, მაშინ, როდესაც ამხანაგობის დამფუძნებელი წევრები ამხანაგობის შემოსავალს გაინაწილებენ მათი წილების პროპორციულად სამოქალაქო კოდექსის 935-ე მუხლის თანახმად. კომერციული ინტერესი, რაც ხსენებული ნორმის შესაბამისად, შეიძლება ჰქონოდათ ამხანაგობის დამფუძნებელ წევრებს, სახეზეა;

– სააპელაციო პალატამ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 113-ე მუხლის პირველი ნაწილი, 455-ე-456-ე მუხლები. არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი, 104-ე და 396-ე მუხლები. ხელშეკრულების მეორე მხარემ, ამხანაგობის თავმჯდომარე ზ. თ-მა იცოდა თუ არა საკუთარი უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ მოსარჩელესთან დადებული ხელშეკრულების შეფასებისას არარელევანტურია, რადგანაც ამ შემთხვევაში, შესაფასებელი კასატორის სუბიექტური დამოკიდებულება, მისი კეთილსინდისიერებაა გარიგების დადებასთან მიმართებით. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს მიერ დარღვეულ იქნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლი, 380-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 103-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 102-ე მუხლის მე-3 ნაწილი და 382-ე მუხლის მოთხოვნები. 2018 წლის 3 ოქტომბრის მთავარ სხდომაზე პალატამ დააკმაყოფილა პირველი აპელანტის შუამდგომლობა და №000/4620745 სისხლის სამართლის საქმეზე მოსარჩელის დაზარალებულად ცნობის შესახებ 2014 წლის 7 მარტის დადგენილება და მისი დაკითხვის ოქმის დაუმონმებელი ასლები დაერთო საქმეს, მაშინ, როდესაც წერილობითი მტკიცებულება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლის თანახმად, დედნის სახით უნ-

და წარდგენილიყო, თუმცა აღნიშნული არც სასამართლოს მოუთხოვია და არც საპატიო მიზეზი განუმარტავს მხარეს, თუ რატომ არ მოხდა აღნიშნული მტკიცებულებების წარმოდგენა პირველი ინსტანციის სასამართლოში, რაც საპროცესო კანონმდებლობის უხეში დარღვევაა. როგორც პირველი აპელანტების წარმომადგენლები სააპელაციო საჩივარში უთითებენ, მათ დ-ის დაზარალებულად ცნობის დადგენილებისა და დაკითხვის ოქმის ხელში ჩაგდება ძლივს მოახერხეს პირადი ურთიერთობით. ამით თვითონვე ადასტურებენ, რომ ნ. დ-ის დაზარალებულად ცნობის დადგენილება და დაკითხვის ოქმის დაუმონმებელი ასლები მოიპოვეს უკანონო გზით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არ აქვთ. სააპელაციო პალატას არასწორად აქვს გაგებული მეორე აპელანტის პოზიცია მოცემულ სიტუაციასთან დაკავშირებით. მოსარჩელეს მხოლოდ ის ფაქტი არ უარუყვია, რომ ხელშეკრულების კიდეზე ნამდვილად არის დაუდგენელი პირის ვიზირება, ხოლო რა იურიდიული მნიშვნელობა აქვს ამ ვიზირებას ხელშეკრულების მხარეების განსასაზღვრად დაუდგენელია, მაშინ, როცა ხელშეკრულების ყველა გვერდზე ამხანაგობის თავმჯდომარე და ნ. დ-ი აწერს ხელს. სააპელაციო სასამართლოს, შესაბამისი მტკიცებულებების გარეშე, არ ჰქონდა უფლება, დაუდგენელი პირი „ც-პ-ი ჯგუფის“ წარმომადგენლად ჩაეთვალა და მიეჩნია როგორც ხელშეკრულების კონტრაქტენტი, მაშინ, როცა ხელშეკრულების არცერთ პუნქტში „ც-პ-ი ჯგუფი“ ნახსენებიც კი არ არის, ამასთან, უცნობი პირის სადავო ვიზირება ხელშეკრულების პირველ გვერდზე იკვეთება მხოლოდ.

1.2. ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინების მიმართ:

საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნია სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც საკასაციო საჩივარი არ შეიცავს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწო-

რად გამოყენება ან/და განმარტება.

1.2.1. 2006 წლის 27 სექტემბერს ნ. დ-სა და ინდივიდუალურ ბინათმენაშენეთა ამხანაგობა „თ-ი ...-ს“ შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ნ. დ-ს 123 820 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ საკუთრებაში უნდა მიეღო 82 კვ.მ კომერციული ფართი. ხელშეკრულებაში მითითებული თანხა მოსარჩელეს უნდა გადაეხადა სს „ე.ს.ს-ოს“ ანგარიშზე. ხელშეკრულების 5.1 პუნქტის მიხედვით, ნ. დ-ს უძრავი ნივთის საკუთრებაში მიღების უფლება წარმოეშობოდა შენატანის სრულად გადახდისთანავე, მაგრამ არა უადრეს 2008 წლის 1 თებერვლისა. შეთანხმება დასათაურებულია, როგორც „ამხანაგობის წევრად მიღების შესახებ №315 ხელშეკრულება“. დოკუმენტს ხელს აწერენ ნ. დ-ი, მ. გ-ძე და ზ. თ-ი (სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 3 ოქტომბერს გამართულ სხდომაზე პირველმა აპელანტებმა მიუთითეს და მეორე აპელანტს არ უარუყვია, რომ მ. გ-ძე „ც-პ-ის“ წარმომადგენელი იყო);

1.2.2. 2006 წლის 27 სექტემბრის ხელშეკრულების პირობების შესრულების მიზნით, ნ. დ-მა სს „ე.ს.ს-ოს“ ანგარიშზე გადარიცხა 123 820 აშშ დოლარი;

1.2.3. ინდივიდუალურ ბინათმენაშენეთა ამხანაგობა „თ-ი ...-ის“ 2000 წლის 8 დეკემბრის საერთო კრების ოქმით დამტკიცდა ამხანაგობის დებულება. ამხანაგობის თავმჯდომარედ აირჩიეს ზ. თ-ი, მოადგილედ – თ. ლ-ძე, ხოლო გამგეობის წევრებად: ნ. ჯ-ი, ფ. კ-ი, მ. ხ-ი, გ. მ-ძე, ც. მ-ი, ბ. გ-ი, ა. ყ-ი, ნ. ჯ-ი, ტ. ძ-ი და ბ. ნ-ი. გამგეობის ვალდებულებას საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის აუცილებელი სამუშაოების შესრულება, როგორიცაა, პროექტის შეთანხმება, მშენებლობის გაგრძელების უფლების მიღება, მშენებლობის დასრულების მიზნით დაფინანსების წყაროს (სპონსორის) მოზიდვა და ა.შ წარმოადგენდა;

1.2.4. ბინათმენაშენეთა ამხანაგობის 2003 წლის 20 ნოემბერს ჩატარებული კრების ოქმით ამხანაგობის გამგეობის შემადგენლობიდან გაირიცხნენ მ. ხ-ი, გ. მ-ძე და ც. მ-ი. ამავე კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით ცვლილება შევიდა ამხანაგობის დებულებაში და 8.1 პუნქტით ამხანაგობის გამგეობის უფლებამოსილებას ამხანაგობის მართვა და ორგანიზება, ახალი წევრების მიღება და გაყვანა, ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება, ამხანაგობის წევრებს შორის უძრავი ქონების განაწილება, ამხანაგობის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის წარმართვა, საერთო კრების მოწვევა, ამხანაგობის სტრატეგიის განსაზღვრა, სესხის აღებისა და უძრავი ქონების დატვირთვის საკითხის, ამხანაგობის წევრის გარიცხვის საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნა. გამგეობის საქმიანობას ხელმძღვანელობ-

და ამხანაგობის თავმჯდომარე, რომელსაც ამავე სუბიექტის სახელით მიენიჭა ნებისმიერ გარიგებაზე ხელმოწერის, საბანკო დაწესებულებებში ანგარიშის გახსნისა და ამხანაგობის მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმომადგენლობის უფლებამოსილება;

1.2.5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „თ-ი ...-ის“ 2000 წლის 8 დეკემბრის კრების №1 ოქმი;

1.2.6. 2003 წლის 20 ნოემბერს კვლავ ჩატარდა ხელშეკრულების მონაწილეთა კრება, მიღებულ იქნა კრების ოქმი №1, სადაც აღნიშნულია, რომ გამოიძებნა ინვესტორი, კერძოდ, შპს „ც პ-ი“ და მასთან გაფორმდა საცხოვრებელი კომპლექსის აშენების შესახებ ხელშეკრულება. 2003 წლის 20 ნოემბერს ამხანაგობის დებულებაში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც, ამხანაგობის თავმჯდომარე, გამგეობის თანხმობის გარეშე, უფლებამოსილი არ იყო ამხანაგობაში მიეღო ახალი წევრი, საქმის მასალებით კი, გამგეობის მიერ რაიმე ფორმით ნ. დ-ის ამხანაგობაში მიღების შესახებ თანხმობის გაცემა არ დასტურდება. ასევე არ დასტურდება ზ. თ-ის ხელმოწერა, ფორმალური წესების დაცვით, ამხანაგობის თავმჯდომარედ ან/და თავდაპირველი მოპასუხეების წარმომადგენლად დანიშვნა;

1.2.7. სისხლის სამართლის საქმეზე ნ. დ-ის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილებაში მოწმედ დაკითხული ნ. დ-ი აღნიშნავს, რომ მან 2006 წელს გადაწყვიტა ქ. თბილისში კომერციული ფართის შექმნა, მიმართა სამშენებლო კომპანია „ც-პ-ს“, რადგან იმ პერიოდში აღნიშნული კომპანია სამშენებლო ბაზარზე მონიწილეს იყო. 2006 წლის სექტემბერში ნ. დ-ი და მისი მეუღლე ტ. გ-ძე შეხვდნენ „ც-პ-ის“ წარმომადგენელ მ. ნ-ს, რომელთანაც შესაძენი ფართისა და გადასახდელი ღირებულების შესახებ შედგა შეთანხმება. ნ. დ-ს ... მოედანზე შესთავაზეს კონკრეტული სამშენებლო პროექტი, თუმცა, იქვე განუმარტეს, რომ თავდაპირველად იგი ჯერ ამხანაგობა „თ-ი ...-ის“ წევრი უნდა გამხდარიყო, რადგან სამშენებლო კომპანიას სწორედ ამ ამხანაგობასთან ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება და მინის ნაკვეთი, სადაც საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა ხორციელდებოდა, ამხანაგობას ეკუთვნოდა. აღნიშნული მოლაპარაკების საფუძველზე, ნ. დ-მა 2006 წლის 27 სექტემბერს ამხანაგობა „თ-ი ...-სთან“ გააფორმა სადავო ხელშეკრულება. ამავე დადგენილებაში ნ. დ-ი აცხადებს, რომ მას ქონებრივი ზიანი სწორედ „ც-პ-ის“ დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად მიაღდა. დადგენილებას ხელს აწერს ნ. დ-ი. ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მას დაზარალებულის უფლება-მო-

ვალეობები განემარტა, მათ შორის, უფლება ადვოკატის ყოლის თაობაზე.

1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის პრეტენზიას სასამართლოს მიერ სამართლის ნორმათა დარღვევის თაობაზე და მიიჩნევს, რომ ამ დარღვევის შედეგად მიღებულ იქნა იურიდიულად იმდენად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონახვა შეუძლებელია, შესაბამისად, სახეზეა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობები. საკითხის სწორად გადაწყვეტის მიზნით, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს მოცემული დავის რამდენიმე ფაქტობრივ წინაპირობაზე, რომლებიც, როგორც სამართლებრივი საფუძვლის განსაზღვრისათვის, ისე – სარჩელის წარმატებულობის შემონახვისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა:

1.3.1. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ ამხანაგობა „თ-ი ...-ის“ წევრებმა 2000 წლის 8 დეკემბრის კრებაზე დამტკიცებული დებულებით გამოხატეს არა სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლით განსაზღვრული ერთობლივი მიზნის მიღწევის ნება, არამედ სახელშეკრულებო თვითბოჭვის ფარგლებში მათ გადაწყვიტეს ნარდობის ხელშეკრულების გაფორმება, რის შესაბამისადაც მოგვიანებით მოიძიეს ინვესტორი – „ც-პ-ი“, რომელთანაც დადო მოსარჩელემაც გარიგება და სწორედ „ც-პ-ი“, როგორც მენარდე, ვალდებული იყო, პასუხი ეგო ამხანაგობის წევრების, მათ შორის მოსარჩელის წინაშე. საკასაციო პალატა ხაზგასმით არ იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ხსენებულ დასკვნას და მიიჩნევს, რომ აღნიშნულს საფუძვლად უდევს კანონის არასწორი გამოყენება/განმარტება.

1.3.2. იმისათვის, რომ ამხანაგობის ხელშეკრულება გაიმიჯნოს ნარდობის ხელშეკრულებისაგან, აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა დავახასიათოთ ამხანაგობის ხელშეკრულების ის მხარეები, რომლითაც იგი ემსგავსება ნარდობის ხელშეკრულებას. ამხანაგობის ხელშეკრულება, როგორც კონკრეტული მიზნის მისაღწევად პირთა გაერთიანებაზე აგებული ხელშეკრულება (სკ-ის 930-ე მუხლი), მოითხოვს წევრებისაგან ისეთი მოქმედებების განხორციელებას, რომლებსაც ახასიათებს სხვადასხვა ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები. ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის თანახმად, როდესაც ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ისეთ ხელშეკრულე-

ბაზე, რომელიც მიზნად ისახავს, მაგალითად, რაიმე ნაკეთობის დამზადებას, სახლის აშენებას და ა.შ. ამხანაგობის წევრთა უფლება-ვალდებულებები ემსგავსება ნარდობის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ურთიერთობებს, მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა შორის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ისეთ უფლება-ვალდებულებებს, რაც დამახასიათებელია კოლექტიური გაერთიანებისათვის, რომელსაც ახასიათებს კორპორაციული სტრუქტურის ისეთი თვისებები, რომელიც მოიცავს, როგორც ორგანიზაციულ, ასევე, ქონებრივ ელემენტებს. ზუსტად ასეთი ტიპის გაერთიანება წარმოადგენს გარკვეულწილად იმ საშუალებათა ერთობას, რითაც საბოლოოდ უზრუნველყოფილია ამ გაერთიანების მონაწილეთა მიერ დასახული მიზნის მიღწევა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების თავისებურება ვლინდება იმაში, რომ დასახული მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მონაწილე პირთა ერთობლივი საქმიანობით (პრაქტიკის თვალსაზრისით მრავალთა შორის იხ. სუსგ №ას-482-458-2013, 16.01.2014წ.). განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ მოპასუხეთა ერთიან მიზანს უძრავი ქონების აშენება და შემდგომში მასზე ინდივიდუალური საკუთრების მიღება წარმოადგენდა. სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი გარემოება, რომ 2000 წლის 8 დეკემბრის საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება (დამტკიცებული დებულების თანახმად, ძველმა მცხოვრებლებმა ჩააბარეს საკუთარი ბინები ახლის აშენების მოტივით, ამხანაგობის უფლება-მოვალეობებს წარმოადგენდა საპროექტო-საორგანიზაციო სამუშაოების განხორციელება, როგორებიცაა: სამშენებლო პასპორტის მიღება, პროექტის შეთანხმება, ობიექტის რეგისტრაციაში გატარება, მშენებლობის გაგრძელების უფლება, სახლის დაკვალვა, მშენებლობის დასრულების შემდგომ მისი ექსპლუატაციაში მისაღებად. დებულების მე-10 პუნქტით, ამხანაგობის გამგეობამ იკისრა მშენებლობის დასრულების შემდეგ, ამხანაგობის წევრებისთვის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის (კარკასით და ტიხრებით) ექსპლუატაციაში მიღება. ამხანაგობის გამგეობის უფლებამოსილებაში შედიოდა საცხოვრებელი ბინების განაწილება(ც) მიუთითებდა ნარდობის ხელშეკრულების პირობებზე შეთანხმებას, არასწორია, რადგანაც დასახული მიზანი, ასევე, მისი განხორციელების საშუალებები სწორედ სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლზე შეთანხმებას წარმოადგენს. განსხვავებული დასკვნის საფუძველი ვერ გახდება ამხანაგობის 2003 წლის 20 ნოემბრის საერთო კრების გადაწყვეტილება მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „ც-პ-თან“ ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე, რამდენადაც ამხანაგობის მიზნის მისაღწევად ამ ხელშეკრულების სუბიექტი-

ბის, როგორც კორპორაციულად გაერთიანებული პირების უფლებას და რიგ შემთხვევაში, შესაძლოა, მოვალეობასაც წარმოადგენდა ნარდობის ხელშეკრულების გაფორმება მშენებელ კომპანიასთან. ამ შემთხვევაში, სახეზე გვეყოლება ნარდობის ხელშეკრულების სუბიექტები, სადაც შემკვეთი იქნება პირთა გაერთიანება – ამხანაგობა, ხოლო მენარდე – მშენებელი (სკ-ის 629-ე მუხლი).

1.3.3. საკასაციო პალატა ზოგადად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ ხელშემკვრელ სუბიექტთა მიერ გარიგების ამა თუ იმ ინსტიტუტის შესაბამისად დასათაურება არ შეიძლება გარიგების კვალიფიკაციისათვის საკმარისი საფუძველი გახდეს, რადგანაც გარიგების შინაარსი უნდა დადგინდეს თავად გამოვლენილი ნების ფარგლებში, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, ამხანაგობის სხვა წევრებისაგან ნ. დ-ი ვერ იქნება განსხვავებულ სამართლებრივ ურთიერთობაში მყოფ პირად მიჩნეული. თავად მოსარჩელის მიერ გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, იგი დათანხმდა ამხანაგობის ხელშეკრულების პირობებს და სხვა წევრებთან ერთად გაერთიანდა იმავე მიზნის მისაღწევად, ამასთანავე, იკისრა შესატანის შეტანის ვალდებულება, რაც საერთო მიზნის მიღწევის საშუალებაა (სკ-ის 932-ე მუხლი) და წარმოეშვა ვალდებულებები. ამ მხრივ, სააპელაციო პალატამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის დარღვევით შეაფასა საქმეში წარმოდგენილი ნ. დ-ის დაკითხვის ოქმი (რომლის, როგორც მტკიცებულების დაშვების კანონიერებაზე ქვემოთ იმსჯელებს სასამართლო). როგორც ხელშეკრულების შინაარსით, ისე – თავად გამოკითხვის ოქმით დგინდება, რომ ნ. დ-ს სურდა უძრავი ქონების მიღება, ამ მიზნით მან მიმართა „ც-პ-ს“, რომელმაც ჯერ ამხანაგობაში განწევრიანება მოითხოვა. ამ დროისათვის უდავოა, რომ ამხანაგობას „ც-პ-თან“ უკვე გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება და „ც-პ-ის“ წარმომადგენლის მიერ ამავე ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა ნ. დ-ის მიერ გარიგების „ც-პ-თან“ დადებას ვერ განაპირობებს, ვინაიდან წევრად მიღების ხელშეკრულება თავისთავად ამხანაგობაში ნ. დ-ის განწევრიანებაზე მიუთითებს, ხოლო „ც-პ-ის“ ხელმოწერა, შესაძლოა მასთან ამხანაგობის მიერ დადებული ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებით იყოს განპირობებული (მაგ: წარმომადგენლობითი უფლებამოსილება), ამ მხრივ სააპელაციო პალატას არ გამოუკვლევია საქმის მასალები.

1.3.4. საკასაციო სასამართლო ასევე შეჩერდება თანხის გადახდის საკითხზე: ამ მხრივ უდავოა, რომ ნ. დ-თან გაფორმებული ხელშეკრულებით განისაზღვრა შესატანის შეტანა სს „ე.ს.ს-ოს“ ანგარიშზე, რაც ამ უკანასკნელმა შეასრულა. აღნიშნული ქმედება, ბუნებრივია, განიხილება ამხანაგობის წევრის მიერ შესატანის შეტა-

ნის ვალდებულებად, მიუხედავად იმისა, რომ ანგარიში ეკუთვნოდა სხვა პირს, რამდენადაც, სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ვალდებულების შესრულება მიიღო იმ პირმა, რომელიც არ იყო უფლებამოსილი, ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად მაშინ, როცა კრედიტორმა მისცა ამის თანხმობა ან ამ შესრულებისგან მიიღო სარგებელი.

1.3.5. რაც შეეხება სააპელაციო პალატის მსჯელობას ამხანაგობის არაუფლებამოსილ პირთან გარიგების დადების თაობაზე, საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს რამდენიმე საკითხზე: სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ამხანაგობის სახელით ნ. დ-თან დადებულ ხელშეკრულებას არაუფლებამოსილი პირი – ზ. თ-ი აწერს ხელს, რომელსაც, ამხანაგობის 2003 წლის 20 ნოემბრის კრების გადაწყვეტილებით, წევრის მისაღებად ესაჭიროებოდა გამგეობის თანხმობა. ამგვარი თანხმობა საქმეში არ მოიპოვება. გარდა ამისა, სააპელაციო პალატამ მიუთითა თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი ამხანაგობის კრების ის ოქმი, რომლის საფუძველზეც ზ. თ-ს მიენიჭა ამხანაგობის თავმჯდომარის სტატუსი. უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილების სუბიექტური ფარგლები: უდავოა, რომ ნ. დ-ი არ არის ამ გადაწყვეტილების სუბიექტი (სსსკ-ის 266-ე მუხლი), შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება წინამდებარე დავის მიმართ წარმოადგენს წერილობით მტკიცებულებას (სსსკ-ის 134-ე მუხლი) და მას არ გააჩნია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პრეიუდიციული ძალა, გარდა ამისა, ნიშანდობლივია, რომ ხელშეკრულება ამხანაგობასა და მოსარჩელეს შორის 2006 წლის 27 სექტემბერს გაფორმდა, ხოლო საქალაქო სასამართლომ ამხანაგობის თავმჯდომარის უფლებამოსილების საკითხზე 2012 წლის 31 ივლისს მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც შემდგომში გასაჩივრდა, ხოლო სააპელაციო პალატას არ დაუდგენია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის თარიღი. საკასაციო პალატის დასკვნით, მნიშვნელოვანია უფლებამოსილების ხარვეზთან დაკავშირებით, როგორც მოსარჩელის კეთილსინდისიერების, ისე – ამ გარიგების შეცლილების საკითხის შეფასებაც. სააპელაციო პალატას არ დაუდგენია იმგვარი გარემოება, რომ ნ. დ-ისათვის ცნობილი იყო ამხანაგობის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეზღუდვის საკითხი. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრუ-

ლებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ხელმძღვანელი პირების უფლება-მოვალეობები განისაზღვრება დავალების წესების შესაბამისად. ამავე კოდექსის 104-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, თუ გარიგება დადებულია სხვა პირის სახელით, მაშინ წარმომადგენლობითი უფლების არარსებობა არ შეიძლება გამოიყენოს გარიგების მეორე მხარემ, თუკი წარმოდგენილმა ისეთი გარემოებები შექმნა, რომ გარიგების მეორე მხარეს კეთილსინდისიერად ეგონა ასეთი უფლებამოსილების არსებობა.

1.3.6. საკასაციო სასამართლო უარყოფს სააპელაციო პალატის დასკვნას თანხმობის გარეშე დადებული გარიგების ბათილობის თაობაზე. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით პალატამ, სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლზე მითითებით, ბათილად ჩათვალა ნ. დ-სა და ამხანაგობას შორის დადებული ხელშეკრულება, თუმცა, არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ამხანაგობას ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით არ მიუმართავს სასამართლოსათვის, თავად ხელშეკრულება დადებულია 2006 წელს და არც ერთ მოპასუხეს ამ ფაქტის არცოდნის შესახებ შედავება არ წარუდგენია. საკასაციო პალატის დასკვნით, ამგვარი შემთხვევა უნდა შეფასდეს ამხანაგობის მხრიდან სამოქალაქო კოდექსის 101-ე მუხლით განსაზღვრულ მოწონებად, რომელიც ფორმათაგისუფალია და უკუძალა ვააჩნია, შესაბამისად, პრეზუმირებულია, რომ ამხანაგობის წევრთა მიერ კონკლუდენტურად იქნა მოწონებული ზ. თ-ის მიერ მათი სახელით მოსარჩელესთან დადებული გარიგება და ამ ფაქტის გაქარწყლება, პრეზუმფციის იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, მოპასუხე მხარეს ეკისრება.

1.3.7. საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ერთობლივი საქმიანობა, რომლის მიზანია სახლის აშენება შეიცავს ნარდობის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელ ელემენტებს, რომლის მიზანია კონკრეტული ნაკეთობის დამზადება. როგორც ნარდობის შემთხვევაში, იგი ორიენტირებულია კონკრეტული შედეგის მიღწევაზე. უფრო მეტიც, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ერთ-ერთი წევრი შეიძლება იყოს მენარდე, რომელიც თავისი საქმიანობით მონაწილეობს ერთობლივ საქმიანობაში, მაგრამ, როდესაც რამდენიმე პირი თანხმდება ერთობლივი ძალებით თუნდაც სახლის აშენებაზე ან სხვა ნაკეთობის დამზადებაზე, ერთმანეთს შორის და ასევე მესამე პირებთან ურთიერთობები მოითხოვს ნარდობის ხელშეკრულებისაგან განსხვავებულ მოწესრიგებას. შესაბამისად, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების საფუძველზე ხდება არა ერთობლივად ან ცალ-ცალკე ნარდობის ხელშეკრულების დადება, არამედ ისეთი ერთეულის ჩამოყალიბება, რომლითაც წესრიგდება ერთმანეთთან, ასევე მესამე პირებთან არსებუ-

ლი ურთიერთობები და საბოლოოდ, უზრუნველყოფილია, კონკრეტულ შემთხვევაში, ამხანაგობის ხელშეკრულებაში ერთობლივი მონაწილეობა.

1.3.8. საკასაციო პალატა ნაწილობრივ იზიარებს გასაჩივრებულს გადაწყვეტილების დასკვნას იმის თაობაზე, რომ კანონი ერთმანეთისაგან არ განარჩევს ე.წ „დამფუძნებელი“ და „ჩვეულებრივი“ წევრების ინსტიტუტს, თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ამ ნაწილში სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული მოწესრიგება დისპოზიციურია, პრაქტიკაში დამკვიდრებული ამხანაგობის წევრთა დაყოფა (ინვესტორი წევრი, დამფუძნებელი წევრი, ჩვეულებრივი წევრი და სხვა) განპირობებულია ხელშეკრულებით დასახული მიზნის მისაღწევად მონაწილეთა მიერ განსახორციელებელი საქმიანობის სპეციფიკით. ამის სამართლებრივ წინაპირობას წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 932-ე მუხლის მე-2 ნაწილი. ამდენად, ხსენებული უფლებამოსილებები მიუთითებს ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელ ნიშნებზე, რომლის თანახმად, საერთო საქმიანობის მიზნის მისაღწევად, საერთო საქმიანობასთან დაკავშირებით, კეთილსინდისიერად შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს თითოეულ მონაწილეს ერთობლივი საქმიანობის ყოველი მონაწილისაგან (სამოქალაქო კოდექსის 935-ე მუხლის მე-2 ნაწილი) არა უშუალოდ თავისი, არამედ მხოლოდ საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) მონაწილეთა სასარგებლოდ.

1.3.9. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის მასალებით დასტურდება ნ. დ-სა და ამხანაგობას შორის სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის პირობებზე შეთანხმება, რომლის ფარგლებშიც მოსარჩელემ ამხანაგობაში გაწევრიანების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა, ხოლო შემხვედრი შესრულება არ აქვს მიღებული, შესაბამისად, მოსარჩელე აცხადებს, რომ ცალმხრივად გადის ხელშეკრულებიდან და მოითხოვს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას. სამოქალაქო კოდექსის 938-ე მუხლი ითვალისწინებს ამხანაგობიდან გასვლის სპეციალურ წესს, თუმცა, მისი წინაპირობები ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს არ გამოუკველევია, რაც შეეხება ამხანაგობის წევრთა პასუხისმგებლობას, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ერთობლივი საქმიანობის წევრების ინტერესები მიმართულია საერთო მიზნის მიღწევისაკენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ერთმანეთის მიმართ ისინი არ შეიძლება გამოდიოდნენ როგორც კრედიტორი და მოვალე. ზუსტად ეს წარმოადგენს იმ შემთხვევას, როდესაც ჩვენ უნდა გავმიჯნოთ საერთო საქმიანობის მიზნის მისაღწევად ამხანაგობის წევრების უფლებები და ნაკისრი

ვალდებულებები იმ უფლება-ვალდებულებებისაგან, რომელიც შემდეგ მათ წარმოეშობათ ერთმანეთის მიმართ, კერძოდ, ერთ შემთხვევაში, საერთო საქმიანობასთან დაკავშირებით, კეთილსინდისიერად შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს თითოეულ მონაწილეს ერთობლივი საქმიანობის ყოველი მონაწილისაგან (სამოქალაქო კოდექსის 935-ე მუხლის მე-2 ნაწილი), მეორე შემთხვევაში, ერთმანეთთან ურთიერთობაში პასუხისმგებლობის ოდენობა განისაზღვრება მონაწილეთა წილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს (სამოქალაქო კოდექსის 937-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება). ამ უკანასკნელ შემთხვევაში კანონით გათვალისწინებულია დანაწესი, რომლის თანახმად, პასუხისმგებლობის საკითხი დგება ერთმანეთის მიმართ. საერთო საქმიანობის შედეგად მიღებული ქონების განაწილება (მაგალითად, საერთო საქმიანობის შედეგად აშენებული მრავალბინიანი სახლის ბინები) წარმოადგენს ამხანაგობის მონაწილეთა იმ უფლებების დაკმაყოფილებას, რომლისთვისაც იქმნება ამხანაგობა, ასევე, ერთმანეთის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ამხანაგობის მონაწილეებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობა განისაზღვრება წილის მიხედვით. ამდენად, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება წარმოადგენს საშუალებას, რომლის ძალითაც ხდება ყველა მონაწილის უფლებების დაკმაყოფილება. ამ შემთხვევებში ამხანაგობის მონაწილეები ერთმანეთის მიმართ გამოდიან როგორც კრედიტორი და მოვალე და მონაწილეობენ სასამართლოში არა ამხანაგობის, არამედ თავისი სახელით (პრაქტიკის თვალსაზრისით იხ, სუსგ №ას-482-458-2013, 16.01.2014წ.). მოცემულ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლომ, საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულებების საფუძველზე, დაადგინა პირველი აპელანტების პასუხისმგებლობა, რაც, როგორც მოსარჩელის, ისე – ამ უკანასკნელების მიერ იქნა შედაგებული სააპელაციო საჩივრით, შესაბამისად, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის წინაპირობების დადგენის შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი შესაგებლების, ასევე, სააპელაციო საჩივრების ფარგლებში უნდა შემოწმდეს, ამხანაგობის წევრთა უფლება-მოვალეობები და ნ. დ-ის, როგორც ფიზიკური პირის მოთხოვნაზე პასუხისმგებელი პირების წრე.

1.3.10. რაც შეეხება 2018 წლის 3 ოქტომბრის საოქმო განჩინებას, პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა კასატორის პრეტენზია და მიიჩნევს, რომ იგი მტკიცებულების დაუშვებლობას მის უკანონოდ მოპოვებას უკავშირებს. თავად სასამართლო სხდომის ოქმის შეს-

წავლით კი დასტურდება, რომ პირველმა აპელანტებმა ნ. დ-ის დაზარალებულად დაკითხვის ოქმი მოიპოვეს საქმის პირველი ინსტანციით განხილვის დასრულების შემდგომ, მათ დოკუმენტი გადასცა დაზარალებულმა მას შემდეგ, რაც პროკურატურამ გაცვალა მასალები. საგულისხმოა, რომ დაკითხვის ოქმის შინაარსობრივი ნამდვილობა არ შედავებულა, ამდენად, იგი წარმოადგენს წერილობით მტკიცებულებას, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით და არ არსებობის მისი საქმიდან ამოღების წინაპირობები.

1.4. საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების პროცესუალური დასაბუთება:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და ვინაიდან საჭიროა მტკიცებულებათა გამოკვლევა, ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველით, საქმეს ხელახლა განსახილვად უბრუნებს იმავე სასამართლოს, რომელმაც უნდა დაადგინოს დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები და შემდგომ გადაწყვიტოს უფლების საკითხი.

2. პროცესის ხარჯები:

ვინაიდან საქმე ხელახლა განსახილველად უბრუნდება სააპელაციო სასამართლოს, პროცესის ხარჯების საკითხი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, უნდა გადაწყდეს შემეჯავრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

3. საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, ვინაიდან საკასაციო სასამართლო არ წარმოადგენს ფაქტების დამდგენ ინსტანციას, ახალი მტკიცებულებების წარდგენა დაუშვებელია. საკასაციო საჩივარს ერთვის დოკუმენტები, თუმცა, ზემოხსენებული მიზეზიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა უარს აცხადებს მათ მიღებაზე და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, უბრუნებს ამ დოკუმენტებს მხარეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 104-ე, 404-ე, 407-ე, 412-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. ნ. დ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. კასატორის მოთხოვნა მტკიცებულებათა საქმისათვის დართვის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 3 ოქტომბრის განჩინების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.
4. ნ. დ-ს დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულებები.
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 2 98 20 75
www.supremecourt.ge